

ბერძოლ მოკავენ

ISSN 1512 2220

9 771312 222006

აგვისტო - სეპტემბერი № 8
ფაზი 5 ლარი

ილიკო ცუდიალი
ლევან ჩუმახევი
ფალონ კაპანაკლი
ნეტან ბიურაძე
ილიკა ზაუტაშვილი
ნიკა სახემშერიძე
ნინი ქ
ეთერ თათარაშვილი

ცრიმლიანი სათვალი
გიორგი გვარაშვილი

სკოშ-ცროვები:

ესტრადული

MIDI **MICRO SKIRT MAXI**

ესტრადული ყოფილობის რობერ

კრის-კოლა ჯაზფესტივალი



+35% უფრო
ხშირი თმა



Amino/Pro-V **PANTENE** PRO-V®
ძლიერი თმის ძირითადი ელემენტი



„ბლუბიზი - სწრაფი და იოლი გვა უფასო ბილეთის მისაღებად“.

ბლუბიზი - ეს ახალი პროგრამაა, ერთგული კომპანიებისათვის. ბლუ კრედიტების დაგროვება ხდება KLM-ისა და მისი პარტნიორი ავიაკომპანიების საქართველოში გამოწერილ ყველა ბილეთზე, დაგროვილი კრედიტები შესაძლებლობას მოგცემთ ისარგებლოთ უფასო ბილეთით.

სამი ნაბიჯი უფასო ბილეთისპერ:

- 1 დაარეგისტრირეთ თქვენი კომპანია www.klm.ge-ზე
- 2 ყოველი დაჯავშნისას გამოიყენეთ თქვენი ბლუბიზის მონაცემები
- 3 იფრინეთ უფასოდ, როცა საკმარის ბლუ კრედიტს დააგროვებთ



დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით
ბლუბიზის მომსახურეობის ცენტრში
10:00-დან 18:00-მდე +995 32 921611,
ან გააგზავნეთ ელექტრონული წერილი
შემდეგ მისამართზე: bluebiz.ge@klm.com.ge



მონაცენით ზეღუდები
• და მიმღები მატები

კულტ მასწავლებელი

ჯანმრთელობისა და სოციალური დამცველი გავრცელების თქვენი ჯანმრთელობის



უკეთესა
კოლოფის ახალი ვორატი



სირჟის ციცვალებულია

დაცვის სამინისტრო გაფრთხელები:
ათვეს. მოწვევა უნდა გალუს დავალების.



LAVAZZA
ITALY'S FAVOURITE COFFEE

„ბბ კომპანია“, კოსტავას 26, ტელ.: 98 40 24

www.lavazza.com



იოლადის სრულად -



კარგი დღე ცემოა,



ვივ ნება დაის ქი!


ლევან ბუთხაზი
გიორგის ასაკის მოდელი მოგაზრდა
ავტორი: ნინო გვირგვინი

16



ფალონ პაპაგაიკლი
კინო - რუკაზე
ავტორი: თამარ ბაბუაძე

26



სეიც-კროეპტი:
ექსტრემალური
ავტორი: სალომე კიკალავიშვილი

46



აჩვისტო-სექტემბერი

№ 08

ილია სახელმისამი
ავტორი: თამარ სახელმისამი
ფოტო:
ლევან ხარხულიძე,
ფავოტ გესესი

ჩრდა უდია იარო
63.64



სეიც-კროეპტი:
ესტონერი ფოტომორტერობები
ავტორი: დათო ტურავილი

88



რედაქტორი შორენა შავერდაშვილი
რედაქტორის თანამემცე ნატა ფედოსეევა
არტ რედაქტორი ლევან ნუცუბიძე
ფოტო დავით მესხი
ლევან ხერხეულიძე
ნიკო ტარიელაშვილი
სტილისტი გაგა ლომიძე
ილუსტრატორი მაია სუმბაძე / ნიკა მაჩაიძე
დიზაინი დავით თეთრაძე
მიხეილ დგებუაძე
დისენტირისტი დავით ნარიმანიძე

ნისტან ნიზარაძე
ერთი ქალის ბევრი პორტრეტი
ავტორი: ანა კორქაძა-სამადაშვილი


78



MIDI MICRO SKIRT MAXI


ავტორი: ნისტან კვინიკაძე

86



ილია ზაუტაშვილი
ილია
ავტორი: ანა კორქაძა-სამადაშვილი

104




ნიკა სახანერიძე
HIMSELF
ავტორი: ნისტან კვინიკაძე

138



შრომლიანი საოცალე
ნაწილი II
ავტორი: გიორგი გვასარია

148



ნინო კოვჭირიძე
Hi NINI K!

ავტორი: სალომე გიგალაშვილი

156



ნომერზე მუშაობდნენ:

ნესტან კვინიკაძე
ანა კორქაძა-სამადაშვილი
თამარ ბაბუაძე
თამარ სუხიშვილი
სალომე კიკალეიშვილი
ნიკა მაჩაიძე
დათო ტურაშვილი
გიორგი გვახარია
სერგი ნაკაიძე
კახა თოლორდავა

 publishing

გამომცემელი

შპს „ემ ფაბლიშინგი“

მისამართი: თბილისი 0105,

ფალიაშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია.
შურნალში გამოცემული მასალების ნაწილობრივი
ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

რეკლამის განთავსება

შპს „მსა თბილისი“

მისამართი: ფალიაშვილის ქ. 108

ტელ./ფაქსი: 23 37 31

ელ-ფოსტა: msa@msa.ge



msa tbilisi

სტამბა

შპს „სეზანი“



მისამართი: თბილისი,

ნერეთლის გამზ. 140

ტელ.: 35 70 02

ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

CEZANNE
PRINTING HOUSE



რედაქტორისძან



ჩვენი ავტორების სვეტები ის ტრიბუნაა, სადაც ჩემი „ცენზურა“ ყველაზე ნაკლებად ვრცელდება და ისინიც, უურნალის მზადების დამთავრებისთანავე, ნიშნისმოგებით მიწოდებენ ხოლმე ნახევრად შეგსაბული თაბახის ფურცლებს: „აჰა, შორენა, სვეტი დავწერე, მგონი, არ მოგეწონება, მაგრამ მაინც გადახედეო.“ ამჯერადაც ასე იყო. ლევან ნუცუბიძემ იმ დღეს რედაქტიაში პირველად მომასწრო და ვიდრე გაკვირვებისაგან გონს მოვეგებოდი, ანთებული თვალებით მახარა, სვეტი დავწერეო. წავიკითხე, ბევრი ვიცინე, მაგრამ რაღა თქმა უნდა, გულიც შემიღონდა. გულშელონების მიზეზები ლევანს თანმიმდევრულად ჩამოვუყალიბე, მაგრამ... თქვენ არ იცით, ჩვენი ლევანი რა შეუპოვარია! მთელი დილა ვიკამათეთ, რომ ტექსტში რაღაც ნიუანსები შეეცვალა. როცა მივხვდი, რომ ეს კამათი ძალიან ბევრ დროს გვაკარგვინებდა და უურნალის მოსწრება-არმოსწრების საკითხიც ეჭვევეშ დგებოდა, დავწებდი, ოღონდ ერთი პირობით. თუ თქვენ მიგვიხდებით, რის შეცვლას ვთხოვდი ლევანს და ამის შესახებ გვამცნობთ, მე ნიძლავს ვიგებ. ანუ ლევანი დამჯერი და მორჩილი არტ-რედაქტორი გახდება და ჩემს გადაწყვეტილებს უაპელაციოდ გაიზიარებს. მოკლედ, კვლავაც თქვენი შეფასებების იმედი მაქვს.

ჩვენს ავტორებთან დაკავშირებით, კიდევ რამდენიმე ამბავი მინდა გამცნოთ. „უმაღლესი განათლების, პრესტიული სამსახურის და კარგი ხასიათის“ მქონე ქალბატონი თამარ სუხიშვილი სექტემბრიდან ერთი წლით ოქსფორდის უნივერსიტეტში მიემგზავრება. თუ იქ კლასიური ფილოლოგიის ვინმე პროფესორს არ დაადგა თვალი და დაგვიბრუნდა, ჩათვალეთ, რომ „ცხელ შოკოლადს“ უკვე „ხარისხიანი“ მწერალი ეყოლება. სექტემბრიდან, შესაძლოა, დათო ტურაშვილიც მადრიდის უნივერსიტეტში აღმოჩნდეს, იბერიული ეთნოგრეზის საკითხების შესასწავლად. ესპანური ფოტომითხრობების მოლოდინში, „ცხელ შოკოლადს“ ეს ამბავიც ძალიან ახარებს. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ლოს-ანჯელეში, სერგი ნაკაძე შემდეგ ნომერშიც ექსკლუზივს გვპირდება, ოღონდ დეტალებს ჯერ არ გვიმხელს, სიურპრიზს გვიმზადებს. სალომე კიკალეშვილი საზაფხულო არდადეგებს პარიზში, ოთარ იოსელიანის ახალი ფილმის გადასალებ მოედანზე გაატარებს და შემდეგი ნომრისთვის გადაღებების ექსკლუზიურ რეპორტაჟს მოგვაწვდის. ანა კორძაია-სამადაშვილი სტამბულელი ინტელექტუალებს ესტუმრება და ჩვენთვის უცნობ სტუმულზე მოგვითხრობს. გიორგი გვახარიას საზაფხულო მარშრუტი ჯერ დაუდგენელია, მაგრამ დაგვიპირდა, რომელიმე ზღვისპირეთში „ცრემლიანი სათვალის“ რამდენიმე თავს ერთად დავწერ და ერთად ვნახოთ, როგორ მიღდიეთ ივერიის გაბრწყინებამდეო. ლევან ნუცუბიძე, მას შემდეგ, რაც ჩემთან ნიძლავს წააგებს, გულის გადასაყოლებლად კუბაში აპირებს გამგზავრებას და ფიდელ კასტროს მონახულებას. მე უკვე გახლდით ისრაელში და ოქტომბრის ნომერში იხილავთ ამბებს ისრაელის ყველაზე საინტერესო ახალგაზრდა მწერალზე, ყველაზე საკამათო კინოდოკუმენტალისტზე, ყველაზე პოპულარულ რეჟისორზე და ყველაზე პატივსაცემ პოლიტიკოსზე. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ „ცხელი შოკოლადი“ ერთთვიან არდადეგებზე მიდის და შემდეგი ნომერი უკვე 25 სექტემბერს გამოვა, ჩვენს არდადეგებსაც „ცხელ შოკოლადზე“ ფიქრში გავატარებთ. ეს ნომერიც საგანგებოდ „იმხელა“ გავაკეთეთ, რომ თქვენც არ მოგვეთ ჩვენი მონატრების საშუალება.

მოკლედ, ბეღნიერ და გემრიელ დასვენებას გისურვებთ, „ცხელ შოკოლადთან“ ერთად.

შორენა შავერდაშვილი

LANCASTER



ღანკასტერი - მზის აბაზანის ღაგენია

ოქროსვერი ნამზეულის საიდუმლო

ღანკასტერის მიერ დაპატენტებული **RPF** ტექნოლოგია
(რადიკალურისაგან დაცვის ფაქტორი);

სრულყოფილი დაცვა კანის ნადრევი დაბერებისაგან
(ანეიტრალურის თავისუფალი რადიკალურის 80%-ზე მეტი);

UVA/UVB - საუკეთესო ფილტრების საშუალებით,
ოქროსვერი და ზღაპრული ნამზეულის მიღების სიამოგნებასთან ერთად,
ღანკასტერი უზრუნველყოფს თქვენი კანის სწრაფ და სანგრძლივ დაცვას.



LANCASTER
MONACO

ჩვენი ავტორები



ქახა თოლორდავა

იმ საღამოს, როდესაც ჩარლი “ბერდ” ფარქერი დიზი გილესფის გაუფრთხილებლად დაადგა თავს, ის სა-დილად ჯდებოდა. კართან გილესფის მეუღლე, ლორანი მივიდა და როდესაც გაიგო, რომ ფარქერი უკვე ჰეროინზე “იჯდა”, თუმცა “ჯანქის” რეპუტაცია მისი მეგობრების და კოლეგების ცოლების ნერვებზე უფრო მოქმედებდა, ვიდრე ე.ნ. “ბუქინგ” აგენტებზე, რომლებიც ფარქერს არცერთ საღამოს დაუჯავშნავს არ ტოვებდნენ. “ბერდის” არც უფიქრია, რომ იქაურობას გაცლოდა. “დიზი!” — უყვიროდა მეგობარს კარს მიღმა, — გააღე კარი, იდიოტო, საოცარი თემა მომივიდა თავში და მინდა, რომ ჩაიწერო. ხომ იცი, ახლა მე ამის თავი არა მაქვს.” გილესფის, დიდ მუსიკოსს, ინტელექტუალს, კლოუნს და ყველაზე უშიშრ ადამიანს მსოფლიოში, ერთადერთი ადამიანის შიში და მორიდება ჰქონდა დედამინის ზურგზე და ეს ადამიანი მისი მეუღლე იყო. მან კარგად იცოდა, რომ “ბერდი” არ ტყუოდა და ის ფულის სასესხებლად არ იყო მოსული. “ბერდმა” მასთან ახალი, გენიალური იდეა მოიტანა, ის კი კარს ვერ აღებდა. ფარქერი არსად წასვლას არ აპირებდა და როდესაც დარწმუნდა, რომ მეგობარი კარს არ გაუღებდა, სასწრაფოდ ამოიღო საქსოფონი კეისიდან და იქვე, გილესფის კართან ინსტრუმენტიდან რთული და უჩვეულო პასაუების ამოყრა დაიწყო. როცა გაცოლებული ლორანი “ბერდისათვის” ჭკუის სასწავლებლად სამზარეულოდან კვლავ შესასვლელში გავარდა, ის ასეთ სურათს შეესწრო, — მისი მეუღლე, ერთადერთი და განუმეორებელი დიზი გილესფი იატაკზე იჯდა ჩაკეტილ კართან და “ბერდის” დაკრულ მელოდიას სანოტო ფურცელზე ხელის კანკალით იწერდა.

იმ დღეს, როდესაც ჩემმა მეგობარმა ეიბ გოლდსტეინმა ეს ისტორია მომიყვა, დე მონში თოვდა. უკვე გვიან იყო. ჩვენ იმ ოთახში ვისხედით, სადაც ეიბის დისკების კოლექცია ინახება. კოლექციაში ათასობითი დისკია. ოთახის კედლები ჯაზმენების შავ-თეთრი პლაკატებითაა დაფარული. ეიბი წამოდგა, ღამე ნებისა მისურვა და თავისი საძინებელი ოთახისაკენ გაემართა. “კარი გამოვხურო?” — შემეკითხა ის გასვლისას.



ნიკა მაჩაიძე

...შორენა მას ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა და შემზარავად ულიმოდა.

— შენ არათერში არ ხარ დამნაშავე, ლევან! ავტორის სვეტი ყველა ავტორმა უნდა დაწეროს და არც ნიკა მაჩაიძეა გამონაკლისი! “ცხელი შოკოლადი” მოაგვარებს ამ პრობლემას ისე, რომ შენი სახელი არსად გაიშულერებს. — ღია ფანჯრიდან შემოვარდნილმა ნიავმა შორენას თმები აუშალა, კედელთან დაყრილი “ცხელი შოკოლადის” პირველი ნომრის ეგზემპლარები, ჯადოსნური მარაოებივით აიფოფრნენ.

— კი მაგრამ, ხომ შეიძლება ადამიანს არ უნდოდეს დაწერა???

— ეს ავტორის სვეტები შენი იდეა, ლევან. თუ სრიალი გიყვარს, ციგის თრევაც უნდა შეგეძლოს!... მაგრამ ამ შემთხვევაში ციგასაც არ გათრევინებ. ჩამომეცალე გზიდან, ლევან! მიმიშვი ტელეფონთან, ნიკას მე თვითონ დაველაპარაკები!

ბოლო სიტყვებმა ლევანი თითქოს ტრანსილიან გამოიყვანა... “დაველაპარაკებიიიი, დაააავეელაააპარაკეებიიიი ნიიკაააას მეეეე თვითოოოონ დააააველაააპარაკეებიიიიიიიიოოოოო!!!!!!”

— არა! — იყვირა ლევანმა და ყურმილს ხელი დასტაცა. შორენამ მისკენ პანტერასავით ისკუპა, მაგრამ გვიან იყო... ლევანს ყურმილი უკვე პირში ედო და გამალებით ლეჭავდა. შემდეგ პირიდან გამოჩილი შნურიც სპაგეტივით შეისრუტა და თვალებდაჭყუტილმა გადაყლაპა. — სანამ ცოცხალი ვარ, თქვენ ნიკას ვერ დაელაპარაკებით!

აი, ასეთი სიზმარი მესიზმრა ჩემს მეგობარ არტ-დირექტორზე და გადავწყვიტე, ავტორის ეს სვეტი დამწერა.

respect ყველა არტ-რედაქტორს, რედაქტორს, დიზაინერს, კურიერს, მენეჯერს, დაცვის თანამშრომელს და ა.შ. in da chocolate house!



ლევან ნებუბიძე

ჩემი სახლიდან “ცხელი შოკოლადის” რედაქტორამდე ზუსტად 37 ნაბიჯია.

თითქმის ყოველ დილას, გასაღიძებლად რე-

დაქციდან “რჩეული” მაკითხავს და ფაქიზად მი-
მათრევს რედაქტორაში. მეც უმტკივნეულოდ ვიფერებ
“სტარი არტ-რედაქტორის” პოზიციას და “რჩეულს” უკ-
მაყოფილო სახით მივყვები. დაბონებული ხმით და გა-
ნახევრებული თვალებით ვითხოვ ყავას. აი, აქ იწყება
მარათონი.

ვინ გამიკეთებს ყავას?!

მოკლედ, სანამ ყავის აპარატამდე გამარჯვებული მია-
ღწევს, გზაში დიდი საშინელებები ხდება – ერთმანეთის-
თვის ფეხის დადება და ნაქცეულზე ნიხლის ჩარტყმა,
იოლი გამოსავალია ხოლმე. ყველაზე ხშირად “იდაყვის”
ილეთი გამოიყენება. დანით ფეხში დაჭრის შემთხვევაც
იყო. ბოლოს, ერთი განენილი, დალურჯებული და ზოგ-
ჯერ სისხლიანი გამარჯვებული აღწევს ჩემამდე, „ლავა-
ცას“ ლეგალური სტიმულატორით ხელში. ძალით გაღი-
მებული (ისე, ოლიმპიადებზე გიმნასტები რო იღიმებიან
ნარმოდგენის შემდეგ) და აქოშინებული მეკითხება:

– ლევან, შაქარი ორი, ხო?

ვითომ არ იცის...

მოკლედ, ისე მივლიან, ხანდახან ვერ ვხედავ ზღვარს
“ცხელი შოკოლადის” არტ-რედაქტორობასა და ჯიშ
მორისონობას შორის. ბოლოს ისიც მომიგონეს, რომ
ავტორი ვარ და, არც მეტი, არც ნაკლები, სვეტის დაწე-
რა დამაგალეს. იმის გათვალისწინებით, რომ უურნალის
ტირაჟია 4000 და, სტატისტიკის მიხედვით, ერთს მი-
ნიმუშ ორი კაცი კითხულობს, აი, ვფიქრობ, რისი თქმა
მინდა 8000 კაცისთვის. ნამდვილად ვიცი, არაფრის.

ერთი შემიძლია გისურვოთ: სიყვარული.
respect



თამარ სუსიშვილი

აბა, რა გითხრათ? ამ პაპანაქებაში
სვეტის კი არა, საკუთარი გვარ-სახე-
ლის დაწერაც კი მიჭირს. თუმცა მარტო
პაპანაქებასაც ნუ დავაბრალებ. ხომ გაგიგიათ,
ყველა ნიჭიერი ზარმაცი რომა...

ჰო, სად ვიყავი? განსაკუთრებული თხრობის ნიჭით
არასოდეს გამოვირჩეოდი. სელინჯერის ერთი გმირი-
ვით მემართება ხოლმე – ერთის მოყოლას რომ იწყებს
და მეორეზე გადადის, გამომცდელები კი უყვირიან: გა-
დაუხვია, გადაუხვია. ის კი მაინც თავისას მიერეკება.
რას ვიზამ, წერის დროს თავს უფრო ვაკონტროლებ
ხოლმე. თუმცა ზოგჯერ ეს გადახვევებიც არ უნდა
იყოს ურიგო; რა გვიშლის ხელს? – არც არაფერი. მით
უმეტეს, როცა „ცხელ შოკოლადში“ მუშაობ და დოპინ-
გად ყოველთვის გაქვს მაგარი ყავა. ბომბივითაა. ერთს
დალევ და მერე მთელი ლამე აღარ დაგეძინება (მეო-
ნი, რედაქტორის სპეც-ჩანაფიქრია). მერე იძულებული
ხარ, იყზიზლო, ინერვიულო გამოტოვებულ წერტილ-
მძიმეებზე (რაც მე ყველაზე მეტად მაფორიაქებს. ჩე-
მში მთვლემარე უანა დ'არკი იღვიძებს: იქნებ აქ მაინც
დავამკვიდრო ნანატრი სამართლიანობა და ყველას
თავისი კუთვნილი ადგილი მივუჩინო. არა, ყველა ადა-
მიანში მაინც პატარა დიქტატორი ზის). მოკლედ, ფხი-
ზლობ და ფიქრობ იმაზე, რაც დაწერე, რაც გინდოდა,
რომ დაგენერა და კიდევ იმაზე, რაც რესპონდენტმა
საიდუმლოდ გიამბო, მაგრამ არ დაგინერია. რატომ? –
იმიტომ. რა დაგწერო ახლა, რა ვქნა? – გავიფიქრე. „ჩაი
უნდა მიირთოვო,“ – გამომძახა დედამ სამზარეულო-
დან. გათენებულა.

ეტყობა, მაინც არ ვარ პაპარაცი-უურნალისტი. თუმ-
ცა თვალიც მიჭრის და ყურიც. ბედს რომ გაედიმა
ჩემთვის, სულ ცოტა, FBI-ს აგენტი მაინც ვიქებდოდი.
ცხოვრება ნინაა. ჯერ-ჯერობით აქ ვარ. ვწერ „ცხელი
შოკოლადისთვის“, ე.ი. მაქვს პრესტიული სამსახური,
უმაღლესი განათლება და კარგი ხსიათი. ვეძებ მაღალ,
ცისფერთვალება მამაკაცს. სასურველია იყოს „ცხელი
შოკოლადის“ მეკითხველი. ლოთები და მსუქნები ნუ გა-
მომებმაურებიან.

ეე, სად გავუტიე? – უჰ, უკაცრავად. ძალიან ცხელა.
რა ჩააპარებს ამ ეროვნულ გამოცდებს? როდემდის,
ჩემო ქვეყანაე?!

ბიომრავალფეროვანი ორგაზმი



ავტორი: ნესტან კვინიქაშვილი

ჩვენ არ ვიშით, რომ უკანასკნელი საუკუნეების გან-
მავლობაში, ველური ბუნების გადამხდების პროცესი
ძალიან სწრაფად მიმდინარეობდა. ბუნების დაცვის
მსოფლიო კავშირის (IUCN) მონაცემებით, 1600 წლი-
დან 1994 წლამდე დადამინაზე ძუძუმოვარების 86,
ფრინველების 104, ქვეწარმავლების 20, აღფიჩივების
5, თევზების 92 სახეობა გადამიედა.

მისამართი საუკუნის შუა წლები, მოხატიალი
მზრეულების რაოდენობის გამოცირების ზედების
შეიმჩნეოდა. საუკუნის ბოლოს, ეს სახეობა მოლი-
ნად გაერა. უკანასკნელი თარიღმატგანელი ზონი-
ნატის ზორვასურ 1914 წელს დაიღუპა.

არძიშვილის პინგვინების – ალკების ბოლო ნივილი
1844 წელს აღმოსავლეთ ნახევარსფეროში მოკლეს.
ანალოგიურად, სტელირის ძროხა, კვაგა და სხვების
განადგურდნენ.

დადამინაზე ოდასლაც არსებული ცხოველებისა და
მცენარეების სახეობათა 99% დღისთვის გადამიე-
ბულად ითვლება.

ჩვენ არც ის ვიშით, რომ სამყაროს გაუდაბნობა
ემუქრება; არ ვიშით, რა მნიშვნელობა აქვს ბიო-
ლოგიურ დარიუნებას, არ ვიში და ამოტონაც ზემო-
თქმულს ვიზიტორ წიგნიდან: “აფთარი, გირზა და
სხვები...”, რომელიც ცენტრმა NACRES გამოსხა.

ასეა თუ ისე, ჩვეთვის, დღემდე მულტიკლიკაციური
ფილმების გმირებად რჩებიან ცხოველები, რომე-
ბიც, რეალურად, არამხოლოდ ცოცხლობენ, ცხოვრო-
ბან კიდეს; უყვარდებათ, ჰყავთ ძირები, შეუძლიათ
ერთგულება. ველური ბუნება ერთგანეთთან აკავში-
რებს რელიგიური თუ ტერიტორიული მოტივით გა-
დამზირებულ სახელმიწოდებებს, ტომების ბალადებს,
რაღაც ველური სამყაროს ბინალებებს, როგორც
სამაგალითო კოსმოკოლიტებს, სამყაროს მოლი-
ნობის აღჭრის საუკათხეო უნარი გააჩნიათ.

მა არც ის ვიშოდი, რომ ეთოლოგები (ამ შემთხვე-
ვაში ლევან ბუთხაზი), მნიშვნელოზე და მნატვრებზე
საინტერესო რესპონდენტები შეიძლება იყვნენ, ვი-
ნაიდან მათ შეუძლიათ, რომ დათვების ქცევა ბითვო-
ვების მე-9 სიმაღლის შეაღრმო. ასეა თუ ისე, ჩვეს
შემთხვევაში, არცართი სხვა რესპონდენტის ამბავი
არ დაწყებულა ასე:

კენიაში აფთრების საძებნელად წავედით. თავდაპირველად, საზღვრიდან უკან გამოგვაბრუნეს, არ შეგვიშვეს. ბილეთში დიდი თანხა გვქონდა გადახდილი და, შესაბამისად, უკან დაბრუნებულები, უფულოდ აღმოვჩნდით. მაინც არ მოვეშვით. მივედი ჩემს ამხანაგთან, რომელიც ტურ-სააგენტოში მუშაობდა და ვთხოვე, რამენაირად გამოენახა გზა, რომ კენიაში წავსულიყავით. ჩასვლა გაგიჭირდებათ და უკან შეიძლება ველარ დაბრუნდეთო. KLM-ს “ადამიანური” რეისი ჰქონდა: თბილისი-ამსტერდამი-ნაირობი, მაგრამ ძვირი

აილო სისწრაფე, აფრინდა, აიჭრა ზევით და მოულოდნელად მინას დასკდა, ჩამოვარდა. მაშინ მივხვდი ქართველების უზნეობას, როცა არ უჯერებენ სტიუარდესებს და არ იკრავენ ლვედებს, თუმცა ჩვენ ყველას შეკრული გვქონდა. გარდა იმისა, რომ ჩამოვარდნის ენითაუნერელი შოკი მივიღე, ამას დაემატა გვერდით მჯდომი უცნობი, რომელსაც ლვედები არ ჰქონდა შეკრული, სკამიდან მოწყდა და სისხლით მოირწყა იქაურობა. არაფრის ხმა არ ისმის. თვითმფრინავის ფრთები საშინლად ვიბრირებს. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს თვით-



იყო. გამოვნახეთ მეორე გზა, რაც 600 დოლარი ჯდებოდა, – არაბების გაუგებარი ავია-კომპანია; სტამბულში როგორმე ჩვენით უნდა ჩაგვედნია, მერე იწყებოდა: სტამბული-აბუ-დაბი-ბაჰრეინი-დარესალამი-ნაირობი. ახლა ვკვება პირველ ასოციაციას, რომელიც მოგზაურობებს უკავშირდება; ანუ, უკანა გზას კენიიდან: თვითმფრინავი ფრთაგამობმულ სამარშრუტო ტაქსს ჰგავდა, ნაირობის აეროპორტი – ჩვენეული ბავშვობის, 70-იანი წლების ავტოსადგურს. ჩავსხედით. ერთ მხარეს მეგობარი ლევან გოშაძე ზის, მეორე მხარეს – უცხო ადამიანი, უკან – ირაკლი შევგულიძე, ესეც ჩემი მეგობარი. მოკლედ, თვითმფრინავი დაიძრა, დადგა ასაფრენ ბილიკზე,

მფრინავს ეშინია და კანკალებს. ვხედავ ჩემი მეგობრების გაგიუბულ სახეებს. მფრინავი აცხადებს, რომ გაურკვეველი მოტივით ჩამოვარდით, სტიუარდესები აქეთ-იქით დარბიან, ყველა ცოცხალია. რაღაცას ჩაგვაძეს, თვითმფრინავი უკან მოაბრუნეს. ორი საათის მანძილზე, ენითაუნერელი შოკი გვქონდა. ოდნავ ზემოთ რომ ვყოფილიყავით....

რა ვქნათ?! ვართ ნაირობიში. აქედან ხომ უნდა წამოვიდეთ? ვდგავართ აეროპორტში, მინის მიღმა ვხედავთ, როგორ ათვალიერებენ თვითმფრინავს. გვეუბნებიან, რომ ახლა მექანიკოსები მოვლენ და შეაკეთებენ. ჩვენ ისეთ შოკში ვართ,

ვერ ვაზროვნებთ და, შესაბამისად, არ ვფიქრობთ, რომ იმავე თვითმფრინავით უნდა დაებრუნდეთ უკან. გამოჩენენ მექანიკოსები, შეავანიანები, რომლებსაც სახეზე აწერიათ – არაფერი ვიცით! მექანიკოსები, რომლებსაც ნამდვილად დედაჩემი, გიული ასწავლიდა “გეპეიში”! გეპეიდამთავრებული ავიატორები იყვნენ აშკარად! ჩვენ გიულის სტუდენტები ვართ! ვიღაცას ვეცი და ვუთხარი, ამათ რა უნდა გააკეთონ? ჩვენ ამ თვითმფრინავში არ უნდა ჩავსხდეთ!

მოკლედ, არავინ გვისმინა, ბაკი ნახევრამდე დაცალეს, ააფრინეს, ჰაერში წრე მოხაზა და დაჯდა. დაგვიძახეს, ყველაფერი წესრიგშიაო. ისტერიკა გვაქვს, არ გვინდა, მაგრამ მაინც შევედით. თან, დარწმუნებულები ვართ, სტატისტიკის მიხედვით, ერთსა და იმავე ადგილას ელვა ორჯერ არ ხდება. მეორედ ხომ არ ჩამოვარდება! ერთი სიტყვით, დაიძრა, იგივე ოპერაცია ჩაატარა, რასაც ყველა თვითმფრინავი გადის, აფრინდა და ისევ იგივე, თვითმფრინავი მეორედ ჩამოვარდა. ლევან გოშაძე და ირაკლი შავგულიძე, ანუ ორი მოწმე რომ არ მყავდეს, მე თვითონ მეგონება, რომ ვიგონებ. და როცა გვითხრეს, გადმოდით, კიდევ გავაკეთებთ, უკვე გადავირიე, – შანსი არ არის! ერთადერთი რეისი, „ინდიან ეარვეისი“ იმ ღამეს ლონდონში მიფრინავდა. ქრთამი გავიღეთ და ლონდონში ჩავედით.

**„თვითმფრინავი დაიძრა, დადგა
ასაფრენ ბილიკზე, აიღო სისწრაფი,
აფრიდა, აიჭრა ზევით და
მოულოდნელად მინას დაასკდა,
ჩამოვარდა“.**

24 საათიანი ვიზა მომცეს, მაგრამ თბილისში სამ დღეში ბრუნდებოდა. ამიტომ სავიზო რეჟიმი მაინც დავარღვიე. ამით დამთავრდა ჩემი კენიის ერთი სეტი.

ჩემი მოგზაურობების 90% სხვადასხვაგვარ კატასტროფას უკავშირდება. მეგობრები მეუბნებიან, შენთან ერთად თვითმფრინავში ჩაჯდომა არ ღირსო. კოსტა რიკაში საშინელ შტორმში მოვყევით, კინალამ ჩამოვარდა თვითმფრინავი; ამერიკაში მივურინავდით და არამარტო უილეტები ჩაგვაცვეს, ჟანგბადის პირბადეებიც ჩამოცვივდა; ბერლინიდან მოვფრინავდით და სამი მოტორი გამოირთო. ერთი მოტორით დავეშვით... რას იზამ, ვერსად გაიცევი. ამას თუ გააცნობიერებ, მარტივი ხდება ყველაფერი. ის კი არა, როცა სიკვდილის პირისპირ ხარ, პირიქით, უნდა დაწყნარდე და მიხვდება, რომ არ მოკვდები. უიმედო მდგომარეობა როცაა, არაფერი მოხდება.

როგორც კი რაიმე ადგილს ვტოვებ, იქ აუცილებლად რაღაც კატასტროფა უნდა დატრიალდეს: სამხრეთ აფრიკიდან რომ დავბრუნდი, არნახული ხანძარი გაჩნდა; კოსტა რიკაში, სადაც ვიყავი, იქ მაღე ვულკანმა ამოხეთქა; კენიაშიც

რაღაც კატაკლიზმები დატრიალდა; კუბიდან წამოვედი და ქარიშხალი ზუსტად იმ კუნძულს დაატყდა თავს – მიწასთან გაასწორა; 2001 წელს თბილისში ამერიკიდან 10 სექტემბერს დავბრუნდი და ა.შ. ჩემები სულ მეხვეწებიან, მოსკოვში წავიდე.

ყველაფერი ეს ველურ ბუნებასთან მისასვლელად მიღირს. ეს ჩემი მოგზაურობის ნაწილია. მაღიზიანებს, როცა მეუბნებიან, მშურს შენი, ან რა ბედნიერი ხარ, რომ მოგზაურობ. ვლიზიანდები იმიტომ, რომ მათ არასოდეს მოუნდომებიათ, ჩემს ადგილას ყოფილიყვნენ. თავიანთი ცხოვრება სხვანაირად დაგეგმეს. მე კი თვალის ახელიდანვე ვიცოდი, რომ



გამუდმებით ცხოველებთან, ველურ ცხოველებთან ვიქნებოდი, დედამიწის სხვადასხვა წერტილში. ამ თვალსაზრისით, კოსმოპოლიტი ვარ, რადგან ჩემთვის სულერთია, ცხოველი სად უნდა შევისწავლოთ ან დავიცვათ, საქართველოში თუ აფრიკაში. ის სამყაროს ეკუთვნის. თუ ამას გააცნობიერებ, უკვე შენს ხელშია სამყარო, რომელსაც საკუთარ იდეებსა და სურვილებს უქვემდებარებ. პრაქტიკულად, წინაღობა არ არსებობს. ამიტომ სულაც არ არის ისე, როგორც სხვებს ჰყონიათ: მოგზაურობ, ამას ბევრი ფული უნდა... უბრალოდ, მირჩევნია მოზამბიკში წავიდე და მერე ერთი წელი ვიშიმშილო.

34 წლის ვარ. აქედან, 30 წელია, საქართველოში ლეოპარდს ვეძებ. ბავშვობიდან ვეძებ, რადგან მახსოვს, ვიღაცამ მითხრა, „ვეფხისა და მოყმის“ ლექსში არის არა ვეფხვი, არამედ ლეოპარდი იმიტომ, რომ საქართველოში ოდესლაც იყო ლეოპარდიო. ეს ჩამრჩა: რადგან იყო, ესე იგი, არის კიდეც. ვეძებე და მეგობრებთან ერთად ვიპოვე. აღმოჩენის მერე, ჩემთვის ახალი კარი გაიხსნა, ახალი ეტაპი დაიწყო. ბავშვობა დამთავრდა მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის ვიყავი. ბლოკს აქვს დაახლოებით ასეთი ფრაზა, რომელიც მერე კო-ელიოზ და ვიღაცებმა „გაადიშოვეს“: „თუ რაღაც გინდა, აუცილებლად ახდება“. თუ არ ასრულდა, დიდი სურვილი არ გქონია, და თუ სხვა რამე აგისრულდა, გაცრუება მხოლოდ



მოჩვენებითია, რადგან ასრულდა სწორედ ის, რაც გინდოდა. რაიმეს ჩაფიქრებისას, ფრთხილადაც უნდა იყო, რადგან ახდენის პერსპექტივა აქვს.

ამიტომ, გამაზულ რამებზე აღარ მწყდება გული. ვიცი, რომ კოსტა რიკაში ისევ მოვხვდები, ზუსტად იმ ლიმონის პროვინციაში, და ზუსტად იმ ინდიელებთან ერთად მოვწევ მოსაწევს, რომელიც კაქტუსის ქერქისგან არის დამზადებული.

HOW LOUD WAS BIG BANG?

არაფერს ვგეგმავ. უბრალოდ, ეს ქვეცნობიერად არის ხოლმე დაგეგმილი. ბავშვობიდანვე, არჩეულ საქმეს ჩემთვის ხიბლი არასოდეს დაუკარგავს. რა თქმა უნდა, რუტინა პერიოდულად ჩნდება, როცა პროექტს წერ, ზიხარ ოფისში, თუმცა აქედანაც სიამოვნებას იღებ, რადგან ბიუროკრატიაში ებტები იმისთვის, რომ ამან ველურ ბუნებაში გაგიყვანოს.

მეუბნებიან, მოგზაურობ და ცხოველებს ნახულობ. ეს ხომ ზედაპირული და აისტერგული მომენტია. სინამდვილეში, მე ვიკვლევ. როცა მეკითხებიან, რა არის ჩემი საქმე, ერთი პასუხი მაქვს. როგორ არის მოწყობილი სიცოცხლე? მთელი ბიოლოგია ამას სწავლობს. ადამიანი ამის ერთი ნაწილია.

სანამ მოგზაურობას დავიწყებდი და კოსტა რიკას ვნახავდი, ბავშვობიდან, ეზოში ჭიანჭველების ბუდეებთან საათობით შემეძლო ვმდგარიყავი და მეყურებინა. ყველგან სიცოცხლეა. ამის გასაგებად აფრიკა არ არის საჭირო. თუ ამას აცნობიერებ, ყველგან სიცოცხლეს დაინახავ. უბრალოდ, მერე იმასაც ხვდები, რომ ჭიანჭველების პარალელურად, არსებობს ეგზოტიკა და ეს ძალიან საინტერესოა. ამას გარეთ გაყავხარ.

**„დარწმუნებული ვარ, ან ნინა
სხოვდებაში ვიყავი ლეოპარდი, ან
შემდეგი ვიქენი, რაღაც მთელი
ჩაი შინაარსით ეს ცხოველი ვარ.“**

შეიძლება სხვა ბავშვების კითხვაც იყო, მაგრამ მე ძალიან მაინტერესებდა “დიდი აფეთქება”, ანუ ვერსია, როცა სამყაროში თითქოს ყველაფერი ერთი დიდი აფეთქების შედეგად წარმოიქმნა. ეს რომ გავიგე, მესამე კლასში ვიყავი. მას მერე კითხვა არ მასვენებდა, რამდენად ხმამაღლალი იყო ეს აფეთქება. მერე, რამდენადაც პასუხი არ არსებობდა, ვიფიქრე, კრეტიული კითხვაა-მეთქი, მაგრამ გულში სულ ვფიქრობდი. დიდი ხნის შემდეგ, “დისქავერიზე” რაღაც რეკლამები წავიდა და ამონათდა ტიტრები: ბავშვების კითხვები: How loud was big bang? გავიგიდი, მივხვდი, რომ მარტო არ ვარ ამ სამყაროში.

ბავშვობიდან მჩვევია, როცა სამყარო მელაპარაკება და კონტექსტუალურად რაღაცას მეუბნება. კრიტიკულ სიტუაციებში ეს მეხმარება, მეუბნება და მინიშნებებს მაძლევს, მისი ნაწილი ხარ და მარტო არ გტოვებს. მე ათეისტი ვარ, და მგონია, რომ შენი შინაგანი ინტუიციით რაღაცების განსაზღვრა შეგიძლია. კოორდინაცია შენს ხელთაა, – გააჩნია, რა გინდა. თუ 60 მილიონი ადამიანის ამოწყვეტა გსურს, მიაღწევ, კი ბატონო. მიუღწევიათ კიდეც. ვიღაც ამერიკელს

კოსმოსში გაფრენა უნდოდა. სულაც არ ყოფილა კოსმონავტი. გადაიხადა 20 მილიონი და გაფრინდა. რეალურად ხომ შესაძლებელი ყოფილა. ის მილიონერი გახდა იმიტომ, რომ გაფრენილიყო.

ფილმ კასტრო: მუგაბი

ადრე მხოლოდ ცხოველებით განისაზღვრებოდა რაღაცევბი. ახლა სხვა კულტურებთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების ძალიან დიდი ნაწილია.

პარალელს გამუდმებით ვავლებ ჩვენსა და სხვა კულტუ-

დაწყების საშიშროებაა. მუგაბე სულ დომინირებს. მუგაბე BBC-ზე სულ ხაზზე. „ფსიქოშიც“ მომიწია მასზე ლაპარაკი, რადგან აღმოჩნდა, რომ ბერტოლუჩის „ალყაში“ რომ გოგონა თამაშობს, მუგაბეს მიერ გამოძევებული ოჯახიდან არის. ჩემი მეგობარი ქეთი ჩაჩიბაია მარქსისტია, მაგრამ მოხდა ისე, რომ კუბაში ფიდელ კასტროსთან აღმოვჩნდი მე, ვისაც ბავშვობიდან მარქსის მიმართ ანტაგონიზმი მახასიათებს. ეს იყო სამყაროში გაუდაბნოების წინააღმდეგ მიღვნილი კონფერენცია. სამყაროში უდაბნოების რიცხვი იზრდება... ეს კატასტროფული ტემპით მიდის. სხვათა შორის, საქართველოშიც ასეა. ეს პროგრამა მაინტერესებს, რადგან უდაბნოებში და ნახევრადუდაბნოებში ცხოვრობს აფთარი. აფთარისთვის



რებს შორის, როგორები არიან, რა არის მათი პრიორიტეტები და სხვა. მაგრამ სხვა დანარჩენთან მაინც ველურ ბუნებას მივყავარ.

მუგაბე, ზიმბაბვეს პრეზიდენტი, ჩემი „ჩერეზ მეგობარია“. ირაკლი შავგულიძე და ზურა გურიელიძე მასთან ჩაიზე დაპატიჟეს. საინტერესო ის კი არ არის, რომ აფრიკის რომელიდაც ქვეყნის პრეზიდენტს ხვდები; საინტერესოა ის, რომ მუგაბე დიქტატორია, რომელიც ყველაზე ხანგრძლივად მართავდა თავის ქვეყანას, და რომელმაც ზურასა და ირაკლის ძმაკაცური ვიზიტის შემდეგ, ერთ წელიწადში თეთრკანიანები გამოყარა. დღემდე ბრიტანეთსა და მათ შორის ომის

ეს ადგილი საცხოვრებლად კარგია, ადამიანისთვის – ცუდი. საინტერესოა: ველური ცხოველი ადამიანის ადგილს იყავებს, ადამიანი კი, ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, გამოდის იქიდან. მოკლედ, უცნაური ის იყო, რომ კონფერენცია იმ ქვეყანაში უნდა ჩატარებულიყო, სადაც ამ მხრივ, ყველაზე მძიმე ვითარებაა. ველოდებით, რომ ეს იქნებოდა საპარის რომელიმე ქვეყანა, ან აზიის ის ნაწილი, სადაც გაუდაბნება ხშირია. მოულოდნელად ასეთი ქვეყანა აღმოჩნდა კუბა. პარადოქსი ის იყო, რომ კუბა ტრიპიკულია, მას ამ პრობლემასთან კავშირი არ აქვს, მაგრამ თავად გამოთქვა სურვილი. მოკლედ, ბუნუელის სცენარი ვითარდებოდა: გაუდაბნება,

კუბა, და კასტროს ნახვის შესაძლებლობა... მისი სიკვდილის შემდეგ ხომ სოციალიზმი მთავრდება, თუ არ ჩავთვლით ჩრდილოეთ კორეას. კონფერენციის შემდეგ, მოსაწევად გარეთ გამოვედით. მოულოდნელად კარი გაიღო და კასტრო, დაცვასთან ერთად, ჩვენსკენ გამოემართა, მოგვიახლოვდა, ხელი ჩამოგვართვა. ინგლისურად არ მინდოდა მიმემართა, რადგან გამოსვლაში ამერიკა აგინა, ამიტომ ქართულად ჩავილაპარაკე: გამარჯობა. ქეთი ჩაჩიბაია აქ, ჩემს ადგილას უნდა ყოფილიყო.

მუგაბე, კასტრო, სხვადასხვა ტომის ბელადები – მოგზაურობის შემადგენელი ნაწილია. ორი ტოტემი მყავს: დარწმუ-

ეპსაელის ჩამოლა

ჩემოდანის ჩალაგება ასე იწყება: იმოდიუმი; კოლოების წამალი; „მარგანცოვკა“; პრეზერვატივები. ადრე სავარცხელი დამქონდა. ახლა, როგორც ხედავ, ამის აუცილებლობა არ არსებობს.

ექსპედიციის წევრებს რაც შეეხება, ისეთ ადამიანებთან ერთად დავდივარ, ვისაც – აი, უხეში მაგალითი რომ ვთქვა, – ფულს რომ ვასესხებ, არ დამიბრუნებს და ამით ჩემთან ურთიერთობაში პრიბლება არ შეექმნება. მე რომ არ შემეცვლება მის მიმართ დამოკიდებულება, ეს ვიცი. მერე თავად არ



ნებული ვარ, ან ნინა ცხოვრებაში ვიყავი ლეოპარდი, ან შემდეგში ვიქნები, რადგან მთელი ჩემი შინაარსით ეს ცხოველი ვარ.

ცხოველი, რომელიც მაგრა მევასება და ჩემი შესწავლის საგანია – ეს არის აფთარი. ყველა ადამიანი, ვინც ჩემს ცხოვრებაში შემოდის, ან ერთ ჯგუფს განეკუთვნება, ან მეორეს. ყოველთვის.

მოერიდება ურთიერთობა და ისეთივე ახლობლური ლექსიკონით გააგრძელებს ჩემთან კონტაქტს. თუ ურთიერთობის ეს დონე გაქვს, მასთან ერთად ჯუნგლებში წასვლა შეიძლება; მასთან ერთად თვითმფრინავი არ ჩამოგარდება და თუ ჩამოგარდა, არაფერი მოხდება. ადამიანები ქალაქში სხვანაირები არიან. გავდივრთ თუ არა, იცვლებინ. მაგალითად, დედაჩემის მეგობარი, მარინა. თბილისში მასთან ურთიერთობა არც ისე იოლია, მაგრამ დასასვენებლად იდეალურია. ფაქტობრივად, მასზე უკეთესი არ არსებობს. არის მეგობრების ნაწილი, რომელთან ერთადაც არსად არ წავალ, რადგან შეიძლება, უბრალოდ, დავკარგო ისინი. მთელი ჩემი ორგანიზაცია და

ჯგუფი მიმართულია მხოლოდ ურთიერთობაზე. შეიძლება პროფესიონალი იყოს, მაგრამ ვერ ასრულებდეს იმ მთავარ მოთხოვნებს, რასაც ექსპედიციაში ყოფნისას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ვისთან ერთადაც ხარ, რომ დაგჭირდეს, მხრებზე უნდა შეგისვას და ევერესტზე აგიყვანოს. „ექსტრემალური სიტუაცია“ თბილი-სიდან გასვლისას იწყება. იქ სხვა სამყარო იძლება და შენც იცვლები. შესაბამისად, აუცილებელია ადექვატური ადამიანი. ეს მოგზაურობების შემადგენელი ნაწილია. 5-6 კაცს, საქართველოს გარდა, ვერსად აგროვებენ, ანუ ასეთი იდეალური ჯგუფი სხვაგან ვერ იქნიბა და სულ უკვირთ, ამდენი ერთად როგორ დადიხართო?!

სამხრეთ აფრიკაში რომ ჩავედით, მაგალითად, იოპანეს-ბურგში, არის უბრნები, სადაც არმია მობილიზებულია, რადგან პოლიცია ვერ აკონტროლებს სიტუაციას. იქ გარეთ გასვლა არ შეიძლება, ათი ცენტის გამოც ისევე შეიძლება მოგყლან, როგორც ათი დოლარისთვის. ისინი ცხოველებით იქცევიან. ევროპელი მძარცველი გედავება, გელაბარაკება, ის კი ფიქრობს, რომ ამისთვის დროის დახარვება არ ღირს. მოგკლვს და მერქ ამოგაცლის ფულს. როცა ასე განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყანაში ჩადიხარ, მზად უნდა იყო. კეიპტაუნში არ იცი, როგორ უნდა მოიქ-

**„ჩემოდანის ჩალაგება ასე იწყება:
იმოღია; კოლობის თამალი;
“მარბანცოვკა”; პრეზერვატივები.
აღრე სავარსხელი დამარცა. ახლა,
როგორს ხელავ, ამის აუცილებლობა
არ არსებობს“.**

ცე. ეს რთულია. მარტო საშიშროებებს არ ვგულისხმობ. აი, თუნდაც, როცა ოჯახში დაგპატიუებენ, ევროპას მეტნაკლებად ვიცნობთ, თუმცა ბევრი დანა-ჩანგლის დანახვისას, მაინც ვიძაბებით. ლათინურ ამერიკაში გეუბნებიან, რომ ყავაზე გპატიუებენ და ალმოჩნდება, რომ ყავა მოული ის გარემოა, სადაც მიგიწვიეს. ამიტომ ყოველთვის ჯობია, ნინასწარ არაფერი განსაზღვრო. პირველ რიგში, უნდა გათავისუფლდე დაძაბულობისგან და დასვა კითხვები: ამით უნდა ვჭამო? რომ მქურდავ, ფული ეგრევე უნდა მოგცე?

ნიუ იორკში ცას იმიტომ ვერ ხედავ, რომ ისეთივე თავის მოძრაობით ეძებ ცას, როგორც თბილისში. არადა, როგორც კი ოდნავ შეცვლი მოძრაობას, აუცილებლად დაინახავ, რადგან ეს ცა ყველგანაა. ამიტომ, სადაც ჩადიხარ, კლიშებისგან უნდა გათავისუფლდე.

NATION THAT NEVER LIES

იორდანის ხსენებისას პირველი ასოციაცია – ერთადერთი ქვეყანა, სადაც არ იტყუებიან. ვისაც არ ვკითხე, ყველამ

დამიდასტურა. შოკი მივიღები არ ტყუიან; ხალხი არ ტყუის. ეს რომ გავაცნობიერე, მივხვდი, რომ ექსტრაორდინარული შემთხვევაა: მძღოლს ტურისტი უმოკლესი გზით არცერთ ქვეყანაში არ დაჰყავს...

...This is a nation that never lies, – მომწერა ამერიკელმა მეგობარმა. იორდანია არაბული კულტურის აბსოლუტური ანტიპოდია. არადა, არაბეთში ხომ ვაჭრობა და ტყუილი ბატონობს. იორდანელები ამას იმით ხსნიან, რომ კლასიკური არაბები კი არა, ბედუინები არიან და თავს არაარაბულ ნარმოშობას აკუთვნებენ. მათ შიდა კულტურული ტრადიციები აქვთ.

არადა, გადახვალ ემირატებში და ტაქსის მძღოლით დაწყე-



ბული, ყველა გატყუებს, ყველგან... თურქეთი ხომ საერთოდ, საქართველოზე რომ ალარაფერი ვთქვათ. ეს ხომ ერთი დიდი ტყუილია.

ამ ქვეყანასთანაც აფთარმა დამაკავშირა. ხუთ ქვეყანაში გავაგზავნე ხუთი პუნქტი და პასუხს ველოდი. ყველამ მოიწერა, რომ მათი მხრიდან ხუთივე დაძლევადა. მხოლოდ იორდანია იყო, რომელიც პირნათლად იუწყებოდა: ორი პუნქტი უეჭველია, მესამეში ეს პრობლემაა, მეოთხეზე ალარც დავფიქრებულვარ. მცირე დაფინანსების მიუხედავად, იმწუთასვე გადავწყიტე, იქ წავსულიყავი. ჩემი მოტყუება არ უცდიათ და, შესაბამისად, მთელი პროექტის ფულიც მათთან

დავხარჯე. ეს არის ქვეყანა, სადაც სტერეოტიპები არ გენ-გრევა.

მსგავსი დაცულობის გრძნობა მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებში გაქვს. ალბათ ქურდობაც არის, რადგან გისოსებიანი სახლებიც შემხვდა, მაგრამ ქვეყანა, სადაც არ გატყუებენ – ეს ხომ სასწაულია!... რომ ჩამოვედი, ვთქვი, რაც არაბებმა ჩვენს ქვეყანას დაუშავეს, ყველაფერს ვპატიობ-მეთქი.

ვეღს ორ წელიწადში თავისთავად ძვრება. ეს აპარატი პერიოდულად სიგნალს გამოსცემს, რომელსაც ანტენა იქტერს. თითოეულ სიგნალს თავისი ნიშანი აქვს. ყველას ადამიანის სახელი აქვს და აკვირდები მათ ოჯახებს, ქცევას. მთელი დღის განმავლობაში აკონტროლებ და იცი, რომელი დათვი სად არის. მერე ეს დაგაქვს რუკაზე. ორი საათის წინ აქ იყო, ეს გააკეთა. ორი თვის შემდეგ, მათ ტრაექტორიას აკვირდები. თავიდან ეს ყველაფერი რუტინულია და ძალიან ჰგავს ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიას, დასაწყისს, რუტინულობიდან, ხაზები რომ ნერვებს გიშლის. ეს არის პირველი ნაწილი. ერთი თვის თავზე, ისევე როგორც მე-9 სიმფონიაში, უკვე ხედავ, რომ საიდანლაც რაღაც მუხტი მოდის, რომელსაც



დათვები: ...ბეთჰოვენის მესხრე სიმფონია

ვაშლოვანში ჩვენი ერთ-ერთი პროექტი მიზნად ისახავს დათვების შესწავლას. არავინ იცის, რამდენი დათვია საქართველოში; საშიში ცხოველია, გლეხებს საფრთხეს უქმნის, ან გადაშენების პირას არის თუ არა. ამის შესწავლა თანამედროვე ტექნოლოგიით დავიწყეთ. დავაგეთ სპეციალური ხაფანგები, სადაც ცხოველი გაეხმებოდა. ეს ხაფანგი არაფერს უშავებს მას. მთელს მსოფლიოში ასეთი პრაქტიკაა მიღებული, სპეციალური დასაძინებელი ტყვიერით სარგებლობა, მიღითავს და დათვს ყელზე აპარატს, რომელიც ცხო-

ყველაფერი ჰარმონიაში მოყავს და ხვდები, რომ ყველაფერი ლოგიკურია. ამ სურათს კარდიოგრამასავით კითხულობა: ამ დათვს ახლა აქ ეძინა, წამოდგა, შეხვდა მამალს, გაექცა, ეს გაეკიდა, დაიჭირა, სასიყვარულო თამაში იყო, აქ მოხდა კოპულაცია, ორი საათით სადღაც გაქრნენ. ესე იგი, ჰქონდათ სექს, რომანტიკა. უეცრად, ბრაკონიერი შემოდის და ბელს კლავს. შენ უკვე იცი, რომ ამ ბილიკით ერთი მდედრი დათვი დადის, თავის ბელთან ერთად. ამ ბილიკზე რომ ბრაკონიერი გამოჩნდა, ესე იგი, შეამჩნია, რომ ეს ბილიკი საუკუნების მანძილზე არსებობს. ამიტომაც, მთავრობას უნდა შეატყობინო, რომ ეს ნაკრძალი უნდა გადმოიწიოს ისე რომ ეს ბილიკი

მოხვდეს. უკვე იცი, რომ იმ ტყეში ცხოვრობს ტახი, რომელ-საც ჭამს დათვი და ეს ტყე არ უნდა გაიჩეხოს,... რადგან ეს მათი ცხოვრებაა, იქ სიცოცხლეა, ბელები თამაშობენ... ბრძოლა – ეს უკვე ჩემი სამსახურის მეორე ნაწილია.

ვლდება და აქ ნაკლებმნიშვნელოვანია შვილების ყოლის სურვილი. გადმოცემით იცი, რომ ასე უნდა იყოს. შვილებზე ფიქრი სოციალური მხარეა, რომელიც ორგაზმს ეფუძნება. დედობის სურვილი ცნობიერია. მამაკაცის თუ ქალის მიმართ ლტოლვა – ეს არის ლტოლვა სწორედ იმ ჯილდოსთვის, რომელიც ყველას აქვს, ყველა ცოცხალ არსებას.

ბიომრავალფიროვანი ორგაზმი

ამ ეტაპზე სიცოცხლის შემადგენელ ნაწილს, ორგაზმს ვიყვლევ. ზოლებიანი აფთარის სოციალური ქცევა – ერთი საკითხია. ვცდილობ გავარკვიო, საბოლოო ჯამში, რამდენი მათგანი დარჩა საქართველოში... ორგაზმის კვლევა აფთარს



არ უკავშირდება. ეს, ზოგადად, ორგაზმის ბიოფსიქოლოგიაა. როცა ერთ კონკრეტულ რამეზე ვმუშაობთ, სურვილისამებრ, პარარელურად სხვა თემები გვაქვს. ორგაზმის კვლევის შემთხვევაშიც სწორედ ასეა. ჯერ არაფრის თქმა არ მინდა, რადგან ძალიან უცნაურ რაღაცებს მივაკვლიეთ. ყველას განვიცდია, მაგრამ ჩვენ მანც არ ვიცით, რატომ ჩქარდება გული, რატომ გვიპნელდება თვალებში, რა ემართება კუნთებს, რატომ ეცემა წნევა. ეს ყველაფერი ფიზიოლოგიური მხარეა. ამას ფსიქოლოგიური განცდები და, ზოგადად, კაცობრიობის ისტორიაში მისი მნიშვნელობა ემატება.

ეს არის უდიდესი სტიმული, რის გამოც კაცობრიობა მრა-

ბიოლოგიაში პროგნოზი არ კეთდება. ანუ ასპროცენტიანი პროგროზირება გამორიცხულია სწორედ იმიტომ, რომ სტანდარტები არ არსებობს. ამიტომ ბიოლოგია ახალ-ახალი აღმოჩენებიდან გამომდინარე ვითარდება. ამა თუ იმ ტიპის გულის შეტევა ამა თუ იმ გზით იკურნება. ეს ხომ დადგენილია? მაგრამ ყველა ერთნაირად მაინც არ იკურნება. 100-იდან 20 პროცენტი ხომ სხავანაირად ხდება?! თავნება პროცესია და ეს არის მისი სიბლი. ის 20%, რომელიც თავნებაა და არავითარ კანონს არ ემორჩილება, არის სიცოცხლე.


/ კინო - რუკაზე / ფილმი პაპამაიკლი

ავტორი: თამარ ბაბუაძე ფოტო: ლევან ხერხეულიძე



Phedon Papamichael. ASC
DIRECTOR OF PHOTOGRAPHY

ფილმობარათის



WALK THE LINE

რეჟ: ჯეიმს მენგოლდი
როლებში: ხოაკინ ფენიქსი, რიზ უითერსფუნი

2005 წ.

THE WEATHER MAN

რეჟ: გორ ვერბინსკი
როლებში: სერ მაიქლ ქეინი, ნიქოლას ქეიჯი, ჰოუელ დევისი

2005 წ.

SIDEWAYS

რეჟ: ალექსანდერ პეინი
როლებში: პოლ ჯამათი, თომას პაიფენ ჩერჩი, ვირჯინია მედსენი

2004 წ.

ორი „ოქროს გლობუსი“ - საუკეთესო ფილმი; საუკეთესო სცენარი.
„ოსკარი“ - საუკეთესო ადაპტირებული სცენარისთვის.

SHATTERED GLASS*

რეჟ: ბილი რეი
როლებში: ჰეიდენ ქრისთენსენი, პიტერ საარსგარდი, ქლო სევინი

2003 წ.

MATHILDE

რეჟ: ნინა მიმიჩა
როლებში: ჯერემი აირონსი, ნუცა კუხიანიძე

2005 წ.

IDENTITY

რეჟ: ჯეიმს მენგოლდი
როლებში: ჯონ ქიუზექი, ამანდა ფითი, რეი ლოიოტა

2003 წ.

TEN MINUTES OLDER

რეჟ: ვიმ ვენდერსი
როლი: ამბერ თამბლინი

2001 წ.

MOONLIGHT MILE

რეჟ: ბრედ სილბერლინგი
როლებში: დასტინ ჰოფმანი, სიუზენ სარანდონი, ჯეიჭ
გილენჰალი, პოლი პანტერი
(ბერლინალე, 2003 წ.)

AMERICA's SWEETHEARTS

რეჟ: ჯო როთი
როლებში: ჯულია რობერტსი, ქეთრინ ზეტა-ჯონსი, ბილი ქრისთალი, ჯონ ქიუზექი

2001 წ.

27 MISSING KISSES**

რეჟ: ნანა ჯორჯაძე
როლებში: პიერ რიშარი, ნუცა კუხიანიძე
(პრემიერა კანის კინო ფესტივალზე, სექციაში: Directors Fortnight, 2000 წ. გრანპრი 2000 წ. ნიუ იორკი/ავინიონის კინოფესტივალზე, მაყურებლის ჯილდო მონპელიეს კინოფესტივალზე, „კოდაკის“ Vision Award, როგორც საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი)

The MILLION DOLLAR HOTEL***

რეჟ: ვიმ ვენდერსი
როლებში: მელ გიბსონი, ჯერემი აირონსი, მილა იოვოვიჩი
(2000 წ. ბერლინალეს გამხსნელი ფილმი. უიურის პრიზი,
ვერცხლის დათვი, ოქროს კამერა)

PATCH ADAMS

რეჟ: ტომ შედიაქი
როლებში: რობინ უილიამსი, ფილიპ ჰოფმანი, მონიკა ბოტერი, პიტერ კოიოტი

1998 წ.

MOUSE HUNT

რეჟ: გორ ვერბინსკი
როლებში: ნათან ლეინი, ლი ევანსი, ქრისთოფერ უოქენი
1997 წ.

THE LOCUSTS

რეჟ: ჯი.ფერ. ქელი
როლებში: ვინს ვონი, ქეით ქეფშოუ, ჯერემი დეივისი, ემლი ჯადი
1997 წ.

UNHOOK THE STARS

რეჟ: ნიკ კასავეტესი
როლებში: ჯინა როულენდსი, მარისა ტომეი, შერარ დეპარდი
1996 წ.

PHENOMENON

რეჟ: ჯონ ტარტლაუბი
როლებში: ჯონ ტრავოლტა, რობერტ დიუვალი
1996 წ.

UNSTRUNG HEROES

რეჟ: დაიან კიტონი
როლებში: ჯონ თურთურო, ენდი მაქდაუელი, სანდრა ბულოქი, ბილ ფულმანი
1995 წ.

WHITE DWARF

რეჟ: პიტერ მარქლი (TV)
პროდიუსერი: ფრენსის ფორდ კოპოლა
როლებში: პოლ უინფილდი
1995 წ.

COOL RUNNINGS

რეჟ: ჯონ თართლაუბი
როლებში: ჯონ ქენდი, მელიქ იობა
1993 წ.

WILD PALMS*****

რეჟ: პიტერ ჰიუიტი (TV)
პროდიუსერი: ოლივერ სთოუნი
როლებში: დანა დელანი, ჯიმ ბელუში
1993 წ.

POISON IVY

რეჟ: ქეთ ში რუბენი
როლებში: დრიუ ბერიმორი, ტომ სკერიტი
1992 წ.

NOWHERE TO RUN

რეჟ: კარლ ფრანკლინი
როლებში: ჯეისონ პრისტლი, დევიდ კარადინი
1989 წ.

STREETS

რეჟ: ქეთ ში რუბენი
როლებში: ქრისთინა ეფლგეითი, დევიდ მენდენალი
1990 წ.

SPUD*****

რეჟ: ჯონ უენთუორთი
1988 წ.

* Independent Spirit Award: ნომინაცია „საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი“, 2003 წ.

**ჯილდო „საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი“ - ნიუ იორკი/ავინიონის კინოფესტივალი, 2000 წ.

CAMERIMAGE (ლოძი, პოლონეთი): ნომინაცია „საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი“ - ოქროს ბაყაყი, 2000 წ.



***CAMERIMAGE (ლოძი, პოლონეთი): ნომინაცია „საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი“ - ოქროს ბაყაყი, 2000 წ.

****A.S.C. AWARD NOMINATION FOR OUTSTANDING CINEMATOGRAPHY, 1995 წ.

***** A.S.C. AWARD NOMINATION FOR OUTSTANDING CINEMATOGRAPHY, 1993 წ.

*****ჯილდო: საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი - კორკის კინოფესტივალი/ირლანდია, 1990 წ.

დაიბადა 3 მილიონ 144 ათასიან ათენში.

გაიზარდა მილიონ 402 ათასიან მიუნხენში.

თვალი ახლებურად აქხილა 8 მილიონ 10 ათასიან ნიუ იორკში.

დასახლდა 9 მილიონ 140 ათასიან ლოს ანჯელესში.

შეუყვარდა 5 მილიონიანი საქართველო.

ნაში შუადღის საუზმისთვის ემზადებიან, ზუსტად ერთ საათში მუშაობა უნდა განახლდეს, არ გეგონოთ, დაიგვიანონ.

აპნევს თუ არა ეს მრავალფეროვნება? - პირიქით, სხვაობა დროში, მისამართებში და ენობრივ აქცენტებში მისი შთაგონების წყაროა.

ფედონ პაპამაიკლს ბიოგრაფიაში უწერია, რომ ოპერატორია. სინამდვილეში - უნივერსალია.



სხვაობა დროში, სწორებით 0 მერიდიანზე, რომელიც გრინ-ვიჩზე გადის: როცა საქართველოში შუადღეა და ჭავჭავაძის საცობში გაჩხერილი მანქანის დასიცხული საათი აჩვენებს 14:30-ს, ლოს ანჯელესში რიურაუია, თავთან დადებული მაღვიძიძარა 3:30AM-ს უჩვენებს და დაუნთაუნის შუშიანი ცათამბრჯენები პირველი მზის სხივების გამოჩენას ელიან; იმავე ნამებში, ათენში საათი 13:30-ს ჩამოჰკრავს, მესიმერის დროა და ქუჩის კუთხეში მაღაზიის მეპატრონე კარზე ტრაფარეტს ატრიალებს, დასაძინებლად მიდის და სიცხის გადასვლამდე არ გახსნის მაღაზიას; მიუნხენში კი 12:47-ია, **BMW**-ს ქარხა-

- ფედონ, იცით, როგორ მინდა, ავანყო, ამ ინტერვიუსგან, რაც გამოგვივა? წარმოვიდგენ, რომ დიიდი რუკა მაქვს გაშლილი იატაქზე. ამ რუკაზე დგახართ თქვენ, ვთქვათ, ათენის ნიშნულზე, ვიწყებთ იქედან, მერე აპიჯებთ სხვა ქალაქისკენ, მერე კიდევ სხვა კონტინენტისკენ და იხსენებთ: შთაბეჭდილებებს, ადამიანებს, მისამართებს.

- wow, კარგი იდეაა, მომწონს.

მაშინ ვიწყებთ.


ათენი

ეს არის ქალაქი, რომელსაც პირველად ციდან, უფრო სწორად, თვითმფრინავის ილუმინატორიდან კი არ დახედა, თანასწორ განზომილებასა და ჰორიზონტალურ რელიეფში გაიცნო. ამიტომ თუ ამტკიცებს, რომ მსოფლიოს ბევრი ადგილი უყვარს თანაბრად, მათგან საბერძნეთს მაინც სხვანაირად იხსენებს. თუ ლაპარაკი ნაციონალობის გრძნობაზე მიღება, ეს გრძნობა ყველაზე მეტად სწორედ საბერძნეთზე საუბრისას უღვივდება. „იქ ყველაფერმა, აბსილუტურად ყველაფერმა

და მოსწონს ზუსტად ეს, უჩარჩოობა:

„შეიძლება, შაბდონურად უდერდეს, მაგრამ ასე მგონია: **The whole world is my playground.** ენა აღარ დარჩა, რომ უაქცეულოდ არ ვილაპარაკო (ფლობს ბერძნულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებს – თ.ბ.). ამერიკაშიც მეტითხებიან ხოლმე - საიდან ხარ?

პაპამაიელი თუ პაპამიხაილი? სულერთია. სადაც ჩავდივარ, იქურად გარდავქმნი ხოლმე გვარს: საბერძნეთში - პაპამიხაილი ვარ, გერმანიაში - პაპამიხაელი, საფრანგეთში



მოახდინა ჩემზე უდიდესი გავლენა. ძალიან მძაფრად მახსოვს ბაბუაჩემი. ჩემს გვარს დღესაც ისე ვწერ, როგორც ის წერდა. ისედაც, საოცარი ქვეყანაა. რამდენი ლამაზი ადგილი მინახავს, მაგრამ სულ თავს ვიჭერ ხოლმე იმაში, რომ ამ ადგილებს მერე ყოველთვის საბერძნეთს ვადარებ".

ისევ საბერძნეთის სიყვარული, თორემ საკუთარი თავის ნაციონალური ნიშნით იდენტიფიცირება ძალიან უჭირს. ზუსტი პასუხი არც ერთ უმარტივეს კითხვაზე აქვს - სად ცხოვრობ? - საკმარისია, ჰქონდო, რომ იბნევა. გპასუხობს: – არ ვიცი, პირადი ნივთების უმეტესობა ლოს ანჯელესში მაქვს.

- პაპამიშელი, ამერიკაში - პაპამაიკლი. აი, ქართველებმა კი არ იციან, როგორ დამიძახონ, ზოგი ფიდონს მეძახის, ზოგიც ფედონის. სამი ქვეყნის პასპორტი მაქვს. ეს ძალიან მომწონს. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც პროფესია ავირჩიე, იყო ის, რომ ბევრი მოგზაურობა მინდოდა, ერთ ქალაქში, ერთ ოფისში გამოკეტვა არ მინდოდა".

თუმცა, ეს გრძნობაც განუცდია, როცა პატარა სივრცე სულს უხუთავდა. სად? გთხოვთ, ერთი ნაბიჯით განზე გავინიოთ, გერმანიისკენ მივჩიდეთ და მიუნხენზე შევჩერდეთ.

მიუნეანი

დედა გერმანელი ჰყავს. ექვსი წლის იყო, როცა ოჯახი ათენიდან მიუსხენდი გადასახლდა, სკოლა იქ დაამთავრა, ფერწერის განხრით უმაღლესი განათლებაც იქვე მიიღო. ასე-თი სისტემური სისტემა სხვაგან აღარსად უნახავს. რთული გაკვეთილები, გამძაფრებული დისციპლინა - ეს ყველაფერი გერმანიაში ასწავლეს. მაგრამ ჩახუთულობის გრძნობას სკოლაზე მეტად თვითონ მიუნხენი ინვევდა. „ვითომ დიდი და მრავალფეროვანი ქალაქია, ოლიმპიური თამაშების მასპინძელიც ყოფილა, ლიბერალებიც ჰყავს და ინტელექტუალებიც... მაგრამ მაინც ცოტათი პროვინციული ქალაქია. არ მიყვარს ჩაკეტილი საზოგადოებები, ამიტომაც, კარგად მახსოვს, ერთი სული მქონდა, ნიუ იორკში როდის წავიდოდი“.

მიუნხენს კი ორგანიზებულობის და პასუხისმგებლობის გა-მომუშავებას უმადლის: „ცხადია, მთავარია, შემოქმედი იყო, მაგრამ ძალიან ბევრია დამოკიდებული შინაგან დისციპლინაზეც. საუკეთესო კომბინაციაა, როცა შემოქმედი ტიპიც ხარ და ორგანიზებულიც. მე გამიმართლა, რადგან ვიცი ქვეყნები, სადაც შინაგანი დისციპლინა ადამიანებისთვის ძალიან

დღე-ღამის განმავლობაში გადაბმულად ვმუშაობთო. ემირს მართლაც საოცარი ენერგია აქვს, უბრალოდ, განწყობაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუ შთაგონების გარეშე დარჩა, ჩერ-დება, ვერაფერს ახერხებს. როგორც ის მუშაობს, ამერიკაში ვერასაღროს იმუშავებ. გაქვს მოცემული ვადები, რომელშიც უნდა ჩაეტოო, იმიტომ, რომ თითოეული დღე ფული ღირს, ხანდახან 150 ათასი დოლარი, ან მეტიც.

საპირისპირო მაგალითსაც გეტყვით. ახლახანს გორ ვერ-ბინსკისთან ვიმუშავე ჩიკაგოში, ფილმზე **The Weather Man** (როლებში: ნიკოლას ქეიჯი და მაიკლ ქეინი. პრემიერა - შემოდგომაზე). ახალგაზრდა რეჟისორია, ალბათ, სულ 5-6 ფილმი აქვს გაკეთებული, ახლა „კარიბის ზღვის მეექობრეების“ მეორე და მესამე ნაწილს ერთად იღებს (სხვათა შორის, პირველი კარგი ფილმი გამოვიდა იმიტომ, რომ ჯონი დეპი თამაშობდა). სწორედ ამ ფილმების გადასაღებ მოედანზე მოვინახულე ვერბინსკი და სრული საგიურო დამხვდა. განცდა ისეთი იყო, თითქოს უუყურებდი, თუ როგორ თუხთუხებდა გიგანტური მანქანა, მსახიობები და გადამდები ჯგუფი რომ არ ჩათვალო, ათასამდე ტექნიკური პერსონალი დარბოდა,



უცხოა და მერე ასეთებს ჰოლივუდის კინოინდუსტრიაში მუშაობა საშინლად უჭირთ“.

მაგალითი, რომლის გახსენებისთვისაც მიუნხენიდან ნაბიჯით უკან, ზურგისკენ შებრუნებაა საჭირო – აღმოსავლეთ ევროპაში.

ბელგრადი და მის საფირმო ნიშნად ქცეული რეჟისორი ემირ კუსტურიცა. ის ძალიან, ძალიან ნიჭიერი რეჟისორია, მაგრამ ამერიკულ სისტემას ვერაფრით მოერგო. **ARIZONA DREAM** ნამდვილ კოშმარად დაატყდა თავს. მოთხოვეს, ფილმი ათ კვირაში უნდა დაამთავროო. გაგიუდა. ვერ იმუშავა. ზენოლას ვერ გაუძლო. ისე დაიძაბა, რომ ყველაფერი მიატოვა, არავის არაფერი არ უთხრა და უკან, ბალკანეთში დაბრუნდა. სადაზღვევო კომპანიას მოაქლდა თვალში, მოიძიეს, უკვე წასული იყო და უკან დააბრუნეს. „მერე კუსტურიცას გადამდებ ჯგუფთან ერთად, მეც ვიმუშავე. მიამძეს, შეიძლება გადაღებები დავიწყოთ და კუსტურიცა მთელი სამი დღე არ გამოჩნდესო, მხოლოდ იმიტომ, რომ ხასიათზე არ არისო. მერე მოულოდნელად მოვა და მთელი

მარტო ასამდე ბუღალტერი ჰყავთ“.

BIG APPLE

აღარ ჩავძიებივარ, მაგრამ ვხვდები, საჰაერო გზა მიუნხენიდან ნიუ იორკისკენ ყველაზე სასიამოვნო იყო. ეს იყო პირველი ტრანსატლანტიკური ფრენა, რომელმაც ფედონი დახურული სივრცის ასოციაციებისგან გაათავისუფლა. ჩავიდა ნიუ იორკში, როგორც ფოტოფურნალისტი და სუნთქვა გაეხსნა. მიხვდა:

„ნიუ იორკი მაკრო-კოსმოსური ადგილივითაა. შეგიძლია აირჩიონ ნებისმიერი ცხოვრების სტილი, შეგიძლია იცხოვრონ ნებისმიერ დონეზე, შეგიძლია საერთოდ გაერიყო გარემოს, შეგიძლია ისე იცხოვრო, როგორც მექსიკო-სიტიში, ან როგორც კორეაში. ნიუ იორკი ყველაფერია“.

აი, ასეთი დიდი შთაბეჭდილებით დაიწყო **Big Apple**. თუმცა, პირველი დიდი გახსნა ბოლომდე უმტკიერულ მაინც არ ყოფილა. პირველი შეჯახება ნიუ იორკთან უფრო შოკი იყო. 21 წლის ბიჭი, მამით ბერძენი და დედით გერმანელი,



JOOP! JUMP

LEAP OUT OF YOUR SUIT

THE UNCONVENTIONAL NEW FRAGRANCE FOR MEN





ინტერესი კინოსადმი გამძაფრდა და ფედონიც ლოს ანჯელესში, ნათესავთან, რეჟისორ ჯონ კასავეტესთან გადავიდა. კასავეტესთან ნარმოების დიზაინერად მუშაობდა ფედონის მამაც, უფროსი ფედონ პაპამაიკლი.

კასავეტესებმა ახლადჩამოსულ ნათესავს თავიდან ვერა-ფერი გაუგეს. ევროპელი ახალგაზრდა, რომელსაც უყვარს გოდარი, აღმერთებს ანტონიონის, მოკლედ, არის ცხვირა-ბზუებული ინტელექტუალი – ასე გაიცნეს ის რეჟისორი ბიძის ოჯახში. სამუალო სტატისტიკური ამერიკელების ფასულობებზე ჩაკვირებულ კასავეტესს კი არ ესმოდა ასეთი ევროპელი ბიჭების და არც მათი გურუების - გოდარი პირა-დადაც ენახა და მისი ფილმები საშინლად არ უყვარდა. მერე ყინული თანდათან გალლვა. ჩვეულებრივ ამერიკელებზე მთხობელმა რეჟისორმა - კასავეტესმა და უმცროსმა პაპა-მაიკლმა ერთმანეთს გაუგეს. დღეს კი ფედონი თვლის, რომ მისი სურათი **Woman Under Influence** ერთ-ერთი საუკეთესო ფილმია. პარალელურად, სახლივით უყვარს **LA** და ევროპული კინოს დომინანტურ გავლენასაც აღარ განიცდის.

კინოსთან პირველი შეთამაშების შემდეგ კი, მოვლენები



იძულებული გახდა, გვარი ახლებური (ეს უკვე მესამე) ინტონაციით წარმოეთქვა. „მე ფედონ პაპამაიკლი ვარ“ და არა - „ფედონ პაპამიხაილი“ - რბილი „ი“-თ ბერძნულში, და არც - „ფედონ პაპამიხაელი“ - როგორც გერმანიაში.

ის გახდა ფედონ პაპამაიკლი, მახვილით „პაპას“-ს მეორე „ა“-ზე.

არა, დაბრკოლება მხოლოდ ენას არ შეუქმნია. საზოგადოებაში მუდამ არის რაღაც სიტუაციები, რომლებიც გრიყავს, ენაც რომ კარგად იცოდე, მაინც:

„აზრზე არ ვიყავი, ვინ იყო იგივე დევიდ ლეტერმანი, ვერ ვცნობდი სპორტულ გუნდებს და შესაბამისად, ბევრ დიალოგში ვერ ვერთვებოდი. ამიტომ ვმორცხვობდი, ორი წელი დამჭირდა, რაღაც-რაღაცეების გასააზრებლად“.

თუმცა, მთავარი ხომ ის იყო, რომ ნიუ იორქს ჩარჩოები არ აღმოაჩნდა; ჩარჩოები, რომლებიც უხვად ჰქონდა მიუნხენს, ფერწერას და ფოტოგრაფიას. ჩავიდა ნიუ იორქში და ფედონის ბავშვობის სურვილი - ეხატა და ყოფილიყო დიზაინერი, თანდათან შეეთქვიფა 8 მილიონ ათი ათასინ ქალაქს. გაუფერულდა გერმანიაში არჩეული პროფესიაც - გადაელო ფოტოები უურნალებისთვის.

ასე განვითარდა: აკეთებდა მოკლემეტრაჟიან, ექსპერიმენტულ ფილმებს და თან ჰოლივუდში იმპეიდრებდა ადგილს - პროდიუსერ როჯერ კორმანის ფილმებს ოპერატორობდა. 35 მმ-იანი კამერით გადალებული მოკლემეტრაჟიანი, შვეთერი ფილმი **SPUD** კი ირლანდიაში კორკის კინოფესტივალზეც დააჯილდოვეს, როგორც საუკეთესო საოპერატორო ნამუშევარი.

დღეს პაპამაიკლის ანგარიშზე ორივეა - კრიტიკოსების აზრით ძლიერი ფილმებიც:

(**Unhook the Stars**, რეჟ: ნიკ კასავეტესი, **Unstrung Heroes**, რეჟ: დაიან კიტონი, **Sideways**, რეჟ: ალექსანდერ პეინი...)

და სტანდარტული ჰოლივუდური ბლოკბასტერებიც:

(**America's Sweethearts**, **While You Were Sleeping**, **Phenomenon...**).

რაც შეეხება ფოტოგრაფიას, ამერიკაში ჩასვლისთანვე გაიაზარა, რომ: „მალე შევეჩეხე საკუთარ ზღვარს ფოტოგრაფიაში. ვიცოდი, რომ სურათი შეიძლება იყოს ძალიან ძლიერი რამ, ძალიან თხრობითი, მაგრამ მისი ჩარჩო ძალიან მყარია - ის მხოლოდ ერთ კონკრეტულ მომენტს იჭერს.

კინემატოგრაფში კი ყველაფერი დროშია განელილი. მო-

ცემული გაქვს, ვთქვათ 50 დღე და გევალება არა უბრალოდ ლამაზი იმიჯის შექმნა. უნდა მონახო ვიზუალური ენა, რომელიც კრავს და ამყარებს სხვადასხვა სიტუაციებს. ერთი დღე მზიანია, მეორე დღეს წვიმს, მესამე დღეს ქარია, შენ სულ უნდა გადაიღო და თან ეს ენა ეძებო. რაც მთავარია, როცა გადაიღებ და მაყურებელი შედეგს ნახავს, ამ ხანგრძლივი პროცესის შესახებ ვერაფერსაც ვერ უნდა მიხვდეს. ეს არის ოპერატორის ყველაზე დიდი ამოცანა. ზუსტად ვიცი, როცა პრემიერის მერე მოდიან და მეუბნებიან, რომ ძალიან ლამაზი იპერატორული ნამუშევარი იყო, ე.ი. ფილმი, რაღაც გაგებით, ჩავარდა. როცა მაყურებელი ამჩნევს ოპერატორის ხელს, ე.ი. ვერ ამჩნევს არტისტის თამაშს. პირიქით უნდა შეძლო. მაყურებლის და პერსონაჟების ემოციური კავშირის გამყარება უნდა გეხერხდებოდეს. როგორც ვუდი ალენის „მანჰეტენშია“: ორი სხედან მერჩე და ლაპარაკობენ. მაყურებელი მათ ზურგიდან ხედავს და ამით რა ეფექტი მიიღწევა? - უფრო მეტად უსმენ დიალოგს იმიტომ, რომ არ გასწავლიან, რას შეხედო, ყურადღებას არ გიფანტავენ სახეების ჩვენებით. ამოცანაც ესაა - ზუსტი პერსპექტივის არჩევა.

ნომერი - უსაზღვრო არჩევანის განცდა, თუ გინდა მექსიკო-სიტიში წარმოიდგენ თავს, თუ გინდა - სეულში, ან, სულაც, გარიყული იქნები, ან ახალი კონტაქტების მაძიებელი.


ახლაც, თბილისიდან პირდაპირ ლოს ანჯელესში გაფრინდა.

თვითმფრინავი ის ადგილია, სადაც დროის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს. დიდად არ უყვარს, მაგრამ საქმე მოითხოვს. ერთი პლუსი მაინც აქვს: იმ ცუდ ფილმებს შეავლებს ხოლმე თვალს, რომელთა სანახავადაც ბილეთს არასდროს იყიდდა და ყოველ ჯერზე რწმუნდება - ეს ფილმები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს:

„არხებს შორის ვმოძრაობ. ერთხელ ერთგან „ნოთინგ ჰილს“ აჩვენებდნენ, მერე „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორნილი“ დაინყო. ისე ერთხაირად იყო გადაღებული, რომ მარტივად შეგძლო კადრების ერთმანეთში არევა, ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა“.

ხო, ასე - თვითმფრინავშიც კინო. და კინო **LA-შიც**.

ფოსტით ყოველ კვირას 2-3 სცენარი მოსდის. უმეტესობა არ მოსწონს. უხეშად რომ დავიანგარიშოთ წელიწადში 30-40 ფილმს იწუნებს. ახლა უკვე თავს აძლევს ამის უფლებას.



როცა 2004 წელს **Sideways** გამოვიდა, ჩემი ნამუშევრით დიდად კმაყოფილი არ ვიყავი. ერთი შეხედვით, ვიზუალური თვალსაზრისით, ძალიან სადა და მარტივი ფილმი მეგონა. მაგრამ შემდეგ ხალხის რეაქციით მივხვდი, რომ ჩემი საქმე მაინც გავაკეთე - მივხვდი, როგორ ბოლომდე შეძლო მაყურებელმა პერსონაჟების გახსნა, მათთან ემოციური კავშირის დამყარება - მიზანიც ეს იყო - კავშირი.

ფოტოგრაფია კი ფერწერას ჰგავს, მწერლობას ჰგავს. ძალიან მარტივსული რამეა. სრულიად მარტო ხარ შენს თავში, შენს ფიქრებში, შენს არტში.

კინო ჩემთვის ურთიერთობაა. იქვე, ქმნის მომენტშივე უნდა შეგეძლოს გარე სამყაროსთან კონტაქტის დამყარება, გარშემომყოფებისთვის შენი შემოქმედებითი იდეების გაზიარება. მე ზუსტად ეს პროცესი მომწონს“.

LA

- ა) მალპოლანდ დრაივის გადაკვეთაზე
- ბ) პოლივუდი

ესე იგი, ურთიერთობა? ნიუ იორკი და ლოს ანჯელესი სწორედ ამით ჰგვანან ერთმანეთს. ისევ ის საყვარელი ფე-

თუმცა იყო დრო, პოლივუდურ ნაწარმს არა მხოლოდ ოპერატორებდა, რეჟისორებდა კიდეც:

90-იანების ორი, დღეს რომ იშვიათად ახსოვთ, ისეთი ფილმი: **Dark Side of Genius** და **Sketch Artist** დრუ ბერიმორის მონანილებით მისი გადაღებულია:

„არ ვნანობ, პირიქით, ყველა სიტუაცია რაღაცნაირად გზრდის. ვიყავი დაქირავებული რეჟისორი და ვთანხმდებოდი იმიტომ, რომ ამ სიახლეს ერთგვარ გაკვეთილად განვიხილავდი. მინდოდა მენახა, თუ გამომიტოდა. მერე დავრწმუნდი, რომ შემეძლო და თავი დავანებე. თორემ თორილერები, მკვლელობები, მისტიკა - ჩემი საქმე ნამდვილად არ არის.

რეჟისორება ახლაც მინდა. მაგრამ ზოგიერთივით არა იმიტომ, რომ ჩემს ახლანდელ საქმეში ხელმოცარული მგონია თავი. უბრალოდ, რაღაც ამბები მაქვს მოსაყოლი - პირადი და ძვირფასი და აუცილებლად გადავიდებ კიდეც მათ. თუმცა არა პოლივუდში. ეს ფილმები არ იქნება რაღაც გაპრიალებული პოლივუდური პროდუქციის მსგავსი. პირიქით - უფრო მცირე, ინტიმური და სადა.

პოლივუდში რეჟისორება არ მაინტერესებს, რადგან გაცილებით უფრო თავისუფალი ვარ, როგორც ოპერატორი.


რეჟისორს კი აქ ათასი უფროსი ჰყავს. ყველა პროდიუსერს, ყველა კინოსტუდიას ჰგონია, რომ რეჟისორობაც ესმის, წერაც იცის და მონტაჟიც. აი, ოპერატორის საქმე კი, მათვის იდუმალებით არის მოცული. ვიზუალური თხრობა აქ ის ერთადერთი სფეროა, რომელშიც არავინ გერევა. რეჟისორები კი საშინელ დღეში არიან. მუდმივი პრესინგი, საქმეების მოგვარება ვარსკვლავებთან - ეს ჩემი საქმე არ არის“.

უაჟიაშო ვარსკვლავები

სიტყვამ მოიტანა და ვარსკვლავები ფრიად უინტერესო ხალხია. როცა ფედონს რომელიმე მათგანზე უნდა, რომ

და თითოეულ სტრიქონს, თითოეულ სიტუაციას, ნუცა კი თავისთვის იჯდა, ერთი შეხედვით, მოწყენილი, და თითქოს არც გვისმენდა. მერე დგებოდა და ყველაფერს შეუცდომლად აკეთებდა. ხომ არის რაღაცები, რასაც ვერ ისწავლი, არა? ნუცა ეგეთია.

ფანტასტიკური მსახიობია **პოლ ჯამატი** *Sideways*, არ არის ვარსკვლავი, მაგრამ საოცარი მსახიობია. ხანდახან მართლა სასიამოვნოა, არავარსკვლავებთან რომ მუშაობ. ისინი საერთო სიტუაციას ყოველთვის ძაბავენ ხოლმე, მოდის ერთი ცნობილი სახე და მას მთელი მომსახურე პერსონალი მოჰყვება - ტრაილერებს აკეთებს ათობით ვიზაჟისტი, პარიკმახე-



კარგი თქვას, გიხსნის – „ვინ, ბონო? სინამდვილეში ძალიან არავარსკვლავური ტიპია“.

ისე, ურჩევნია იმ მსახიობებთან მუშაობა, რომლებიც მეგავარასკვლავებთან შედარებით, ჩრდილში დგანან:

„მართლა ძალიან მომწონს ნუცა კუხიანიძე. ის ძალიან სხარტია, ყოველთვის მაშინვე ხვდება, რას ვგულისხმობ, მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური განათლება არ მიუღია.“

„მატილდას“ გადაღებებზე გამაოცა. ჯერემი აირონსი, რომელიც გიუდება სიზუსტეზე, გადაღების დაწყებამდე სამი საათით ადრე მოდიოდა ხოლმე, დეტალურად განიხილავ-

რი, დიზაინერი... არადა, გადაღებებზე ჯგუფი ორგანულად უნდა შეიკრას - რეპეტიციებზე, გადაღებაზე, განხილვაზე ხომ სულ ერთად გვინწვეს ყოფნა. სწორედ ამ შეკრულობის განცდის გამო, არასდროს დამავიწყდება *Sideways*-ის გადაღებები. იქ ყველაფერი მაქსიმალურად ბუნებრივად გავაკეთეთ. ბუნებრივი იყო არა მხოლოდ ურთიერთობები, არამედ მსახიობებიც. მაგალითად, ვიჯინია მედსონი. ახალგაზრდა მას ნამდვილად არ ეთქმის, ნებისმიერი ვარსკვლავი მის ადგილას სქელი მაკიაჟის დადებას მოითხოვდა, ჩვენ კი ვირჯინია საერთოდ უმაკიაჟოდ დავტოვეთ და შედეგიც ფანტას-

შევროლტი

განვალები

ლაზარი



კალისი



ევროპული და დასთან ბაზისთვის ადაპტირებული შევროლტ მარკის ახალი ავტომობილები:

კალისი, ლაზარი, ევანდა და სხვა.

განვალებით ნებისმიერი ქართული ბანკისა და სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით. ფასი 8 500\$-დან.

კაპელიძის ქ. 6 შპს „კარპალასი“ / ტელ: 22 25 90; 53 07 14; 53 07 15 / ფაქსი: 22 25 90
ელ. ფოსტა: carpalace@access.sanet.ge

ტიკური იყო - ისე შესანიშნავად გამოიყურებოდა, როგორც
არასდროს!

თუმცა, დიდ მსახიობებშიც მყავს ჩემი ფავორიტები. დას-
ტინ ჰოფმანი საოცარი ადამიანია. ისიც სკრუპულოზურ ახს-
ნას ითხოვს ხოლმე; სურს, რომ ყოველი წვრილმანი გაითავი-
სოს და მხოლოდ მერე ცადოს და როცა ცდის, უკვე უზადოდ
აკეთებს ყველაფერს.

ნიკოლას ქეივიც ძალიან ზუსტია. ყოველთვის წინასწარ
იცის, რაც უნდა გააკეთოს და კარგადაც აკეთებს.

თავისი ბუნებრიობით ხშირად გაუზოდებივარ სიუზენ სა-
რანდონს. ვთქვათ შესვენებაა, დგას და გიყვება ათას საყო-
ფაცხოვრებო დეტალზე, ოჯახზე, – ო, იცი, ჩემს ბავშვებს
ბეისბოლის მატჩი ჰქონდათ; იცი, სკოლაში რა მოხდა... მერე
იწყება გადაღება, გადის და წამიერად გარდაისახება ხოლმე
თავის დრამატულ როლში. მართლა საოცრებაა“.

პოლივალი: ილია ლაზარი კომპინაცია

იქნავა, რისი მოყოლაც უკვე მოასწრო, უკვე სიმართლეს
მიეხვდი, მაგრამ მაინც უნდა გადავამოწმო, ამიტომ ვეკი-
თხები:

როცა გარკვეულწილად ანტიპოლივუდელი ხარ, მაგრამ ამ
დროს ცხოვრობ ქუჩაზე, რომელსაც ცნობილი მალპოლანდ
დრაივი კვეთს და თან ჰოლივუდში მუშაობს, ნიშნავს თუ არა
ეს თავისიავად კომპრომისს, თუ...?

„ეს ორი რეალობის კომბინირების სურვილია. ვცდილობ,
ჰოლივუდის საუკეთესო ელემენტები ვიპოვო და ჩემთვის გა-

მოვიყენო. თავს ჰოლივუდელ ასერატორად არ ვთვლი. არც
მარტო ასერატორი არ ვარ. მე კინოს ვაკეთებ, „კინოშინი-
კი“ ვარ. ასეთი დეფინიცია მირჩევნია, რადგან უფრო იოლია
ფუნქციებს შორის ლავირება - ხან ასერატორი იქნები, ხან
რეჟისორი, ხან მონტაჟს გააკეთებ, ხან სცენარს დაწერ.

საბედნიეროდ, ჰოლივუდშიც შევძელი „ჩემი“ რეჟისორების
პოვნა. ისინიც ჩემნაირად ცხოვრობენ - მუშაობენ ჰოლივუ-
დის სისტემაში, მაგრამ სინამდვილეში ჰოლივუდური სტან-
დარტის რეჟისორები არ არიან. ვთქვათ, ჯეიმს მენგოლდი,
ალექსანდრ პეინი.

რასაც ჩვენ ვაკეთებთ, რალაც ხრიკის მაგვარია. ჰოლი-
ვუდს ვაცურებთ თითქოს. ვიყენებთ მის რესურსებს, მის
ფულს, ერთი შესედვით ვასრულებთ მის პირობებს - ვადებში
ვკადებით, ბიუჯეტს ვაკმაყოფილებთ და ამ დროს ჩვენებურ
კინოს ვაკეთებთ.

ასე მგონია, რომ ჰოლივუდის საუკეთესო მხარეებით ვსარ-
გებლობ და თან ისე, რომ მისი მონა არ ვხდები. არჩევანის
საშუალებას ყოველთვის ვიტოვებ. მაგალითად, ამ ეტაპზე
ვიცი, რომ ნოემბრის ჩათვლით, ახალ ფილმზე უნდა ვიმუ-
შაო, მაგრამ შემეძლო, ამერჩია და არ მემუშავა, სანაცვლოდ,
რეკლამა გადამელო და დანარჩენი დრო მოგზაურობისთვის,
თვითგანვითარებისთვის დამეთმო. კარგია, როცა ამ გარა-
ტიას გრძნობ; როცა გაურკვევლობის ფაქტორი მინიმუმა-
დება დაყვანილი; როცა თვითონ აკონტროლებ საკუთარი
ცხოვრების წესს. ამ ყველაფერს ჰოლივუდი მაძლევს. ამიტომ
იქ ცხოვრება იდეალურად ეთანხმება ჩემს ფასეულობებს.

თავისიანი

თვითონვე ახსენა ფრაზა „ჩემი რეჟისორებიც“ და ისიც, რომ კინო - ხელოვნებაა, რომელიც სიმულტანურ ურთიერთობას მოითხოვს ადამიანებთან. აი, როგორ ხდება ეს:

„თუ რას გავაკეთებდით, ამაზე კონკრეტულად ალექსანდრე პეინთან არასდროს მიღაპარაკია. დავსხედით და ბევრი ფილმი ვნახეთ, იტალიური, ფრანგული... ფილმები, რომლებიც ჩვენს პროექტთან პირდაპირ კავშირში არ ყოფილა. ჩვენ კი მაინც ვუყურეთ, ვამბობდით, ეს დეტალი მომწონს, ეს რაღაც სხვანაირია, მთლიანად ფილმი არ მომწონს, მაგრამ ენერგია მოაქვს - ზოგადად ვსაუბრობთ, მაგრამ საერთო ინ-

პროექტზე ვმუშაობთ, რომ ყველანი ერთი და იგივე ფილმს ვაკეთებთ.

თუნდაც ჯეიმს მენგოლდი. ყველაფერი დაგეგმილი არც მასთან არის. მას უყვარს სიუჟეტის ვიზუალურად წინასწარ დასახვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ადგილზე წყდება ყველაფერი.

არასდროს დამავიწყდება მენგოლდის ფილმის, *Walk The Line*-ის გადაღებები. სურათი ჯონი კეშის ცხოვრებაზეა. პირველად მაშინ დავუკავშირე ერთმანეთს მუსიკა და ფოტოგრაფია. ორივენი ხომ არავერბალური ხელოვნების ფორმებია. სულ სხვაა, როცა პერფორმანსს იღებ, მომღერალს



ფორმაციას ვიღებთ.

მერეც ასე გავაგრძელეთ, გზადაგზა ვფიქრობდით, როგორ ნავსულიყვავით წინ, ბევრი იყო იმპროვიზაცია. დარწმუნებული ვარ, ჩვენ კიდევ გადავიღებთ ფილმს ერთად.

დაიან კიტონთან მუშაობაც ამიტომ იყო საინტერესო. ვათვალიერებდით უამრავ ფოტოს და განვიხილავდით - ამ ფოტოზე ეს მომწონს, ეს დეტალი იქ უკეთესია.

ასე მუშაობა ძალიან საინტერესოა. ყველაფერი ურთიერთობაზე იგება. გამუდმებით ხდება იდეების გაცვლა-გამოცვლა და ყველანი უცებ გავიაზრებთ ხოლმე, რომ საერთო

იღებ, განსაკუთრებით კი ისეთ მსახიობს, როგორიც ხოკინ ფენიქსია. მართლაც დაუვიწყარი და უჩვეულო გადაღებები იყო – ამბავს მუსიკით, ტექსტით და იმიჯებით ვყვებოდით.

სულ სხვანაირად ვმუშაობ ხოლმე გორ ვერპინსკისთან. მისთვის შემოქმედებითი ნაწილი უშუალოდ გადაღებები კი არა, მოსამზადებელი პერიოდია. მივდივართ ობიექტზე, ვიღებთ უამრავ ფოტოს, პატარა ბავშვებს ვგავართ, კამერებს პირველად რომ ანდობენ. მერე ამ ფოტოებს ვაწყობთ, ვაებთ, ვსახავთ გეგმებს და მერე ამ გეგმას მივყვებით. ამიტომ რაღაც მანქანას ვემსგავსებით, მექანიკაში გადაგვდის ყვე-



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank



უმარი გამოსახულის მიმდევა!

- კფის მარტივი ბაზარი
- კნებარიშვილი მინიმალური ნაშთის ბაზარი
- ბანკომატის ღია თანხების განალება საჭიროებულ ცალის გარეშე
- ბანკომატის ყველაზე ფასორ ჭავჭავაძის საქართველოში

ლაფერი. თუმცა, ვერბინსკი მაინც კარგი პროფესიონალია. მისი ფილმები თუნდაც „კარიბის ზღვის მეკობრეები“ კარგი შეკრულია, კარგი თვალიც აქვს. უბრალოდ, ჩემთვის არის უცხო მისი მუშაობის სტილი“.

არც ოლივერ სთოუნთან გავაკეთებდი რამე ფილმს. ის იმ სატელევიზიო სერიალის პროდიუსერი იყო, რომელსაც ვიღებდი. ოლივერი ნამდვილი გიუია, შეიძლება ხანდახან სახალისო იყოს, მაგრამ „ჩემი“ რეჟისორი არ არის.

ფედონ პაპამაიკლის ფილმოგრაფიაში ცალკე თავია ვიზ ვენდერსი. მათ ერთად ორ ფილმზე მუშავეს, მაგრამ მანა-მადე - ათობით რეკლამაზეც თანამშრომლობდნენ.

ფლობს. ფოტოგრაფია ეხმარება. თან მუსიკა უყვარს ძალიან და საკუთარ იმიჯებს მუდამ ზუსტ მუსიკას არგებს ხოლ-მე. ოპერატორისთვისაც ერთი სიამოვნებაა იმ რეჟისორთან მუშაობა, რომელიც მაქსიმალურად ენდობა ვიზუალურ გამოსახულებას. ახლა მისი ახალი ფილმი გამოვიდა **Don't Come Knocking**. ხალხი კი ვენდერსს ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებს ხოლმე, ამბობენ, რომ ქველებურად მწვავე აღარ არის, რომ აღარც ახალგაზრდობის აზრებს გამოხატავს. თუმცა, დრო იტყვის ყველაფერს. **Million Dollar Hotel**-ზეც ასე იყო - ფილმმა კრიტიკოსების შეფასებითაც და ფინანსური თვალსაზრისითაც ამერიკაში ნამდვილი კატასტროფა განი-



სანამ გახმაურებულ **Million Dollar Hotel**-ს გადაიღებდნენ, რეკლამა გააკეთეს ბუენოს აირესში, მერე პრალაშიც იგივე მიზნით ჩავიდნენ – კადილაკის რეკლამა გააკეთეს, მიუნხენში – გერმანული რკინიგზის, სამხრეთ აფრიკაში – „ბარილა პასტას“ რეკლამა. გადაღებიდან გადაღებაზე, მგზავრობიდან მგზავრობამდე და, ცხადია, თვითმფრინავის ბორტზეც, მათ ერთმანეთი გაიცნეს, უსმენდნენ მუსიკას, იღებდნენ ფოტოებს, ლაპარაკობდნენ ცხოვრებაზე და მიხვდნენ, რომ ეს-თეტიკა ერთი ჰქონდათ.

„ვენდერსი თხრობის განსაკუთრებულ ვიზუალურ ენას

ცადა. მერე ჩავედი პოლონეთში და სრულიად სხვა სურათი დამხვდა. ხალხი მოდიოდა და მეუბნება, ეგ ჩემი საყვარელი ფილმია, ფრაზები ზეპირად მახსოვს, ცხრაჯერ მაქვს ნანახი...

მოკლედ, დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ჯგუფის შეკრებას, რომელსაც ზუსტად შენნაირი კინოს გადაღება უნდა. პირადად მე, ბოლო დროს ძალიან სუბიექტური კრიტერიუმით ვხელმძღვანელობ – მხოლოდ ისეთი ფილმის გადაღება მინდა, როგორის სანახავადაც კინოთეატრში წავიდოდი და ბილეთს ვიყიდდი. ასეთები კი ძალიან ცოტაა. შარშან სულ

რამდენიმე ფილმი მომენტისა. რომელი? ხედავ, რამდენი ფიქრი მჭირდება... ჰმ, ხო, „ლმერთის ქალაქი“ მომენტისა, **Irreversible, Y Tu Mama Tambien**, თუმცა, ხანდახან დიდი პოლივულური პროექტებიც მომწოდებია. მაგალითად, „დღე ხვალის შემდეგ“-ს არა უშავდა. უცნაური განცდა იყო იმის ყურება, თუ როგორ მოსრავს ლოს ანჯელესს ტორნადო...

საჩექლაში კაუზა

ასოციაციური ჯაჭვი ასე შეიკრა: ვიმ ვენდერსმა **Million Dollar Hotel** გამახსენა, ფილმია - მუსიკა და **U2, U2**-მ კი რამდენიმე კარგი ვიდეო, რომლებიც ფედონმა გააკეთა.

მეშლება, იქ გადავიდეთ - **Stuck in a Moment**, (რომელი? - that you can't get out of - სიმღერის ტექსტს თვითნებურად აგრძელებს). ახლახან კი ენტონი კორგანთან ერთად „ქილერზის“ ვიდეო გადავიდე - ლას ვეგასელი ბიჭები არიან, ძალან პოპულარულები, რეტროსმაგვარს, უფრო 80-იანურს უკრავენ. ადრე არ ვიცნობდი. ახლა მომწონს და ხშირად ვუსმენ. თითქმის სულ ეგაა, დანარჩენი რეკლამები მაქეს“.

რეკლამა თუ მუსიკალური ვიდეო, ფედონისთვის პოლივულური სისტემისგან თავის დაღწევის მცდელობა მაინც არ არის:

„არა, ეს გაქცევა არ არის. რეკლამა უფრო ხიდია, საშუა-



„მუსიკალურ ვიდეოებს ძალიან იშვიათად ვიღებ. **U2**-ს კლიპები გამიკეთებია და კიდევ რამდენიმე სხვა. **U2** იმიტომ, რომ ბონო მთხოვს ხოლმე. **Million Dollar Hotel**-ის გადაღებებზე გავიცანით ერთმანეთი. ფილმი ვიზუალურად ძალიან მოენონა. დამირეკა და მასთან სამხრეთ საფრანგეთში, კოტ დ'აზურში ჩავედი, იქ გავაკეთეთ **Electrical Storm**-ის შავ-თე-თრი კლიპი. იქვე გავიცანი ენტონი კორგანი - ფოტოგრაფი, რომელიც ჯგუფს ალბომ **War**-ის გამოსვლის დღიდან იღებს. მერე ბონო თავისი ჯგუფით თვითონ ჩამოვიდა ლოს ანჯელესში და იქ გადავიდეთ **Ground Beneath Her Feet...** არა, არა,

ლებაა, რომ თავისუფლება ვიყიდო. თუ არ მომწონს სცენარი, არ ვიღებ ფილმს და სანაცვლოდ ვაკეთებ რეკლამას - სანამ დიდ პროექტს წამოვიწყებდე; ასე ვფარავ ხარჯებს.

რეკლამა საშუალებაა, რომ ფორმა არ დავკარგო, არ შევჩერდე და ვმიუშაო. რეკლამა ექსპერიმენტების საშუალებას მაძლევს, ვმოგზაურობ (ბუენოს აირესი, პრაღა, მიუნიენი, სამხრეთ აფრიკა...), საინტერესო ადამიანებს ვხვდები. ხომ გითხარით, რეკლამის გადაღებაზე გავიცანი ვიმ ვენდერსიც და ეროლ მორისიც - ერთ-ერთი უდიდესი კინოდოკუმენტალისტი. ერთად სადაზღვევო კომპანიის რეკლამა გადავიდეთ,

მაგრამ ამ მცირე პერიოდმა ბევრი რამ მომცა, საშუალება მქონდა დავკირვებოდი ამ გენიალური ადამიანის მუშაობის სტილს“.

03-ՀՐԱՎԱՍԱ ԸՆ ՑՈՂՈՅԱԼԵ ՑՈՒԽՈՒ

ფულონ პაპამაიკლის პირადი რუკა საყვარელი და მნიშვნელოვანი ადგილებით არის აჭრელებული. ქალაქები, კონტინენტები, მისამართები ერთმანეთში შთაბეჭდილებების სახითაა არეული. ეს არევა და ერთმანეთის დაბალანსება ჯერ-ჯერობით ვერ ისწავლეს ჰოლივუდმა და ევროპულმა კინომ. ფულონი ორივეში შინაურად გრძნობს თავს და მათ გეოგრაფიაზეც(ობიექტებურად საუბრობს:

„მგონი, სიტუაცია მაღლე უნდა დაბალანსდეს. ახლახანს გერმანულ კინოზე პუბლიკაციას ვკითხულობდი. რეალობა იცვლება. გერმანული კინოს საბაზრო წილი საგრძნობლად იზრდება. ამიტომ მგონია, რომ ევროპული ქეყნები კინოში თანდათან დაიპრუნებენ ნაციონალურ სახეს, ანუ იმას, რაც ყოველთვის აკლდათ. საფრანგეთის გამოკლებით ხომ (იქ ყოველთვის ექსკლუზიურად ფრანგული კინო-ნაწარმი მზადდებოდა) გერმანელებიც, ინგლისელებიც და იტალიელებიც ჰოლივუდს ბაძავდნენ და, ძირითადად, რომანტიკულ კომედიებს იღებდნენ. არადა, ამ უანრში ამერიკასთან ჭიდოლი უაზრობაა. ასეთ კინოს ჰოლივუდი შეუდარებლად აკეთებს და გააკეთებს კიდეც.

ახლა ნაციონალური სახის დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს. პარალელურად, ცხადია, ჰოლივუდიც უნდა შეიცვალოს. დიდ „ექსენტებს“ ნელ-ნელა უნდა აქციოს ზურგი. ამის საწყისი ფაზაა დიდ კინოსტუდიებში დამოუკიდებლი კინოპროდუქციის განყოფილებების გაჩენა. იქ იღებენ მცირებიუჯეტიან ფილმებს, უფრო ადამიანური და რეალისტური ოემებით. ანუ, თვითონ ჰოლივუდის შიდა სისტემაში ჩნდებიან დამოუკიდებელი რეჟისორები. სანდენის კინოფესტივალიც ხომ ნამდვილი საბადოა. გადაიღებს 19 წლის ბიჭი 20 ათას დოლარად **DVD** კამერით ფილმს, და სასწრავოდ ჰოლივუდის უმსხვილესი სააგენტო გაუფორმებს კონტრაქტს. ეს ბიჭებიც ექცევიან სისტემაში, ზოგი ნებდება ჰოლივუდურ ცდუნებას

გვიას პირას

არა, თქვენ სხვაგან დგახართ. ლოს ანჯელესიდან ნიუ იორ-კისკენ წამოდით, მერე ატლანტის ოკეანეს გადმოაბიჯეთ, დიახ, დიახ, გერმანიასაც გამოსცდით და საბერძნეთსაც, ნუ გეშინიათ, მერე ბალყანეთია და აღმოსავლეთ ევროპა იკრებს ძალას. რაა? ბალყანეთში იმს ისე ანარმოებდით, რომ თქვენი მოსახლეობის ნახევარმა ბელგრადის სწორად წარმოოქმა არ იცოდა? არა უშავს, ახლა ხომ იცით, გამბედაობა მოიკრიბეთ და ბელგრადსაც გამოსცდით, რადგან თუ ფედონს მოსდევთ, ფედონი ამ ეტაპზე კიდევ უფრო აღმოსავლეთითაც დგას, ვიდრე ბალყანეთია - ეს საქართველოა - ფედონმა ის რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინა ნანა ჭორჭაძის ფილმ „**27**“

დაკარგულ კოცაზე“ მუშაობისას და მას შემდეგ აქაურობას ძალიან ძვირდება პირადი ურთიერთობებით დაუკავშირდა.

მოკლედ, ეს საქართველოს ნიშნულია რუკაზე - სულ ხუთმილიონიანი, მაგრამ უნიკალური. რევოლუციაც მოხდა და მანამდე კიდევ ბევრი რამ, რომელთა გამოც ქართველები ყოველ ჯერზე იმედს იღვივებდნენ: აი, ახლა კი მორჩა, ახლა კი აუცილებლად გაგვიცნობს მსოფლიო. მაგრამ მსოფლიო ძალიან დიდია: რვამილიონიანი, ათმილიონიანი ქალაქები, უსაზღვრობა, ულიმიტო არჩევანის შეგრძნება - ამიტომ შაბლონები საქართველოსთან მიმართებაში შაბლონებად რჩება: ეგ რომელი **Georgia**, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა? ყოფილი რუსთი?

„ମେଘ ଶୁଣ ମିନ୍ଦେବୁ ଆସିବନା, କୋ, ଏହ ଅରୀଲେ, ମାଗରାମ ଅର୍ପ ଧୋଳିମଙ୍ଗେ ଉପରେ ଆଜିମେ. ସାଜୀରତ୍ତବେଲିଲା ରାଲାଚାପ ଉତ୍ତରମ ବେଳାତଥିଲୁା-ଥିଲୁଵିଲାକିର୍ତ୍ତିଲୁଣା, କୁନ୍ଦିଲୁଵିଲାତ ଅରୀଲେ ମୁଖ୍ୟମଙ୍ଗୁର କେବ୍ରେନ୍ଦ୍ରଭାବୀ ମର୍କ୍‌ପ୍ରେସ୍‌ଲାଲି. ମାତ ତାବିନାନ୍ତି ତାପାତାରା ଥିଲାପର୍ଯ୍ୟବୀ ଆଜିତ, ଶେମର୍ଜମ୍‌ପର୍ଯ୍ୟବୀ ଅରୀନା, ତରିଗିନାଲୁରାଦ ଫ୍ରିଜରନ୍ଦେବେନ ଓ ଆଠିରୁବ୍ରନ୍ଦେବେନ. ଏହ ଯୁଗେଲାଫ୍ରେଣ ମଦିଲୁରିଲା, ଲ୍ଯୁ-କ୍ଲିପ ନେରିଲା, ଯୁକ୍ରାଶ୍ଵା, ପ୍ରେକ୍ଷାଶ୍ଵା, ଏହ ଯୁଗେଲାଫ୍ରେଣ ମାତା ଚକ୍ରବର୍ଣ୍ଣଭୀଲି ନେଇଲା. କାରିତବେଲାପର୍ଯ୍ୟବୀ ରାଲାଚାପ ରମାନନ୍ଦିତିଥିଲିଲା ତିପିର-ଶେଗରନ୍ଦେବୀତ ମାଶ୍ଵେବେନ... ରାଲାଚାପ ଶ୍ଵେତାନନ୍ଦିରି ରମାନନ୍ଦିକାବା ଆଜି, ଶେନ୍ଦ୍ର କୋମ କାରି-ଗାନ୍ଧି ପିତ୍ର, ରାଜି ଗାହେତ କାରିତବେଲାପର୍ଯ୍ୟବୀ. ତୁନ୍ଦିଲାଚାପ, କାରିତବେଲା ଯୁଗ-ନାଲୁବୀ, ନାମନ୍ଦିରିଲା ଓ ଯୁଗେଲାଶ ବାହିବେନ୍ଦ୍ର, ଯୁଗିରିତ, ଶେବ୍ରେଦ୍ର, ରନ୍ଧାରି ଓ କାରିବାଲାନ୍ଦେବୀ ଶ୍ଵେତନ୍ଦିରି, ରନ୍ଧାରି ଫିରିଥାନିଲା, ରନ୍ଧା

და იშტამპება, ზოგი კი მაინც ახერხებს გაუძლოს და საკუთარი ხმა შეინარჩუნოს, ისეთ თემებზე გადაიღოს ფილმები, რომლებიც გლობალურად ადამიანურია. ტენდენციაც წელნელა იცვლება, სწორედ ასეთი სურათების „ოსკარით“ და-ჯილდოების სასარგებლოდ. ისევ **Sideways**-ის ნარმატებები გავიხსენოთ. მისი თემატიკა იმდენად ადამიანური აღმოჩნდა, რომ საზღვრები გადაკვეთა - სალონიკის კინოფესტვალზეც აღავრთოვანა მაყურებელი და ღოს ანჯელესის ორინჯის საგრაფოშიც. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებზეა, მათ ოცნებებზე, სიყვარულზე, შიშზე.

გორი დონეა... აი, ეს ზედაპირული დამოკიდებულება მინდა შევკვალო საქართველოს მიმართ და თიომი გადავიღო“.

ფედორი ერთდროულად ორ ასეთ სცენაზე მუშაობს. ერთ
ფილმს „ნარდი“ ერქმევა. დაპირებისამებრ, სადა და ჩვეულე-
ბრივი იქნება, ჩვეულებრივ ადამიანურ განცდებზე აგებული.
საშინელი ქარბუქის გამო, ბერძენი და ქართველი სტამბულის
აეროპორტში გაიჩინებიან, მთელი ღამე სხედან და ნარდს
თამაშობენ, ბევრს ლაპარაკობენ, მერე მატარებლით წავლენ,
გაივლიან სალონიკს, ბელგრადს, მატარებელში სხვადასხვა
ადამიანები ადიან და ჩადიან, მერე გოგო გამოჩნდება, ყვე-

ლანი ერთად ვენაში წავლენ, ბევრი რამ ხდება, ცხოვრება იცვლება. ხო, რაღაცით **Sideways**-ს ჰგავს. თან, მატარებელი ჩემი საყვარელი ტრანსპორტია, მიყვარს ლიანდაგების ხმა, კუპეში ჯდომა და გარეთ ყურება. მთავარ როლზე მერაბ ნინიძის მოწვევა მინდა, ერთი ბერძენი მსახიობიც მყავს. როგორც კი დავასრულებ სცენარს, მერაბს დავურეკავ“.

მეორე, მართლაც უპრეცედენტო პროექტის შესახებ კი, თბილისი უკვე ლიად ლაპარაკობს, რადგან მსგავსი რამ საქართველოში პირველად ხორციელდება. პირველად ხდება ის, რომ საქართველოში საქართველოზე ფილმის გადასაღებად ჰოლივუდიდან ჩამოდიან და მიზანიც ძალიან კეთილშ-

ნინგგავლილი გადამლები ჯგუფიც. ეს ფილმიც ერთგვარი „გზის ფილმია“. მოქმედება ერთ კვირაში ხდება და ეს ვარდების რევოლუციის კვირაა. ამერიკელი ბიჭი საქართველოში ჩამოდის. მისი ძმა ერთ ეკლესიაში ნანახი ხატის საქართველოში დაბრუნებას გადაწყვეტს იმიტომ, რომ ფიქრობს, რომ ხატი ქართულია. შემოდის ხატი საქართველოში და სწორედ აქედან იწყება სიგიურები. მოგზაურობა ბათუმში, ბაკურიანში, ბორჯომში, თბილისში. ვითარდება სასიყვარულო ისტორია. ორი ადამიანი - ქართველი გოგონა ნონი (რომელსაც ძველი შეყვარებული თოთ დაეძებს) და ამერიკელი ჯეიქი (რომელიც საქართველოში ტყუპისცალი ძმის საპოვნელად



ობილური აქვთ – ქართული კინოს ტრადიციების აღდგენას და განვითარებას შეუწყონ ხელი. ვრცელდება წინასწარი მასალაც და სპონსორების მოძიებაც იწყება.

„ამ პროექტს „**ნონი**“ ჰქვია. მასზე ნუცასთან ერთად ვმუშაობ. მომავალ წელს გვინდა გადაღება. ბიუჯეტი მაქსიმალურად ლოკალურად უნდა მოვიძიოთ, რადგან არ მინდა უცხოური პროდუქცია გამოვიდეს. ეს იქნება ნამდვილი მასტერ-კლასი. ჩანაფიქრი ასეთია: შევიძენთ ტექნიკას და პერსონალს ისე გავწვრთნით, როგორც ტრენინგებზე. შემდეგ, როცა ფილმი დასრულდება, ტექნიკაც აქ დარჩება და ტრეი-

არის ჩამოსული) – მსოფლიოს ორი უკიდურესი წერტილიდან - აღმოაჩენს, რომ ადამიანები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, ერთნაირი შიშები აქვთ, სიყვარული, ოცნებები. აღბათ, ვარდების რევოლუციის კადრებსაც გამოვიყენებთ, მაგრამ ეს უფრო ფონი იქნება. ცენტრში მაინც ახალგაზრდები იდგებიან, თავიანთი მიზნებით და გრძნობებით. ფილმში იქნება ბევრი ექსცენტრული სიტუაცია და იუმორი. სასაცილო გაუგებრობებს ის გარემოება იწვევს, რომ ტყუპი ამერიკელი ძმები ერთმანეთში ერევათ. გაქცეულთა და მდევართა გზებიც ხშირად კვეთს ერთმანეთს, ფინალში კი მოულოდნელად

ყველა ერთმანეთს პოულობს“.

პროექტს უცხოელი მაყურებლისათვის მიმზიდველს ახალგაზრდული თემატიკა, ახალგაზრდული მსახიობები და ამერიკელი პერსონაჟი ჯეიქი გახდის - ქართული კულტურით კულტურულ შოკში ჩავარდნილი ჯეიქის თვალით ხომ თითოეულ უცხოელს გაუადვილდება საქართველოს აღმოჩენა; იმ ქვეყნის, რომელზეც ფედონს ჰონია - მსოფლიო რომ ამადგილს კარგად იცნობდეს, მთელი გულით შეიყვარებდა.

ასე რომ, ძვირფასო კინოს მოყვარულებო და ხელოვნების მეცნატებო, დანარჩენი თქვენზეა...

რაც შეეხება კინოს... ქართული კინოს ტრადიციების აღდ-

ქრია. თვითონ ფედონსაც ძალიან მოსწონს, რადგან ფიქრობს, რომ განვითარება რომ შეძლო, სულ ახალგაზრდებთან უნდა იტრიალო. „**ნონო**“ კი მას ქართველ ახალგაზრდებთან ურთიერთობის საშუალებას მისცემს. საქართველო კი კიდევ ერთხელ გახდება მისთვის შთაგონების წყარო.

ერთ-ერთი გადასაღები ობიექტი მთანმინდაა. ნახევრად დანგრეული რესტორანი. ჩვენი დიალოგის ნაწილიც სწორედ იქ შედგა. საუბარი პროდიუსერებმა გაგვაწყვეტინეს. ფედონმა უცხოელები გარემოს დასათვალიერებლად მოიწვია.

„დავასრულოთ, თორემ მომქლავენ“ - ვამბობ მე.

„კარგი, თუ დამატებითი კითხვები გაგიჩნდა, დამირეკე“



გენა უნდა შევძლოთ, მთელი იმედები უცხოელებზე არ უნდა დავამყაროთ. იუგოსლავიაშიც აქვთ ფინანსური პრობლემები - კინო ძალიან მცირე ბიუჯეტით ფინანსდება ხოლმე, მაგრამ იქ პროფესიონალი გადამდები ჯგუფები ჰყავთ, ისეთი სერიოზული დონის, რომ მსგავსს ვერც ბერლინში და ვერც ლინდონში იპოვი. ასეთი ტრადიციები ქართულ კინოსაც აქვს. უნდა გამოვცხლდეთ და ხელის განძრევა ვისწავლით - ასეთია რჩევები.

მანამდე კი ფედონ პაპამაიკლი გადაღება-მასტერ კლასს გამართავს. „**ნონო**“ მართლაც ძალიან საინტერესო ჩანაფი-

- მეუბნება.

ჩვენ მოვდივართ, ფედონი რჩება. შეტრიალებულიც არ არის, რომ სტუმრებს სწრაფი ინტონაციით მიმართავს:

„ხო, აი, ამაზე გეუბნებოდით“...

ინტერვიუს ორგანიზატორის მაღლობას ვუსღით ჩვენს სკოლიალურ კორისპონდენცის ლოს-ანჯელესში, სირბი ნაკაიძეს.

၃၂၆၂၈၁၀၇၀



თანამედროვე საპილა სამუალება გადაწყვეტილი შრიფტები?



ქილი - სასიცოცხლოდ მიღებადი მიზანის გარეშემოსავალი

ძილი ადამიანის ორ სახაზისო მფგომარეობას
შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაზაა:
ადამიანი ცხოვრიანის 1/3-ს ძილში ატარებს.
ძილის ფროს ნივთიარებათა ცვლის
პროცესი მიმართულია სასიცოცხლო
ქალების აღსაფხვალი. ძილის
ფართვაკა სომატურ ფასადებათა
და ფსერიკ აგლილობათა
ნიმუშირობა.

პილის დარღვევის მიზანები

- სტრუქტურული მდგრადირობები
(გამოცდები, მიზანების დაცვა
და დამატებითი მიზანები)
 - ფინანსური აპლიკაციები
(განებები, დაცვასი)
 - ძილის დროს აქტივითი მოძრაობები
(ვახშის მოსახლეობის სინდიკომი)
 - ფარმაციური მოწყობითი მომსახურებები
(კონფიდენციალურობის დაცვა
და მომსახურების სისტემის დამატებითი მიზანები)
 - სოციალური მოწყობითი მომსახურებები
(განვითარების დაცვა
და მომსახურების სისტემის დამატებითი მიზანები)
 - სოციალური მოწყობითი მომსახურებები
(განვითარების დაცვა
და მომსახურების სისტემის დამატებითი მიზანები)
 - სოციალური მოწყობითი მომსახურებები
(განვითარების დაცვა
და მომსახურების სისტემის დამატებითი მიზანები)
 - სოციალური მოწყობითი მომსახურებები
(განვითარების დაცვა
და მომსახურების სისტემის დამატებითი მიზანები)



ԵՊՇԵՐՑՈՒՄ ԱՐԹՎԱԼԵՐ

- ადამიანების 95%-ს გაუჩნდა
პილტან დაკავშირებული პროგლემაზი
 - 36%-თვის უძილობა საკიონზაფი
ცხოვრის გენელაციული პროგლემა

**ଭାରତୀୟ ପାଦିକାଳି -
ତାଙ୍କୁମାନଙ୍କରେ ବାପକାଳୀଙ୍କ ସାମାଜିକତା**

- ቅዱወስናወሮች የሚከተሉት አገልግሎቶች የሚከተሉት ደንብ የሚያሳይበት ይረዳል
የሚከተሉት ደንብ የሚያሳይበት ይረዳል
 - እኔ አካላውን የሚያሳይበት ደንብ የሚከተሉት ደንብ የሚያሳይበት ይረዳል
የሚከተሉት ደንብ የሚያሳይበት ይረዳል



A B C Pharmaceuticals
ଆର୍ଟିପିଆର୍ ଫ୍ରାନ୍କାର୍ଫାର୍ମ୍ସିଟି
www.abc-pharm.com tel: 911 900



କୋରିଜ୍ଞାନବାକ୍ସିପ୍ ନାମଶବ୍ଦବିଧାତା

ერიკითხათ აფთიაქებები



სპეც-პროექტი: ექსტრემალები

ავტორი: სალომე კიკალავაშვილი
ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი

ექსტრემი / ექსტრემისტი / EXTREMUS / უკიდურესი / უკიდურესი
საშუალებების და შეხელულებების მეონი აღამიანი.

განეარჩება უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან.

აქ, ყველაფერი პირობითია;
მას არც გრძელი სიტყვები უხდება და არც შელამაზებული
იმოციები...

ესაა:

მძაფრი შებრძნებები;

აბსოლუტური თავისუფლება;

უკიდებანი სივრცე;

გიზური ენერგია;

გაჩერებული დრო;

უჩვეულო „აღმოჩენები“...



სიმაღლე / 8,500 – 8,800 მეტრი ზღვის დონიდან.

ირაკლი უგულავა

გეოგრაფი.

კომპანია "Geoland"-ის დამფუძნებელი. მთავარი ექსპერტი.

Extremus – ალპინიზმი.

„ეს ცხოვრების წესია, რომელშიც მთლიანად ხარ ჩართული;
17 წლის მთაში გაეხდი და...“

მაგრამ, უკვე დიდი სანია, რაც „მიწაზე დაეშვა“, საკუთარ
კომპანიას ხელმძღვანელობს, და, როგორც აღნიშნა,
„მომთაბარე ცხოვრებასაც“ მიჰყო ხელი.

ფოტო: ირაკლი უგულავას პირადი არქივიდან







სიჩეარი / 150 – 200 ჯ/სთ

გოგა არჯევანიძე

„ევროკავშირი“. მძლოლი.
Extremus – ავტორალი.

„პატარაობისას, მამაჩემს დავყვებოდი ხოლმე და
ვეხმარებოდი;
ბავშვობიდან აქ ვარ;
რალიზე პირველად 16 წლის ასაკში გამოვედი;
მას მერე შეჯიბრებზე მუდმივად ვმონანილეობ.“

ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი





სიღრმა / 200 – 300 მეტრი ზღვის დონიდან.

ლიზა ბურნაძე.

ფსიქოლოგი.

ფირმა "Neways Georgia". კონსულტანტი.

Extremus – სპელეოლოგია.

„ჰობია.


აზარტია.


ინტერესია.

ფიზიკური აქტივობაა.

მიწის ქვემოთ, განსაკუთრებით ლამაზია გამჭვირვალე,
ერთუჯრედიანი ჭიები და უთვალო თევზები.“

ფოტო: ლიზა და სოფო ბურნაძის პირადი არქივიდან







სილრავ / ოფიციალური სიცრი 40 მეტრი

არაოფიციალური – 92 მეტრი

სოსო მგელაძე

დიპლომატი.

დაივინგის ცენტრ "PADI"-ს ინსტრუქტორი.


Extremus – დაივინგი.

„2000 წლის 21 აგვისტოს დავიწყე, და მას მერე, ამ თარიღს
ყოველ წელს აღვნიშნავ ხოლმე;
რა არის ეს? – ყველაფერი! ცხოვრების გზა!“

ფოტო: სოსო მგელაძის პირადი არქივიდან







სიმაღლე / 50 მეტრი ზღვის დონიდან.

ირაკლი კორძახია

იურისტი.

საადვოკატო ბიურო „პატარაია და პარტნიორები“.

Extremus – ყინულზე ცოცვა.

„არც ისე დიდი ხანია, რაც ეს საქმიანობა დავიწყე;

ძალიან აზარტულია;

არ არის საშიში;

სტრესული საქმიანობის შემდეგ, მეგობრებთან დროის გატარების და

განტვირთვის საუკეთესო საშუალება“.

ფოტო: ირაკლი კორძახიას პირადი არქივიდან





სიჩეკარი / 20 – 22 ქ/სთ.

მამუკა ნიკოლაძე

გეოლოგი.

„სპელეოლოგიის კაცშირის“ დირექტორი.

Extremus – რაფტინგი.

„კანიონინგი, რაფტინგი, მოტოციკლეტი – მოგზაურობაა; ჩემთვის ვმოგზაურობ და... ეს ექსტრემი აღარ არის – ჩვევაა“.

ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი







სიჩქარე / 250 – 319 კმ/სთ.


ნიკა შავიშვილი

ეკონომისტი.
კონპანია "GBS"-ის გენერალური დირექტორი.
Extremus – მოტოციკლეტი.

„ანტიდეპრესანტია;
კიდევ...
თავისუფლების არანორმალური შეგრძნება“.

ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი







ფრენის სიმაღლე / ? – დამოკიდებულია პარას ნიკალზე

ირაკლი კავანაძე

ინჟინერ-გეოფიზიკოსი.

Extremus – პარაპლანი.

„10 წელია, რაც დავფრინავ.

ეს ექსტრემი არ არის.

დაახლოებით იგივეა, რაც საჭესთან ჯდომა და სიარული.

უბრალოდ, ხალხი ფიქრობს ასე...“

ფოტო: ირაკლი კაბანაძის პირადი არქივიდან





ჩქარა ულა იარო

ავტორი: თამარ სუსიშვილი ფოტო: ლევან ხერხეულიძე, დავით გესესი



შეხვედრა №1. რეპეტიციის შემდეგ: დიდი ბოლოში, ამ წამს დამირეკეს. დღეს არ გამოვა. კიდევ რაღაც კონცერტი შეგვიკვეთეს. გველოდებიან.

ზარი №1. ავტომოპასუხე: თქვენ დაუკავშირდით მაგთი ჯი-ეს-ემს, მობილური ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან.

ზარი №2. ისევ ეს ავტომოპასუხე...

ზარი №3. გავიდა. YES!

შეხვედრა №2. სუხიშვილების საიუბილეო კონცერტის რეპეტიციების დროს. ასე, 20-25 წუთი.

შეხვედრა №3. კონცერტის ნინ.

- რამდენი ბილეთი გინდა?

- ორი.

- და ოთხი რომ იყოს, პრობლემა იქნება?

- :-)

- აი, კონცერტები დამთავრდება და მერე რამდენიც გინდა, იმდენი ვილაპარავოთ. იცი, რა მაგარ ამბებს მოგიყვები?

- ძალიან კარგი.

- მოიცა, შენს ტელეფონს ჩავიწერ. აუ, მობილურში ჩაწერა რომ არ ვიცი? ჩამიწერ?

- არც მე ვიცი. მოდი, ფურცელზე დაგიწერ;

- ჰო, ეგრე რა. ეგრე ჯობია.

კონცერტის შემდეგ: შინ სულ ხტუნვა-ხტუნვითა და ცეკვა-ცეკვით ვბრუნდები, ახალი ენერგიითა და ბევრი ემოციით დამუხტული. დიდხანს მიმუვება ქართული ცეკვის რიტმი და ძალიან ვხალისობ. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, ნინო რამიშვილის მიერ გაკეთებულ შენიშვნაზე, რომელიც არქივში შენახული ვიდეომასალიდან დამამახსოვრდა (კონცერტის მსვლელობის დროს, არქივში შენახული ვიდეომასალაც გვიჩვენეს): რა არის ეს? ხმალი გიჭირავთ თუ ქოლგ? (არადა, წვიმამნაგლება).

ზარი №4. ისევ: მობილური ტელეფონი გამორთულია... (ეტყობა, ტელეფონი გადააგდო). ეე, არადა, რა კარგ პორტრეტს გავაკეთებდი. იქნებ მაინც ვცადო. ის ოცი წუთი ტყუილად ხომ არ გვილაპარაკია.

როგორც ჩანს, სუხიშვილობამაც არ მიშველა. აკი, „ირემი ირემს გაუწვდის ბალახსო“?!...

მაშ ასე, ყველაზე მოუხელთებელი რესპონდენტი.







CV-ს მაგისტრი

ილია სესიშვილი
ქორეოგრაფი
ჰობი:

ბავშვობაში პატარა მანქანებს აგროვებდა.
მისი პროფესია და პოზი ერთმანეთს ემთხვევა.
უკრავს რამდენიმე ინსტრუმენტზე, უფრო სწორად, რო-
გორც თვითონ განმარტავს: „რაღაცებს ვუბარტყუნებ, რაღა-
ცებს ვაჩარუნებ...“

რატომლაც საჭმლის კეთებაც უყვარს, – როცა არ ეზარება,
მაშინ. ყველაფერს აკეთებს, ხილის კოქტეილებით დაწყებული,
სალათებით დამთავრებული. „ექსპერიმენტს ვატარებ, რაღა-
ცებს ვურვევ ერთმანეთში, ზოგჯერ გამოდის, ზოგჯერ - არა.
შეიძლება მე თვითონ არ ვჭამო, მაგრამ კეთების პროცესი
მსიამოვნებს.“

მოსაზრისა-შეხელულებები:

საქმეს პასუხისმგებლობის გამო არ აკეთებს. პასუხისმგებ-
ლობა სამართლებრივი ცნებაა და არცთუ სასიამოვნო ასოცია-
ციებს იწვევს, თითქოს თავისუფლების ხარისხს ამცრობს.

ფიქრობს, რომ ხელოვნებაში პასუხისმგებლობა ხელს უშ-
ლის საქმის კეთებას. „პასუხისმგებლობა თუ გაკეთებინებს, ეს
ნიშნავს, რომ ძალით აკეთებ. მე პასუხისმგებლობის შეგნებით
ცხოვრებაში ნორმალური არაფერი გამიკეთებია.“

ადამიანში ყველაზე მეტად ნდობას აფასებს, ნდობას და ულა-
ლატობას: „რა თქმა უნდა, შეცდომები ცხოვრებაში ყველას
მოდის. პატივება და ბოდიშის მოხდა არავის არ უნდა ეთაკილე-
ბოდეს. მთავარია, ენდო, არ ულალატო და არ გშურდეს. სხვა
ყველაფრის პატივება შეიძლება.“

პირდაპირ ათიანში მოარტყა. მგონი, დღეს ყველაზე მეტად
ნდობა გვჭირდება. აბა, კარგად გავჩერიკოთ ამ ქართული ანდა-
ზის დედააზრი: „კანონმა იკანონოსო, ნდობამ კი იბატონოსო.“



ყველაზე დიდი სურვილი:

„მინდა, რომ ყველა ჩემი ახლობელი და მთელი ჩვენი ქვეყანა იყოს ძალიან კარგად.“ ბევრისაგან განსხვავებით, ეს პოზა არ არის, ეს გულწრფელი სურვილია.

ჰიტ-პარადი:

„ორი ადამიანის ფანი ვარ. მოცარტის და ლეონარდო და ვინ- ჩის. ჩემს ჰიტ-პარადში ორივე პირველ ადგილზეა.“

საყვარელი მუსიკოსები და ჯგუფები:

ბობ მარლი, Cure, Sex Pistols, Depeche Mode.

ჯონია, აქ წერტილი დავსვა. უფრო სწორად, სამ წერტილს დავსვამ... ცოტა დრო გვაძეს. შესვენება მაღლე დამთავრდება და მერე ისევ რეპეტიცია... ერთი, ორი, სამი... დავიწყოთ!

ფრაგმენტული ინტერვიუ

ფრაგმენტული პორტრეტისათვის

„არჩევანი არ მქონია. მინდოდა თუ არა, ამ პორტრეტის ირ- გვლივ მომინია ტრიალი. ბავშვობაში ცოტა კომპლექსებიც მქონდა, რადგან ასეა და ამ ოჯახში დავიძადე, აუცილებლად ეს საქმე უნდა ვაკეთო. ბავშვთა სტუდიაში ვერ დავდოოდი. ზედ- მეტ ყურადღებას მაქცევდნენ მასწავლებლები, ხშირად ტყუი- ლუბრალოდ მაქებდნენ და ამ დროს შეიძლებოდა სხვას უფრო უკეთ ეცეპვა. ეს ფარისევლობა ბევრ უხერხულობას მიექმნი- და.“

ქართული ცეკვის სტუდიაში მხოლოდ რამდენიმე დღე დაჭ- ყო. ოჯახს წინააღმდეგობა არ გაუწევია. „თავიდან მოინდომეს და მიმიყვანეს, მაგრამ ვერ შევეწყვე და ჩემს სიარულს უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ალბათ ქვეცნობიერად ვხვდებოდი, რომ ეს არც მჭირდებოდა. ბებია, ბაბუა, დედა, მამა - ყველანი მოცე- კვავეები იყვნენ და მათზე უკეთესად ვინ მასწავლიდა? რეპეტი- ციებზე სულ თან დამატარებდნენ. თუმცა მოგზაურობებში ვერ დავდიოდი, მთელ ოჯახს არ უშვებდნენ, არ შეიძლებოდა. დღეს







ჩემი შვილიც ამ გარემოში იზრდება. არაფერს ვაძალებ, არც სტუდიაში მიმიყვანია: გინდა თუ არა, იარე-მეთქი, მაგრამ ცე-კვავს თავისითვის. მერე როგორც ესიამოვნება, ისე მოიქცეს.“

ილიკო 12 წლის იყო, როცა პირველად წავიდა გასტროლებზე, უნგრეთში და სცენაზე გამოვიდა...

რაღაცნაირად გაურბოდა ქართულ ცეკვას. მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ აუარა გვერდი. შემდეგი ეტაპი ანდერგრაუნდი იყო. მაშინ ქუჩის ცეკვები, თავის დროზე უზომოდ პოპულარული ბრეიკ-დანსი და ეგეთები, ძალიან ახალი და მიმზიდველი ჩანდა. ყველაფერი ქუჩის ცეკვებიდან დაიწყო: ახალი ინტერესები, ახალი კონტაქტები... ამას მოჰყვა მოსკოვი. მოსკოვში ბევრი თანამოაზრე გაიჩინა.

„იქ მეტი თავისუფლება იყო. ხალხიც ამ ახალგაზრდულ გატაცებებს უფრო ადეკვატურად აღიქვამდა. თუმცა საკლუბო ცხოვრება მაინცდამაინც არც მოსკოვში დუღდა იმ დროს. სამაგიეროდ, სარდაფული ცხოვრება ყვაოდა.“

ამ სარდაფებში იმართებოდა „ტუსოვკები“, საუბრები ხელოვნებაზე, პერფორმანსები, აქციები... მოკლედ, მოგეხსენებათ, როგორც იყო 80-იან წლებში.

მას შემდეგ მოსკოვში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს ტრადიცია დარჩა. აპრატზე 1 აპრილს პერფორმანსის ნამდვილი ზეიმია ხოლმე. ისევ იკრიბებიან ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები-დან. ილიკოც არ ტოვებს ხოლმე 1 აპრილს, თუ გასტროლებზე არაა.

უბრალოდ, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ის დრო, როცა მოცეკვები თავიანთი გამოსვლებით მაგნიტოფონის „ბატა-რეიკებისა“ და ლუდის ფულს აგროვებდნენ, დამთავრდა...

მოსკოვურმა თავგადასავლებმა ბევრი რამ შეცვალა. მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დადგა, – გააცნობიერა, რომ დამოუკიდებლად შეუძლია ცხოვრება....

„მივხვდი, რომ შემიძლია რაღაცის კეთება და საკუთარი თავის რჩენა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თურმე მარტო ჩემს ქვეყანაში კი არა, უცხო ქვეყანაშიც შემიძლია ცხოვრება და მუშაობა. პროფესია ვიპოვე და დავმშვიდდი.“

საქართველოში არეულობა იყო. თბილისში, ბელინსკის ქუჩაზე, ახალი თეატრი გამოჩნდა. ახალგაზრდების იდეა პლასტიკის თეატრის შექმნა იყო. დასი, ფაქტობრივად, ქუჩიდან მოსული ხალხით შეივსო. პროფესიონალები არ ყოფილან. ცოტა ხანს იმუშავეს. მერე დაიშალნენ. წარმოდგენა ფირზე დაფიქსირდა. მერე ეს ფილმი ილიკო სუხიშვილმა სადიპლომო ნამუშევრის-თვის გამოიყენა. მიაჩინა, რომ პლასტიკის თეატრის პროექტი მისთვის პირველი სერიოზული და სარწმუნო მცდელობა იყო, – რომ რაღაცის გამოტანა და ჩვენება უკვე შეეძლო....

მანამდე?

„მანამდე ბევრი მაიმუნობა იყო. ნებისმიერი არტი, ფოტოთი დაწყებული, ვიდეოარტით დამთავრებული.“ იყო პროტესტი,



ანდერგრაუნდის ფორმით გამოხატული, და ეს ანდერგრაუნდული ცხოვრება კარგა დიდხანს გაგრძელდა - იმ დროშიც კი, როცა უკვე ამას აღარავის უშლიდნენ; როცა უკვე შეგძლო, რაც გინდოდა, ის გეკეთებინა: „ძლივს გამოვდერი აქედან.“ სადღაც გულის სილრმეში მაინც დარჩა ანდერგრაუნდი. „ჩემს თაობას სადღაც შინაგანად დარჩენილი აქვს ეგ. ვისაც „უპანკია“, „უპიპია“, კარგად იცის, რომ ეს მნიშვნელოვანი რამეა... ამას ველარ ამოშლი. მაშინ, დღევანდელი გაგებით, „თიზეიჯე-რობა“ არ იყო.“

თავიდან ჰიპობდა, მერე პანკობდა. სიტუაციების შესაბამისად. „ეს ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ამას დრო, გონება, სულიერი მდგომარეობა მოითხოვდა...“ სულიერი მდგომარეობის შესაბამისად იცვლებოდა მუსიკალური გემოვნება, ჩაცმის სტილი, ცხოვრებისეულ სტილზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

„არ ვფიქრობ, რომ ეს მაინცდამაინც პროტესტი იყო და არც რევოლუციების მოხდენაზე მიფიქრია. უბრალოდ, ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობდი თავს.“

„თუმცა, ვერ ვატყვი, რომ რევოლუციური ბუნების არ ვარ. პოლიტიკურ რევოლუციებს არ ვგულისხმობ. ხელოვნებაში ნებისმიერი სიახლეც ხომ რევოლუციაა. რა მასშტაბი ექნება ამ რევოლუციას, ამას არა აქვს მნიშვნელობა.“

პროტესტის გრძნობა დღესაც ხშირად უწინდება. განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც სულ გამორჩენაზეა: „როდესაც ხედავ, რომ ადამიანი მარტო იმიტომ არის შენთან, რომ რაღაცაში სჭირდები, ამაზე მეტად არაფერი მაღიზიანებს. საშინელი ეგოიზმია, ძალიან რბილად რომ ვთქვათ.“

სხოვრების სტილი: „ბაიკერი“

მოტოციკლეტი ჰიპი არ არის. ეს, უბრალოდ, ტრანსპორტია („ტაქსისტისთვის მანქანა ჰიპი ხომ არ არის?“) და კიდევ ცხოვრების სტილია. ბევრი მეგობარი ჰყავს, ვინც მოტოციკლეტებით არის გატაცებული. ზოგჯერ იკრიბებიან და ქალაქიდან გადიან ხოლმე. მათთან თავს განსაკუთრებით მშვიდად გრძნობს. „ბაიკერებს შორის სხვაგვარი დამოკიდებულებაა. საკმარისია გვერდზე ჩაგიაროს, და რომც არ იცნობდე, უკვე იცი, რომ ის შენი მეგობარია. თუ დაგინახა, რომ გიფრის, მაშინვე დახმარებას შემოგთავაზებს. იმიტომ კი არა, რომ ასეთი წესია, უბრალოდ, ეს მისი სურვილია...“

დღე ყველაზე გვიან 9 საათზე იწყება. ზოგჯერ უფრო ადრეც. არ საუზმობს (და კიდევ, მობილურის ჩართვაც ავიწყდება). სახლიდან გადის. მარშრუტი ასეთია: ჯერ რეპეტიცია, მერე - მეგობრები. ამოჩემებული კლუბები თუ ბარები არა აქვს. როგორც წესი, მეგობრები მის სახლში იკრიბებიან - წყნეთში. მუსიკას უსმენენ. „რაც გაკეთებული გვაქვს, იმას ვარჩევთ. კიდევ ძალიან უყვარს ტელევიზორის ყურება - „ოლონდ გადართვებით“.

შეძლებისდაგვარად ცდილობს, იყოს საკუთარი თავის მაყურებელი. ცეკვის დაღგმის დროს ფიქრობს, - კონცერტზე რომ მივიდე, რა მომენტებოდაო.







„მაშინ ალბათ 5-6 წლის ვიყავი. ბაბუაჩემი შეკრებდა ხოლმე მთელ ანსამბლს. გამომიყანდა, დაუკარითო - და მაცევებდა. არცერთ კონცერტზე არ მინერვიულია ისე, როგორც მაშინ. წარმოვიდგენდი, რომ უამრავი ხალხი მიყურებს. ვერ ავხსნი, რა გრძნობა იყო ეს - მორიდების, ნერვიულობის, პასუხისმგებლობის თუ კიდევ რისი. ალბათ ამ ყველაფრის ნაზავი. არადა, პრინციპში, ეს ოჯახურ გარემოში ხდებოდა, სარეპეტიციოში. მერე მივხედი, თვითონ სიამოვნებდა ძალიან. შვილიშვილი ვიყავი და თანაც სეხნია.“

უკვე 5 წელია, რაც შემსრულებლის სტატუსით აღარ გამოსულა. მოცეკვავისთვის ეს საკმაოდ დიდი დროა. თუ შეეკითხები, შენთვის ცეკვა რას ნიშნავსო, სიცილით გიპასუხებს - ყოველ შემთხვევაში, ცეკვა-თამაშს (გართობას) - არა. ჩემთვის ეს ტანჯვა, წამება და საშინელი შრომაა, მაგრამ სხვისთვის - სანახაობა, დასვენება და სიამოვნებათ. თუმცა ეს საშინელი შრომაც სიამოვნების მომგვრელია - „როცა უკვე რაღაც გამოგდის, როცა ახალი კომპოზიცია მზადდება, როცა ყველაფერი უკვე რაღაცას ემსგავსება, მიხარია, კმაყოფილების გრძნობა მეუფლება. მაგრამ თვითონ პროცესია მძიმე. დილით დგები, 120 კაცი რეპეტიციაზე გელოდება, ყვირი, ხმა გეხლიჩება, იძაბები...“

ამ დაძაბულობის მოხსნა ისევ ცეკვით შეიძლება. ცეკვა ხომ ყველანაირ სტრესს გიხსნის (ისევე, როგორც მუსიკა), ტრანსში გადიხარ. „ხანდახან მეხუმრებიან ხოლმე: რის ქვეშ ხარო? არა-ფრის ქვეშ არა ვარ, ჩემს განცდებს გამოვხატავ.“

ერთი ძველი ფილმი მახსენდება. ბალტიისპირეთის რომელი-ლაც ქალაქის კათოლიკური ეკლესიიდან ორლანის ხმა გამოდის. იქვე ვიღაც ჩამჯდარა და ტირის. რა გაფირებსო? - ეკითხებიან. გაკვირვებული პასუხი: - ეს ხომ იოპან სებასტიან ბახია...

„იცი, რა არის ყველაზე მაგარი? სიბნელეში უნდა იცეკვო, არაფერი არ უნდა ჩანდეს, ხელში ორი სიგარეტი უნდა გეჭიროს. ხელების ქნევისას ჩნდება ხაზები, ხელები უნდა ამოძრაო, თი-თქოს ხატავ, და ნახატი ძალიანაც არ უნდა გადატვირთო. აზრზე ხარ? ხელის მოძრაობას მერე ფეხიც მიჰყვება. მაგრამ ახალ მოძრაობას რომ ინყებ, ძველი მოძრაობის მონახაზი ჰაერში რჩება და შენ ისევ აგრძელებ...“

„მერე მოხვალ, 120 კაცთან დადგები და...“

ეს 120 კაცი ერთი ოჯახივითა, სუხიშვილების ოჯახივით. ქართველ მოცეკვავეთა მთელი ასოციაციაა. „ხშირად სუმრობენ ხოლმე მოცეკვავები, გვარები უნდა გადავიკეთოთო. ყველანაირად ვუგებთ ერთმანეთს, გვერდში ვუდგავართ. სასიამოვნოა. ჩვენს ერთიანობაში ჩვენი ძალა იგრძნობა და ეს ძალა გვაკეთებინებს საქმეს.“

როგორც ქორეოგრაფი, ყოველთვის ფიქრობს იმაზე, რომ დადგმული ცეკვის ნახაზიც, ილეთიც ისეთი მორგებული იყოს, რომ მოცეკვავეს თვითონაც მოენონოს, სიამოვნება მიიღოს თავისი შესრულებით, არ დაბრკოლდეს, არ დაიძაბოს. „ცეკვის დროს დალლა არ იგრძნობა. სცენიდან რომ გახვალ, მერე გრძნობ. იცით, როგორი რაღაცები მომხდარა? – ხანჯალი მოხვე-

დრიათ, თითიც წაუჭრიათ, ლურსმანზეც დაუბიჯებიათ და ვერ უგრძვნიათ. თუ ბოლომდე ამ საქმეში ხარ, დისკომფორტს ვერ გრძნობ. დარბაზიდანაც იმდენად დიდი ენერგია მოდის, რაღაც თავისებურ ტრანსშია გასული. ეს გავიარე, მე თვითონ მაქვს განცდილი. ბევრჯერ ჩემი მეგობრებიც - ჩემი ოჯახის წევრებიც გრძნობენ ამას და ხშირად მეუბნებიან ხოლმე: რაღაც მოდის, რაც გვაცეკვებსო. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ თვითონაც სიამოვნებას იღებენ.“

ეს მუხტი ყველაზე ძლიერად მაშინ მულავნდება, როცა რაღაც ახალი იქმნება: „იმას, რაც ჩაფიქრებული მაქვს, ბოლომდე რომ მივიყვან, ეს უკვე დიდი იმპულსია რაიმე ახლის დასაწყებად...“

მერე ყველაფერი თავიდან იწყება. მთავარია, ამ დაწყების მოხოვნილება გქონდეს. „მთავარია, შენს საქმეში თავისუფალი იყო. მუდამ უნდა იწყებდე და თავისუფლდებოდე იმისგან, რაც განუხებს, გამძიმებს. მთავარია, რომ მართლა განუხებდეს ეს რაღაც და მართლა გამძიმებდეს. თავისუფლება ის კი არ არის, რომ შენი სურვილები შეისრულო ხოლმე. შეიძლება ბევრ რაცაცაზე უარი თქვა, მაგრამ თავისუფალი იყო...“



„ზოგჯერ გამეღვიძება დილის ოთხ საათზე. ჯერ კიდევ პინდია. ჩავდივარ ეზოში, ვჯდები მოტოციკლეტზე, ჩავრთავ მოცარტს, ვქოქავ და... რა კარგია, იცი? ჩქარა უნდა იარო...“

ამჯერად დროა აღარ გვეყო, პირად ცხოვრებაზე და ახლობელ-მეგობრებზე რომ გვესაუბრა. მგონი, ძალიან გულგახსნილიც არ უნდა იყოს. ვერც ვერაფერს იტყვი. ეს მისი პირადი ცხოვრებაა, მისი საიდუმლოებაა - მისი ტკივილი და სიხარული და სულაც არ არის აუცილებელი, ამ პირადში ვინმებმ ცხვირი ჩაყოს.

ისე, მის შვილს დარია ჰქევია და რვა წლისაა.





თრთი ქალის ბევრი კონტრიცი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ეს გახლავთ წესტან ნიუარაძე, თბილისელი თუ პარიზელი – ეს უკვე ძნელი სათქმელია – ქალი, რომელსაც თავისი ცხოვრების განმავლობაში, უკვე მრავალ შესანიშნავ ხელოვანთან მოუნია შეხვედრა. ეს შეხვედრები პორტრეტებში აისახა, რომელთა შექმნის შესახებაც ჟურნალისტი, ფოტოკრიტიკოსი, ფოტომცოდნე და სულ მაღლ დოკუმენტალისტი წესტან ნიუარაძე პატარა წალკოტში – თავისი სახლის აივანზე მოგვიყვა.

ეს ფოტოსურათი 2002 წელსაა გადაღებული. ჩვენთან მისი ავტორის შესახებ ბევრმა არ იცის. არადა, პარიზში ძალიან პოპულარულია და ახლა უკვე ამერიკაშიც აღიარეს. დაიმახსოვრეთ მისი სახელი – კრისტინ პოტერი, ამერიკული ულტრათანამედროვე ფოტოგრაფიის უაღრესად საინტერესო წარმომადგენელი. დარწმუნებული ვარ, ის სულ მაღლ ძალიან ცნობილი გახდება.

კრისტინ პოტერი, ამერიკელი ფოტოგრაფი, ფაქტობრივად, გამოექცა ამერიკას, მე იმ ამერიკაში არ მინდა ცხოვრებაო. წამოვიდა პარიზში, იქვე მუშაობდა, და სწორედ აქ შექმნა საკმაოდ საინტერესო პროექტი, რომელსაც ერქვა „ქალები თავით გარემოში“. ეს სერია, რომელზეც კრისტინა ხანგრძლივად მუშაობდა – პარიზში გატარებული ორივე წელი – შემდეგ გამოიფინა კიდევ პარიზის ერთ-ერთ პრესტიულ გალერეაში, „797“.

სწორედ ამ სერიაზე მუშაობდა, როცა შევხვდით, შემდეგ დაგვეგობრდით და ფილმიც გავაკეთეთ ერთად. ფილმი მთლიანად ფოტოებზე ავაგეთ, მხოლოდ რამდენიმე სცენაში იყო ჩართული ვიდეოგამოსახულება. პატარა ჯგუფი ვმუშაობდით – კრისტინა, კიდევ ერთი ამერიკელი რეჟისორი, მე... ძალიან ვმეგობრობდით და ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობაც ძალიან მჭიდრო იყო.

ეს ფოტოც იმსანადა გადაღებული. სერიაში ის იმიტომ მოხვდა, რომ იმ დროს ეს მართლაც ჩემი გარემო იყო – მატარებელი, სადგური... უურნალისტების ფონდში ვმუშაობდი (ის ალარ არსებობს, დაიხურა), და ამიტომ ხშირად მიწევდა მოგზაურობა, პარიზიდან გასვლა და დაბრუნება, და სულ სადგურში ვიყავი ან მატარებელში. აქ იტალიაში, ვენეციაში მივემგზაურები, პროსტიტუციის შესახებ რეპორტაჟის გასაკეთებლად. იტალიაში პროსტიტუციის შესახებ ბეერს არ ვილაპარაკებ, გამაფრთხილეს, შეიძლება ცემენტში ჩაგაყოლონო. ეს ფოტო მერე ფილმშიც გამოვიყენეთ.

კრისტინი შემდგომ შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, იელის უნივერსტიტეტში მიიღო მიწვევა, ფოტოგრაფიის განხრით – საბუთები გაგზავნა და უმაღვე მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არაერთი წელი მუშაობდა და დამოუკიდებელი ფოტოგრაფი იყო, მაგრამ იელი ხომ მაინც სხვაა.



იური ლობოდინისეული ფოტოპორტრეტი სრული შემთხვევითობაა. გაზეთ „24 საათის“ რედაქციაში, ფოტოგრაფების ოთახში ვიჯექი – არც განათება, არც არაფერი. მეორე დღეს საფრანგეთში უნდა წავსულიყავი, მაშინ კანის ფესტივალზე ვიყავი აკრედიტებული. ციფრული კამერით მუშაობა ჯერ არ ვიცოდი და იურა მიხსნიდა, რა ღილაკისთვის უნდა დამეჭირა, გადაღებული მასალა როგორ უნდა გამომეგზავნა... რომ დავამთავრეთ, სიგარეტის მოსაწევად დავსხედით, იურამ აიღო კამერა – ჩსაკ! და მერე ლევან ხერხეულიძემ მითხრა, შენ არ იცი, იურამ რა პორტრეტი გააკეთაო...



ჯონ სტიუარტი – ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, დიდი მოვლენა იყო. ჯონ სტიუარტი ინგლისელი ფოტოგრაფია, თუმცა უკვე დიდი ხანია, პარიზში ცხოვრობს. თავისითავადაც ძალიან საინტერესო პერსონაჟია, ისეთი, არქაული რომ ეთქმის: ანრი კარტიე-ბრესონის მეგობარი, თავადაც უკვე 84 წლისა, ომგამოვლილი, იაპონელების ტყვეობიდან გამოქცეული – საოცარ ამბებს ჰყვება! 50-იანი წლების ბოლოს, ის ნიუ იორქში დაფუძნდა, 60-იანების დასაწყისში კი მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო რუს ებრაელ ბროდოვიჩთან, რასაც "Harper's Bazaar"-ის ბუმი მოჰყვა. ახლა ის პარიზში ცხოვრობს, თუმცა თავად ლონდონელია.

აი, ასეთი კაცია ჯონ სტიუარტი. ასაკი არ ანუხებს და დღე-საც შეუძლია ერთი თვით წავიდეს წეპალში, სადლაც, მიგდებულ სოფელში, ჭამოს ბრინჯი და დანარჩენ სამყაროს არ მიეკაროს – მხოლოდ იმასთან იყოს, რაც იქ ხვდება. ამავე დროს, დიდად სწობი ბრძანდება, როგორც კი პარიზში ან ლონდონში ბრუნდება, იმავე საღამოს უნდა ივახშმოს madamme ვილაცასთან ერთად.

ჩვენი შეხვედრა დიდი მეგობრობის დასაწყისი აღმოჩნდა. მან მთხოვა, შენი რამდენიმე პორტრეტის გაკეთება მინდაო. ბუნებრივია, ძალიან გამეხარდა. მითხრა, მოდი, უბრალოდ, ჯერ ერთად ვივახშმოთ და დავილაპარაკოთ, პორტრეტი მოვამზადოთ, მე გეტყვი, მე რას ვხედავ, შენ მეტყვი, შენ როგორ წარმოგიდგენიაო.

მივედი მასთან სენ ჟერმენზე, ძალიან ბევრი ვისაუბრეთ, ისე შევყევით საუბარს, რომ მუშაობა უკვე უადგილოც იქნებოდა. გვიან კი – უკვე ვემშვიდობებოდი, გავდიოდი, პალტოც ჩავიცვი, და მან მითხრა: ერთი წუთი გაჩერდი, მხოლოდ ერთი წუთი. ჩამოიტანა კამერა, განათება არ ჰქონდა, უბრალოდ, რაღაც ღამის ნათურა აანთო და – ეს ფოტო კარებშია გადაღებული.

ეს ჩემი ცხოვრების ძალიან დატვირთული პერიოდი იყო, ბევრი რამ ხდებოდა, და ფოტო სწორედ ამის სახეა. ავტორს თავად შეეშინდა, როცა ასეთი პორტრეტი დაინახა, შავი და საკმაოდ მძიმე, მაგრამ ეს იყო ის, რაც მე მქონდა, ის მდგომარეობა, რომელშიც მე ვცხოვრობდი.



ედუარდო დი ბაძი, წარმოშობით იტალიელი ფოტოგრაფი, უკვე მრავალი წელია, პარიზში ცხოვრობს. საქართველოში იყო ნამყოფი და როცა გაიგო, რომ თბილისელი ვარ და პარიზში ვიმყოფები, ძალიან სთხოვა ჩვენს საერთო მეგობარს, უბრალოდ, შემახვედრე, საქართველოში გადალებულ ფოტოებს ვაჩვენებ და დაველაპარაკებიო.

შეხვედრა, რასაკვირველია, დამთავრდა კითხვით: შეიძლება პორტრეტები გავაკეთო? რასაკვირველია, დავთანხმდი, თან სიამოვნებით. სურათები სახელდახელოდ გადავიღეთ მისსავე სახლში მოწყობილ სტუდიაში – ის ძალიან ბევრს მუშაობს, პორტრეტებს იღებს. სასაცილო ისაა, რომ ამ უჩვეულო პორტრეტების გადაღებისას, სრულიად სხვა, მოულოდნელ თემებს ვეხებოდით, მაგალითად, ის სვანეთში მოგზაურობის ამბებს მიყვებოდა. ამ ფონზეა გადაღებული ეს პორტრეტიც. მარწმუნებდა: “მე აუცილებლად კვლავ უნდა დავბრუნდე საქართველოში”.



გურამ წიბახაშვილის და ჩემი ურთიერთობა ძალიან ბევრი წლის ამბავია. დროდადრო რაღაცას ერთად ვაკეთებთ ხოლმე. ეს არის ფოტოსურათები იმ ციკლიდან, რომლებიც გურამმა “ნილბებში” გააქრთიანა. ამ სერიაში ჩემი რა-მდენიმე პორტრეტი აქვს გაკეთებული, ეს ბოლოა, 2004 წელს გადაღებული.

მასთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა, ძალიან მარტივი. სულ ისეთი გრძნობაა, რომ მუშაობისას არაფერს გა-ვალებს, შენგან არაფერი უნდა იმიტომ, რომ თვითონ ზუსტად იცის, რა უნდა – და ყოველთვის ის გამოსდის, რაც უნდა. შესანიშნავი მანერაა – არ გაწვალოს, არ დაგლალოს, არ გაგაგიჟოს...



იუსტინა მელნიკევიჩი ორი წლის წინათ გავიცანი, როცა პარიზიდან თბილისში დავბრუნდი. ჩემთვის ეს რთული პროცესი იყო, ძალიან მძაფრად განვიცადე აქ ჩამოსვლა. იუსტინა ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ორი თვის განმავლობაში არ ვერიდებოდი. პოლონელი ფოტოგრაფია და საქართველოში დასახლდა, ზემო ვერაზე. დაგმეგობრდით და ერთად მუშაობა დავწყეთ, დიდი სიამოვნება იყო მასთან ერთად რამის კეთება. ასეთი რამ მოვიფიქრე: მოდი, რეპორტაჟების ციკლი შევთავაზოთ გაზეთ „24 საათის“. ჩემთვის გამოსავალი იყო ასეთი რამის დაწყება, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ორი წლის უნახავ თბილისში ყოფნა ჩემთვის შოკი იყო. ვიფიქრე, დაბრუნების საუკეთესო გზა მწარე სინამდვილის სიღრმეში შესვლა იქნებოდა. იუსტინა სწორედ მწვავე სოციალურ საკითხებს ეხება ყოველთვის, მე კი ნაკლებად მქონდა ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება.

იმის გამო, რომ იუსტინა ფოტოგრაფია და სხვანაირად არც შეუძლია, ციკლზე მუშაობისას, დროდრო ჩემს პორტრეტებსაც იღებდა, რომელიც ნათელი სახეა იმისა, თუ რა ხდებოდა იმსანად ჩემს თავს.

იუსტინა, უპირველეს ყოვლისა, უურნალისტია, თუმცა პორტრეტებიც საუკეთესო გამოსდის. სულ სხვა ხედგა აქვს, იმის უნარი, რომ ადამიანი დაინახოს და უცბად იგრძნოს, ვისთან აქვს საქმე.

...თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, ნესტან ნიუარაძის კიდევ ერთი პორტრეტი უნდა მეჩვენებინა თქვენთვის, თომას დვორუჟავის მიერ გადაღებული. სამწუხაროდ, ორიგინალის მოსაპოვებლად თომასს ვერ მივაკვლიეთ – მოუსვენარი კაცი, არავინ იცის, სად მოგზაურობს, რომელ უბედურებას იღებს... ხოლო „მაგნუმ მაგნუმ“ წარწერით დამშვენებულ ფოტოს ნამდვილად ვერ დავბეჭდავდით – სხვა თუ არაფერი, „ცხელ შოკოლადს“ არ გვეკადრება.

ლიოთონ 1000®[®] გელი

ნეიკ-ნეიკ
რეზის
სიმსარტვისა
და სილადმაზესაკუთხის!

- ესნის შეშუპებას და სიმძიმის შეგრძნებას ქვემო კიდურებში
- ეფექტურია ვარიკოზული დავადების დროს
- ამსუბუქებს ტკივილს ტრავმისა და დაუცუილობის დროს



გეობის-ცენტრი
მენარინი

საქართველოს სს ბერლინ-ცემი,
ნარმომადგენლობა თბილისში
ყაზბეგის გამზ. 10, №6 თბილისი,
ტელ.: 250597, ფაქს: 381560
ელ. ფოსტა: geobc@access.sanet.ge

ერთხელ დიზაინის მარი ქვეწის ჰერთხეს:

- მოკლე კაბის ტრადიცია ხომ თქვენი მაშვეობით გახდა პოპულარული?
- რას ბრძანებთ, - იყო პასუხი, - არც მა და არც ადრე კურაზი... მოკლე კაბა, ეუჩაში მოსიარული რიგითმა გოგონება აკციებს მოდალ.

მარე ერთმა მცირალმა თქვა: ყველა კაბის ევეშ ერთი და იგივე საილუსტრო იგალიბაო.

ავტორი: ნინო კვირიკაძე ფოტო: ლევან ხერხეულიძე



მოკლე კაბით მოდი!

მისი სკოპ-აროებზე მოვიფიქროთ, სალაშ სხვალასხვა პროფესიის და ასაკის
გოგონები მოკლე კაბებში გადავიღოთ, მათივე კომენტარებიც დავუჩთათ და
გამოვიდა – მოკლე კაბა, როგორც:

პროფესიის გამოაღინარე გარდაუვალი უნიფორმა; ყურადღების მისავის
საშუალება; თავისუფლების შეგრძნება; გაგელული ნაბიჯი; იღეალური სტილი;
ეროტიკულობის სიმარტო; ინტრიგა; ეალის ყველაზე წარმატებული სავიზიონ
ბარათი.

მოკლე, მოკლე კაბა.

MIDI MICRO SKIRT MAXI



200 - 300 აა-ით აუსტ ზემოთ



2005 წელს სააგენტო „ამსასა“ და ქალთა კლუბ „მეტების“ მიერ მოწყობილი ახალგაზრდა დიზაინერთა კონკურსის გამარჯვებული ლელა ელოშვილი ლონდონის სან მარტინის კოლეჯში ორთვიან სტაუირებას გაიცლის. 2006 წლის ივნისში კი, პარიზში ახალგაზრდა დიზაინერთა საერთაშორისო კონკურსი გაიმართება, სადაც ლელა საქართველოს წარმოადგენს.

რაც შეეხება მოკლე კაბას, ახალგაზრდა დიზაინერი თვლის, რომ ეს არის ინტრიგა და, იმავდროულად, ერთ-ტიული და საინტერესო, როგორც ქალისთვის, ისე მამაკაცისთვის.

„ჩვენთან ხშირად ვერ ნახავთ მოკლე კაბას. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასეა. თუმცა ნინათ, ჩვენი დედების დროს, მოდის ისტორიაში ყველაზე მეტი მოკლე კაბა მაშინ ეცვათ. თუ კაბის ეს სიგრძე იმ პერიოდში მისაღები იყო, ახლა მით უმეტეს, უხერხულობის განცდას არ უნდა ქმნიდეს. ამისთვის ალბათ დიზაინერების მიერ ტენდენციების განსაზღვრაა საჭირო. ამას მომხმარებელი, როგორც წესი, აიტაცებს ხოლმე.

ვფიქრობ, მომავალ წელს ჩემს კოლექციაში მოკლე კაბა აქტუალური იქნება.“





„კინოში გმირის კოსტიუმი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. მან, კონცეპტუალურად, სიმბოლურად თუ სხვა აქცენტით, გმირის ხასიათი უნდა გაამართლოს. ის დრამატურგის ნანილი ხდება.

მოკლე კაბა იდეალური მოდელია. ამ თარგს, ასოციაციური თვალსაზრისით, პირდაპირ ქალთან მიყავსარ.

ფელინისთან მოკლე კაბას კახების შემთხვევაში ვხვდებით. ანტონიონისთან ეს, ვთქვათ, პაემანზე მისული ქალის სავიზიტო ბარათია. კასავეტესთან – „ურთიერთობების განმსაზღვრელი.

ერთი სიტყვით, მრავალი წლის მანძილზე, ერთი რამ გამოიკვეთა: მნიშვნელობა არ აქვს არც ფერს და არც მატერიას... მოკლე კაბა ყურადღების ცენტრში მოქცევის ასპროცენტიანი გარანტია.“





14 წლის საქართველოს ჩემპიონი თექვსმეტ წლამდე გოგონათა შორის; მომხიბვლელი ჩოგბურთელი; თურქეთის, დუბაის და ისრაელის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც საფრანგეთში გაიმართა, ოქსანა ევროპის გაერთიანებულ გუნდში მოხვდა. დღევანდელი მონაცემებით, თოთხმეტი წლის წარმატებული ჩოგბურთელი ევროპაში თექვსმეტი წლის ასაკის მოთამაშეთა შორის მე-12 ნომერს იკავებს.

ოქსანა კალაშიძე უპირატესობას ჯინსებს და სპორტულ სამოსს ანიჭებს. რაც შეეხება ჩოგბურთის კბას, ეს „ადიდასი“ და „ნაიკი“-ა. ფერს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, სხეულს სათანადოდ ერგებოდეს.

მისთვის, ისევე როგორც ბევრისთვის, ყველაზე მოდურ ჩოგბურთელად პოპულარობის ზენიტში მყოფი ირინა შარაპოვა რჩება.





„ახლა მოდა ისეთი თავისუფალი და გახსნილია... მოკლე კაბა ყველას უყვარს, მოსახერხებელი და ლამაზია. ამის-თვის, მგონი, იდეალური სხეულის მოყვანილობა სულაც არ არის საჭირო.

ჩემს თაობაში იშვიათად აცვიათ. მოკლე კაბის ჩაცმი-სას, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა მიანიჭო სიამო-ვნება, შემდეგ – ირგვლივ მყოფებს.

ზაფხულში სულ მოკლე კაბა მაცვია, ზამთარში კი – რაღაც განსაკუთრებულ დღეს უკავშირდება.

ფერი?

ვფიქრობ, კოკო შანელის ლეგენდარული მოკლე, შავი კაბა ყველაზე ელეგანტური და განსაკუთრებულია.“





„მოკლე კაბა ჩემთვის მრავალფეროვნების გამოხატველი სამოსია. უფრო მეტი მოკლე კაბა მაქვს, ვიდრე გრძელი. არ ვგულისხმობ მინის. უბრალოდ, მუხლი... ოდნავ ჩანს. დაკვრის დროს მისახერხებელია. როცა ჩოგბურთზე დავდოდი, იქ, შესაბამისად, ძალიან მოკლე კაბა მეცვა. განსაკუთრებული კომპლიმენტები? ეს, ალბათ, მაინც საზაფხულო მოკლე კაბას ახლავს თან.“





„მოკლე კაბა ინდივიდუალობის და სითამამის გამომხატველია, რაც გადაწყვეტილების მიღებაზე, თავისთავად, პოზიტიურ გავლენას ახდენს. ეს ჩემს შემთხვევაში არსებითია. საერთოდ, თუ ბიზნესის მენეჯმენტზე ვსაუბრობთ, აქ მთავარი სითამამეა, გადაწყვეტილება კი – ახალი და ცოტაც შემოქმედებითი უნდა იყოს.

ასე რომ, ყველა შემთხვევაში, მოკლე კაბა ეს არის სივრცე დიდი ნაბიჯისათვის და... მოძრაობის თავისუფლება....“





„აფრიკაში მოკლე ქვედაბოლო ძალიან პოპულარულია. რაც მთავარია, ტანის მოყვანილობა, მაღალი ფეხები და კანის ფერი გოგონებს ამაში ხელს უწყობს.

გვაქვს განსაკუთრებული აფრიკული სამოსი – პანუ. ეს არის სის ქერქისაგან დამზადებული მოკლე ქვედაბოლო, რომელსაც დღესასწაულებზე ვიცვამთ ხოლმე.“





„ავიაციის ფერებია ცისფერი და ლურჯი. შესაბამისად, მთელი მსოფლიოს ავია-ფორმებში ეს ფერები და ტონა-ლობები დომინირებს. თუმცა რადიკალური გამონაკლისებიც არსებობს, რაც დიდ ეფექტს ახდენს აეროდრომზეც და თვითმფრინავშიც.“

ვთვლი, რომ, ზოგადად, მოკლე კაბა ქალის იდეალური სამოსია და თუკი ფიზიკური მონაცემები ხელს გინყობს, აუცილებლად უნდა ატარო. აქ ქალურობის და სინატი-ფის შტრიხებია ხაზგასმული.


ჩემს შემთხვევაში, როცა პროფესია კარგად გაქვს გააზრებული, იმ შტრიხებს და ხასიათს იჭერ, რასაც თა-მაშის წესი მოითხოვს. ცხოვრება თამაშია, ბორტგამყო-ლის პროფესიაც თამაშია: იღიმი, თავს იკატუნებ, ვიღა-ცას აწყნარებ...

თუ საკუთარ თავს განაწყობ და გაითავისებ, რომ ბორ-ტგამცილებელი ხარ და მგზავრისთვის შენი გარეგნობა მისაღები უნდა იყოს, შენი ფორმა შენვე მოგანიჭებს სია-მოვნებას.“





every relation has







...its own ideology

COMMUNISM

ანა კორპაია-საალაშვილი





სირიტა: SYSTEM DECLARATION

დასაცყისი

ძვირფასო მკითხველო! თუკი იმდენად ახალგაზრდა ბრძან-დები, რომ 80-იანი წლების საქართველო არ გახსოვს, გიამ-ბობ, ხოლო თუ ოდესმე მაინც საბჭოთა კავშირის მოქალაქე ყოფილხარ, გაგახსენებ, რომ ეს დიდი სტაგნაციის პერიოდი იყო. ჩემი ნაამბობის გმირის, მხატვარ ილია ზაუტაშვილის თქმით, ეს სტაგნაცია არამარტო სისტემაზე, არამედ მთელს საზოგადოებასა და მის ცალკეულ წევრებზეც ვრცელდებო-და. ისინი, ვინც დასავლეთის ქვეყნებში გაქცევას არ გეგმა-ვდნენ, უბრალოდ შეეგუენ იმას, რაც ჰქონდათ, და თუმცა გრძნობდნენ, რომ ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გასტანდა, მაინცდამაინც ენთუზიაზმით არც ნგრევის პროცესს ხვდე-ბოდნენ – ზუსტად იცოდნენ, რომ ნგრევას მრავალი უბედუ-რება მოჰყვებოდა.

მაგრამ საქართველოში მაინც არსებობდა ერთი დიდი სუბკულტურა, მრავალი ცნების მომცველი: დასავლეთთან შე-დარებით დაგვიანებით, მაგრამ შეუდარებლად უფრო სუფთა

დათლილება ეკადასის ვუამხე, ქუჩაში კაცი შემცველა
და ქალიან მოხვეონა-ხეთი. ვინ? აჩა, მე არ ვიცი.
მირე? არც არაფერი. ჩაიარა, ერთი შემომხელა –
სამწესაროდ, გულგრილად და გზა განაბრძო. მირე?
არაფერი. ქალიან მოხვეონა-ხეთი.
ეკადასის ბევრი იცინა. ეგ იყო და ეგ.
გამოხდა ხანი და ზემოხსეინულ ეკადასისთან
ერთად მოსიირება, კვლავ იგ კაცს მოვკარი თვალი.
ესაა! რომელი? აი, ეს! ბოზო, აყვირდა ეკადასი, ეს
ხმა ილია, ჩვენი სულიერი ძალ!
ასე გავიცავი ილია ზაუტაშვილი, უგრა სიცდეუ –
მიზეზთა რკავანი.

არსებობდა ერთი დიდი სუბკულტურა, მრავალი ცნების მომცველი:

დასავლეთთან შედარებით დაგვიანებით, მაგრამ შეუდარებლად უფრო სუფთა
სახით აგორებული პიკების მოძრაობა, როკი, ალმოსავლური სწავლებები...

„ასეთებად გავჩდით. შეიძლება იმიტომ, რომ ვგრძნობით – ცყობა ლაპაკლი
და გამოფიტული იყო, რომ ის, რითაც გვაშინებლენ, ბოლო წეთებს ითვლიდა.
გულგრილობას ცუდი იყო, ამან ცალკე გაგვრყვნენ“.


სახით აგორებული ჰიპების მოძრაობა, როკი, აღმოსავლეული სწავლებები – ამ უკანასკნელთა ფართო გავრცელებას სწორედ ზემოაღნიშნულ მოძრაობას უნდა ვუმადლოდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ორიენტალისტების ნაკლებობას არც მანამდე განვიცდიდით. შეგახსენებთ – ან მოგახსენებთ, რომ იმხანად საზოგადოება დღევანდელივით ისტერიულად პოლიტიზებული არ ყოფილა, და არც რელიგიურობას ჰქონდა ექსტრემალური ხასიათი. შესაბამისად, ახალგაზრდებისთვის მიუღებელი არაფერი იყო, ისინი მშვიდად ინელებდნენ ან-თროპოსოფთა წიაღსვლებს თუ მართლმადიდებლურ დოგმებს, სულ სხვანაირი, არანორმირებული და არადოგმატური თავისუფლება უნდოდათ.

შემთხვევითი არაა, რომ იმხანად ლევან ბაგდინოვის, მართლაც იოგისა და აღმოსავლეული ფილოსოფიის მრავალი სკოლის დიდებული მცოდნის სახლში ამავე სფეროებში ჩაღრმავებული მხატვარი ილია ზაუტაშვილი ხან რუდოლფ

შტაინერის ნაშრომების შესახებ მოსაუბრე ზვიად გამსახურდიას ხვდებოდა და ხანაც გრძელობიან, გზების მტვრით და-ფარულ, მოულოდნელად განათლებულ ჰიპებს. ილიას თქმით, ამ ერთი შეხედვით ეკლექტურ წრეს სხვადასხვა სახის შიშები არ ახასიათებდა და არც თავად ილიას ეშინოდა, არც შარლატანების მიერ თავსმოხვეული სისულელეების და არც დიდი საბჭოთა კავშირის.

ეს უშიშრობა არა პათეტიკური ან გმირული სულისკვე-თებით გამსჭვალული, არამედ ძვალ-რბილში გამჯდარი, თავისთვადი, მისი თაობისთვის საზოგადოდ იყო დამახა-სიათებელი. „ასეთებად გავჩნდით. შეიძლება იმიტომ, რომ ვგრძნობდით - საზოგადოებრივი წყობა დამპალი და გამო-ფიტული იყო, რომ ის, რითაც გვაშინებდნენ, კორუმპირებული და ძირგამოხსრილი, ბოლო წუთებს ითვლიდა. მაგრამ ასეთი გულგრილობაც ცუდი იყო, დეპრესიული. ამან ცალკე გაგვრყვნა“.





ერთხელ ის, გრძელთმიანი, „როლინგ სთოუნზის“ მოყვარული, ბორჯომში იყო. რესტორანში უცნაური კაცები მოლაგდნენ, როგორც გაირკვა, დიდ-დიდი თანამდებობის პირები, და მათ ერთი ცნობილი ქართველი პოეტიც ახლდა, ლექსებით და მოსწრებული სიტყვა-პასუხით ართობდა ბატონებს. „დამცინეს, შენ რა გვინია, ერთი ხელი რომ ავიქნიოთ, მიკ ჯაგერი ჩვენთვის დაუკრავსო...“ – ჰყვება ილია. „ახლა საბჭოთა პათოსიდან ეროვნულ პათოსზე გადავედით – და პირიქით. რა განსხვავებაა“.

არანაირი. დეპრესიაა.


ამ ფონზე, ერთ დღეს ილიას მეგობარმა, გია ეძგვერაძემ (მხატვარი გახლავთ, მაგრამ ვშიშობ, ეს დაზუსტება ზედმეტია, ისედაც ყველამ ვიცით – ა.კ.ს.) დაურეკა და დაპატიჟა, რა საქმეზე – დიდად ვერ ჩამოაყალიბა, მხოლოდ ის თქვა, რომ მასთან სტუმრად რიგიდან ჩამოსული ბესო ბაქრაძე და მისი მეუღლე ანუშკა იყვნენ.

ვინ არის ვაიშნავი? ვაიშნავი ისაა, ვინც ვიშნუს ეთაყვანება, უფლის ერთგული მსახური გახლავთ.

ვაიშნავობა არცთუ იოლი საქმეა: მატერიალურ სამყაროში ადამიანს იოლად ავიწყდება, რომ ის სხეული კი არა, სულია, და ამის გამო, თავისი გრძნობების დაკმაყოფილების გარდა, არაფერზე ფიქრობს: იბადება, ჭამს, ძინავს, მრავლდება, თავს იცავს და... მორჩა. ვაიშნავმა კი იცის, რომ მატერიალურ სამყაროსთან მხოლოდ სხეული აკავშირებს, სინამდვილეში კი მარადიულია, ნეტარი და ცოდნით აღსავსე. ვაიშნავს დაბადების, ავადმყოფობის, სიბერისა და სიკვდილის არ ეშინია, ის მუდამ უფლის სამსახურშია და არასოდეს არავის თვის არ მოაქვს ზიანი.

ბესო და ანუშკა ვაიშნავები იყვნენ. მათთვის, ვისაც ეს ნაკლებად აღელვებდათ, ბესო მუსიკოსი იყო, საქართველოდან გამგზავრებამდეც უკრავდა გიტარაზე, რიგაში კი ნამდვილ ოსტატობას მიაღწია და კრიშნას ცნობიერებასაც ეზიარა.

მე დავიჩალი უხესრების თუვლიალში და ჩახახა სულიერმა მოძლვარმა ცოდნის ჩირალდით გამინათა გზა. მე მას მოიციხით ვეთაყვავები.



სერიული: DOUBLE BOTTOM

გია ეძგვერაძესთან მისული ილიას პირველი რეაქცია ცალ-სახად ნეგატიური იყო – ბესოს მონაყოლი ამერიკული ტიპის ქადაგებად ჩათვალა. თუმცა სულ მაღე, იმის შემდეგ, რაც სათანადო ლიტერატურას ჩაუჯდა, მიხვდა, რომ მთლად ასეც არ იყო საქმე. “მივხვდი, რომ ეს ნამდვილად გზაა, თუმცა ყველასათვის მისაღები ვერ იქნება. არ შეიძლება, ყველამ “ჰარე კრიშნა” იმღეროს. თან რთულიცაა, არჩევანი უნდა გააკეთო: ან მხატვარი ხარ, ან ვაიშნავი; ან მუსიკოსი ხარ, ან ვაიშნავი. ერთად არ გამოდის...”


მაგრამ მაშინ ყველაფერი გამოდიოდა: თავყრილობები და ერთობლივი ლოცვა, საგალობლები, გემრიელი კერძები და, რაც მთავარია, გადაწყვეტილების სისწორის რწმენა, იმის ნეტარი განცდა, რომ მართლა მარადიული ხარ, ნეტარი და ცოდნით სავსე.

გია ეძგვერაძე, მიშა კობახიძე, ილია ზაუტაშვილი – და კიდევ მრავალნი. ისინი ხან ბინებში იკრძებოდნენ, ხან მიშას მანქანით ქალაქებარეთ გადიოდნენ თავიანთი ღმერთის

სადიდებლად. ერთხელ ლიძავაშიც ყოფილან, სადაც დილით, უთენია, მზის ამოსვლამდე ორი საათით ადრე, იმ დროს, რომელსაც ვაიშნავები ყველაზე კეთილ დროდ თვლიან და ლოცვისთვის საუკეთესოდ მიიჩნევენ, სანაპიროზე გადიოდნენ ხოლმე თავიანთი კრიალოსნებით. ერთმანეთისგან მოშორებით ჩამოსხდებოდნენ და იწყებდნენ მაპამანტრის, ანუ დიდი მანტრის კითხვას, რომლის სიტყვებიც ძალიან იოლი დასამახსოვრებელია: “ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა, კრიშნა, კრიშნა, ჰარე, ჰარე, ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა, ჰარე, ჰარე”...

ერთხელაც, ალიონზე, დაუდგენელი ნივთით, სინამდვილეში კი კრიალოსნით ხელში, სანაპიროზე უჩვეულო პოზაში ჩამომჯდარი ილია მესაზღვრებმა შენიშნეს. “არ ვიცი, რა ეგონათ”, ჰყვება ილია. “ალბათ იფიქრეს, რომ ბუტბუტით ვინმეს რამე საიდუმლო ინფორმაციას გადავცემდი და კრიალოსანი რაღაც დანადგარი იყო. ერთი კია, რომ გონს რომ მოვეგე, ალყაში ვყავდი მოქცეული და იქით გიაც ასეთ დღეში

ერთხელაც, ალიონზე, კრიალოსნით ხელში, სანაპიროზე ჩამოჯდარი ილია მისაზღვრება შენიშნეს. „ალბათ იფიქრეს, რომ ბუტბუტით ვინოს რამაც დანადგარი იყო. ერთი კია, რომ გონს რომ მოვეგე, ალყაში ვყავდი მოქცეული და იქით გიაც ასეთ დღეში“.



YELLOW LINE

ჰყავდათ: რуки на голову და რაღაც ასეთები... მანტრის მერე ძნელად მიგხვდი, საერთოდ, რა უნდოდათ. გული სიყვარულით მქონდა სავსე (იცინის). მერე ავუსტენი და შეგვეშვნენ, მტრებად არავის ჩავუთვლივართ, პირიქით, გვეუბნებოდნენ ხოლმე, ბიჭებო, ხომ არ გვემდერაო".

ზოგჯერ მის მიერ მხიარულად, მაგრამ სრულიად სერიოზულად ნახსენებ სიყვარულს, სხვა, ნაკლებად სასიამოვნო განცდა ცვლილა – ნაღველი, დიდი მარტოობა, “თუმცა მარტო ხომ არასოდეს ხარ”. მოძღვარი, გურუ, ლეგენდადქ-ცეული პარიკეშა სვამი ვიშნუპადი შორსაა, სად – არც იცი, განდეგილია და სამ დღეზე დიდხანს არცერთ ადგილას არჩერდება, შენ კი მისი და უფლის სადიდებლად იცავ დანანესებს, ალიონზე ილვიძებ, თექვსმეტგზის 108 მაჟამანტრას იმეორებ და უარს ამბობ ძალმომრეობაზე, ყოველგვარ გამაპრუებელ საშუალებებზე, აზარტულ თამაშებზე, სექსზე. ვაიშნავა რთული გზაა, ის ადამიანის არამარტო სულიერ, არამედ ფიზიკურ მდგომარეობასაც ცვლის და ამ გზაზე ყო-

ველი საფუძვლი სულ უფრო რთული დასაქლევია.

“კიკეთში მარტო ავედი, ნოემბერში, თითქოს არავინ იყო ჩემს გარდა. მანტრას ვკითხულობ და ვგრძნობ, არ ვიცი, ხერხემლით თუ როგორ – უცხო ენერგია მოვიდა, უცხო ძალა, სულ სხვანაირი. ავდექი, ნაკადს გავყევი და ვხედავ: ნაცრისფერ მდელოზე ნისლია განილილი და კარატისტები ვარჯიშობენ. ისინიც აქ იყვნენ, მაგრამ მე სულ სხვაგან ვიყავი...”

მერე ინიციაციის, მოსწავლედ კურთხევის დროც დადგა. ინიციაციის ცერემონიისთვის საჭირო ერბოს საყიდლად იღია მთაში ავიდა და იქიდან ჩამოტანილ ნადავლს კარგა ხანს მაცივარში ყინავდა. რიგიდან რამდენიმე საათის სავალში, რომელიღაც ხუტორზე, იღია ზაუტაშვილი უგრა სინდპუ დასი, მიზეზთა ოკეანის მსახური გახდა, და მის მიერ ჩატანილი ერბოთი გაჩაღებულ ცეცხლში დაიწვა მანამდე მრავალი, მრავალი დაბადების განმავლობაში ჩადენილი ყველა ცოდვა.

**ერთ დღას ილია ზაუჩაშვილის სახლს აჩვთა სასიამოვნო საზოგადოება
მოადგა: მილიციონერი, პროკურატურის წარმომადგენელი და რამდენიმე
ჩეკისტი. მათ ხელში ჩხრეპის ორდერი ჰქონდათ, მოსკოვში გაცემული.**

საოცარი სანახავია ვაიშნავური ინიციაციის აქტი. ცეცხლი – ამბობენ, რომ ოდესაც, უამრავი საუკუნის წინ, ამ ცეცხლს დიდი ბრაჟმანები სიტყვით ანთებდნენ; გურუ ალებს გამდნარ ერბოს ასხამს, ტკაცუნი, გიზგიზი, ყველაზე სუფთა და წარმტაცი, ცეცხლის ნახევარლმერთი აგნი კმაყოფილი გუგუნებს, მომავალი მოსწავლე კი პეშვით აყრის მარცვალს და აგნის მარადიულ მეუღლეს მოუხმობს შუამავლად: “სვა-ჰა!”


ორი ამბის დასასრული

ერთ მშვენიერ დღეს ილია ზაუტაშვილის სახლს არცოუ სასიამოვნო საზოგადოება მოადგა: მილიციონერი, პროკურატურის წარმომადგენელი და რამდენიმე ჩეკისტი. მათ ხელში ჩხრეპის ორდერი ჰქონდათ, მოსკოვში გაცემული.

ლაფერი იცოდნენ ილიას ვინაობის, მისი გატაცებების, მისი ცხოვრების წესის შესახებ; იცოდნენ, როგორი ბინა ჰქონდათ, სად რა იდო – ბევრი ძებნა არ დასჭირვებიათ, რომ მოსკოველ მომთაბარე ფსევდოგაიშნავთა მიერ დატოვებული წიგნები მოენახათ. ერთი ისაა, რომ მეტს მიაგნეს, ვიდრე ელოდნენ – “რაც კი რამ სამიზდათ იყო, ორუელის ჩათვლით, თეოსოფიური ლიტერატურა... მოკლედ, როგორც ეწერათ, ორდერი რელიგიურ-მისტიკური ანტისაბჭოთა ლიტერატურის ამოსალებად ჩატარებული ჩხრეპისთვისაა განკუთვნილი, ისე გამოუვიდათ ყველაფერი. ისე, მაგარი სიტყვათშე-თანხმებაა, არა?”

უნდა ითქვას, რომ ცოტა ხანში ილიას წიგნების ძირითადი ნაწილი დაუბრუნეს და ძალიან გულითადად უთხრეს, ჩვენც შესანიშნავი ბიბლიოთეკა გვაქვს, შეგიძლია იარო, საშვასაც

სარიცხვა: GRAFICS, DRAWINGS, PAINTINGS





DREAMS

გამოგინერთ, ზუსტად ისეთი წიგნებია, შენ რომ გაინტერესებსო. “მე რა. მე ხომ საერთოდ ფლეგმატური ადამიანი ვარ, ნორმალურად ვერაფერი მათქმევინეს. რა თქმა უნდა, არც იზოლატორში ჯდომა მინდოდა და არც ცემა, მაგრამ, როგორც გთხარი, არ მეშინოდა, იმიტომ კი არა, რომ ძალიან მაგარი ვარ... მაგათან რა მინდოდა, რა ბიბლიოთეკა?! დაკითხვებს კი არ მიტარებდნენ, მესაუბრებოდნენ, და ელაპარაკათ, რა მენალვლებოდა”.

თითქოს არაფერი შეცვლილა. ილია კვლავ კითხულობდა თავის წიგნებს, კვლავ უყვარდა კრიშნა და კვლავ იცოდა, რომ სულია და არა სხეული. უბრალოდ, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოებასთან კავშირი განყიტა – ისევე, როგორც შემდგომში მრავალმა ჩვენგანმა, ერთი შეხედვით, სულ სხვადასხვა, სინამდვილეში კი ერთი მიზეზით. “ასე, ჩემი გურუც აღარაა ორგანიზაციის წევრი. სოლიდარობა გამომიწხადა”, იცინის ილია. “ჰოდა, მეც ჩემს გურუს უცხადებ სოლიდარობას”.

ის კი, რასაც მისი თაობა გუმანით ხვდებოდა და სახელს ვერ არქმევდა, მართლაც დაიწყო: საბჭოთა კავშირი არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა. ილია დიდად არ აანალიზებდა, თუ რა ამბავი იყო მათ თავს, მხოლოდ რამდენიმე ფაქტმა მიახვედრა: რაღაც ძალიან შეიცვალა.

“პირველი მერცხალი” იყო ვინძმე კოტიკა ხომუტოვი, რომელიც თბილისში ჩამობრძანებულ მარგარეტ ტეტჩერს რუსთაველზე მკერდზე ჩამოკიდებული ტრანსპარანტით დახვდა:

“მარგარეტ, მიშველე!” – ცხადია, მისთვის გასაგებ ინგლისურ ენაზე. ეს იმ დროისთვის არნახულად თავხედური აქცია უამრავმა ტელევიზიამ გადასცა და კოტიკა ხომუტოვი დაიბარეს – სხვათა შორის, დაიბარეს, იქვე არ გაუქრიათ. რით უნდა გიშველოს ქალბატონმა მარგარეტმა, პატივცემულო?

კოტიკას მოთხოვნები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ის მოითხოვდა ქალაქ თბილისში გურჯიევისეული ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის ალორძინებას, რომელიდაც სუფიური ორდენის ლეგალიზებას და სხვა და სხვა. ამის შედეგად, კოტიკა, მანამადე ჰევეიზდნი, არა ციმბირს მიღმა მხარეში, არამედ მისთვის საოცნებო ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩნდა.

შემდგომ თავად ილიას მოუვიდა ელდა, როცა მოსკოვში, მხატვრის ცენტრალურ სახლში გასამართი გამოფენისთვის ნამუშევრები სთხოვეს, თან არა სამშობლოს მშვენების ამსახავი პეიზაჟები, არამედ “ის, რასაც აკეთებ” – ის, რაც მანამდე ყოვლად მიუღებლად ითვლებოდა.

მასნავლებელი და ბიზუნა

თავად ილიასთან არცთუ მცირებნანი ნაცნობობის ფონზე აღმოვაჩინე, რომ ამ კაცს მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, ერთი შესანიშნავი რამ ახასიათებს: მისთვის მიუღებელი თითქმის არაფერია, ის არასოდეს ამბობს აგრესიულ “არა”-ს. ილია ზაუტაშვილი ნებისმიერ სიახლეს მშვიდად ხვდება და ის, რასაც თავად ფლეგმატურობად თვლის, სინამდვილეში

ახალგაზრდა ქალი დარბაზში დარჩა და „...არ ვიცი, როგორ ვთქვა
კორექტულად, მოკლედ, იმ დახას სახლში არ მივსულვარ“.

სიმშვიდეა – “რატომაც არა?”

მართლაც, რატომაც არ უნდა გავაკეთოთ რაღაც, რაც გვინდა და სხვას ზიანს არ მოუტანს? მაგალითად, რატომ არ უნდა დავწეროთ ჩვენს თავს დატრიალებული თითო სიყვარულის ამბავი და რატომ არ უნდა გამოვცეთ ეს ნამდვილი ამბები ერთ წიგნად – თუნდაც იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში ადამიანებს არამარტო პოლიტიკა და ფეხბურთი, არამედ ერთმანეთიც აინტერესებთ?

მაგრამ ამ შემოთავაზებაზე პასუხად ლაშა ბაქრაძემ და თქვენმა მონა-მორჩილმა ანამ ძალიან უცნაური პასუხები, ძირითადად, სწორედ ეს აგრესიული და დაუსაბუთებელი “არა” მივიღეთ. როგორც ჩანს, ძალიან გვრცხვენია, რომ ვიღაც გვიყვარდა.


ილიამ კი ერთ სევდიან სალამოს გაზით გამთბარ სამზარეულოში გვიამბო, თუ რის დაწერას აპირებდა – სამწუხაროდ, აღარ დაწერა, რადგან კრებულს სულ სამი ავტორი ეყოლებოდა: ლაშა, ილია და მე, ეს კი, დამეთანხმებით, სირცხვილია; ილიამ გვიამბო, როგორი ვნებათადელვა ჰქონდა ოდესლაც, ვგონებ, 1968 წელს, მაშინ, როცა კომკავშირულმა აქტივმა გადაწყვიტა, საზოგადოების სამსახურში ჩაეყენებინა მავნე და საძაგელი როკი ჯგუფ “კონტრასტების” სახით.

ძირითადად, ხუთნი უკრავდნენ ხოლმე: მიშა ფოფხაძე, რომელიც დღეს მღვდელი გახლავთ; ვოვა მოგელაძე, რომელიც ახლაც მაგრად უკრავს; ბას-გიტარისტი მალხაზ ჩახნაშვილი, პიანისტი თამაზ აფშილავა და ილია ზაუტაშვილი, დასარტყყამი ინსტრუმენტები – ეს უკანასკნელი მაშინ გრძელთმიანი მოზარდი ბრძანდებოდა.

კონცერტებს სრულიად მოულოდნელ ადგილებში და მოულოდნელი საზოგადოებისთვის მართავდნენ, ვთქვათ, ელდეპოს ქარხნის მუშებისთვის, რომლებსაც შამპანურის ბოთლებითა და „კაზიონი“ ნამცხვრებით შემკულ მაგიდებთან ჯდომა და გაუგებარი მუსიკის სმენა აღბათ სულ არ უხაროდათ – ერთობ დემოკრატიული განწყობის მიუხედავად, „კონტრასტებს“ რეპერტუარი ვერაფრით შეაცვლევინეს.

ერთი კონცერტი ბარათაშვილის ხიდში გაიმართა. კონცერტს ახალგაზრდა ქალი ესწრებოდა. ახლა შეგვიძლია თქმა, რომ ახალგაზრდა იყო, თორემ მაშინ ათი წლით უფროსი გოგო არასრულობით ილიას დიდ ქალად ეჩვენა. ის დარბაზში იჯდა და დაუინებით უყურებდა, კონცერტის დამთავრების შემდეგ დარბაზში დარჩა და „...არ ვიცი, როგორ ვთქვა კორექტულად, მოკლედ, იმ ღამეს სახლში არ მივსულვარ“.

სერიალი: SILK SCREENS





ინსტალაცია: TOUCH...

ეს ამბავი კარგა ხანს გაგრძელდა – პატარა ბიჭის ვწებები და პროვინციაში მომუშავე მასწავლებელი ქალის ზენოლა, მისი მართვის და მითვისების სურვილი. დიდხანს გაგრძელდა, მეტისმეტად დიდხანსაც კი. ამბის ფინალი კი ისეთივე აბსურდული იყო, როგორიც დასაწყისი: ავტობუსის გაჩერებამდე მასწავლებელთან ერთად მდგომი ილია უცებ მიხვდა, რომ მორჩა, დამთავრდა, და უკვე დაძრულ ავტობუსში უკანა კარიდან ახტა. კარი დაიხურა, ქალი გაჩერებაზე დარჩა, ილია წავიდა. “აღარასოდეს მინახავს. ისე, კარგი იყო – გამოცდილება. მასწავლებელი იყო. ერთხელ საუბარს შევესწარი, როგორ ფრთხილად უნდა მოექცნენ პატარა გოგოებს, რომ რამე ხიფათში არ აღმოჩნდნენ. ბიჭების საქმეც არაა წაკლებად საფრთხილო. საერთოდ, მასწავლებლობა არაა ისე ადვილი, როგორც ჰეროინათ ხოლმე. ძალიან კორექტული უნდა იყო, რომ ადამიანი არ გატეხო”.

მიღება – დაბრუნება

საერთოდ, ილიას საათობით შეუძლია საუბარი იმის შესახებ, თუ რამდენად შორს შეიძლება ადამიანი, განსაკუთრებით კი მხატვარი, თავის თვითგამოხატვაში წავიდეს, რის ფასად უჯდება მას ასეთი საქციელი. “თუკა გილებენ, რამე უნდა დაუბრუნო კიდეც საზოგადოებას. როცა არტისტი დესტრუქციაზე მიდის, ამას რამე პოზიტიურიც უნდა ახლდეს, სრული თავაშვებულობა თავისუფლებას არ ნიშნავს, ეს ყველასთვის საზიანოა”.

ილიამ ჯეფ კუნსის ამბავი მიამბო, ჩიჩოლინას სკანდალუ-


რი გადალებების ავტორისა. გინახავთ ეს ფოტოები? გულწრფელი პორნოგრაფია, ისევე, როგორც არავის ყბადალებული კატალოგი – მართალია, ამ უკანასკნელმა ის საზოგადოებრივ კონტექსტში ჩასვა და კონცეფციის თანახმად, სუპერმარკეტებში ჩამოარიგა, როგორც ჩვეულებრივი პროდუქტი, ისეთი, დიასახლისი სარცხს ფხვნილთან ერთად რომ ჩაუძახებდა საყიდლების პარკში; ჰოდა, სანამ ზემოხსენებული ჯეფ კუნსი ჩიჩოლინას პორნოგრასკულაგად აქცევდა, მან ამ ქალბატონზე ჯვარი დაიწერა, თავის მეუღლედ გახადა, და შესაბამისად, საზოგადოებას მთლად გადარევის შანსი არ მისცა.

...ილიას შემოქმედებას, რომელიც სოცრეალიზმის ფონზე მიუღებლად და საზოგადოებისთვის საშიშად ითვლებოდა, დღეს მთელს მსოფლიოში უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, და თავად მხატვარი, როგორც ყოველთვის, ახლაც უამრავ რამეს აკეთებს: ის კურატორია; მუშაობს, როგორც მხატვარი, ექსპერტი; ხელოვნების ნაციონალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ, სულ მაღლე უურნალსაც გამოსცემს და თავის ნამუშევრებს გერმანიასა და შევიცარიაში წარმოადგენს. მოკლედ, ილია ზაუტაშვილი არ იცვლება, ისევ ისეთია, როგორიც პირველად ვნახე: მშვიდი, საიმედო, კარგი ამშების მთხოვნელი უგრა სინდპუ, მიზეზთა ოკეანე.


“იცი, ერთ დღეს სიტყვაში EARTH – დედამიწა, სიტყვა ART – ხელოვნება აღმოვაჩინე. და მას მერე მივხვდი, რომ ძებნა საჭირო აღარაა. ისედაც აქაა”.

ისევე, როგორც მარადიულობა, ცოდნა და ნეტარება.

Don't Make a Wish



სირილან: CHINA TOWN



სირილან: GRAFICS, DRAWINGS, PAINTINGS





სპეც-კროები

დათო ტურავილი ესტონერი ფოტომოთხოვები

ფოტო: ბესო ხაიდერავა





ესტონეთში თვითმფრინავით ჩავედით, მაგრამ ტალინში გამგზავრებამდე, ესტონეთის ქართველ სპეციალისტს, ბატონ ვაჟა დურმიშიძეს თბილისში დაწერილებით გამოვკითხე ყველაფერი, რისი გაგებაც ნინასწარ მინდოდა ამ ქვეყნის შესახებ და ბოლოს, როცა ესტონელი ქალების შესახებაც შევაპარე სრულიად უწყინარი კითხვა, ბატონმა ვაჟამ ცივად, კატეგორიულად მიპასუხა: – არც იფიქრო, ცხენებივით არიან...

ამ უკანასკნელმა ინფორმაციამ განსაკუთრებით გამახარა, რადგან ცხენები ძალიან მიყვარს და ვთვლი, რომ ცხენი (საერთოდ) ძალიან ლამაზია.

პირველი ცოცხალი ესტონელიც, რომელიც შემხვდა (უფრო სწორად, დამხვდა), ჩემს გვერდით სკამზე (ტალინისაკენ მიმავალ თვითმფრინავში), ეს მშვენიერი გოგონა იყო, რომელთანაც საერთო ენა (ყველაზე პირდაპირი მნიშვნელობით) მაშინვე, აფრენისთანავე გამოვნახე. ეს საერთო ენა იყო ესპანური, რადგან იგი სევილიის უნივერსიტეტის სტუდენტი აღმოჩნდა (შინისაკენ არდადეგებზე მიმავალი) და სანამ ჩვენი თვითმფრინავი ტალინის აეროპორტში დაეშვებოდა, რაღა გამჩერებდა...

სშირად ხდება, რომ ქვეყანასა და ხალხზე პირველწარმოდგენას სწორედ პირლშემსვედრი ქმნის შენს ცენობიერებაში და ალბათ ადვილი დასაჯერებელია, რომ სანამ ტალინში ჩავფრინდებოდი, ეს ქალაქი და ქვეყანა უკვე მიყვარდა...



პირველი, რაც ტალინში ვნახეთ, კაფე “კაროლინა” იყო, სადაც სერგე დავლატოვი თავის მშვენიერ მოთხრობებს წერდა. კარგი ქალაქი და კარგი ქვეყანა კი სწორედ ის არის, სადაც კარგი მწერლები ცხოვრობენ.

ვისაც დავლატოვის ესტონური მოთხრობები უყვარს, ალბათ ჩემსავით უყვარს ტალინი და მათთვისაც ეს ქალაქი ძალიან თბილია, მიუხედავად იმისა, რომ ტალინი ცივი ქალაქია და ესტონეთი კი — ცივი ქვეყანა.

აქ ხშირად წვიმს და ცაც ტალინის თავზე, როგორც ვიმ ვენდერსი იტყოდა — საკმაოდ პესიმისტურია. თუმცა ყველგან არიან ადამიანები, რომელთა სითბოს გამოც, მაინც ოპტიმისტი ხარ და საერთოდ აღარ გემინია სიცივის.

ტალინში სწორედ ასეთი ქართული ოჯახი ცხოვრობს და სწორედ მათი მონდომების გამო, ტალინის საერთაშორისო კონფერენციაზე ქართველებმაც მივიღეთ მონაწილეობა. კონფერენცია ნაციონალური ბიბლიოთეკის დარბაზში მიმდინარეობდა, სადაც (როგორც ნებისმიერ საერთაშორისო კონფერენციაზე), განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში

საქართველო მოექცა. სხვათა შორის, ჩემთვის (ისევე როგორც სხვა ქართველებისთვის), უცხოელების საქართველოთი დაინტერესება, საკმაოდ ადვილია და პირიქით — ძნელია საქართველოს ბედით ქართველი დააინტერესო...

კონფერენცია ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში მიმდინარეობდა და მისი დათვალიერებისთანავე, ჩვენთვის ნათელი გახდა, თუ როგორ ქვეყანას ვესტუმრეთ და როცა წიგნის მაღაზიებიც ვნახეთ, საბოლოოდ დავრწმუნდი რომ სწორედ წიგნისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს სახელმწიფოს რაობას. თუ ჩვენც გვსურს ისეთივე წარმატებულები ვიყოთ (ისეთ მოკლე დროში), როგორც ეს ესტონელებმა შეძლეს, ბორბლისა და ველოსიპედის თავიდან გამოგონება არც გვჭირდება და შეგვიძლია მათი გამოცდილება, უბრალოდ, გავიზიაროთ. კონფერენცია კი (პირადად ჩემთვის), ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ ტალინისა და ესტონეთის ნახვაც ძალიან მინდოდა (მრავალი მიზეზის გამო) და მაკა სახეჩიძესა და რატი სამხარაძეს (ვისი მონდომების გარეშეც, ზემოთქმულს ვერ შევძლებდით), მადლობა გვინდა ვუთხრათ...



VABADUS

...ეს სიტყვა თავისუფლებას ნიშნავს და თავისუფლების მნიშვნელობა კი ესტონელებმა ისე კარგად იციან, რომ სხვის თავისუფლებისთვისაც უბრძოლიათ და ის "სხვები" 1919 წელს, ჩვენც ვიყავით. როცა დამოუკიდებელ საქართველოს დენიკინის არმიამ შემოუტია, საქართველოში მცხოვრები ესტონელები, ადვილად მიხვდნენ, რომ თეთრი და წითელი რუსეთი – ორივე საქართველოს მტერი იყო და გენერალ გიორგი მაზნიაშვილთან ერთად, გამოუსწორებელ ოუპანტებს ტუაფსემდე სდიეს.



მაშინ, XX საუკუნის დასაწყისში, ესტონელები აფხაზეთში, მესხეთსა და ჯავახეთშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ XX საუკუნის ბოლოს, მხოლოდ აფხაზეთში იყო დარჩენილი რამდენიმე ესტონური სოფელი და ომის შემდეგ, ისინიც სამშობლოში დაბრუნდნენ.

პირველად კი ესტონელები საქართველოში, მეცხრამეტე საუკუნეში გამოჩნდნენ და მათ მობრძანებას პირველები იღია და აკაკი მიესალმნენ და მერე ნიკო ნიკოლაძემ სპეციალური წერილიც კი მიუძღვნა საქართველოს ესტონელებს.

ჩვენი სტუმრობა ტალინში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაემთხვა და 26 მაისი ქართულ სათვისტო-მოში, ქართველებთან ერთად, იმ ესტონელებმაც აღნიშნეს, ვინც ცრემლის გარეშე ვერც იხსენებდა იმ მინას, რომელმაც ისინი ერთი საუკუნით შეიფარა.

საქართველოში მაშინ ისინი ურმებითაც კი მოვიდნენ და გზა იყო იმდენად გრძელი, რომ 26 მაისს იმ ესტონელი კაცის ჩამომავლებიც გავიცანით, რომელიც XIX საუკუნეში ესტონეთიდან საქართველოსკენ მომავალ ურემზე გაჩნდა...

კონფერენციაზეც, სანამ ლიტერატურული და, საერთოდ, კულტურული ურთიერთობების შესახებ ვისაუბრებდი, უპირველესად მადლობა ვუთხარი მასპინძლებს დახმარებისათვის, რომელიც ჩვენ მათგან გვახსოვს და არასოდეს დაგვავიწყდება. მით უმეტეს, საუკუნის მანძილზე, სხვებისაგან განსხვავებით, საქართველოში მცხოვრებ ესტონელებს, ჩვენთვის არავითარი პრობლემები არ შეუქმნიათ. პირიქით – მათი ცხოვრების წესი და აყვავებული ეზოები, მშვენიერი გაკვეთილი იყო ჩვენთვის, შრომის კულტურის შესასწავლად. მართალია ჩვენ ცუდი მოსწავლეები გამოვდექით, მაგრამ ეს ჩვენი ბრალია და არა ესტონელების...



საბჭოთა კავშირში ასეთი სახელწოდების ორი კაფე არსებობდა: ერთი სოხუმში, მეორე კი – ტალინში, სადაც იტალიური ნაყინი იყიდებოდა სპეციალური დანადგარიდან ჩამოსხმულ ჭიქებში და ეს იტალიური დანადგარი სოხუმში ომიკლოლუამ და ამირან გაგუამ 1987 წელს ჩამოიტანეს. სპეციალურად იმ დანადგარის ინსტრუქციის წაკითხვის მიზნით კი, იტალიური ენა შეისწავლა იმ დროს სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტმა ალექს სარალიძემ, რომელიც შემდგომ, კაფე “პინგვინში” (ლექციებისაგან თავისუფალ დროს) ომაზიანად მოუწოდებდა სოხუმის მოსახლეობას იტალიური ნაყინის დაგემოვნებისაკენ. თუმცა სოხუმში ხალხს მაინცდამაინც არ სჭირდებოდა რეკლამა “პინგვინში” სტუმრობისთვის, რადგან კაფე “პინგვინი” ომის დაწყებამდე, სოხუმელების უსაყვარლესი ბირჟა იყო და იტალიური ნაყინი კი, სულიერი თუ არა, გასტრონომიული ხიდი მაინც იყო საბჭოთა სოხუმსა და დანარჩენ კაცობრიობას შორის.

დაახლოებით იმავე პერიოდში (გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში), ნაყინის ჩამომსხმელი (იტალიური) დანადგარი გაჩნდა ტალინშიც, თუმცა ტალინი (და ესტონეთი), იტალიუ-

რი ნაყინის გარეშეც, მთელს საბჭოთა კავშირში ისედაც ყველაზე ევროპული სივრცე იყო და, მგონი, ამიტომაც ეტანებოდა ასეთი მონდომებით ჩვენი მშობლების თაობა სწორედ ტალინს.

ამჟამად რატუშის მოედანზე, კაფე “პინგვინი” აღარ არსებობს, თუმცა იქაური ნაყინის გემო დღემდე ახსოვთ ქართველ ქალებს და მათ შორის მაკა სახეჩიძესაც; ან კი როგორ დაავინებდება, როცა გამიჯნურების გარიურაუზე, შეყვარებულმა რატი სამხარაძემ ტალინში ჩამოსხმული იტალიური ნაყინი საქართველოში თერმოსით ჩამოუტანა…

ჩემს ძევირფას ცოლსაც, სტუდენტობის დროს ტალინში ექსკურსიაზე ნამყოფს, მშვენივრად ახსოვს იმ ლეგენდარული ნაყინის გემო და მეც სიამოვნებით ჩამოვუტანდი ტალინიდან თერმოსით “პინგვინის” ნაყინს, “პინგვინი” რომ არ გაეუქმებინათ. მერე რა, რომ არ დამიტასებდა თერმოსის თრევას ორი გამოცვლილი თვითმფრინავით თბილისამდე. მე ხომ დანამდვილებით მეცოდინებოდა, რომ სიყვარულის გამო, მაფლობას არავინ გეტყვის, არც უნდა გინდოდეს და არც უნდა ელოდე…



საიდან იწყება სამშობლო

ჩვენს ბავშვობაში ასეთი შინაარსის სიმღერაც კი არსებობდა, სადაც ამ შეკითხვას უამრავი პასუხი ჰქონდა, მაგრამ როგორც მომეჩვენა, ესტონელებისთვის სამშობლო ტუალეტიდან იწყება. მეტიც – მიუხედავად იმისა, რომ ესტონებში, საერთოდ, დიზაინის ნამდვილი ბუმია, განსაკუთრებული ყურადღება მაინც ტუალეტებს ექცევა და, პირადად, მართლა არსად შემხვედრია ასეთი მონძომებითა და გემოვნებით შექმნილი ტუალეტები. ჩვენთან არათუ ტუალეტის, ნებისმიერი შენობის, მით უმეტეს საკუთარი სახლის აშენებისას, არავის ახსენდება, რომ დიზაინერი ისეთივე საჭირო პროფესიაა, როგორც ექიმი ან მასწავლებელი, რადგან ჩვენში დიზაინერს ისევე უყურებენ, როგორც “პრარაბს”. ყველაზე ხშირ შემთხვევაში კი, ვთვლით, რომ დიზაინისა ისედაც ყველას ყველაფერი გაგვეგება და ამ პროფესიის ადამიანები, უბრალოდ, არ გვჭირდება.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო მაუწყებლობის პირველი არხი საზოგადოებრივი ტელევიზია უნდა გახდეს და უურნალისტებმა მეც არაერთხელ მკითხეს (თუ ჩემის აზრით), პირველ რიგში რა უნდა გაკეთდეს ტელევიზიაში, რომ იგი უკეთესი იყოს. რამდენჯერმე მომმართეს ამ კითხვით და რამდენჯერმე ვუპასუხე, მაგრამ ჩემი პასუხი არცერთხელ არ გაუშვიათ ტელევიზით. ჩემი პასუხი კი მარტივია: პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს ტუალეტები, რადგან ჩემი თვალით მინახავს ტელევიზის თანამშრომლები, რომლებიც დერეფანში მიდი-მოდიან და სიმწრისაგან სასონარკვეთილები, ტუალეტში მაინც ვერ შედიან, რადგან შესვლისთანავე, იქ დაგროვილი განავალი შეიძლება მუხლამდე შემოგწვდეს და თუ დროულად ვერ მოისაქმებ, წელამდეც ამოგაჩოჩდება. კა-


ცებს ვგულისხმობ, თორემ ქალები იმთავითვე განწირულნი არიან და ტუალეტში რომ ვერ შედის ათას ხუთასი ადამიანი, რომელ მათგანს შეიძლება მოვთხოვოთ გადაცემის დონე და ხარისხი?...

ზემოთქმულის შესახებ არაერთხელ შევჩივლე ტელევიზიის ხელმძღვანელობასაც და მათი განმარტებით, ტუალეტები პერიოდულად კი უმჯობესდება, მაგრამ მაინც ისვრება და რემონტის ხარჯი, სამწუხაროდ, ამაო და ფუჭია. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადამიანები ტუალეტით სარგებლობას ვერ გადაეჩვევიან და ისევ უკეთესი და ლოგიკური იქნება, რომ ტუალეტის კულტურას მივეჩვიოთ. როგორც ჩანს, ასეთი კულტურაც არსებობს. ტელევიზიის ხელმძღვანელობაც არაფერ შუაშია და კულტურა მხოლოდ სვეტიცხოველს არ ნიშნავს...

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა თბილის დანიის მშენერი დედოფალი ესტუმრა და გორში, სტალინის მუზეუმის სანახავად წაიყვანეს, სადღაც იგოეთის ტეკან, (ბოდიში მომითხოვია და) დედოფალმა მცირედმოსაქმება მოინდელი ცეკას ვერცერთმა მდივანმა ვერ მოისაზრა, რა უნდა ექნათ, გარდა ერთისა, რომელმაც თქვა – სხვა გზით დავაბრუნოთ თბილისში, ვაიდა, გორშიც შევრცხვეთო და ასეც მოიქცნენ – დედოფალი თბილისში დაბრუნეს, როგორც ერთ-ერთ გზად შემხვედრ ქალაქში და ცეკას შენობაში, ერთადერთ წკრიალა ტუალეტში, სულგრძელად მიიპატიუეს.

მგონი, თბილისში ახლაც ერთადერთი სუფთა საზოგადოებრივი ტუალეტია...





„მსოფლიოს კარიბში - ამსტერდამის სკიპორლის აეროპორტი“

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება
ევროპის უმარტივეს აეროპორტში.
KLM-ისთვის სკიპორლის
აეროპორტი ეცემფურად მომუშავე,
კარგად თრგანიზებული და
მომხმარებელები თრიენტირებული
ცენტრია. სკიპორლი ცნობილია
როგორც ევროპის საუკეთესო
აეროპორტი, იგი იძლევა სწრაფი
და მარტივი გადაჯდომის
საშუალებას. რაცომ? მარტივად
რომ ვთქვათ, სკიპორლი არ არის
ცერმინალები და მგზავრებს არ
სჭირდებათ რაიმე სპეციალური
ცრანსპორტის გამოყენება, რომ
ერთი თვითმფრინავიდან მეორეში
გადაჯდნენ. სკიპორლი ასევე
ცნობილია მაღაზიებით და სავაჭრო
ცენტრებით. თითქმის
ყოველწლიურად მას აღიარებენ
საუკეთესო აეროპორტად
მსოფლიოში.




KLM

Royal Dutch Airlines

MUSI MAGI



ესტონეთში მთები არ არის და რასაც ესტონელები მთას ეძახიან, ასეთ შემაღლებას ქართველები გორასაც ვერ ვუწოდებთ. ხოლო რაც ესტონელის-თვის გორაა, ქართველმა შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს, ისე გადაიაროს.

თუმცა შუაგულ ტალინში მაინც არის ერთი გორა, რომელსაც ეთნიური კუთვნილების მიუხედავად, აუცილებლად აღმოაჩინს ნებისმიერი ადამიანი და მას “კოცნის გორა” კი ჰქვია, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ოდნავ შემაღლებული ადგილია, სადაც წყვილები სხედან ან დგანან და ერთმანეთს კოცნიან. შეყვარებულები ერთმანეთს კოცნიან დღისით თუ ღამით, ყველას თვალწინ და ყველას დასანახად და არავინ ამბობს, რომ საჯაროდ კოცნა უზრდელობაა, ესტონეთში არავინ ფიქრობს, რომ სიყვარული სამარცხვინოა...

ჩვენთან კი პირიქითა – სიყვარული ითვლება სამარცხვინოდ და არა სიჭულვილი: თბილისში, ქუჩაში, დღისით შეყვარებულმა ბიჭმა რომ გოგოს ტურებში აკოცოს, მას აუცილებლად გაკიცხავენ, მაგრამ იმავე ბიჭმა, იმავე ქუჩაზე უდანაშაულო კაცი რომ მოკლას დღისით, ასევე ყველას თვალწინ, ჩვენი საზოგადოების ნაწილი მაინც, მას გმირივით მიიღებს, “ტუსოვეებზეც” პატივისცემით მოიკითხავენ და სუფრებზეც ადლეგრძელებენ დიდი, საგვარეულო ყანწებით...

მიზეზი არ ვიცოდი, მაგრამ კოცნა და სიყვარული ჩვენთან რომ სირცხვილი იყო, ჯერ კიდევ ბავშვობაში აღმოვაჩინე, როცა მეგობრებთან ერთად კუსტბის მისადგომებთან (ტყეში “ინდიელობანას” თამაშისას), ჩახუტებულ კაცსა და ქალს წავაწყდით. კი ვიფიქრე: ესენი თუ კარგი საქმით არიან დაკავებულები, ხეებს რატომ ეფარებიან-მეთქი, მაგრამ მაშინ რა ვიცოდი, რომ როცა უფროსკლასელი გავხდებოდი, მეც ამ ხეების მოსაძებნად, ამავე ბილიკების გავლა მომიწევდა....

ამ ბილიკიდან ფართო გზაზე გასვლა, იქ, სადაც სიყვარულის რცხვენიათ და ეშინიათ, ძალიან ძნელია...





გამოამელავნეთ თქვენი ხილამაზე

მეჩის სპეციალური ღაფე

- ბუნებითი გზა ჭეშმარიტი სიღამაზისაკენ

ჩვენი სხეულის მიღიონობით უჯერი საჭიროებს
ყოველდღიურ ზეუნვასა და განახლებას.

- "ეზაროდ ყინარა ყანი"

მეჩის სპეციალური ღაფე შეიქავს ვიკამინ A-ს, ყალციკის
პანთოეფინაცის და ფოლის მევას, ჩავ იძლევა თმის ძირების
სწორი კვებისა და სუჟექტურის ალებენის საშეაცებას

- "ჯანსალი, მბზინავი თმა"

მეჩის სპეციალური ღაფე შეიქავს ვიკამინ A-ს, ყალციკის
პანთოეფინაცის და ფოლის მევას, ჩავ იძლევა თმის ძირების
სწორი კვებისა და სუჟექტურის ალებენის საშეაცებას

- "ღამაზი, მცუკუ ფქრები

მეჩის სპეციალური ღაფეში შემავალი ბიოფინი, ჩეინასთან და
ამინომეტავებთან ყომბინაციაში განაპირობებს ფქრების
სწავლას, ზედაპირის სიგლუვეს და იკავს მას განშევებისაგან



პატრიოტიზმი

ტალინის მთავარ მოედანზე, რატუშის წინ, ოდესლაც ადა-მიანებს სიკედილით სჯიდნენ, როგორც წესი, ღალატისათვის. ღალატი იმდენი არსებობს, რამდენიც მოღალატე და ჩვენ ვცდილობთ, არ ვიყოთ მოღალატეები. მეტიც – ჩვენ გვინდა ვიყოთ პატრიოტები, ოღონდ პატრიოტიზმის ჩვენებური გაგება საკმაოდ განსხვავდება ევროპული, ამ შემთხვევაში ესტონური გაგებისაგან და ტალინში, რატუშის მოედანზე, ამ განსხვავებას საკმაოდ ადვილად აღმოაჩენთ. ჩვენი პატრიოტიზმი, როგორც წესი, სადღეგრძელოებში გამოიხატება და ჩვენი ღრმა რწმენით, პატრიოტია ის, ვინც საქართველოს სადღეგრძელოს ომაზიანად ამბობს, მერე თვრება და კოცნის იმ კაცს, რომელიც გვერდით უზის...

მსოფლიოში არ არის ქვეყანა და ქალაქი, სადაც იმდენი სასიყვარულო ლექსი და პოემა დაუწერიათ მშობლიურ ქალაქსა და ქვეყანაზე, რამდენიც ჩვენ - თბილისასა და საქართველოზე, მაგრამ ისეთი ქალაქი და ქვეყანაც ძნელი მოსახებნია, სადაც ასე სასტიკად ექცევიან მშობლიურ ქალაქსა და ქვეყანას.

ესტონელები საერთოდ არ ლაპარაკობენ პატრიოტიზმზე და აქ არავინ გეტყვის, რომ პატრიოტია, მას ურჩევნია თავისი საქმე გააკეთოს კარგად, აღასრულოს პროფესიული მოვა-

ლეობა, იშრომოს და ეს მისთვის არის კიდეც პატრიოტიზმი. ესტონელები არ საუბრობენ პატრიოტიზმზე და უხმაუროდ ლოკავენ ტალინის ქუჩებს და უვლიან საკუთარ ქვეყანას, ისე რომ მათი წარმატებები ნებისმიერ სფეროში, ასეთ მოკლე დროში, უბრალოდ, დაუჯერებელია...

საქართველოში ამბობენ, რომ ესტონეთი ისედაც (საბჭოთა პერიოდშიც), ევროპული ქვეყანა იყო და მართალსაც ამბობენ, მაგრამ ეს ჩვენთვის შედავათი არ არის და არც იმას ნიშნავს, რომ საბჭოურ ცნობიერებაზე უარი ამიტომაც არ უნდა ვთქვათ. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოშიც კი შეიძლება მენტალური ცვლილებები მოხდეს სახელმწიფობრივი თვალსაზრისით, თუ ჩვენ მოვინდომებთ...

სხვათა შორის, არის მეცნიერული ვერსია, რომლის თანახმადაც, ყივჩალები ეკუთვნოდნენ იმ თურქმანულ მოდგმას, რომლებიც აღმოსავლეთიდან მოვიდნენ ევროპაში და მოგვიანებით შექმნეს უნგრო-ფინური ეთნო-ლინგვისტური ჯგუფი. ესტონელებიც სწორედ ამ ჯგუფს ეკუთვნინ და თუ ყივჩალების წარმოშობის ეს ვერსია მართალია, მაშინ გამოდის, რომ რაღაც დოზით, ესტონელებს ქართველებიც ვენათესავებით და იქნებ ეს (თუნდაც შორეული შეხება), სახელმწიფოს შექმნაში ახლა მაინც დაგვეხმაროს...



ესტონეთში, რამაც სასიამოვნოდ გაგვაკვირვა, გოგი ძო-ძუაშვილის პოპულარობა იყო და მის მშვენიერ მუსიკას თი-თქმის ყველა რადიოსადგური ატრიალებს, რომელსაც ახა-ლი თაობის მსმენელი ჰყავს. ასევე ვნახეთ ადამიანები, ვინც ნიკა მაჩაიძის შემოქმედებასაც იცნობს, რომელმაც რამდე-ნიმე წლის წინ, ელექტრონული მუსიკის მსოფლიო კონკურ-სში გაიმარჯვა და ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოში დენი საერთოდ არ იყო. უცნაურია, მაგრამ ეს ფაქტია და ისიც ფაქტია, რომ მართლა ნიჭიერი ხალხი ვართ და ყვე-ლაზე მეტად კი, ამ ნიჭის ორგანიზებულად, სწორად წარ-მართვა და გამოყენება გვიჭირს. გვიჭირს კონფორმიზმზე უარის თქმაც და ხშირად ისეთი კომფორმისტები ვართ, რომ ერთმანეთსაც ვერ ვუშენლთ და ერთმანეთისთვის თვალის გასწორებაც გვიჭირს, განსხვავებით (თუნდაც) ესტონელე-ბისაგან, რომლებიც ჭიქების მიქახუნებისას, თვალებში უყუ-რებენ ერთმანეთს და ვერც წარმოუდგენიათ, რომ ტყუილიც მოსულა. (ამ მხრივ (და არა მხოლოდ), ესტონელები მართლა ჰგვანან სვანებს და როგორ არ შევიყვარებდი მათ მაშინვე, ჩასვლისთანავე)...

ჩვენი კონფორმიზმის ერთი თვალსაჩინო მაგალითი დღე-მდე არსებობს ტალინში და მას კაფე “პეგასი” ჰქვია – აქ, ესტონეთის მწერალთა კავშირის ამ კაფეში, მთელი საბჭოთა ოკუპაციის განმავლობაში, ესტონელი მწერლები იკრიბებოდ-ნენ და ხმამაღლა ფიქრობდნენ ესტონეთის გათავისუფლების გეგმებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ კლავდნენ, აპატი-მრებდნენ ან, უბრალოდ, წიგნებს არ უბეჭდავდნენ. მხოლოდ

1991 წლის შემდეგ (დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე), საბჭოთა პერიოდში აკრძალული, უამრავი ესტონური წიგნი გამოქვეყნდა, ჩვენგან განსხვავებით. საქართველოში დღე-მდე არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი წიგნი, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაიწერა და საბჭოთა ცენტურამ მხოლოდ იმიტომ აკრძალა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა იდეოლო-გიას...

სხვათა შორის, ეს ხალხი დღესაც გვმოძღვრავს და მო-რალსაც ხმამაღლა გვიკითხავს ზნეობრივი იდეალების შე-სახებ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მათ გვასწავლება და მიგვაჩვიერ შეგუებას მაშინაც კი, როცა შეგუება შეუძლებე-ლია...

საქართველოში შეუძლებელია ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ლუსტრაციის გარეშე, სადაც რუსეთის სპეცსამსახურების ამდენი აგენტი ასეთი ხალისით მოღვაწე-ობს და ჩვენს პარლამენტს კი ლუსტრაციის კანონის მიღება არათუ არ ეჩქარება, არც სურს, ესტონელებისაგან განსხ-ვავებით. ესტონეთის პარლამენტმა კი, ესტონეთის ტერი-ტორიაზე, “მატრიომკების” გაყიდვაც კი აკრძალა, რადგან ჩათვალეს, რომ ეს ერთი შეხედვით უწყინარი სათამაშო, რუ-სული აგიტაციისა და პროპაგანდის იარაღიც არის...

შეიძლება ზემოთქმული გადაჭარბებული და ღიმილის-მომგვრელიც კი იყოს, მაგრამ თუ ესტონეთს ესტუმრებით, ადვილად დარწმუნდებით, რომ ჩვენგან განსხვავებით, მათ ზუსტად იციან, რა სჭირდება სახელმწიფოს შექმნას და ალ-ბათ ჩვენსავით შეგურდებათ მათი...



ესტონეთი

ესტონეთი უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და ჩვენი სუბიექტური დაკვირვებით, ევროკავშირში გაწევრიანება თვითონ ჩვენზე უფრო არის დამოკიდებული, ვიდრე ევრო-ჩინოვნიკებზე და ამ გზაზე, ჩვენთვის მთავარი დაბრკოლება და ბარიერი – ჩვენი შიშია.

ჩვენ გვეშინია, რომ ევროინტეგრაციის პირობებში, ჩვენ დავკარგავთ მთავარს, რაც განაპირობებს ჩვენს თვითმყოფადობას. ნებისმიერი შიშის საფუძველთა საფუძველი კი არასაკმარისი ცოდნაა და ასეც რომ არ იყოს, ჩვენი კონსერვატორული ბუნება და ხასიათი, ძნელად ეგუება უცნობ სიახლეს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სწორედ ევროპა არის სივრცე, სადაც ქვეყნებმა და ხალხებმა ყველაზე უკეთ და წარმატებით შეძლეს საკუთარი კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება. ჩვენ კი გვეშინია, რომ როგორც კი მი-ვუახლოვდებით ევროპას, მაშინვე აგვიკრძალავენ ხაჭაპურების ცხობას და წაგვართმევენ მართლმადიდებლობას. ასეთი მცდელობა (ორასი წლის მანძილზე), სხვა დამპყრობლების-გან განსხვავებით, მხოლოდ რუსებს ჰქონდათ საქართველო-

ში და რაც მალე დაგშორდებით მათ და მივუახლოვდებით ევროპას, უფრო სწრაფად შევძლებთ იმის გადარჩენასა და შენარჩუნებას, რაც ასე გვეძვირფასება.

არა რუსეთი ან ამერიკა, არამედ ევროპა და ეს ჩვენი ახალი არჩევანი კი არა, ძველი, დავით აღმაშენებლის გზაა, რომელსაც უნდა დავუბრუნდეთ და ეს გზა კი, სახლში და-გვაძრუნებს — იქ, საიდანაც მოვდივართ და აღარ გვასოვეს, რომ მართლა უძველესი ევროპელები ვიყავით და ევროპა ჩვენი ძველი, დაგინებული სახლია.

სახლში დაბრუნების კი, არ უნდა გვეშინოდეს, მით უმეტეს, რომ საყურებს, ჩვენი სურვილის წინააღმდეგ (როგორც გვა-შინებენ), ჩვენ არავინ გაგვიკეთებს და თუ ოდესმე გვეღირ-სა ევროკავშირში გაწევრიანება, მათი მოთხოვნით, მხოლოდ ჩვენს ძროხებს ექნებათ საყურები და ისიც - მძლოლების გასაფრთხილებლად.

ესტონეთი უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და ესტო-ნეთის ბედნიერ ძროხებს უკვე ფერადი, ღამითაც შესამჩნევი საყურები ამშვენებთ...



ვინც კარგად იცნობს მსოფლიო დრამატურგიის ისტორიას, მისთვის ნაცნობია პელლა მურრიკის სახელიც, ვისი პიესებიც მთელი მსოფლიოს თეატრების სცენებზე იდგმებოდა უდიდესი წარმატებით და დღესაც იდგმება. თუმცა მათთვისაც კი, ვისაც განსაკუთრებით უყვარს ამ შესანიშნავი მწერალი ქალის შემოქმედება, ალბათ უცნობია მისი ბიოგრაფიის ქართული ფურცელი, რომელიც ტარტუს უნივერსიტეტს უკავშირდება.

სწორედ ტარტუში სწავლის დროს შეუყვარდა პელლა მურრიკს ქართველი სტუდენტი გიორგი გელეიშვილი, რომელიც საქართველოს გათავისუფლების კომიტეტის წევრი იყო და მიუხედავად იმისა, რომ გიორგი გელეიშვილსაც გაგიჟებით უყვარდა მშვენიერი პელლა მურიკი, მათი შეულლება არ მოხდა. ქართველი სტუდენტი ტარტუში სწავლის დამთავრების შემდეგ, ჯერ შვეიცარიაში ცხოვრობდა, სადაც საქართველოს გათავისუფლების მიზნით, აქტიურად იღებდა მონაწილეობას იარალის შეძენაში და შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა. თბილისში ჩამოსვლისთანავე, გიორგი გელეიშვილი დააპატიმრეს და მხოლოდ 1917 წელს გაათავისუფლეს დათიკო ვაჩნაძის აქტიური ჩარევის შემდეგ, როცა რუსეთში ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა.

1918 წლიდან იგი ექიმად მუშაობდა ხევსურეთში და ხევსურებთან ერთად, 1921 წლის თებერვალში, თბილისის მისადგომებთან რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ იბრძოდა. 1924 წლის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, მან საქარ-

თველო ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის შეფიცულებთან ერთად დატოვა და ოსმალეთში გადავიდა. ოსმალეთიდან მარსელში, საფრანგეთიდან გერმანიაში, ხოლო გერმანიის საპორტო ქალაქ კილიდან კი — ფინეთში, 1927 წელს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მას მიმოწერა პელლა მურრიკთან, რომელიც ტარტუს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ფინეთში ცხოვრობდა, მაგრამ 1921 წელს მიმოწერა შეწყდა, გასაგები მიზეზების გამო. ყოველ შემთხვევაში, მას სკეროდა, რომ უპასუხოდ გაგზავნილი წერილები საბჭოთა ხელისუფლების დამსახურება იყო, მაგრამ მხოლოდ ფინეთში ჩასვლის შემდეგ აღმოჩინა, რომ მიმოწერის შეწყვეტა პელლა მურრიკის გათხოვებამ გამოიწვია, რომელსაც უკვე შვილიც ჰყავდა. თუმცა გიორგი გელეიშვილს უკან დასახევი თუ დასაბრუნებელი გზა ალარ პელლა მურრიკის გიორგი გელეიშვილი და მონაწილეობაში ქართველ ექიმს პოლიტიკური თავმესაფარი მისცა.

სამწუხაროდ, ვერ შევძელით იმის დადგენა, დაოჯახდა თუ არა ქართველი ემიგრანტი ფინეთში და ერთადერთი, რაც ვიცით, მისი გარდაცვალების დეტალებია. იგი 1939 წელს, ფინეთ-რუსეთის ომის დროს დაიღუპა, რომელშიც მოხალისედ მონაწილეობდა, რადგან უკვე სამოცს მიტანებული გიორგი გელეიშვილს ომში გაწვევა ასაკის გამო არ ეკუთვნოდა. თუმცა 1939 წელს ის მაინც იბრძოდა ფინეთის თავისუფლებისათვის, როგორც საქართველოს თავისუფლებისთვის – მთელი სიცოცხლე...



ტარტუ

რომ არა ტარტუს უნივერსიტეტი, ალბათ არ იქნებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისის რენესანსი ქართულ კულტურა-სა და მეცნიერებაში და თუ ამ ეპოქის ამგვარი შეფასება ვინ-მეს გადაჭარბებულად მოეჩვენება, შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ თუ რენესანსი არა, ნინარენესანსული გარემო XX საუკუნის დასაწყისში, ქართულ მეცნიერებასა და ხელოვნე-ბაში, ნამდვილად არსებობდა. ამ პირიბების შექმნა კი, სხვე-ბთან ერთად, ტარტუს უნივერსიტეტში განათლებამიღებულ-მა ქართველებმა შეძლეს, ვისი მიღწევებითაც (კულტურასა და მეცნიერებაში), დღევანდელი საქართველოც სამართლია-ნად ამაყობს. საქმარისია თუნდაც რამდენიმე სახელოვანი ქართველის ჩამოთვლა, ვინც ტარტუს უნივერსიტეტში სწავ-ლობდა: ვახტანგ კოტეტიშვილი და კოტე ფოცხვერაშვილი, გრიგოლ რობაქიძე და სეიით დევდარიანი, პეტრე ჭაბუკიანი და ვლადიმერ თოხაძე, ალექსანდრე შატილოვი და კონსტან-ტინე ერისთავი, მიხეილ აბრამიშვილი და სიმონ კანდელა-კი...

XIX საუკუნის ბოლოს, ევროპის ამ ერთ-ერთ უძველეს და სახელოვან უნივერსიტეტში, ხუთასამდე ქართველი სტუდენ-ტი ირიცხებოდა სხვადასხვა ფაკულტეტზე და პირველი ქარ-თველი კი, ვინც ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ზურაბ აბდუშელაშვილი იყო. თუმცა, ქართველთაგან პირვე-ლი (რამდენიმე ათეული წლით ადრე), შესაძლებელია, ნიკო-ლობ ბარათაშვილი ყოფილიყო და აკი ურჩევდა კიდეც მას ბიძამისი, გრიგოლ ორბელიანი, სწორედ ტარტუს უნივერ-

სიტეტში სწავლის გაგრძელებას, მაგრამ მხოლოდ ურჩევდა ტარტუში სწავლას და ფინანსურ შეწევნასთან დაკავშირებით კი, სამწუხაროდ, დუმდა...

ყველა დანარჩენ სიკეთესთან ერთად, რუსეთისა და ევრო-პის სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით, ტარტუს უპირა-ტესობა ქართველი სტუდენტებისთვის ნაკლები სიძვირითაც იყო გაპირობებული. ტარტუში სწავლა უფრო იაფი იყო, მა-გრამ უნივერსიტეტის საფასურის გადახდას ქართველ სტუ-დენტთა ნანილი მაინც ვერ ახერხებდა, გასაგები მიზეზების გამო და ამიტომაც მაშინდელი ქართული გაზეთები ხშირად მიმართავდნენ ქართულ საზოგადოებას დახმარების თხო-ვნით. სტუდენტებს ეხმარებოდნენ არა მხოლოდ შეძლებული ადამიანები, არამედ ქართველი მსახიობებიც კი, რომლებიც სპეციალურ საღამოებსა და კონცერტებს მართავდნენ სა-ქველმოქმედი მიზნებით. როგორც ჩანს, მაშინდელ ქართულ საზოგადოებას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული განათლე-ბული ახალგაზრდობის აუცილებლობა და ზუსტად იცოდნენ, რომ სწავლაში დაბანდებული ფული ისეთი კაპიტალი იყო, რომელიც მათი ქვეყნისთვის მომავალში ყველაზე მნიშვნე-ლოვან დივიდენდებს მოიტანდა. ასეთი ქართველები მრა-ვლად იყვნენ მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში, მაგრამ ტარტუს უნივერსიტეტის არქივის ზოგიერთი მასა-ლა, ერთი შესედვით, სრულიად მოულოდნელ, დაუჯერებელ ამბებსაც ინახავს...



ტარტუს უნივერსიტეტი ერთადერთი იყო მთელს რუსეთის იმპერიაში, სადაც გერმანულ ენაზე ისწავლებოდა ნებისმიერი საგანი, მაგრამ რუსული იმპერიალიზმის ამ უჩვეულო ლიბერალიზმს სამაგალითოდ კონსერვატორული შინაგანანესი ახლდა თან – ტარტუს უნივერსიტეტში კარცერი არ სებობდა.

უნივერსიტეტის კარცერი არ იყო ზუსტად ისეთი, როგორიც ციხეებში ჰქონდათ, მაგრამ კარცერი მაინც კარცერია და თუ იქ ზიხარ, სტუდენტი კი არა, უკვე პატიმარი ხარ.

სტუდენტებს აპატიმრებდნენ საზოგადოებრივი წესრიგისა და უნივერსიტეტის კანონების დარღვევისთვის და თუ დანაშაული მძიმე იყო, მაშინ სტუდენტ-პატიმარს საკმაოდ მკაცრად ექცეოდნენ - რამდენიმე დღის განმავლობაში აძლევდნენ მხოლოდ წყალსა და პურს. ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა დუელში მონაწილეობის მიღება, რისთვისაც ნებისმიერ სტუდენტს ტარტუს უნივერსიტეტის კარცერში სამი კვირა უნდა გაეტარებინა. შედარებით მსუბუქი, მხოლოდ რამდენიმედღიანი სასჯელი ელოდა მას, ვინც მოწევდა უნივერსიტეტის შენობაში, ან დაარღვევდა ლამის სიმშვიდეს საცხოვრებელ კორპუსში, ან შეურაცხყოფას მიაყენებდა ქალს, თუნდაც შემთხვევით...

ყველაზე მსუბუქად, მხოლოდ ორდღიანი პატიმრობით ისჯებოდნენ ისინი, ვინც ვალს არ იხდიდა, ბიბლიოთეკის წიგნს დროულად არ აბრუნებდა ან თეატრში, სპექტაკლის დროს, ზედმეტად ხმაურობდა...

სტუდენტობის დროს, ტარტუს უნივერსიტეტის კარცერში იჯდა შემდგომში ამავე უნივერსიტეტის ცნობილი რექტორი ფრიდრიხ პაროტიც, რომელიც ჩხუბისთვის დააპატიმრეს. 1819 წელს კარცერში ასევე იჯდა პირველი ესტონური პოეტი კრისტიან პეტერსონი (შემდგომში ესტონური ლიტერატურის კლასიკოსი), ტარტუს ქუჩებში ლამით სეირნობის გამო. თუ ნამდვილად გასაკვირია (ჩვენთვის, ქართველებისთვის) ესტონური პოეზიის მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყება, სულაც არ არის გასაკვირი, რომ კარცერის საკმაოდ ხშირი “სტუმრები” ტარტუს ქართველი სტუდენტებიც იყვნენ.

კარცერის დათვალიერებისას, გულმოდგინედ ვეძებეთ კიდეც ქართული ნარწერები კარცერის კედლებზე, მაგრამ როგორც მასპინძლებმა აგვისტონებს, ისინი ან დრომ წაშალა ან ესტონელ დამლაგებელთა შრომისმოყვარეობამ.

ისე, თუ ლამით გარეთ არ გახვედი და ცას არ ახედე, პოეტი როგორლა გახდები?..



၁၁၈၂

ტარტუს უნივერსიტეტის ქართულ ისტორიაში სხვა ტრაგიული ფურცელიც არსებობს და ის არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანების, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მარადიულ თავგადასავალს უკავშირდება. ეს თავგადასავალი ან თვითონ არ გვანებებს თავს, ან ჩვენ ვერ ვეშვებით მას (უკვე მერა-მდენე საუკუნეა) და რაც მამუკა ხერხეულიძისაგან მანამდე ვიცოდი, მანც მხოლოდ ერთი საშინელი ისტორია მეგონა და არა ჩვენი ისტორიის თანმდევი სევდა. მხოლოდ იქ, ტარტუს უნივერსიტეტის არქივებში აღმოვჩინე, რომ რაც ახლა გვიშლის ხელს, მაშინაც და მანამდეც მთავარი პრობლემა იყო და შეიძლება მანამ იარსებოს, სანამ ჩვენ ვიარსებრებთ.

1916 წლის ზაფხულში (არდადეგებზე), გიგო ხერხეულიძე
და კიკნა ფშაველა ერთად დაბრუნდნენ სამშობლოში, მაგრამ
გიგო ხერხეულიძე მხოლოდ ერთი დღით გაჩერდა შინ და
მეორე დღეს კი, თავის ძმადნაფიც კიკნა ფშაველას სოფელ
უებოტაში სტუმრად ეწვია. რასაკვირველია, გაიშალა სუფრა
და, რასაკვირველია, სუფრას მოჰყვა საუბარი პოლიტიკაზე,


რომელიც მაშინდედ საქართველოშიც ისეთივე ცხარე იყო ხოლმე, როგორც ახლა. სუფრის წევრებს, რასაკვირველია, განსხავებული აზრები და სიმპათიები აღმოაჩნდათ მაშინ-დელი პილიტიკური პარტიებისა და პროცესების მიმართ და ყველაზე მეტად კიკნა ფშაველას ძმა აქტიურობდა, რომე-ლიც ბოლშევიკების მომხრე იყო და რამდენჯერმე, მოკამათე სტუმარს უხეშად მიმართა. გიგო ხერხეულიძემ, იმ მიზნით, რომ მეგობრის ოჯახში უახლოესი მეგობრის ძმასთან კამათი ჩსუბში არ გადაზრდილიყო, მასპინძლების სახლი დატოვა და ლამით ფეხით გამოუყავა თბილისის გზას. კიკნა ფშაველამ ჩათვალა, რომ ამ სირცხვილს მათი ოჯახი და (პირადად იგი) ვერასოდეს ჩამოირეცხავდა, თუნდაც ძმის ნაცვლად ბოდი-შის მოხდით და ძმის თვალნინ თავი მოიკლა.

ლამით, თბილისისაკენ მარტო, ფეხით მიმავალმა გიგო ხერხეულიძემ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა მომხდარის შესახებ და როცა მას კიკნა ფშაველას განრისხებული ძმა წამოეწია, იგი უშიშრად დაელოდა ნაჯახით სიკვდილს...

ორი ახალგაზრდა ქართველი პოეტის ტრაგიკულ აღსასრულს უამრავი ცრემლიანი წერილი მოჰყვა მაშინდელს ქართულ პრესაში და ტარტუში კი, დამდეგ პირველ სექტემბერს, პირველ ლექციას (ყველა აუდიტორიაში) მდუმარედ, ფეხზე ამდგარნი შეხვდნენ ტარტუს ქართველი და არაქართველი სტუდენტები...

ამ ტრაგიკულ ისტორიას მხოლოდ მათვის, ვისაც “რომეო და ჯულიეტა” მხოლოდ თავშესაქცევი ლიტერატურა ჰყონია, კიდევ ერთ წინადადებას დავამატებ, თუნდაც იმიტომ, რომ ზუსტად ვიცოდეთ, როგორი სიყვარულით უყვარდათ საქართველოში, თუნდაც ერთი საუკუნის წინ – მეორე დღესვე, როცა გიგო ხერხეულიძის ჩვიდმეტი წლის შეყვარებულმა, ლიზი ორჯონიკიძემ გიგოს გარდაცვალების ამბავი შეიტყო, თავი მოკლა.




ისინი ერთ დღეს, ერთად, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალება...




ტარტუს უნივერსიტეტის არქივში, სადაც მუშაობის უფლება ესტონელებმა მართლაც სიამოვნებით მოგვცეს, ერთი უცნაური წერილი აღმოვაჩინეთ, რომლის ადრესატიც ტარტუს უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორია. წერილი თბილისიდან 1912 წელს არის გაგზავნილი და მას ხელს აწერს ვინძე ნინო სახვაძე, რომელიც ტარტუს უნივერსიტეტის რექტორისაგან განმარტებებს ითხოვს სტუდენტ ნიკოლო სიამაშვილთან დაკავშირებით. დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ქალბატონი ნინო სახვაძე იყო სტუდენტ სიამაშვილის სპონსორი, მიუხედავად იმისა, რომ თავად ქალბატონი ნინო სულაც არ გახლდათ შეძლებული და ეს მისი წერილიდანაც კარგად ჩანს. წერილში ისიც არის აღნიშნული, რომ ქალბატონმა ნინომ ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდას მხოლოდ იმიტომ აღმოუჩინა დახმარება და გადაუხადა ტარტუში სწავლის ფული, რომ მისი ღრმა რწმენით, განათლებამიღებული და სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა ყველაზე დიდი გარნატია იყო იმისა, რომ მისი ქვეყანა, უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. ერთადერთი, რის გამოც იგი ტარტუს უნივერსიტეტის რექტორს ნიკოლო სიამაშვილის შესახებ აწუხებდა, ინფორმაციის სიმწირე გახლდათ – უპირველესად, ქალბატონი ნინო უკმაყოფილო იყო იმით, რომ მის მიერ დაფინანსებული სტუდენტი წერილებს აღარ წერდა მას და აკადემიური მოსწრების შესახებ აღარაფერს ატყობინებდა. ვერც შეატყობინებდა, რადგან ნიკოლო სიამაშვილი იმ დროისათვის უკვე ერთი წლის გარდაცვლილი იყო...

ახალგაზრდა ქართველ სტუდენტს, ტარტუს უნივერსიტეტის მეოთხეკურსელ ნიკოლო სიამაშვილს მშენიერი ესტონელი გოგონა, შემდგომში ცნობილი მსახიობი ქალი, ლიინა

პილდე შეუყვარდა, მაგრამ შეუყვარდა თავდაცინებით, როგორც ეს მხოლოდ ერთხელ ხდება ცხოვრებაში, როცა ეს სიყვარული სიცოცხლეზე მეტია. შეუყვარებულმა სტუდენტმა ამ სიყვარულის გამო, თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე და ამ ტრაგიკული ნაბიჯის მიზეზი (როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე), შეიძლება სრულიად უმნიშვნელო წევნაც კი ყოფილიყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ XX საუკუნის დასაწყისში, მთელს ევროპაში თვითმკვლელობის ერთგვარი მოდაც იყო (საყვარელი ქალის გამო), ადვილი დასაჯერებელია, რომ ლიინა პილდე უდანაშაულო ყოფილიყო და ქართველი სტუდენტის ტრაგიკულ აღსასრულის შემდეგ, იგი უსამართლოდ დაითხოვეს ტარტუს თეატრიდან. მხოლოდ უდანაშაულო ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სინდისის ისეთი ქეჯნა, როგორიც ანუხებდა ლიინა პილდეს, რომელმაც დატოვა ესტონეთი, ჩამოვიდა საქრთველოში, მოქებნა ნიკოლო სიამაშვილის მშობლები და მათთან ერთად, აქ რამდენიმე წლის განმავლობაში იცხოვრა. ლიინა პილდემ შეისწავლა ქართულიც – იმ ხალხის მშობლიური ენა, რომელმაც მისი სილამაზის გამო, ერთი კარგი ქართველი ახალგაზრდა დაკარგა და ლიინა პილდეს სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია ურთიერთობა ნიკოლო სიამაშვილის ოჯახის წევრებთან. როცა მშვენიერი ქართულით დაწერილ ბარათებს ვკითხულობდი, გულწრფელად შემუშავდა ოცდაერთი წლის ნიკოლო სიამაშვილის, რომელსაც სიყვარულის გამო სიკვდილი შეეძლო და გულწრფელად ვწუხვარ, რომ საქართველოში ახლაც, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ძალიან ხშირად ამთავრებენ, მაგრამ ძალიან იშვიათად – ქალების გამო...





ეს, თითქმის კახური სახელწოდების მქონე სასტუმრო, უფროსი თაობის ქართველებს განსაკუთრებით უყვარდათ გასული საუკუნის სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში და მაშინ ახლადშეუღლებულ თბილისელთა საკმაოდ დიდი ნაწილი, სწორედ აქ, ტალინის ამ სასტუმროში ატარებდა ეგრეთწოდებულ თაფლობის თვეს.

თაფლობის თვე, მოგეხსენებათ, ახლადდაქორწინებულთა განმარტოების პირველ თვეს ნიშნავს, მაგრამ იმდროინდელი თბილისური ტრადიციით, შეულებულ წყვილს საქორწილო მოგზაურობაში მარტო არ უშვებდნენ და, როგორც წესი, შეყვარებულებს თან მიჰყვებოდნენ მეჯვარეები, მეგობრები და ახლობლები. როგორც წესი, ისინი იმავე სასტუმროში, ყველაზე ხშირად იმავე სართულზე ჩერდებოდნენ და სასტუმროს რესტორანში სვამდნენ სიძისა და პატარძლის სადღეგრძელოებს. მერე პატარძალი იღლებოდა, ნომერში ბოდიშის მოხდით ადიოდა და მოუთმენლად ელოდა შეყვარებულ ქმრის, რომელიც, რასაკვირველია, ასე ადვილად ვერ მიატოვებდა მის პატივსაცემად ასეთ შორ გზაზე ჩამოსულ მეგობრებს და მათთან ერთად მიირთმევდა შამპანურს, სანამ სუფრა ლოგიურ დასასრულამდე არ მივიდოდა. ქართული სუფრის ლოგიური დასასრული კი, (მით უმეტეს “პატივაში”) მოგეხსენებათ, რაც არის და სწორედ ტალინში, სწორედ სასტუმრო “ვირუს” რესტორანში, ჩემს მეგობარს შუალამისას (უკვე “პუტანკებით” გარშემორტყმულს), სამი დღის წინ მოყვანილმა ცოლმა პერანგისამარამ ჩამოაკითხა – ქალი თუ გინდა, ბიჭო, აგერ არ ვარ?.. ხუთი საათია გელოდებიო...

სწორედ ამავე სასტუმროში, სხვა დროს და ჩვენმა სხვა მეგობარმა (თამაზ თამაზის ძე კაპანაძემ, მეტსახელად კოკომ), ნარმოთქვა ისტორიული ფრაზა, რომელიც ისევე აქტუალურია დღეს, როგორც მაშინ, რამდენიმე წლის წინ.

კოკო საქორწილო მოგზაურობაში თან გაჰყვა თავის მეგობარს, საშა ბახუტაშვილს, რომელმაც ცოლად შეირთო ევგენი პრიმაკოვის მშვენიერი ასული (მამისაგან განსხვავებით) და პირველი ლამე თამაზ კაპანაძემ ახლადშეუღლებულთა ნომრის მისადგომებთან გაატარა. კოკო ბოლთას სცემდა დერეფანში, კარზე ინტენსიურად აკაკუნებდა და ნარმოთქვამდა იმ ისტორიულ, საპროგრამო ფრაზას:

– აფხაზეთი არ დაგავინყდეს, ბიჭო!..



ეგზოტიკური სიამოვნება Herbal Essences-ისგან



ახალი



FRUIT
fusions



၁၂၀၈၁၂၅၆၇

გრიგოლ რობაქიძე არ არის ჩემი ყველაზე საყვარელი ქართველი მწერალი, მაგრამ როცა ტარტუს უნივერსიტეტის არქივში მისი საქმე ვნახე, ქართველებისადმი მისი (ცნობილი რადიომიმართვა გამასხვნდა ემიგრაციიდან და თვალებზე დამისველდა...)

მერე ვაკოცე ასი წლის ზინანდელ, უკვე გაცრეცილ საქალალდეს და ზუსტად მივხვდი, რა ძნელია იცხოვრო სამშობლოს გარეშე მაშინაც კი, როგო ამ სამშობლოს აღარ სჭირდები და შენი სიმართლეც აღარავის მოსწონს.

როცა მისი უცნობი, დღემდე გამოუქვეყნებული ფოტო ვნახე, იმასაც მივტვდი, რომ წასკლა უფრო ძნელია, ვიდრე დარჩენა, მაგრამ ჩვენ მაინც მივდივართ, რათა სხვების სინაზულში მაინც დავპირუნდეთ და მერე იმ სხვებმა ყველაფერი თავიდან დაიწყო.

უკვე მერამდენედ...



დაისვენეთ „სახალხო ბანკის“

Travel Card-თან ერთად!



გთავაზობთ:

✓ ეპიკარიტების და ტერისოცეულ

საგზარებეს **განვაძებით**

✓ საერთაშორისო

VISA ბარათებს **საჩუქრად**

✓ ფასეულობის განახვას

ინდივიდუალურ სერვისი **უფასოდ**

✓  სამოგზარო დაზღვევას **საჩუქრად**

სახალხო ბანკი 

ტელ: 55 55 00





HIMSELF

ნიკა სახანეერიძის სახალოსნო / 2005 / ივლისი

ფესტივალის კორისალი ურთი: ლევან სერგეისლიშვილი. ლავაზ მასაზ






სხვა ქვეყნებს შემზღვნაირ კატეგორიებად ჰყოფას:
ნუუ იორგეი – მცურნალობა
ტოკონოში – გართობა
პლაინენბაზი – ლასუნება
ლონდონი...? – არ ვიცი...
სურნობა?
არა, ასეთი დახვეწილიც არა ვარ.

თვითნასწავლი მხატვარი ნიკა სახანძერიძე დაიპადა 1981 წლის 25 ივნისს საქართველოს დედაქალაქში, რომელიც დღემდე „ვერ შეიყვარა“: „საქართველოში ერთი მდინარეც არ მეგულება, რომელსაც ჩემს ფერფლს გაატანებ“.

საყვარელი მხატვარი არ ჰყავს, არც ფოტოგრაფი, არც მუსიკოსი.... უფრო სწორად, ეს ყველაფერი გამუდმებით იცვლება. წიგნებს არ კითხულობს: წავიკითხე წიცშე და კობო აპე. მერე ვერ მივხვდი, რა უნდა წამეკითხა. კიდევ კოელიოს „ალქიმიკოსი“... რა ვიცი? ამ წიგნში იმხელა სიყვარულია, რომ ავტორს ყველაფერი ეპატიება.






2005. გალერეა „უნივერსი“. თბილისი.

„60-იანელების გამოფენა... რატომდაც, აღმოვჩინდით მე და ბუდუ.“

ამა წლის ივლისისთვის ნიკა სახანბერიძე, ჩვეულებისამებრ, აგრძელებს იზოლირებულ სივრცეში ცხოვრებას.
ინსტალაციების ხანა: დეგას ბალერინები; პიცა; ცხელი შოკოლადი...
ამ პერიოდს წინ უსწრებდა ახალი სერია: შავი Diptych-ები; ჩასახული ბავშვები.





2004. JM GALLERY. ნიუ იორკი

„კარგია! ამერიკის დასაწყისია.“

მსოფლიოს ცენტრის ეპიცენტრული უბნის პრესტიული გალერეა ამაოდ ელოდა ნახატების ავტორს:

ამერიკის საელჩოში ნიკა სამჯერ შევიდა და სამჯერვე უარი მიიღო.

კონსულა: შენ 23 წლის ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი ხარ, იქ ისეთ რაღაცას ნახავ, აუცილებლად დარჩებიო.

ინყება ხანგრძილივი დეპრესია.

4 თვის შემდეგ, მხატვარი პარიზში მოგზაურობს. მოგზაურობა ხანმოკლეა. ნახატებით ხელში, გალერეებს სტუმრობს.

პარიზიდან დაბრუნებული ამბობს, თანამედროვე მხატვრობისთვის პარიზი ერთი დიდი სოფელია.





2003. JM GALLERY. ნიუ იორკი

პერიოდი ძნელად აღსაფგენია.

2002. GALLERY GORA. მონრეალი (SOLO)

„საშინლად გაპრაზებული ვარ ამ გალერეაზე. სანამ წართმეულს არ დავიბრუნებ, არ მოვეშვები.“

კანადაში გაგზავნილ 12 ნახატს გაურკვეველი ბეჭი ენია: გამოფენის შემდეგ, რამდენიმე ნახატი გაიყიდა, თუმცა ამას გალერეა

არ ახმაურებს. მასთან დაკავშირების შემთხვევაში, პასუხები მრავალგვარია: ახლა რემონტი გვაქვს, ვერაფერს გეტყვით; ადგილს ვიცვლით; არ გაყიდულა თქვენი ნახატები; გაიყიდა თქვენი 6 ნახატი; კონტრაქტის პირობის თანახმად, ერთი ნახატის შენახვისთვის უნდა გადაიხადოთ დღეში...

2002. გალერეა „უნივერსი“. თბილისი (SOLO)

„არაფერი განსაკუთრებული, გამოფენის მოწყობა შემომთავაზეს, მეც დავთანხმდი.“

სხვადასხვა მაღაზიაში შეძენილი ათასი წვრილმანი: თმის საბნევები; სათამაშო მანქანები; ძაფები; სუნა-მოების კოლოფები; სათამაშო იარაღები; ათასგვარი მატერია; მაქ-მანები; ლურსმნები; ნემსები; კოლბები; სამედიცინო მოწყობილობა; ჩეხური ჭალის დეტალები; ფერადი ქალალდები; უურნალები...

მერე ეს ყველაფერი ერთმანეთში ირევა, ზოგი ლამინირებას, ზოგიც ჩარჩოში მოქცევას განიცდის. რიგდება მეგობრების წრეში, ან სახელოსნოში რჩება, რომელიც თვეში ერთხელ რადიკალურ ექს-პოზიციურ ცვლილებას განიცდის.

2001. კლუბი „სარდაფი“. თბილისი (SOLO)

„გამოფენის მოწყობა ხელოვნებათმცოდნე მაცაცო გაბუნიამ შემომთავაზა.“

ერთხელ, სკოლაში, ზოოლოგიის გაკვეთილზე, ნიკამ მასწავლებელს უთხრა, ფილტვებიანი თევზიც არსებობსო. მასწავლებელმა კლასის წინაშე დასცინა, რას ბოდავო. სალამოს წიგნამ სახლში ის წიგნი იპოვა, სადაც ეს ინფორმაცია ეგულებოდა, წიგნიდან ამოხია ფოტო, რომელზეც ფილტვებიანი თევზი იყო და ამას იქვე მითითებული კომენტარიც ცხადყოფდა. მეორე დილით, ფოტო მასწავლებელს მიუტანა. გამნარებულმა პედაგოგმა დამატებიცებელი საბუთი გადამალა, მოსწავლე შეიძულა და რამდენიმე დღეში, სრულიად უმოტივოდ, სახეში ხელი გაარტყა.




2003. თანამედროვე ხელოვნების გალერეა. თბილისი

„ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა. კეთილი და ძლიერი აფერა გავაკეთეთ. დღემდე არავინ იცის, იქ რა მოხდა.“

ნიკასთან ყოველ სალამოს იკრიბებიან მეგობრები. ათასგვარი სასაუბრო თემა, ჩაი, წვენი, ობიანი ყველი... მუსიკა, დისკოთეკის ბურთის ტრიალი, სხეულებზე არეკლილი მოზაიკები და ესთეტურობის განცდით ტკბობა.





2000. თანამედროვე ხელოვნების გალერეა. თბილისი (SOLO)

„სამი დღის მანძილზე მოდიოდა ერთი გოგო და ჩემი ნახატის შეძენას მთხოვდა. ვერ მივყიდე. შემეშინდა.“



წარსული – პეპლების კოლექცია. აწმყო – მიღენიუმი. მომავალი – ასტეროიდის დაჯახება. გულში – აუხსნელი განცდები.

1999. ეროვნული სურათების გალერეა (ცისფერი გალერეა). თბილისი (SOLO)

„პირველი პერსონალური გამოფენა იყო... მისაროდა.“

17 წლის ნიკა სახანბერიძე თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ გალერეაში შევიდა და ჟღალთმიან დირექტორს უთხრა:

გამოფენის გაკეთება მინდა თქვენს საგამოფენო დარბაზში. მეპატრონე ქალბატონნიმა აათვალ-ჩათვალიერა და პაუზის შემდეგ თქვა: ორი ვარიანტია, ამწუთას ჩემს წინ ან თავხედი დგას ან გენიოსი. გენიოსი რომ იყო, ამაში ეჭვი მეპარება... შენზე ორჯერ უფროსი ვარ და მიკვირს შენი თავხედობა.

ნიკა საგამოფენო დარბაზს ტოვებს.

მალე ახალგაზრდა მხატვარს ცისფერმა გალერეამ უმასპინძლა. გამოფენის გახსნიდან მეორე დღეს, დარბაზის შესასვლელთან გაჩნდა უცნობი ქალბატონი, რომელიც დამთვალიერებლებს ექსპოზიციის სანახავად არ უშვებდა, – ამის ნახვა არ შეიძლება.

ნიკა ინტერვიუებს არ იძლევა. როგორც თავად ამბობს, ვერ ხვდება, როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში. აქვს მოსაზრებები, რომელსაც ახლავს „მგონი“:

„მგონი, მომავლის ადამიანები კომპიუტერებად გადაიქცევიან. ხელოვნების მოთხოვნილება თუ გაუჩნდებათ, საკუთარ ფოლდერებში მოძებნიან. მაგრამ გაუჩნდებათ? ნეტავი, მართლა აღარ იარსებებს ხელოვნება? ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით, თან ცალ-ცალკე... არა, აშკარად ასტეროიდს გვიმიზნებს ბუნება, რომ სხვა პლანეტაზე გადავსახლდეთ და ხელოვნებისთვის აღარ გვეცალოს. მერე, მერე ისევ დავბრუნდებით.“

– ნიკა, ეს რაღაც ბანალური და გომურია, არა?

– ამას იმიტომ ვამბობ, რომ გომობისგან გათავისუფლებული ვარ.

კიდევ რა? სულ ახლახანს, ტოკიოს „Niche Gallery“-დან გამოფენის მოწყობაზე მოწვევა მიიღო.



ზოგიერთს უფრო მხარვალეო უყვარს

ეს კინოთეატრი, საბჭოთა ხანაში „კომკავშირელი“ რომ ერქვა (დღეს კი „ელისო“ ეწოდა), არასდროს მყვარებია. როგორ შეიძლება კინოს ყურება ვიწრო და უსაშველოდ გრძელ დარბაზში? მარჯანიშვილის მოედანთან აშენებული კინოს არქიტექტორს დაავიწყდა, რომ შენობის ფასადი მეტ-ნაკლებად უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას ინტერიერზე, და, რა თქმა უნდა, შენობის დანიშნულებაზე. „კომკავშირელის“ ფასადი კი სახინკლეს ჰგავდა, ან, პარიზში, პიგალზე განლაგებულ საროსკიპოებს. შედიოდი შენობაში, გადიოდი დერეფანს და დარბაზში ხვდებოდი კარიდან, რომელიც ზედ ეკრანის გვერდით იყო გაჭრილი.

ასე აღმოჩნდებოდი ზურგშექცეული ეკრანთან და პირისპირ მაყურებელთან, რომელიც ფილმის დაწყების მოლოდინში ყურადღებით გათვალიერებდა, როგორც პერსონაჟს, რომელთან ერთადაც ორი საათი უნდა გაეტარებინა ბნელ დარბაზში; პერსონაჟს, რომელმაც თითქოს გადმოაბიჯა ეკრანიდან, მაგრამ მაინც ვერ გადალახა ვუიარისტული ვწების ობიექტის საზღვრები, მუნჯი კინოს „კეთილი გოგონების“ მსგავსად, რომლებიც ფიგურალურად, ხშირად კი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უსინათლონი იყვნენ.

ასე იყო „კომკავშირელშიც“. თუკი ბილეთი უკანა რიგებში გქონდა, იძულებული ხდებოდი გაგევლო დარბაზის ვიწრო სივრცე, შესულიყავი სიღრმეში და აგეტანა უცხო ხალხის მზერა, დაგეკმაყოფილებინა პუბლიკის ცნობისმოყვარეობა.

„კომკავშირელი“ ნამდვილი კაფეიანური გარემო იყო ჩემნაირი პარანოკისათვის. ყოველთვის მეშინოდა სცენის და ურუანტელი მივლიდა, როცა მიყურებდნენ და მათვალიერებდნენ. ყველაფერთან ერთად იმიტომაც, რომ





თავად მიყვარდა ყურება და კარგად ვიცოდი, როგორ შეიძლება „გათვალი“ ვინმე, თუკი არ მოგეწონება, ან, პირიქით, დიდხანს დააკვირდე და მასში რაღაც ლამაზი დაინახო. მოკლედ, დაეუფლო შენი მზერის ობიექტს და ისეთი დაინახო, როგორიც გსურს, რომ იყოს.

თვალის ამ მაგიაზე ლილიამ მიამბო, – 50 წლის ბოშა ქალმა, რომელიც „კომკავშირელთან“ უცხოელი მსახიობების ფოტოებს ყიდდა. ეს კინოთეატრი სკოლასთან ყველაზე ახლოს იყო. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზს ვერ ვიტანდი, კვირა არ გადიოდა, „კომკავშირელში“ ფილმი რომ არ მენახა; იმიტომ, რომ აქ ლილია იდგა და კიდევ იმიტომ, რომ აქ ეკრანებიდან უკვე მოხსნილ სურათებს უჩვენებდნენ.

ლილიას პირველად 1972 წლის სექტემბერში მოვკარი თვალი. „კომკავშირელთან“ დავინახე ქალი, რომელსაც გრძელი, ნაოჭებიანი ქვედატანი ეცვა და ყველას გასაგონად ყვიროდა, – გაიგეთ, ხალხო, მუავანაძე მოხსნეს, შევარდნაძე დანიშნესო?

მაგრამ ეს „ნიუსი“ მოულოდნელი არავისთვის ყოფილა. ყველამ იცოდა, რომ კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის „ნაჩალნიკის“ პოსტი შევარდნაძეს არ დააკმაყოფილებდა. 1972 წლის ივლისში, როცა კრემლმა ვოლუნტარიზმში დასდო ბრალი თბილისის კომპარტიას და პირველ მილიციელს დედაქალაქი ჩააბარა, ბაბუაჩემი ესპანეთში, რაღაც კონფერენციაზე მიერგზავრებოდა. ესპანეთში თუ არ გამიშვეს, მოსკოვში წაგიყვან, პიკასოს გამოფენა ვნახოთო - დამპირდა... მეტი არაფერი უთქავამს. ძილის წინ, სულ ერთი და იგივეს ვპუტბუტებდი: „ლმერთო ჩემო, თუკი რამე შეგიძლია, დაეხმარე შევარდნაძეს, დაამარცხებინე ვოლუნტარიზმი, არ გაუშვან გოგია პაპა ესპანეთში!“

იმისათვის, რომ ლოცვას გაეჭრა, უნდა გამეგო, რაში დებენ ბრალს მუავანაძეს. ე.ი. უნდა გამერკვია, რას ნიშნავს „ვოლუნტარიზმი“. ჩემნაირი სწობი კომკავშირელი ამ კითხვას არავის დაუსვამდა; მეტყოდნენ, მალე 16 წლის გახდები და „ვოლუნტარიზმის“ მნიშვნელობა არ იციო? ისლა მრჩებოდა, ბაბუაჩემის წიგნებში დამეწყო ქექვა.


„ვოლუნტარისტები ადამიანურ „მეს“ სინამდვილის შემომქმედად აცხადებენ.“

აი, რაში ყოფილა საქმე? მუავანაძეს და მის ცოლს თავი „სინამდვილის შემომქმედებად“ წარმოედგინათ? ეტყობა თავში აუვარდათ, როცა 1972 წლის ზამთარში, საქართველოს გასაბჭოების 50-ე წლისთავზე, თბილისში ჩამობრძანებულმა ბრეჟნევმა ჩვენი ქვეყანა აყვავებულ ბალს შეადარა. ეტყობა, მებალებად წარმოიდგინეს თავი. ამიტომაც გააპანდურეს და აყვავებული ბალის ბატონ-პატრონად შევარდნაძე დასვეს - კაცი, რომელიც მამათში გაიზარდა, ამიტომ უკეთ უნდა სცოდნოდა მიწის, ბალის და ბუნების ფასი; უნდა სცოდნოდა, რომ „მე“ ვერაფერს გახდებოდა, თავად ბუნებას რომ არ მოენდომებინა ქვეყნის გადაქცევა წალკოტად.

პიკასოს გამოფენა ჩამეშალა. აღმოჩნდა, რომ მოსკოვში, ესპანეთის მუზეუმებიდან ჩამოტანილი პიკასოს სურათების სანახვად, ხალხმა ერთი კვირით ადრე დაიკავა რიგი (ასეთივე რიგი იდგა თურმე დიდ თეატრთან, პლისეცეპაიას „ანა კარენინას“ პრემიერაზე), „ლეჟანკები“ გაუშლიათ თურმე ხელოვნების მოყვარულებს. და ჩვენ, ბაბუა და შეილიშვილი, თბილისელი „გოგიები“ ლეჟანკებით ხომ არ გავემართებოდით მოსკოვში?

თანაც, პაპაჩემი მაინც გაუშვეს ესპანეთში. წასვლის წინ მითხვა, იქაური ბაგრატიონები უნდა ვინახულო, ოლონდ არავის უთხრაო.

საიდუმლო შევინახე. უკვე ვიცოდი, რომ ბაგრატიონების მონახულება ვოლუნტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. ჩემი უყრით მოვისმინე შევარდნაძის სიტყვა: „ესაჭიროება თუ არა დღეს მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას იდეალიზებული მეფეებისა და მხედართმთავრების სახეები? ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ისტორიული მოღვაწე თავისი დროისთვის პროგრესული იყო, მაგრამ საჭიროებენ ისინი დღეს ანგელოზის ფრთებს?“



ეს თქვა და „კომკავშირელის“ ფასადზე სასწრაფოდ დაიკიდა ახალი სარეკლამო ფარი: „ხუთმაბათიდან, განმეორებით - „რომაული არდადეგები“. კინოგაქირავებამ რამდენიმე დღეში ამოქაჩა ზაფხულში ჩავარდნილი გეგმა. შევარდნაძისთვის არავის სცხელოდა - მთელი თბილისი, დიასახლისები, მრავალშვილიანი დედები, შინაბერები, შეყვარებულები და მიტოვებულები - ყველა ერთად გაემართა ოდრისა და გრეგორის სანახავად (სწორედ იმ დროს გავრცელდა თბილისში ჭორი - გრეგორი პეკი ქართველია).

მაგრამ „რომაულ არდადეგებზე“ ყველაზე მეტად ლილიამ იხეირა. ჭრელი კაბა კი ეცვა, მაგრამ ბოშას არ ჰგავდა. თანაც, თბილისელი ბოშებისაგან განსხვავებით, გამართული ქართულით ლაპარაკობდა. უილიამ უაილერის ფილმის განმეორებითი ჩვენების შემდეგ, ოდრისა და გრეგორის ფოტოების საყიდლად მას ლამის მთელი ჩვენი სკოლა მიადგა. რატომღაც ჩემს ფეხსაცმელს მიაქცია ყურადღება, ეგრეთ წოდებულ „რუსთავის პლატფორმებს“, ამობურცული ცხვირით. მერე ჩემს გრძელ და ხუჭუჭა თმებს მიაშტერდა და მითხრა, შენ, ალბათ, „პლასტინები“ უფრო გაინტერესებსო. ჭუჭყიანი ცელოფანის პარკიდან პოლ მაკარტნის ახლადშექმნილი ანსამბლის, „Wings“-ის ცინცხალი დასკი „Wild life“ ამომილო და 25 მანეთი მომთხოვა.

დისკის ყდამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე; მისტერ და მისის მაკარტნის ბუნების წიაღში... პოლი თითქოს ძმაკაცებს უმტკიცებს, – აი, ხომ ხედავთ, როგორი ბედნიერი ვარო. არადა, სკოლაში ბიჭები საშინელებებს ამბობდნენ მასზე - ძმაკაცების მოღალატეო, ცოლის „მაჩალკაო“... ჰოდა, ენახათ ერთი, როგორ ლივლივებენ მაკარტნები.

ლილიამ მაკარტნი სწორედ იმ გაზეთში შემიხვია, რომელშიც ედუარდ ამ-

ბროსის ძე შევარდნაძის დანიშვნის ცნობა იყო გამოქვეყნებული. მერე კი თავისი ფოტოკოლექცია დამათვალიერებინა. ღმერთო ჩემო, ვინ აღარ ჰყავდა თავის ჭუჭყიან პარკში - ბელმონდო, ავა გარდნერი, ბევრი სოფი ლორენი და ბევრი მარჩელი მასტროიანი. ჴო, კიდევ იმდროინდელი ვაკელების კერძები - ანუკ ემე და უან-ლუ ტრენტინიანი.

მაგრამ ჩვენ, პლესანოველებს, „ქალი და მამაკაცის“ ტყლარჭვა დიდად არ გვეხატებოდა გულზე. ჩვენ ოდრის ვაღმერთებდით!

„კომკავშირელში“ დიდი ვიშვიში ატყდა, როცა გაზეთი „კომუნისტი“ გავშალე და მაკარტნის ახალი დისკის ყდაზე ოდრის ფოტოები დავაღლაგე. ვიღაცამ მითხრა, ეგ ფირფიტა დამალე, თორემ წაგართმევენო. მაგრამ კაცი, რომელიც ამას იკადრებდა, „რომაული არდადეგების“ სანახავად ხომ არ მოვიდოდა? ყოველ შემთხვევაში, „ასპროცენტიან ვაჟუკაცებს“ აქ არაფერი ესაქმებოდათ. სხვათა შორის, ეს ფილმი არც „ასპროცენტიანი ქალებისთვის“ გადაუღიათ. როცა პრინცესა ანა საპარიკმახეროში ბიჭურად იყენებს ვარცხნილობას და „ქალაბიჭად“ იქცევა, მაყურებელი ხვდება, რომ სწორედ ასეთი, ანდროგინული არსება ცხადდება სიცოცხლისა და თავისუფლების იდეალად. არარსებული ქვეყნის პრინცესას ოფიციალური ვიზიტი უძველესი კულტურის ცენტრში, რომში, უაილერის ფილმში ამ უძველესთან, ანუ ბუნებრივთან, „ადრეისტორიულთან“ მის დაახლოებად იქცევა.

„ნეტა იმ ბოშა ქალს თუ აქვს ნანახი ეს ფილმი?“ - ვიფიქრე სეანსის დამთავრებისთანავე. სულ დამავიწყდა, რომ სახლში, მისის და მისტერ მაკარტნების ახალი დისკის მოსმენა მეჩქარებოდა. ლილიას ძებნა დავიწყე. ოდრიზე აზრი ვკითხე, არ მომზონს ეგ დისტროფიკიო. ისევ დაიწყო ქექვა ჩანთაში, მერლინ მონროს საშინელი ფოტო ამომილო, – აი, ქალიო! კიდევ რაღაცის ჩვენებას აპირებდა, მაგრამ მეტროდან მომავალი მილიციონერი დაინახა და გიჟივით მოკურცხლა.

დისკი საშინლად არ მომენთა. გულახდილი რომ ვიყო, ლივერპულელი ბიჭები არც არასდროს მყვარებია, მაგრამ მაკარტნის ეს „ფრთები“ სრული კატასტროფა იყო. ამ სიტკბომ, ამ ბათეტიკამ ისე გამაღიზიანა, რომ მესამე სიმღერის დასრულებისთანავე გამოვრთე ფირსაკრავი.

25 მანეთის დაკარგვა რომ გამემართლებინა, დისკის ყდა ჭიკარტებით დავამაგრე კედელზე. მინდოდა ყველას ენახა, რომ მაკარტნის ახალთახალი ფირფიტის პატრონი გავხდი.


ამასობაში საყვარელი პაპაც დამიბრუნდა ესპანეთიდან, სადაც მართლაც გაიცნო ბაგრატიონთა შთამომავლები. საჩუქრებიც ჩამომიტანა - სურბარანის, გოიას ალბომები და ერთი სუვენირი,



ესპანეთის პროვინციის, ვალიადოლიდის გერბი. კასტილიის ამ ქალაქში ქრისტეფორე კოლუმბი გარდაიცვალა - ყველასგან მიტოვებული, დავიწყებული გაღატაკებული. მაგრამ ვალიადოლიდის გერბზე არც კოლუმბია გამოსახული და არც სერვანტესი. გერბს ხმლები ამშვენებს!

სუვენირი კი საერთოდ საოცრებაა - მოოქროვილი ხმლები ადვილად ძვრება ქარქაშს და გერბი ასე, ნაწილებად იშლება. სკოლაში, ბიჭებს მეფის გვირგვინიდან ხმლის ამოლება ძალიან მოეწონათ. სათითაოდ მთხოვდნენ, ამომალებინეო, მერე კი გაოცებას ვერ მაღავდნენ - როგორ ბზინავს, როგორ ლაპლაპებს ეს ხმალი, იქნებ მართლა ოქროაო. ვალიადოლიდის გერბი ისე შემიყვარდა, რომ გადავწყვიტე, თილისმის სახით მეტარებინა - ჩანთაში ჩავდე და ყოველდღე ვატარებდი სკოლაში.

დღეები გადიოდა, ვუყურებდი „ლივერპულური სამოთხის“ დამანგრეველთა ნეტარებას ბუნების წიაღში და „კომკავშირელში“ ახალი ფილმის გამოსვლას ველოდებოდი. კინოთეატრებში მაშინ ავტომობასუხეები შემოიდეს. შეგეძლოთ დაგერეკათ და მოგესმინათ ჯადოსნური ხმისთვის, რომელიც რეპერტუარს გაგაცნობდათ.



„კომკავშირელშიც“ დავრეკე... და ჰოი, საოცრებავ! ხმამ მითხრა, რომ ხუთშაბათიდან აქ უჩვენებდნენ ამერიკულ კომედიას „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“.

ბოშების ინტუიციის შესახებ ბევრი რამ გამეგო, მაგრამ ასეთმა დამთხვევამ ძალიან გამაკვირვა. მუავანაძის დრო რომ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, რომ ლილია კინოთეატრის დირექტორთანა შეკრული და როგორც დღეს იტყვიან, „პრომოუშენს“ უკეთებს ფილმებს. მაგრამ საქართველოში უკვე ებრძოდნენ „ვოლუნტარიზმსა და პროტექციონიზმს“. ქვეყანაში მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო. კინოთეატრის დირექცია ბოშასთან, რომელიც სიგარეტს, დისკებსა და სურათებს ყიდდა, საქმეს არ დაიჭირდა.

გადაწყვეტილება მივიღება.

ვითომ მერლინ მონროს ფოტოებისთვის მივეღი. მაგრამ ეს „ვითომ“ არ გამომივიდა. კაი მამაძალლი ჩანხარ, პირდაპირ მითხარი, ხელზე გიმკითხაო თუ კარტზეო. კარტი დამეზარა, ამისათვის სახლში უნდა გავყოლოდი, კუკიაზე. იმ უბანში ჩემი კლასელები ცხოვრობდნენ - ვინმეს რომ დავენახე ხუთისანი კომკავშირელი ბოშასთან სახლში, რაღაც საშინელებას იფიქრებდა. ამიტომ ისევ ხელები ვარჩიე. მაგრამ სად?

მეტროში ჩავიდეთ და ესკალატორზე გიმეოთხავებო. ქვესაკუნძულში ჩასვლისას ჩემს ხელებს თავისი დიდი ძუძუები გადააფარა, არავის რომ არ დაენახა, რას აკეთებდა. ჯერ მითხრა, გახსენი ჭრილობა, გულში რომ ატარებ - დაე, მზემ განკურნოს იგი; დაე, ჰაერით შეხორცდესო. ვერ მივხვდი, რა ჭრილობაზე მელაპარაკებოდა, მზე რა შუაში იყო? მაგრამ არაფერი ვკითხე. მერე მითხრა, არტისტობა მოგინდება, მა-

გრამ ვერ შეძლებ - არტისტები - გამომგონებლები არიან, გამუდმებით ცდილობენ შექმნან ახალი, იყვნენ სხვანაირები. მაგრამ შენ მაგას ვერ გაბედავ, ლაჩარი ხარო. ბოლოს, ქვესკუნძულიდან ისევ უკან რომ ვპრუნდებოდით, ცრემლი მოადგა თვალზე. ჩავაცივდი, ვეხვენე, მითხარი და კარგად გადაგიხდი-მეთქი. ფულის ხსენებამ გამამიარულა - 22 წლისა მოკვდები, მაგრამ თუ გადარჩი, 37 წლისა რომ გახდები, ვერაფერი გიშველისო.

37 წლის რომ გავხდი, ქვეყანას ისევ შევარდნაძე მართავდა. თავის სიტყვებსა და გამოსვლებში იგი ახლა, აფხაზეთში დამარცხებული, ხშირად იხსენებდა ქართველ მეფეებსა და მხედართმთავრებს. დიდი დაბადების დღე გადავიხადე და ყველას ვუთხარი, რომ არ მჯერა მკითხავების, მძულს შავი მაგია და ეზოტერული ხილვები. მაგრამ ლილიას ამბავს პირველად ვყვები. მან ხომ ძალიან მატეინა გული.

მეტროს ჯურლმულიდან რომ ამოვედით, ფული გადავუხადე. არაფრის შეცვლა არ შეგიძლია-მეთქი? კი, როგორ არაო, კინოში დამპატიურ, მერლინ მონროზე, ხვალ დილით კი მზეზე ვილოცებ, იქნებ გადაგარჩინო. მზეს, საერთოდ, ხშირად ახსენებდა. იმ პატარა გზაზე - მეტროდან „კომკავშირლამდე“ მითხრა, შვილი მყავდა ავად, შენხელა ბიჭიო, მაგრამ ოქროს ბეჭდები ჩავდე ჭიქაში, მზეს მივუშვირე, შევევედრე და გადარჩიო. მერე ნამუსზე აგდება დამიწყო - ვიცი, რომ გრცხვენია ჩემთან ერთად კინოში შესვლა, ჩვენ ხომ ყველას ვეჯავრებით, ყველას ქურდები ვგონივართო.

მართალი თქვა. ძალიან მრცხვენოდა, მაგრამ 22 წლის ასაკში სიკვდილი ისე არ მინდოდა, რომ მზად ვიყავი ყველაფერზე წავსულიყავი. ის კი მოვახერხე, რომ ბილეთები პირველ რიგში ავიდე, დარბაზში შესვლისთანავე რომ დავმსხდარიყავით და მერლინ მონროს სანახავად მოპრაბენდულ ასპროცენტიან კაცებს ჩვენი დათვალიერება არ დაეწყოთ. ფილმის დაწყების წინ, ლილიას ვუთხარი, რომ ბილი უაილდერის ფილმს "Some Like It Hot" ჰქვია, და არა „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“. ე.ი. „ზოგიერთს უფრო მხურვალედ უყვარს“. გავაფრთხილე, რომ შეცვლილია ფილმის ფინალური ფრაზაც - არა "У каждого свои недостатки", არამედ Nobody's perfect!, ანუ „არავინაა სრულყოფილი“

ვაი, როგორ მიყვარს ეს ფილმი! ქალთა ეს ორკესტრი, რომლის მუსიკოსებად გახდომა („ქალად ქცევა“) ლემონისა და კერტისის გმირებს სიკვდილისგან იხსნის... და სადაც ერთადერთი მამაკაცი, ამ ორკესტრის ადმინისტრატორი სრულიად უმნეოა ვნებებით სავსე ქალებში. როგორ მიყვარს ეს ზეიმი მატრიარქატისა, რომელსაც მისთვის მტრული „პატრიარქატი“ - მაფია უპირისპირება; აპსოლუტური წესრიგისა და იდიოტიზმის სამყარო კაცისა, რომელსაც „კალვერო - გრძელი წინდა“ ჰქვია, წვეტიანი ფეხსაცმელი აცვია და იმ ბიჭებივით მაგარი ჰგონია თავი, მერლინ მონროს დასათვალიერებლად რომ მოდიოდნენ

პიგალის საროსკიპოს მსგავს კინოთეატრში.

ბილი უაილდერი ვენაში დაიბადა და პირადად იცნობდა ზიგმუნდ ფროიდს, რომელსაც იგი, სხვათა შორის, ასენებს კიდეც ფილმის იმ ეპიზოდში, როცა მერლინ მონროს გმირი იახტაზე „კურნავს“ ახლადგაცნობილ „მილიონერს“. კერტისი გამოუტყდება, რომ მკურნალობის კურსი გაიარა ფროიდთან, ვენაში, მაგრამ ამაოდ - ქალები არ აღელვებენ. უცნაურია, მაგრამ სწორედ ეს აღიარება გახდება სტიმული „შუგასთვის“ (რუსულ დუბლიაჟში მას „Душечка“ ჰქვია): „მე ფროიდი არა ვარ, მაგრამ მეც შემიძლია რაღაც... აქეთ შუგა „მკურნალობს“ და იქით, ზღვისპირა რესტორანში დაფნა „ატარებს“ სატრფოს. ქალები უკვე კაცებს ატარებენ, მკურნალობენ. ინგრევა ყოვლისშემძლე განგსტერის მითი. შუგა ზიგმუნდ ფროიდსაც კი ამარცხებს.

მაფიის პატრიარქები ისეთი ძლიერები არიან, რომ შეუძლიათ გადაკეტონ გზები, აკონტროლონ აეროპორტი, რკინიგზა, მაგრამ ავინყდებათ, რომ არსებობს საზღვაო გზა - წყალი, სადაც მოტორიზებულ ნავს მოლივლივე ხალხი გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავს, იქ, სადაც ყოველგვარ პირობითობაზე უარია ნათქვამი და სადაც ესმით, რომ „არავინ არის დახვეწილი“.

„უაილდერმა ძეგლი აუგო ქალის გამჭრიახობას, უფრო სწორად, ადამიანის დედობრივი საწყისის გამჭრიახობას და გვიჩვენა, თუ რაოდენ ყოვლისშემძლეა ეს საწყისი... ფილმის ფინალი კი - მოტორიზებული ნავით გაქცევა - სიმბოლოა სამო-



თხისა, სადაც ადამიანთა სოლიდარობა ამარცხებს ყოველგვარ პარანოიას და სიფათის შიშს“.

პედრო ალმოდოვარის ეს სიტყვები ხშირად მაგონდება ხოლმე, როცა ქალებზე, პრველ რიგში კი დედებზე უსაზღვროდ შეყვარებული რეჟისორების ფილმებს ვუყურებ. 1972 წლის შემოდგომაზე, როცა მკითხავთან ერთად უაილდერის კომედიაზე ვიჯექი, ალმოდოვარი 21 წლის იყო და რომელიღაც სატელეფონო კომპანიაში მუშაობდა. არ არის გამორიცხული, რომ ერთდროულად ვუყურებდით უაილდერის ფილმს (არაერთხელ უთქვამს, რომ „ზოგიერთს უფრო მხურვალედ უყვარს“ ათასჯერ აქვს ნანახი) -

ის, ფრანკოს ესპანეთში, მე - შევარდნაძის საბჭოთა საქართველოში. მაგრამ არა მგონია ეს სურათი ჩემზე უფრო ეგზოტიკურ გარემოში ენახა ოდესმე - ბოშა-ქალთან ერთად.

ფილმი დასრულდა და მკითხავს გამოვემშვიდობები, სახლში, საბურთალოს მიმართულებით მიმავალ მარშრუტები ჩავვეჯი და იმაზე ვფიქრობდი, რატომ აღიქვამენ ბოშებს მხოლოდ ეგზოტიკად - მომღერალ და მოცეკვავე ხალხად? ჩემი თავით კმაყოფილი გახლდით - აი, გადავლახე ეს საზღვარი, აი, დავრწმუნდი, რომ ბოშების ბრალი არ არის, მათი ინტევრაცია რომ არ მოხდა ჩვენს საზოგადოებაში, რომ სრული იდიოტების მოგონილია - ბოშა თუ და-გესიზმრათ, ვიღაცასთან ჩეუბი არ აგცდებათ. ბოშა თუ გააბრაზეთ - დაგწყევლით, თუ გამოელაპარაკეთ - გაგქურდავთ. აი, როგორი თბილი შეიძლება იყოს ადამიანი, როცა მასაც თბილად მოექცევი. თვითემაყოფილება შეიძლება სრულ სიგიჟედ გადაქცეულიყო, მაგრამ, რამდენჯერ უნდა ვიკითხო - რისთვისაა ღმერთი, ადამიანს გაჭირვებაში რომ არ და-ეხმაროს?

სახლში როცა დავბრუნდი და ჩანთა ამოვანყვე, ყველა ჩემი ილუზია დაიმსხვრა - ლილიას ჩემი ვალიადოლიდის გერბი მოუპარავს. ვერაფრით აღვიდგინე, როდის შეიძლებოდა მომხდარიყო ეს - ჯულმულში ჩასვლა-ამოსვლისას, თუ „კომკავშირელში“, სადაც ორივე გულიანად ვიცინოდით გოგოებადეცეული მუსიკოსების თავგადასავალზე.

საკუთარი თავით ტკბობა სრული თვითგვემით შემცვევალა; ეს არ იყო ჰუმანიზმი, არ იყო თანაგრძნობა - ვეუბნებოდი ჩემს თავს; უბრალოდ, ადამიანებს ურჩევნიათ ურთიერთობა იმასთან, ვინც უფრო „დაბლაა“ და გაურბიან მათ, ვისაც უფრო „მალლა“ მიიჩნევენ.

მორჩა ეს ყალბი ლიბერალიზმი! მორჩა საყოველთაო თანასწორობასა და ამქვეყნიურ სამოთხეზე ფიქრი. გაუმარჯოს მონარქიას, მეფეებს, მხედართმთავრებს. ჩემი ხმალი როგორმე უნდა დამებრუნებინა.


„კომკავშირელთან“ აღარ იდგა. ნუთუ თავისი პიზნესი შეწირა ამ იაფფასიან სუვენირს? (მომიტევოს გოგია პაპას სულმა), იქნებ მართლა ოქრო ეგონა? ბოშები ხომ ჭკუას კარგავენ ოქროზე. თვითონ არ მითხრა, რაც მეტი გაქვს ოქრო, მით უფრო პატივს გცემენო? მაგრამ რატომ არ გადაამოწმებინა? იმას ხომ აღარ დაველოდებოდი, როდის დაუუანგდებოდა ხმალი და როდის დაუბრუნდებოდა თავის პოსტს, „კომკავშირელთან“?

რამდენიმე კვირის შემდეგ, რადიოში ვრცელი გადაცემა მიუძღვნეს თბილისელ სპეცულანტებს. ვოლუნტარიზმთან მებრძოლი ხელისუფლება დაემუქრა ყველას, ვინც „კევას“, თვალის სალებაეს, უცხოურ სიგარეტს ყიდდა. ძალიან მკაცრი სასჯელი ემუქრებოდათ ქუჩაში მოვაჭრეებს. მაშინ ვიფიქრე, რომ ლილია, უბრალოდ, შეშინებულია და „კომკავშირელთან“ მხოლოდ ამიტომ აღარ დგას-მეთქი.

ამასობაში ქვეყნაში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. მავნე ზე-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიამ კულტურის სფეროც მოიცვა - შევარდნაძის განკარგულებით, მაგალითად, საბალეტო დასის ხელმძღვანელის პოსტი დაატოვებინეს ვახტანგ ჭაბუკიანს. მაგრამ მე აღაც შევარდნაძე მახსოვდა, აღარც ბალეტი და აღარც ჩემი ბოშები. მეათე კლასში გადავლიოდი და ვერ გადამეწყვიტა, რაუნდა გამეკეთებინა მომავალში.

„კომკავშირელსაც“ არ გავკარებივარ. ხასიათი მაქვს ასეთი, იმ სივრცეს, რომელთანაც ცუდი მოგონებები მაკავშირებს, შეძლებისდავგარად გაფურბივარ ხოლმე.

ასე გაგრძელდა გაზაფხულის ბოლომდე, სანამ ეკრანებზე



გიორგი შენგელაიას ახალი ფილმი, „ვერის უბნის მელოდიები“ არ გამოვიდა.

„- აუ, შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ ჰგავს ია ნინიძე ოდრის. „კომკავშირელთან“ ერთი ბოშა ბიჭი დგას, კოლია ჰქვია, სურათებს ყიდის. ოდრის ისეთი სურათი აქვს, ზედგამოჭრილი იაა!“ - ასეთი საუბარი მომესმა სკოლის ბუფეტში, სადაც 23-ე სკოლის გოგო-ბიჭები ახალ ამბებს არჩევდნენ ხოლმე.

გაკვეთილების დასრულებისთანავე, „კომკავშირელისკენ“ გავემართე. ჩემი ყურადღება მიიპყრო შავყვითელა ბიჭმა, რომელსაც სიცხის მიუხედავად, ჩექმები ეცვა, შარვალი ამ ჩექმაში ჰქონდა ჩატანებული, ქამარი კი ტანზე ეკიდა. მხარზე ჩანთა ჰქონდა ჩამოკიდებული, ის ისე, იელოველები რომ ატარებენ ხოლმე.

მაგრამ იელოვას მოწმებს რა უნდოდათ მაშინ თბილისში? გადამყიდველი იყო! ოდრის სურათები ვთხოვე. შავ-თეთრი ფოტოები მაჩვენა და „პლასტინკები“ შემომთავაზა.

„შენ ლილიას ბიჭი ხომ არა ხარ?“. ეს კითხვა იმდენად მოულოდნელად დავსვი, რომ თავად გამიკვირდა, საიდან მომიციდა თავში.

„დედას იცნობდი?“

ხო, ზუსტად ასე თქვა, დედასო...

„ხო, ვიცნობ, პაპაჩემის ნაჩუქარი გერბი მომპარა. ოქრო არ არის, იაფფასიანია. იქნებ დამიბრუნო, ძმაო.“

არ ვიცი, ეს „ძმაო“ რაღად წამომცდა. შეიძლება იმიტომ, რომ გერბის ხსენებაზე ფერი ეცვალა და ძალიან საწყალი სახე მიიღო.

„დედაჩემი მაგ გერბმა დალუპა. ავად რომ გახდა, სულ იმას მეხვენებოდა, ის ბიჭი იპოვე და დაუბრუნე, ჯადო იქნებაო, მაგრამ მე ეგეთი რაღაცების არ მჯერა. თუ გინდა, მოდი აქ, ხვალ, 5 საათზე. აუცილებლად მოგიტან“.

ლილია კუჭის კიბოს მოუკლავს ციხის საავადმყოფოში. ოქტომბერში, პლანის გაყიდვისთვის დაუჭქრიათ. სამ თვეში დიაგნოზი დაუსვეს. ეტყობა უკვე მაშინ იყო ავად, ბილი უალდერს რომ ვუყურებდით.

მეორე დღეს გერბი მომიტანა. მაგრამ „ცარიელი“ მომცა, უხმლოდ. ჩანთაში ჩავარდა ალბათო, მითხრა და ქექვა დაიწყო. ღმერთი ჩემო, რა ალარ ამოალაგა ჩანთიდან - ჯიმ მორისონის დისკები, რაღაც იტალიური ესტრადა, მსახიობების ფოტოები - ჯანეტ მაკდონალდით დაწყებული, ალენ დელონით დამთავრებული.

ხმალი ჩანთის სიღმეში ეგდო. გამომიწოდა. ის წამი კარგად მახსოვს, როცა ვალიადოლიდის დაუანგული ხმალი ერთად გვეჭირა ორივეს. თვალი ცრემლანი ჰქონდა. კიდევ მინდოდა რაღაც მეთქვა, რაღაც „ძმაოს“ მსგავსი, მაგრამ მოულოდნელად იყვირა, - ვაი, მილიციაო. დისკებს ხელი დაავლო. ხმალი შემაჩერია, თავისი იაფფასიანი, შავ-თეთრი ფოტოები კი ტროტუარზე დაყარა. დღესაც კარგად მახსოვს პლეხანოვის ტალახში ამოსვრილი გაღიმებული სოფი ლორენი.

მეც შემეშინდა. ტროლეიბუსს შევახტი და იქაურობა დავტოვე. გზაში დიდხანს ვთხრიდი ვალიადოლიდის ხმალს თავის ქარქაში, მაგრამ არაფერი გამომივიდა - ბუდეც დაუანგული და ჭუჭყიანი იყო. ეს „უხმლო ქარქაში“, ვალიადოლიდის გერბი იარაღის გარეშე, კვლავ მაკარტნის დისკის ყდას მივაყუდე.


იმხანად წევერის გაპარსვა ახალი დაწყებული მქონდა და საშინლად მიშლიდა ნერვებს. ამ საქმეში უფრო გამოცდილმა ბიჭებმა მირჩიეს, რამე იდიოტური მუსიკა ჩართე და ისე გაიპარსეო. „wings“-ის ალბომის ყდამ გამახსენა, რომ 25 მანეთად შეძენილი ეს ფირფიტა თავიდან ბოლომდე არც კი მომისმენია.

გაპარსვა გამიგრძელდა. დიდხანს ვებრძოდი ნიკაპზე ამოსულ ბეწვს, რომელსაც მიმართულება შეეცვალა. ამასობაში ფირფიტა დასასრულს მიუახლოვდა. დიდმა პაუზამ მე-7 სიმღერის შემდეგ, მაფიქერებინა, რომ ლილიას „პლასტინკა“ ყველა-ფერთან ერთად „ხალტურაც“ იყო. ის-ის იყო მუსიკა უნდა გამომერთო, რომ პოლ მაკარტნის ძახილი, უფრო სწორად ვაება, გოდება გავიგონე. ასე დაიწყო მერვე სიმღერა - „Tomorrow“. მაკარტნის თითქოს კვნესა აღმოხდა. თითქოს თავის ძმაკაცებს, ლივერპულელ ბიჭებს მიმართავდა - ეს ბეჭნიერი სახეები, ეს მხიარულება, ეს ახალი ოჯახი ბუნების წიაღში, საყვარელი ცოლი, რომელმაც ერთმანეთს დაგვამორა, მხოლოდ და მხოლოდ ყდა, ფასადია. მე ისევ თქვენ მიყვარხართ!

**Not bad for a girl from Tbilisi,
Georgia who just wanted to make New York proud of her.
www.fazed.com/fashion/Nini**

ის, რაზეს მოგიყვით:

- **NINI K** = ნინო კოვზირიძე.
- **საცხოვრებელი ადგილი:**
= ნიუ იორკი = მანჰეტენი = ჩელსი.
= თბილისი = საბურთალოს ქუჩა.
- **ძირითადი საქმიანობა:**
= აქსესუარის დიზაინერი = ქუდები = შარფები = ჩანთები = ქამრები.
- **შეძენა შეგიძლიათ მაღაზიებში:**
= ნიუ იორკი = "Bergdorf – Goodman" = "ABC" = "Hat Shop" = "Roslyn's" = NINI K showroom...
= მოსკოვი = "Atrium".
= თბილისი = შარდენი = "NINI K".
- **web-site** = www.ninikny.com
- **კლიენტების რიცხვს განეკუთვნებიან:**
= Jennifer Jason Leigh =
= Erica Badu =
= Queen Latifah =
= Woody Allen =
= Bette Midler =
= Uma Thurman =
= JK = Jamiroquai =
და...
და კიდევ ბევრი სხვა.
- **ერთი უბედურება, რაც ჭირს:**
= გამუდმებით ვარდება ძირს.
= ასე რომ, სალამოს, დაბინდებისას, განსაკუთრებით გაზაფხულ-ზაფხულის დეკადაში, თუ ახალ-გაზრდა შავგვრემანი ქალბატონი უადგილოდ დაგვჯახათ, თქვენს თვალწინ, სადაც არ უნდა დავარდნილიყო, იქ დავარდა, ან მაგალითად, შემოეხვია განათების ბოძს - ესე იგი, თქვენს ნინაშეა NINI K!
- **უურნალისტისთვის ყველაზე მტკიცნეული მომენტი:**
= არაკომუნიკაბელურია. მთავარი რესპონდენტი პოლომდე ერთ ადგილას იჯდა და ზოგჯერ ერთვებოდა საუბარში, რომელიც, ძირითადად, უურნალისტსა და მის კომპანიონ გოგონებს შორის გაიმართა.
= ანუ მედგრად უძლებდა იმას, რასაც თითქმის არასოდეს აკეთებს = პასუხობდა კითხვებს.



Hi NINI K!

ავტორი: სალომე კიკალეგვილი ფოტო: ლავით მასები

დილა ერთნაირი არასდროს არ არის. გარდა იმისა, რომ ყველა ერთი საერთო ნიშნით, გაღვიძებით იწყება. მერე... მერე გააჩნია გუნდებას, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის სხივს, თეთრი „ლაქებით“ აჭრელებულ ან, პირიქით, მოღუშულ, ნაცრისფერ ცას... მოკლედ, ყველაფერს გააჩნია. თუ ერთხელ მაინც ხართ იქ, „ცათამბრჯენთა სამეფოში“ ნამყოფი, ან ტელევიზორით მაინც გინახავთ, ალბათ დამეთანხმებით – ნიუ იორკში ცა ძალიან ცოტაა. სულ ცოტა. მთელი სივრცე მეტალო-ბეტონის აწონილ შენობებს უკავია, დიდი მონსტრებივით რომ დაგყურებუნ თავზე. შენ კი... შენ კი ერთი ციდა



ჭიანჭველასავით პატარა, შენნაირ მილიონ ჭიანჭველაში ირევი და კმაყოფილი ხარ.

რითი? თუნდაც იმით, რომ მილიონი „ჭიანჭველადან“ გამორჩევა მოახერხე.

რითი? შენი საქმით = შენი შემოქმედებით. ეს არ უთქვაშს, მაგრამ ასეა.

“New York is a place, where ideas have no limits. This amazing city is the source of my inspirations.”

NINI K.

კიდევ ერთი, რაც ზემოთ ხსენებულ ასოციაციებს ამბაფრებს. სახლი/ საკუთარი კუთხე / ბუდე / მიკრო სამყარო აქვს, სადაც „უცხოს პირთა შესვლა აკრძალულია“. აკრძალულა არა იმიტომ, რომ იქ რაიმე სკანდალურს აღმოაჩენ, არა, უბრალოდ, რაც მისია – მისია. და სათქმელს ხომ ისედაც გეუბნება, რა ფორმით: სიტყვით, მოქმედებით თუ ხელობით, რა მიშვნელობა აქვს?!

დღე, სხვადასხვანაირად იწყება-მეთქი. შეიძლება დილი-დანვე მოიმარჯვონ ნემსი, ფერად-ფერადი ძაფები და რიოში მარგალიტი – ქსოვას შეუდგე. მით უმეტეს, რა იცი, როგორს გააკეთებდებით, გუნდებას გააჩნია-მეთქი! ესკი-ზებს ხომ არასდროს აკეთებს. ყველაფერი სპონტანურად და შემთხვევით ხდება. ან... მთელი დღე ისეირნო ქუჩაში! მართალია, 13 წელია იქ ცხოვრობს, ეს უკანასკნელი საქმიანობა კი, არასდროს ბეზრდება – „ძალიან ჭრელი ქალაქია. ქალაქი, სადაც უამრავი საინტერესო ხალხი ცხოვრობს; სხვადასხვა კულტურის, ერის წარმომადგენლები, სხვადასხვაგვარად მოაზროვნე. მუდმივ კონტაქტში ხარ. ჩემს სახლთან ათასი რესტორანი, მაღაზია, გალერეა. იქ, მუდამ ბევრი ადამიანი ირევა. გახვალ და ყოველდღე რაღაც ახალს, საინტერესოს ელოდები. ნიუ იორკი, ხომ მოულოდნელობების ქალაქია! არ იცი, დღეს რა გელოდება...“

ამაში გეთანხმები, რა იცი რა გელოდება? იმ დღესაც, გახსოვს? დილით ბედნიერმა – მოულოდნელობების ქალაქში ვცხოვრობო – რომ გაიღვიძე და მეგობარი უთენია დაგადგა, „ნინი, სამსახურში ვაგვიანებდი და ბედი არ გინდა, მეტროც დაკეტილი დამხვდა. რაღაც პანიკა. აშკარად რაღაც ხდება...“ არადა, სერიოზულ ადგილას მუშაობდა – „ტყუპების“ შენობაში; მერე ტელევიზორი ჩართე და მორიგი ჰოლივუდური ბლოქებასტერი ნახე, რომელიც რატომლაც ყველა არჩზე გადიოდა

2000 წლის 11 სექტემბერი.

= სახლი =

ამ სიტყვას, ისევე როგორც „შემთხვევითობას“, განსაკუთრებული ადგილი უკავია ცხოვრებაში.

ბავშვობიდან ენატრება პირველი სახლი, ასევე საბურთალოს ქუჩაზე, რომელიც ყველაზე, ყველაზე ლამაზი ეგონა და რამდენიმე წლის წინ რომ ნახა, გაოცდა, ეს დანგრეული, უშნო სახლი ლამაზი რატომ მეგონაო?!

დღეს, როცა გაზაფხულ-ზაფხულობით ჩამოდის ხოლმე, ენატრება სახლი, ოლონდ უკვე თავისი, საკუთარი, ნიუ იორკში, ჩელსიზე რომ დგას ერთი დაფეხვილი, გარედან კიბეებმიბმული სამსართულიანი შენობა. „ძალიან ძველია. რომ შემოდიხარ, იატაკიც რაღაცნაირად ქვემოთ იწევა. მაგრამ ჩემთვის მთავარია სივრცე, რაც მაქს. ალბათ, ქუდების კერვა რომ არ დამწყო, სახლის დიზაინერი ვიქენებოდი, ისე მიყვარს მოწყობა... ჩვენთან, სახლში, როგორც წესი, სულ ბევრი ხალხია, რაღაც თავშეყრის ადგილს ჰგავს... სახლი ძველი სარკებით, სანთლებით, ბალიშებით მოვრთე... კიდევ ავეჯი, რაც მაქს, ძირითადად, სულ გადაგდებულია, ვიღაცის სკამები, მაგიდები... სხვათა შორის, შენ რომ სკამზე ზიხარ, ეგეც სადღაც ვიპოვე და გადავაკეთე, ხომ კარგია?“

= შემთხვევითობა = დასაწყისი =

ყველაფერი შემთხვევით მოხდა.

საქართველოში პირველად ამუშავდა გაცვლითი პროგრამა, რომელიც უცხოელების, კერძოდ კი ამერიკელების ჩამოყალიბით და მათი ქართულ ოჯახებში დაბინავებით დაიწყო. ნინის ოჯახშიც გამოჩნდა მისთვის გაუგებარ ენაზე მოსაუბრე ამერიკელი მამაკაცი. ოჯახის ახლობლებთან კი, მათი სტუმრის მეგობარი დაბინავდა და აბა, რა გაცვლითი პროგრამა იქნებოდა ქართული გადაბატიუ-გადმოპატიუბის გარეშე? არა-

ვითარი, რაღა თქმა უნდა. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი გადმოპატიუბისას, ახლობლებთან დაბინავებულმა „ამერიკელმა“ შემთხვევით ნინის ნახატები დაათვალიერა და პატარა გოგონა სასწავლებლად სანტა ფეს პრესტიულ კოლეჯში მიიპატიუა – „ოთხი წელი უნდა მესწავლა, მაგრამ 6 თვეში უკან გამოვიქცი. ძალიან გამიჭირდა, ენა არ ვიცოდი კარგად და ბავშვებთან კონტაქტი მიჭირდა. ხალხიც სხვანაირი იყო, შორიშორს ცხოვრობდნენ ერთმანეთისგან და ერთმანეთთან ნაკლებად ჰქონდათ კონტაქტი. მოკლედ, 6 თვე კი არა, ახლა ვფიქრობ, რომ მანამდეც უნდა წამოვსულიყავი...“.



ჩემს სახლთან ათასი რესტორანი, მაღაზია, გალერეაა. იქ, მუდამ ბევრი ადამიანი ირჩეა. განველ და ყოველდღი რაღაც ახალს, საინტერესოს ელოდები. ნეუ იორქი, ხომ მოულოდნელობების ქალაქია! არ იცი, დღეს რა გელოდება...“

კოლეჯიდან წამოსვლის შემდეგ, ნინი ცოტა ხნით ნიუ იორქში ჩადის და „ეს ერთადერთი ქალაქია, სადაც ვიცხოვრებდი“. ამ დროს, საქართველოში სამოქალაქო ომი იწყება, ნინიც რჩება „ქალაქში, სადაც სიამოგნებით იცხოვრებდა“. ზოგჯერ იშვიათად თუ ჩამოდიოდა, ისიც, სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და ამიტომ.

= შემთხვევითობა = გაბრძელება =

ჰოლივუდელი ვარსკვლავების გულისშემძვრელი ისტორიები მახსენდება, აი, ისინი, გავარსკვლავებამდე რომ გადახდებოდათ ხოლმე თავს. დარწმუნებული ვარ, თქვენც გეცოდინებათ ასეთები. ისე, ახლაც ხომ ამერიკაში ვართ? ვართ. ამიტომ გასაკვირიც არაფერია.



ეტყობა იმ დილას ცაც მოლუშული იყო და ხასიათზეც მთლად ვერ იყო – რაღაც მეტისმეტად ჩაფიქრებული იყო. ადგა. წავიდა სამსახურში. თეთრი წინსაფარი გაიკეთა და მორიგ კლიენტს დაელოდა. ლოდინი, დიდხანს არ მოუწია. კარში ახალგაზრდა წყვილი გამოჩნდა. ამორჩეულ მაგიდას მიუსხდენ და მენიუც გადაშალეს. სანამ კლიენტი პერსონალს შეკვეთას მისცემს, ეს უკანასკნელი ვალდებულია, დიდი ჭიქით მიართვას წყალი – წესია ასეთი. კი, მიართვა, მაგრამ... ცაც მოლუშული იყო და ხასიათზეც მთლად ვერ იყო – რაღაც მეტისმეტად ჩაფიქრებული იყო. უცნაური რიტუალი ჩაატარა – წყალი მოსვა და მხოლოდ შემდეგ გაუწოდა გაოგნებულ წყვილს. იმ დღესვე დაითხოვეს. არა უშავს. რაღაც ახალი იძოვა. ჯერ მაისურებს კეცავდა. მერე ამ დაკეცილი მაისურების გაყიდვაც დაიწყო.

მაშინდელი ბოიფრენდი რასტა იყო. იამაიკელი ბიჭი. მოგეხსენებათ, ისინი დაწნული თმებით და ჭრელი, დაზოლილი ქუდებით დადიან. არც ნინის კაცი იყო გამონაკლისი, რომელიც ერთ დღესაც, ნაცნობ-მეგობრებში გერლფრენდის ახალი მოქსოვილი ქუდით „გაიჩითა“. „მერე წავიდა ჩვეულებრივად. მეგობრებს, ნაცნობებს – ყველას ვუქსოვდი ქუდს. არადა, მანამდე არასოდეს მიფიქრია, რომ ქუდებს გავაკეთებდი. თან, თვითონაც დიდად არ მიყვადა ეს აქსესუარი. ნელ-ნელა დავხვეწე ყველაფერი და...“

და... რამდენიმე წლის წინ, მანჰეტენზე სასეირნოდ გასულს, ირგვლივ, დიდი ყურადღებით რომ მიმოგეხედათ, აუცილებლად დაინახავდით ზურგზე ნაგვის დიდ, შავპარკმოკიდებულ ორ გოგონას. ნინი და მისი დეიდაშვილი თეატრა რიგრიგობით შედიოდნენ მალაზიებში, რომელსაც „Sex and the city“-ს გმირები სტუმრობდნენ; ამოალაგებდნენ ხოლმე იძედიანი თვალებით ნაირნაირ ქუდებს და No, thanks. „ფასს საკმაოდ დაბალს ვეუბნებოდით. ასე რომ, მიზეზი ამაში არ იყო. უბრალოდ, ზოგს არ მოსწონდა, ზოგისთვის განსხვავებული სტილის იყო და რისკზე წასვლა არ უნდოდათ... ბოლოს ისე ვუტოვებდი, არაფერი არ მინდა, თუ გაიყიდა, ფული მერე მომეცით-მეთქი.“

შემთხვევით გაუგზავნეს პრესტიულ მაღაზია „Bergdorf Goodman“-ს მეილი, ფოტოებიც მიაყოლეს – ქუდებს ვაკე-

რამდენიმე ცლის წინ, მანჰეტენზე სასეირნოდ გასულს, ირგვლივ, დიდი ყურადღებით რომ მიმოგეხედათ, აუცილებლად დაინახავდით ზურგზე ნაგვის დიდ, შავპარკმოკიდებულ ორ გოგონას. ნინი და მისი დეიდაშვილი თეატრა რიგრიგობით შედიოდნენ მალაზიებში, რომელსაც „Sex and the city“-ს გმირები სტუმრობდნენ; ამოალაგებდნენ ხოლმე იძედიანი თვალებით ნაირნაირ ქუდებს და No, thanks. „ფასს საკმაოდ დაბალს ვეუბნებოდით. ასე რომ, მიზეზი ამაში არ იყო. უბრალოდ, ზოგს არ მოსწონდა, ზოგისთვის განსხვავებული სტილის იყო და რისკზე წასვლა არ უნდოდათ... ბოლოს ისე ვუტოვებდი, არაფერი არ მინდა, თუ გაიყიდა, ფული მერე მომეცით-მეთქი.“

რამდენიმე ცლის წინ, მანჰეტენზე სასეირნოდ გასულს, ირგვლივ, დიდი ყურადღებით რომ მიმოგეხედათ, აუცილებლად დაინახავდით ზურგზე ნაგვის დიდ, შავპარკმოკიდებულ ორ გოგონას. ნინი და მისი დეიდაშვილი თეატრა რიგრიგობით შედიოდნენ მალაზიებში, რომელსაც „Sex and the city“-ს გმირები სტუმრობდნენ; ამოალაგებდნენ ხოლმე იძედიანი თვალებით ნაირნაირ ქუდებს და No, thanks. „ფასს საკმაოდ დაბალს ვეუბნებოდით. ასე რომ, მიზეზი ამაში არ იყო. უბრალოდ, ზოგს არ მოსწონდა, ზოგისთვის განსხვავებული სტილის იყო და რისკზე წასვლა არ უნდოდათ... ბოლოს ისე ვუტოვებდი, არაფერი არ მინდა, თუ გაიყიდა, ფული მერე მომეცით-მეთქი.“

რამდენიმე ცლის წინ, მანჰეტენზე სასეირნოდ გასულს, ირგვლივ, დიდი ყურადღებით რომ მიმოგეხედათ, აუცილებლად დაინახავდით ზურგზე ნაგვის დიდ, შავპარკმოკიდებულ ორ გოგონას. ნინი და მისი დეიდაშვილი თეატრა რიგრიგობით შედიოდნენ მალაზიებში, რომელსაც „Sex and the city“-ს გმირები სტუმრობდნენ; ამოალაგებდნენ ხოლმე იძედიანი თვალებით ნაირნაირ ქუდებს და No, thanks. „ფასს საკმაოდ დაბალს ვეუბნებოდით. ასე რომ, მიზეზი ამაში არ იყო. უბრალოდ, ზოგს არ მოსწონდა, ზოგისთვის განსხვავებული სტილის იყო და რისკზე წასვლა არ უნდოდათ... ბოლოს ისე ვუტოვებდი, არაფერი არ მინდა, თუ გაიყიდა, ფული მერე მომეცით-მეთქი.“

თებთ, ასეთებს და ისეთებსო... პასუხს არც ელოდნენ. ამას ხომ წლები ელოდება ხალხი და... უცებ დაურეკეს, გასაუ-ბრებაზე მობრძანდითო. ჩვენი „არაკომუნიკაბელური“ ნინი თევზივით იჯდა კაბინეტში, თეკუნა დამტვრული ინგლისუ-რით პასუხობდა და რომ გამოვიდნენ, მერე დაფიქრდნენ — თვეში 10-12 ქუდს ვაკეთებთ, და 100-ის გაკეთებას როგორ შევპირდით!

= የሚገኘውን =

ეს, მაშინ იყო

=**როცა**= მანჰეტენის მშვენიერმა ქალბატონებმა მაღაზიის ვიტრინებში “Valentino”-ს ახალი კოლექციიდან შარვლები, ქურთუკები და ზედ უცნობი დიზაინერის NINI K-ს ქუდები დაინახეს.

=როცა = უურნალს ფურცლავდა – როგორ გასუქებულა ეს
მონიკა ლევინსკი... აქეთ ვინაა? აა, მსახიობი ბეტ მიდლერი...
ვაა, ჩემს ქუდში?!

= როცა = მომღერალი JK კლიპს იღებდა და ნინის დიდი ქუდი იყიდა. კლიპი, რომელმაც ამერიკელ მომღერალს დიდი აღიარება მოუტანა, მთელმა მსოფლიომ ნახა = **ახალი ვარსკვლავი = უზარმაზარი ქუდი = თუმცა მაშინ თბილისში ცოტამ თუ იცოდა ქუდის დიზაინერის ვინაობა – „ასეთ ქუდს აღარასოდეს გავაკეთებ. 10 დღე მოვუნდი კერვას და 7 მეტრი ნაჭერი დავახარჯე. ძალიან დამლული იყო“.**

= როცა = ბევრისგან გაიგო, შენი ქუდები საკუთარი თავის წარმოჩენაში გვეხმარება, ყველგან სულ მაგ ქუდებით და-ვდივართო.

= როცა = თვითონვე გამოსცადა საკუთარ თავზე. რომელიღაც night club-ში არ შეუშვეს, არა და მორჩაო. იქ ხომ ძირითადად ასეა. დაცვის თავგასიებულ შავ კაცს თუ არ „დაევასე“, არ შეგიშვებს და მორჩა. თბილისი კი არაა, იძახო – შენ იცი, ბიჭო, ვინ ვარ?! ან ვისი ბიძაშვილი ვარ?! ან ა.შ. არა, თბილისი არაა. მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაცეები მაინც ჭრის. მაგალითად – ქუდი. გავარდა, თავისი საყვარელი წვეტიანი, წითელი ქუდი დაიხურა და ისევ უკან მივიდა – miss, თქვენ შემობრძანდით.

= ამის მერე, ყველგან თავისი ქუდით დადის. წვეტიანით =

არ ვიცი, დაგაბნეით თუ არა, სულ ზემოთ რომ დავწერე „თუ ახალგაზრდა, შავგვრემანი ქალბატონი უადგილოდ და-გიჯაათ...“

კი? მაშინ აგიხსნით, რაც ხდება.

ამას დიდხანს არავინ ამბობდა, ინტერვიუს ხომ ლამის ოთხი ადამიინი ვწერდით! უბრალოდ, ხშირად მესმოდა – აი, ნინი ხომ კარგად ვერ ხედავს და... გახსოვს, იქ რამდენჯერ დაეცი?... ნიუ იორკში არცერთი საფოსტო ყუთისთვის გვერდი არ აუვლია, ყველას ეჯახებოდა... ხელს რომ უწოდებენ ჩამოსართმევად და ეს გაუნძრევლად დგას... მაგრამ რაც შეეხება რიოშ მარგალიტებს, კილომეტრიდან ყვირის – ამ ქუდზე ეს ოდნავ ქევმოთაა მიკერებული... ცუდად არის მიკერებული და ა.შ. მაღნი, გვატყუუბსო!

არა, არავისაც არ ატყუებს. უბრალოდ, ეს ის სასაცილო სახელის მქონე დაავადებაა, რომელიც ბევრ ადამიანს ჭირს – „ქათმის სიბრძავე“.

ანუ, როცა ბენელდება, ხელი მაგრად უნდა ჩასჭიდო და ისე ატარო, თორომ ვირაფერს ხედავს და...

= Ⓜ... =

რაღაც წვეულებაზე იყო რესტორანში. მშვენიერი ადგილია, განსხვავებული, ძალიან დაბალი მაგიდებით და... კიბეზე ნელა ავიდა – ყველგან ხომ ვეცემი, მაგრამ აქ მაინც არ დავცეო – და ერთხანს ასე იდგა. უცებ, ჩამოდიო, უთხრეს და ვიღაც გაოგნებული ამერიკელების მაგიდიდან ბოდიშებით ჩამოიყვანეს.

= რა დარჩა? ბოლოსიტყვაობა =

„თუ, ოდესმე ჩვენება მოვაწყვე, მაშინ აუცილებლად ჯონ გალიანოს ან მაკეუინის თეატრალიზებულ სტილში გავაკეთებ. არ მიყვარს, უბრალოდ, წინ და უკან რომ დადიან.“

„გევრი შემოთავაზება მაქს ინდოეთიდან, ჩინეთიდან, მე-
ქსიკიდან... უნდათ, რომ მასიური ხაზი გავაკეთო, რაც ჯერ
არ მიზნდა.“

= რა ღირს? =

„აქ ბევრად იაფია. იქ, მაღაზიებსა და ბუტიკებში სამჯერ ემატება ფასი და 600-700 დოლარამდე ღირს.

ასე რომ, მე ჩემს ქუდს ვერ ვიყიდი“

NINI K-ს ინფორმაციულ = ბიოგრაფიულ = შემოქმედებით = სამედიცინო ცნობის ფურცელიც მზადა.



Urotheca elongata (L.) (syn. *Urotheca elongata*)



ლები სამხრეთის ლაგოდან

ავტორი: თამარ ბაბუაძე ფოტო: ზავალ ქიქოძი, ამირან არაგაცი

რობორ ალმოვჩელი იქ

ჩემი ძმა მაღვიძებს: „თა, თაა, DSL-ის ფულია გადასახდელი. ნამომყევი რა, დღეს „ჯორჯია ონლაინში“. ცალი თვალის ზანტად გახელით ვეძებ, რა ვესროლო:“

ტუმბოზე რადიოა, ძველი, მაგრამ Philips-ის, ამიტომ - არა!

ცოტა აქეთ - კერუაკის „გზაზე“, ორიგინალში, მაგრამ ნათხოვარია და - ვერა!

უფრო აქეთ - მობილური ტელეფონი, ჩემი საყვარელი Siemens SL55 - აუ, არაა!

მიხოც თახს უპასუხოდ, მაგრამ საღსალამათი ტოვებს. სუთიოდე წუთში კი ზუსტად ის ნიგთი მღალატობს, წელან რომ დავინდე: მობილურის მაღვიძარა რეკავს, მჭახედ გაისმის გა-ringtone-ებული საქართველოს ჰიმნი. განერვიულებული ვიღვიძებ და ვხვდები: მეყო ფსევდო-პატრიოტიზმი, სასწრაფოდ უნდა შევცვალო ზარი, თორემ, ჰიმნის გადამკიდე, ვგრძნობ ხოლმე, როგორ მეზიზლება საქართველო სიფხიზლის პირველ წუთებში.

ვდგები. გონებაში უკონტექსტოდ გაჩრილი ნაწყვეტი ფრაზებია: DSL, „ონლაინი“, „ჩემი ხატია...“ და ვაიი, დღეს ინტერვიუა, ეთეროსთან (პირველივე საუბრისას მითხრა: „ეთერო დამიძახე, შვილო“. მან უნდა მიამბოს საკუთარ თავზე, დაზე და თუშეთზე...)

მივდივარ, მაგრამ სანამ თათარაიძების თუშურ სამყაროში შევაღწევ, კიდევ ერთი მთის თემისგან რადიკალურად განსხვავებული რეალობის გადალახვა მიხდება:

ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და საერ-

თო სადარბაზოს ბათქაშჩამოცლილი კედლები, ბაბბებით გამოტენილი ტყავგადაკრული კარი; ალბათ, სულ პირველი გამოშვების ლილაკებიანი ტელეფონი; იმავე ეპოქიდან გადმოყოლილი კონდიციონერი. და ამ გარემოში თუში ეთერო, რომელიც მხიარულად მიღიმის და თავისი საქციელით მარწმუნებს: ადამიანებს შორის პირველი შეხვედრა არ არსებობს, რადგან ჩენ ყველანი ერთმანეთს შეხვედრამდეც ახლოს ვიცნობთ. დასტურად მეუბნება: „აპა, „ცხელო შოკოლადი“, დაჯვეტი და ვიამბოთ რამე“. ეს „ვიამბოთ“ - უკანასკნელი შტრიხია DSL-ით დილას დაწყებული ჩემი დაბნევის და გაორების პროცესში და სრულიად დაუგეგმავად ვყვირი პირველ კითხვას: „ეთერო, თქვენთან რა დროა?“

სანამ მე ვყვირი და გაორუებას განვიცდი ორ დიდ სიყვარულს შორის - ასფალტზე ადენილი მანქანის ოხშივარისა და ფეხქვეშ ქუსლით გასრესილი ანწლისადმი, ნარმოგიდგენთ დებს სამციხის ლამიდან:

უფროსი და: ლელა თათარაიძე

აუცილებელი შტრიხი: გარმონის ვირტუოზი. ქართული ხალხური საკრავების ხასიათის ფესვებამდე მცოდნე. ანსამბლ „კელაპტრის“ სოლისტი, კვარტეტ „კესანეს“ დამფუძნებელი (ჯგუფს ლელას დედის სახელი ჰქვია).

ასოციაცია: ლელა ბანზე ზის და მლერის. სრულ სიჩუმეში გარმონის განელვის ჭრიალი ისმის. ლამის ალვანში კი თუშების ჩაძინებული სახლების სახურავებს ურუანტელის მომგვრელ ტალღად უვლის მუსიკა.

უახლესი ალბომი დისკოგრაფიდან: „სამციხის ლამე“, ქართული ნაციონალური მუსიკის კრებული. 2004 წ.

ლაპარაზისავნ ფოტო: აშორან არამაშვილი





„მზონი, აძთუალობის გრძნობა გუცებითვე მავლარი მაქვს. თან ჩვით ლეასი მაცხა ხომ არაა... ამიტომ არც ვუფიქრდები არც ერთ ლაცარილ სიტყვას. არადა, ხშირად მოსუსობსაც უკვირდათ ხოლო, მინ ეს სიტყვა, წესით, ამარ უცდა ისოდე და საიდან ისიო. არც მა ვიცი - საიდან, ალბათ, სისხლი იცასავს ყოველივეს. მირ კი, ჩვაამდე არაცხოგირ იცფორმაციის სახით მოდის. გაორება არ მაქვს. ვგრძნობ, როდის უცდა ვილაპარაკო თუშურად იმისთვის, რომ სალი გამითბას. ჩვის შვილებთან აუსილებლად ვიამზობ თუშურს და ბალიერი ვარ, რომ ჩვის სამივა შვილი არაჩვეულებრივად ფლობს თუშურ, ხიცსრულ და მოხვევარ დიალექტის. ვიცი, ეს მათი სალის შეღისავის ფილი სიმღიდრეა“.

უმცროსი და: ეთერ თათარაიძე

აუცილებელი შტრიხი: ავტორი ლექსებისა დიალექტზე, რომელიც პოეზიაში მანამდე არავის გამოუყენებია. წერს ასო-ნიშნებითა და მახვილებით, რომლის მსგავსიც უძველეს ტექსტებში გვხვდება. ზურაბ კიკნაძის შეფასებით კი: „ეთერ თათარაიძემ ძველი თუშური დიალექტი საყოფაცხოვრებო დონიდან აამაღლა და ამ დიალექტზე ლექსების შექმნით, მისი კუთხურობაც გაარღვია“.

ასოციაცია: შიფონის ჭრელი კაბა აცვია, ტანით სრული და გულით კეთილია. იღიმება და იამბობს: „მასკვლავ ხფენავ ჯუთის ცაზე, რაგვერც ბიჭონ წალოში... მთვარე ჩამოჯდ ფხის კენწერზე, რაგვერც თეთრ დოქ თაროში... ეს ღამეიც ილენების წუთისოფლის კალოში“.

გამოცემები და მათგან ყველაზე უცნაური: ლექსების კრებულები და დისერტაცია თემაზე „დემონილოგიური თქმულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (კი, ცოტა საშიში ქალია: მაშ, შეგეშინდა? ეგრე გულთან ახლოს რომ მიჰქონდეთ, ჩემი სტუდენტები აქედან სულ ფრენა-ფრენით უნდა დადიოდნენ).

დების სამშობლო: თუშეთი


აუცილებელი შტრიხი: „თუშეთი კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით, სამტოტა ხეობაში მოქცეული ტერიტორიაა. იქ, გემონრის, პირიქითასა და ჭანჭახოვნის ალაზნების აუზებში, მთათა კალთებსა და ხეობათა შესაყართან ოთხ თემად ცხოვრობდა თუშთა ტომი... დღეს ისინი კახეთში, ახმეტის რაიონში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე გაშენებულ ორ დიდ სოფელში - ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში ცხოვრობენ“. (გიორგი ცოცანიძე, „გიორგობიდან გიორგობამდე“)



ფოტო: არაგაცი



ფოტო: არაგაცი



ფოტო: აშორან არაგაშვილი

შარიანი კაცის კითხვა: „რამ გაგახსენათ?“

პასუხი: უკვე პირბულარულმა კომპაქტ-დისკება „სამციხის ღამემ“, თბილისური რეალობის გარღვევის სურვილმა და წყალდიდობებმაც: წვიმების გამო, თუშეთი თითქმის მოწყდა ბარს. ეთერ თათარაიძე კი თბილისშია და ისეთ თუშეთს აცოცხლებს სიტყვით, რომელსაც, სამწუხაროდ, უკვე ვე-ლარც გზების გახსნის შემთხვევაში ენახავთ.

იქ შევჩერდი, დაბნეული, ჩემთვის, გულში რომ ვყვიროდი, მე აქ 21-ე საუკუნის ტერმინოლოგიდან, ურბანისტულ-მინიმალისტური მოთხოვებიდან მოვედი და გთხოვთ, გამაგებინეთ, რა დროში მოვხვდი-მეთქი.

ეთერო კი ჩემს დაბნევას არ იმჩნევს და მაცდური ლიმილით მიმეორებს:

„მაშ, ვიამბოთ, „ცხელო შოკოლადო“, თუშური ამბები?“

ჯერ გეტყვი იმას, რომ თუ თუშეთში არ ყოფილხარ, წინ უდიდესი სიამოვნება გელის. წესივით დაიმახსოვრე, არ არ-სებობს ზემო და ქვემო თუშეთი. მთათუშეთით, ამბობენ სახიჩრად და გული მიკვდება. თუშეთი თუშეთია. ქვემოთ სოფელი ალვანია, სადაც თუშები ჩამოსახლდნენ მხოლოდ. ნამდვილი თუშეთი კი ზევითაა. იქ მე ერთადერთი ზამთარი გამიტარებია და ისიც ბავშვობაში, მაგრამ იმდენი საკვები მისცა ჩემს არსა, ჩემს თვალს, ჩემს სულს, რომ იმ ერთი ზამთრით ლექსებში ყველა ზამთარი გავაცოცხლე, რაც იყო ნარსულში და რაც მომავალში იქნება“.

სამსიხის ლამის ზღაპარი

1979 წლის 13 აპრილის საღამოს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ხალხური პოეზიის პირველი საღამო იმართებოდა. ღონისძიების დაწყებამდე საათნახევრით ადრე, ვახუშტი კოტეტიშვილს ზემო ალვანელმა ლელა თათარაიძემ თავისი და, ერთი დარცხვენილი თუში გოგონა მიუყვანა. გოგონამ რვეული გადაშალა და საკუთარი ლექსები წაიკითხა. ფიქრის დრო აღარ იყო, იქვე მონიშნეს რამდენიმე და ეთერ თათარაიძე სრულიად დაუგეგმავად, ხალხურ მთქმელებთან ერთად სცენაზე გაიყვანეს. ოღონდ განსხვავება რადიკალური იყო: დანარჩენი მთიელები ხალხური პოეზიის ნიმუშებს კითხულობდნენ, ეთერო კი - საკუთარს. ფურორი შედგა, საზოგადოებამ გაიცნო ქალი, რომელიც თუშურ დიალექტზე წერდა და დასთან, მეგარმონე ლელასთან ერთად, თუშურ ეგზოტიკასთან გააიგივა. მოკლედ, ერთი შეხედვით, ყველაფერი ასე დაიწყო - იმ საღამოს სცენაზე ასვლით. მაგრამ სინამდვილეში დასაწყისი გაცილებით უფრო ადრე იყო - ასეა, როცა თუშეთში იძადები - რაც შენამდე იყო და რაც დაგხვდა, ყველაფერი შენი ხდება და ის, რაც დასაწყისი გგონია, გენეტიკურად ჩადებული ინფორმაციის გაგრძელება მხოლოდ. რაც მთავარია, წარსულისა და ანმყოს ამ სისავსეს ბუნებრივად უერთდები და მის სიყვარულს ვერასდროს ინელებ. ეთერ თათარაიძის მოგონებებშიც თუშეთი ყოველთვის ზედაპირზევე დევს - ძვირფასი დეტალები წამიერად ცოცხლდებიან:

„დელამილის ყველა
კუჭილი მიყვარს. ამ
სამყაროში ვარსებობ
და ყველაფერი
გაიცემას და,
მით უხევის, ჩვენ
კვეყნის თითოვალი
კაფი ჩვეთვის
უძირფასესა. თუმცა,
ვისავინ დაგაჯარებს,
რომ ადამიანს თავისი
კუთხი გამორჩეულად
არ უყვარდეს. თუ
ეს კუთხი თუშეთია,
ხომ საერთოდ. მა
იქაურობის ნაწილი
ვარ. იმ კაფის ნაწილი
ვარ, შელის, ქვის,
ზაგის, ყვავილის,
სისფრის. იქ აღმოვაჩვე
ხოლო, თუ როგორი
ზესაცი შეგადგანელობა
ვარ მინისა. თუშეთი
არა თვალის
სასირო აღგილია.
ის ჩვენ შემარტებია.
იქაურობას ჩვენ სული
ყველაზე ზუსტად
ეხმიანება“.

სამართა ქართველი უძირა არამარტებული



კავკასიონი უძირა არამარტებული

■ თათარაიძეები ალვანში ცხოვრობენ. მათი მამა-პაპი-სეული სამოსახლო კი ნამდვილ თუშეთში დანო ყოფილა. სახლი სოფლის ცენტრში ედგათ, აქეთ-იქიდან ორი კიბით, კედლები ბიშინით ყოფილა შეღებილი, მიწისფერი დაჟკრავ-და და ძალიან უზდებოდა იქაურ ნისლებს, სიმწვანეს, სივრცეს, დახავსებულ სიპებს.

კესანე და სტეფანე თათარაიძეებს ოთხი შვილი ჰყოლიათ - ორი გოგო და ორი ბიჭი. ლელა უფროსი დაა, ეთერო - სულ ნაბოლარა. როცა კესანე მეოთხედ დაფეხმიძიდა, ქმარმა მუ-ცლის მოშლა ურჩია. ზამთრის პირი იყო, ოჯახის უფროსები ყიზლარში ზამთრის საძოვრებზე მიდიოდნენ, მათ შორის სტეფანეც. გამოზაფხულდა, კაცი შინ დაბრუნდა და მეოთხე შვილი დახვდა შინ. რა ექნა, კესანემ ცოდვა ვერ ჩაიდინა, თან ისეთი სიზმარი ნახა, რომ... ექიმთან ნასვლის წინა დამეს თეთრწვერა მოხუცი გამოუჩნდა, მიუახლოვდა და უთხრა, ოღონდ მაგას ნუ ჩაიდენ და ამის მშობიარობას ცხრა ქალს დაგახმარო. კესანეც მიჰყვა ლეთის ნებას და გაზაფხულის პირზე გოგონა გააჩინა. შინ იმშობიარა, მარტომ, ჭიბულარიც თვითონ მოქრა შვილს, აბანავა კიდეც, თვითონაც იბანავა და მხოლოდ მერე დაუძხსა ლელას. 7 წლის ბავშვი ოთახიდან ქაქანით გამოვარდა, დედამ მეზობელთან გააგზავნა, უკანა გზაზე ორივენი - ლელა და მეზობელი ქალი ქოშინით მორბონენ, „შეშავის მიწისავ, უკვე გააჩინე, ვაიმეე, ვაიმეე, დეე, უკვე გააჩინე?“

შინ დაბრუნებულ სტეფანეს, ცხადია, აღარაფერი უთქვამს.

ბავშვს თავის დას, მარებს ამსგავსებდა და ნამდვილ სახელს არც ეძახდა. ასე ეფერებოდა ხოლმე: „ჩემ მარებ, მარსკვლავო, გენაცვალოს მამა“.

■ ორი თვის იყო, როცა ეთერო პირველად წაბრძანდა ნა-მდვილ თუშეთში. მაშინ გზა არ იყო. ოჯახები ალვანიდან მშ-ობლიური სოფლებისკენ ცხენ-ბარგით მიდიოდნენ. მოილპა-რაკებდნენ, გასვლის დღეს დათქვამდნენ, კაცები ფუნქციებს გაიყოფდნენ, ზოგი - დიაც-ყმანვილთან ერთად მგზავრობდა მათი ნადირისა და ავდრისგან დასაცავად, ზოგიც - ცხენ-ბარგს ჩაუდგებოდა და ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ წინ. გზას რამდენიმე დღეს ანდომებდნენ.

იმ გაზაფხულზე კესანეს ოთხი შვილი მიჰყავდა სოფელში, მათ შორის, ორი თვის ეთერო. უცებ საშინელი ჭექა-ქუხი-ლი ატყდა, ისე განვიმდა, ცა ფეხად ჩამოდიოდა. ჩამობნელ-და. მგზავრები მხოლოდ გაელვებისას ხედავდნენ ერთმა-ნეთს. კესანემ ბიჭები კალთაში ჩაისვა, ლელა ხელში აიყვა-ნა, ეთეროს ველარაფერი მოუხერხა და გვერდზე მოინვინა. ვერაფერს ხედავდა გარშემო, მხოლოდ გრძნობდა, როგორ მოაწვენდა ქვიშის გორგვალს წვიმა კავკასიონზე. იქ კი ძა-ლიან წმინდა ქვიშაა, შერიალით მოდის და მოაქვს ყველა-ფერი. უცებ კესანემ უცნაური ხმა გაიგო, ამ დროს გაიელვა კიდეც და წამიერ შუქზე ნათლად დაინახა, თურმე როგორ ჩეაფანით გადასდიოდა თოთო ეთეროს სახეზე წყალი. არ უნდოდა სხვების შენუხება, იცოდა, მათაც ბევრი ბალლი ჰყა-

ვდათ წამოყვანილი, მაგრამ ვეღარ მოითმინა, პატარა მეხრ-ჩობა, მომეშველენითო, იყვირა. ძლივს მოაბრუნეს ბავშვი, პირიდან ქვიშები გადმოუყარეს და გადაარჩინეს.

იმავე მგზავრობის დროს, ეთერო მეორედ გადაურჩა სიკვდილს. ბავშვის საწოლი ვირის ქოჭებში იყო დამავრებული. უცებ ვირი ფეხებით ჩაეჩინა ზვავში. სტეფანემ ძალიან მკვეთრად ამოსნია და დასრიალდა ვირი, ის იყო უნდა გადაჩეხილიყო კიდეც, რომ ქარაფზე ფეხებით ჩაეჭიდა და შეჩერდა. ქვევით ასმეტრიანი დაქანება იწყებოდა. მამა ისე დაიბნა, ადგილიდან ვერ დაიძრა. ვირს სტეფანეს მეგობარი, კოტე ძიო მივარდა, საბანი გადასწია და საოცრება წახა: ეთერო სალსალამათი იწვა, ხმას არ იღებდა და თვალებში შეჰქურებდა კაცს; კოტემაც შეშინებულ მშობლებს გასძახა: „მშვიდად იყვენთავ, დაჭყეტილივ, ცას ახედავსავ“.

■ უფრო მოზრდილს ის ცა გახსნილიც უნახავს. მეორე კლაში იყო ეთერო, როცა თუშეთიდან ალვანში ბრუნდებოდნენ. ეს საშემოდგომო გამომგზავრება იყო. დედამ ბევრი ბავშვი ჩაიბარა. ქალები ასე იქცეოდნენ ხოლმე - საქმეს ინაწილებდნენ, მეზობლების საწველ-სადღვებს და საშინაო საქმეებს საკუთარ თავზე იღებდნენ, ბავშვებს რამდენიმე ქალს ანდობდნენ და ისინიც, დედების ბარად ჩამობარგებამდე, ზრუნავდნენ ერთმანეთზე.

ისევ კავკასიონზე მოდიოდნენ, ზედ უღელტეხილზე იყვნენ. ეთეროს თვალიდან არასდროს გამოუვა, თუ როგორ გაიხსნა უცებ ცა. კესანემ დაიძახა, ცა გიხიაო - ცის გახევას ეძახიან

ამას თუშები - და ინატრეთ რამეო. ცა მართლაც გახეული იყო - გარშემო ლურჯი, კამკამა, შუაში კი წითელი ლავა-სავით ფუთფუთებდა რაღაც. შეეპრად დაიძრა ეს სინითლე მერე, მარტო მითოლოგიურ ჩვენებებსა და ზღაპრებში არ-სებობს ეგეთი ფერი, საოცარი. თუმცა, ჩვენება დიდხანს არ გაგრძელებულა. სადაც გაიხსნა, იქიდანვე დაიწყო გაკერვა ცამ, როგორც გაფხრენილ ქსოვილს გაჰკერავ, ეგრე დაიკე-მსა თავისით. ეთეროს კარგად ახსოვს, დედა იდგა და ლო-ცულობდა, ბედნიერად მიმყოფე შვილებით. თვითონ კი ვე-რაფერიც ვერ ინატრა, გაოგნებული, თვალმოუშორებლად, პირლია იყურებოდა ზევით.

მერე სადღაც წაიკითხა, რომ ვისი დედაც გახდა (ანუ, ხევსური არაბულების), იმათი ქალები ყოფილან ცის გახე-ვას დატანებული. ლექსიც არის ნათქვამი: „ცის გახევასაც შევესწვერ, ბედრიენთამამც გვარია, ჩემ ძმათი მამის ძმათი მამრევიმც ნუვინ არია“. „და ეგრე მოდიან, ბევრდებიან და ლერთმა გააბევროს, ლერთმა უსასრულოდ ჰქნას ეგ გვარი ამ ქვეყანაში“, - ახლა ამბობს ეთერო 7 წლის ასაკში ცის გახევისას სათქმელ ლოცვას.

■ ლელას ბავშვობიდან სურდა, მეგარმონე ყოფილიყო. ეს ინსტრუმენტი ყველაზე მეტად გადმოსცემს თუში ადამიანის მთელ შინაგან განწყობას. ალბათ, კავკასიელები არიან და ამიტომ ლელასაც და ეთეროსაც ისე ერხევათ სული ჩერ-ნების, ინგუშების და დალესტნელების ნამლერზე, როგორც თუშურზე.

მამას ჰყოლია ძმადნაფიცი პავლე. მოდიოდა სტეფანეს-

ზომი: ზაალ გიგანდა



თან, გარმონზე უკრავდა და მეგობარს ეუბნებოდა, სტეფოო, ლელასგან ძალიან დიდი მეგარმონე დადგებაო. პირველი გარმონიც გოგონას პავლემ მოუტანა. მანამდე კი ლელა თავისით აკეთებდა „ინსტრუმენტს“. აიღებდა ორ გახვრეტილ სიის ქვას, თუშური ბაწრით ყელზე ჩამოიკიდებდა, ფანჯარაში დაჯდებოდა ფეხებგადმოკიდებული და ვითომ უკრავდა. მერე სოფელში მიხვდნენ, რომ ლელას განსაკუთრებული ხმა ჰქონდა. გოგონას სტუმრად პატიუებდნენ, ისიც მიდიოდა თავისი გარმონით და მთელი გრძნობით მღეროდა ხოლმე. ალვანი კი დიდი სოფელია და შეპინდებულზე მთელ სოფელს ეფინებოდა ხოლმე მისი მუსიკა.

მერე, როცა ლელა გაიზარდა, საგუნდო-სადირიუორო ფაკულტეტი დაამთავრა, შეუ საბჭოთა კავშირის ეპოქაში, მოსკოვის სცენაზე თუშური ცეკვა რომ შეასრულა გარმონით, და ევროპაშიც იმოგზაურა (განსაკუთრებული დაფასებით ფრანგულ ალპებში - როგორც ჩანს, მთიელებმა ერთმანეთს კარგად გაუგეს), მოხუცი მეზობელი ელისაბედი ალვანში სიამაყით ამბობდა ხოლმე: „ლელაი, ლელაი, მთელ ევროპია ფეხით აქვს შემოვლილ“.

● ეთერომ პირველი ლექსი სრულიად გაუაზრებლად, შიშისგან დაწერა. პატარა იყო, სკოლაში სწავლობდა. ერთ სალამის სინათლე გამოირთო, ოთახში მარტო იყო და ძალიან შეეშინდა. გონებაში აღიდგინა, სად ინახებოდა სანთელი, სიბნელეში იქამდე ძლივს მიაღწია, აანთო, სანთელი ტახტზე დადო, თვითონ კი იქვე ჩამოუხლა და ფიქრის სხვა რამეზე გადატანა სცადა. მაშინვე მიხვდა, რომ უცნაური ნაფი-

ქრი გამოუვიდა - ლექსს ჰავდა. მერე თუშური ზამთრითაც იცხოვრა და იმდენი შთაბეჭდილებები დაიგროვა, დღემდე ჰყოფნის.

● შენაქოს სკოლა ეკლესიაში იყო მოწყობილი. საათი ბათო მასწავლებლის გარდა, არავის არ ჰქონდა. ამიტომ გაკეთილების დაწყებას პატარებს სახელდახელოდ გაკეთებული ზარით თვითონ ამცნობდა. ბათო კარგი კაცი იყო, ოლონდ ეთერო ცეკვა ხვდებოდა, ზაფხულობით ბათო ძიო, სექტემბრიდან მთელი ნლის განმავლობაში რატომ ხდებოდა ბათუ მასწავლებელი.

პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში სულ ორი ბავშვი სწავლობდა. ერთი მასწავლებელი ჰყავდათ და რადგან ეთერო ყველა კლასის მეცადინეობას ესწრებოდა, მეორე კლასშივე იცოდა მთელი პროგრამა.

ყველაზე მაგარი შესვენებები იყო. გარეთ თოვდა. სკოლის ფანჯრებიდან თვალუწვდენელ მთებსა და სითეთრეში ჩაფლული სახლები მოჩანდა და ბავშვებსაც ერთი სული ჰქონდათ, როდის იტყოდა ბათო მასწავლებელი, ახლა შევისვენოთ; როდის აცვივდებოდნენ ჟრიამულით მაღლა, ჭერხოში, სადაც უამრავი ძველი და გაცვეთილი ჩექმა ეწყო. ჩამოიტანდნენ, გამობერტყავდნენ ამ მტვერჩასულ ფეხსაცმელებს, ჩაიცვამდნენ და მიღიოდნენ სონების წერზე - აი, ასეთი დაქანებული მთაა, ძირი შენაქოში აქვს. ავიდოდნენ ბოლომდე და იქედან მუხლებმოხრილები სულ სხლუპუნით ჩამოსრიალდებოდნენ ქვევით - ციგაბდდნენ. მამა ბავშვებს ქოვებსაც უკეთებდა - თუშურ თხილამურებს - რკალია და

„ხშირად მასსადება გულქან
რაზიკავილთან შეხვედრა.
ახორება ამ 87 წლის
კალა, გამომართვა ხელი,
თავის მასლება დაიცო და
ამ გამხდარი, ძვლიანი
ხელით დილანს მისვალა
ხელი ხელს, თავის მცვალე
თვალებს მაშუაბდა და
თვალოვანორჩებლად ასეთი
ფრაზა მითხრა: „იმ, იხლა
შენ შეგზამინ, იხლა შენ
ამოგაძრობენ სულსა“. და
მივხვდი, გულქანი ზუსტად
ისრდა, რა რთულად მარდება
საძალი. მაამისას როგორ
უჩველებე მიუხდავად იმისა,
რომ ვაშა არ წერდა ფშაურ
დიალექტი, ის კოიცხა
წერდა. გულქანს კი კარგად
ახსოვს, მორიგი კრიტიკის
შემდეგ, როგორ დაბრუნდა
ერთხელ მაა შინ. არ იყო
გაბრაზებული, არა, - ჰყვება
გულქანი, მხრილოდ თქვა,
რაი უდება აკაკენასა (აკაკი
წერეთელს - ი.თ.) ჩემჩანო,
მა რად არ ვეუბნები, როგორ
წერას და იკითხასო...“

გულქანის განვითარებისა და განვითარების ფოტო: არარატ არარატი



გულქანის განვითარებისა და განვითარების ფოტო: არარატ არარატი





კარატის ჯვარი დაწევი. ფოთო: ამინან არაული

„შემიძლია, ერთი მონაცემებული სიტყვის გამოხვის ან გახსენების მიზანი, ერთი კვირა ფრთაშის სასაულივო ვიზრისთვის. დროდადრო გავიფიქრობ ხოლო, რეა, რა მისარიცავისთვის და გამასესელისა, საყვარელი სიტყვის დილახლა პოვნა მისარიცავის დავგერდი და ეგეთი ვარ. ეზ მივსიდა ზოფას. ჩამოვის ეგეთი დატალებისა მნიშვნელოვანი, ჩვეს ოჯახთან ერთად უაღილესი ვარ, როცა გავიგებ, როგორი სულითა და ურინარი ღია მომრებების ჩვენი მარის სახლში. როგორ ბავშვს რა აცერის სახზე, რა სიკეთი, რა სიმართლე, ან რა ფრაზას მიზანის, ან რა სტეკვა და უსარის. ჩვენ მთელი სიმიღლის ეზ არის“.

გაცუხებულია ნამდვილ თხილამურსავით, დგები, რკალის ბოლოებზე ხელს კიდებ და მისრიალებ. ბავშვებიც ქრებით ხან კურდღლზე სანადიროდ მიდიოდნენ, ხან - მახედაგებულებში, მელიების სოროების სანახვად.

■ სტეფანეს სახლი ნამდვილი გიუმაჟების სახლი იყო. იქეთ ლელა თავისი სიბის ქვებისგან დამზადებული გარმონით, აქეთ - ანცი ძმები, და ბოლოს - ეთერო, სულ რომ თავის დას აბრაზებდა. ლელა დიდი გოგო იყო, უფროს გოგოებს კი ხატში შესვლა ეკრძალებოდათ. ეთეროც წააქეზებდა, მერე გამოიქცეოდა, ხახმატის ჯვარის ნიშში შეასწრებდა და შიგნიდან ხელს აწვდენდა, კიდევ აბრაზებდა - ლელა, ლელაააა.

ლელაც ჯვარს თავისებურად იყრიდა. იცოდა, პატარა ეთეროს ეშინოდა და ლამ-ლამობით, იდუმალი ტონით საშინელ

ამბებს უყვებოდა. ერთ ოთახში იწვნენ, სიბნელეში გატრუნულები და ეთერო თვითონ მოითხოვდა ხოლმე, „მიამბელ რამე, კიდევ მიამბელ“ და შიშისგან, წინასწარ სიამოვნების მოლოდინში ჩაჩუმდებოდა. ლელაც იწყებდა: მაღალის ინტერნატი ხო იცი, სადაცააო, იქო შავნაბადმოსხმული დიდი, დევის სწორი კაცი დგას უჩინარ ლამეში, პაპიროზ უჭირავა, ის პაპიროზ მუქწითლად ანათებსავ, ხო იც, როგორი შავი ლამეა, თვალთვაჩხერვა არ არისო, ის კაცი კი დგას და პაპიროზს ანათებსო. ეთეროც წვრილ ხმაზე აწივლდებოდა: „დედაა, დე, მეშინიის“. „დაჩუმდით, დაიძინეთო“ - გამოსახებდა კესანე, მაგრამ ეთერო კიდევ ითხოვდა: „მიამბელ რამე, მიამბელ“.

ამ ისტორიებით იკვებებოდნენ პატარები. ტელევიზორი მათთვის ფუფუნება იყო (კიდევ კარგი). მთელ სოფელში ერთ ოჯახს ჰქონდა მხოლოდ. განსაკუთრებულ საღამოსაც 12-13

ბალი ერთად შეიყრებოდა, ესტუმრებოდნენ „ტელევიზორიან“ ოჯახს, შესასვლელში დაჲყრიდნენ 12-13 წყვილ კალოშს, შედიოდნენ და ინდურ ფილმებს უყურებდნენ - მეტს არაფერს აჩვენებდნენ და...

 ქოვები ხომ ჰქონდათ, ზაფხულობით კიდევ გოლფსაც თამაშობდნენ, რომელსაც თუშურად ხვაფაობა ერქვა. გადიოდნენ მინდოოში, და პატარა ბურთებს მცირე ორმოებში ისროდნენ. მთავარი გართობა იყო ჭენაობაც. და-ძმებიც ცხენებს აღმა-დაღმა ურიამულით დააჭინებდნენ.

როცა მოიზარდნენ, სახლს ფერადი დეკორაციებით რთავდნენ და სპექტაკლებს დგამდნენ. მამამ რულონებით იცოდა ნაჭრების მოტანა - ჩითის, ბამბაზის, კესანეც იჯდა და ხან შვილებსა და მეულეს უკერავდა ტანსაცმელს, ხანაც - ბავშვების თოჯინებს. სახლში როცა არ იყო, პატარები დროს იხელთებდნენ და ნაჭრებს ფარდებად აბამდნენ - მთელი უბნის ბავშვები იქ თამაშობდნენ ხოლმე.


სოფლის არხთან ერთი მშვენიერი მინდოორი იყო, ერთი თოჯინა ჰყავდა ეთეროს, პლასტმასის, რეზინით გადაბმული ხელ-ფეხი ჰქონდა. ხშირად ამბობდა, გაიჭუჭყაო და ყოველ-დღე საპნის ქაფ-ქაფით აბანავებდა არხში. დროთა განმავლობაში, რეზინა, ეტყობა, დალპა და ერთი ბანაობის დროსაც გამოწყდა ხელი და წყალმა წაიღო. ტირილით გაედევნა ეთერო ნაპირ-ნაპირ, მაგრამ ცალხელა დარჩა თოჯინა - იგი-ვე გუგა. (გუგაობა თუშურად თოჯინებით თამაშს ნიშნავს).

კიდევ ერთხელ ეტკინა გული თოჯინის გამო. თამარ მეფის თიხის პატარა თოჯინა ჰქონდა - ჩიხტიკოპასა და კაბაში გამოწყობილი, თავზე გვირგვინით. რაღაც მექანიზმზე მუშაობდა, წაერავდი თითს და თავს აქანქარებდა. ეს თამარ მეფე ეთეროს პატარა ძმამ შემთხვევით გაუტეხა. მაშინაც ბევრი იტირა.

 დღესასწაულები და ხატობები პატარების ყველაზე საყვარელი გართობა იყო. თენდებოდა ახალი წლის დილა, იღვიძებდნენ ბავშვები და ნესტოებში ქვაბიდან ახლად ამოყრილი ხინკლის სურნელი ულიტინებდა. გამოცვივდებოდნენ დარბაზში, დახვდებოდათ კოტორები - თუშური ხაჭაპური, ხაჭოიანი კვერები და ხინკლები. აანთებდნენ სანთელს და დედა იტყოდა, მეკვლე შემოვიდესო. მეკვლე კაცი უნდა ყოფილიყო. თუ მამა ცხვარში იყო, ამ ფუნქციას ძმები კისრულობდნენ. ხის ხონჩაზე ილაგებდნენ ტკბილეულს, თხილს, კაკალს, ვაშლის და ქლიავის კანფეტებს, ბიჭონს - თუშურ ბატი-ბუტის, გადიოდნენ, სახლში ხონჩით ხელდამშვერებულები შემოდიოდნენ, ბატი-ბუტს ჭერში ისროდნენ და გასძახოდნენ: ამდენ ძროხა, ამდენ ცხვარი, ამდენ ქათამი, ამდენ ბალლი. თეთრად იპერნიტოდა მთელი სახლი, იდგა დიდი ურიამული, მერე ყველანი ერთად საახალწლო ტაბლას შემოუსხდებოდნენ და ცხელ-ცხელ ხინკლებს დიდ-დიდი ლუკმებით ყლაპავდნენ.

 მამა შინ ორჯერ ბრუნდებოდა ხოლმე, დანარჩენი დრო სულ ცხვარში იყო. მისი დაბრუნება უბედინერესი წუთები იყო ოჯახში. მოდიოდა ცხენბარგით, ხურჯიში აქეთ-იქეთ ორ-ორი ლეკვი და ბატკანი ჰყავდა - ბუთქები, ყველაზე სუსტები. ბავშვებიც საწოვარათი ასმევდნენ რძეს, ასუქებდნენ, თავს დასტრიალებდნენ და მერე საშინლად განიცდიდნენ, მამა ისევ ხურჯიში რომ ისვამდა და თან მიჰყავდა.

„ჩემ მარებ, მარსკვლავო“ - ეს მამის სიტყვებია. უთბილესი





ფოტო: ჩაალ ემილი

„ლელა გარეგნელად
მიუკარებალი ჩანს,
შინაგანად კი ჩიტივით
გული აჯვს. ის ყველაზე
კარგად მის სიმღერები
ჩანს. მკაცრი იერი
კი რისთვის უდია,
ვერ გამიჩია. ალჩათ,
გარე სამყაროსგან
თავდასასავად. მე
კი მასთან ენა მარვს
ნატლიაკილი. რალაცას
მკაცრად რომ იჩქვის
ხოლო, გამაცინება და
თვითონაც წყლიჩა მირი.
ხალებან კი, ვსელებით და
ისეთ ამჩავს ვიამოგთ,
რომ ორივეს დაკალუაით
ჩამოგვლის სრიალი.
ლელაზე კათილმოგილი
ორი ალამიანის არ
მიგულება. ის ყველასთვის
მაცხოვრებალი
ალამიანია“.

კაცი იყო, თუში კაცის ეტალონი, მოსიყვარულე და მზრუნველი. სახლიდან ერთი ხმამაღალი სიტყვაც არასდროს გადიოდა. კესანე, რომელიც ახლა 80 წლისაა, სტეფოზე ცხრა წლით უმცროსი იყო. ერთად დაბერძნენ ტკბილად და სიზმარსაც კი არ ნახულობდნენ უერთმანეთოდ. თენდებოდა და ბავშვებს ძილ-ლვიძილში ჩაესმოდათ მათი ხმადაბალი ლაპარაკი. „რა ნახ სიზმარში, სტეფვ“ - ეზლურტულებოდა კესანე და სტეფოც ჰყვებოდა, რაიც ნახა.

კესანე ჭკვიანი ქალია, ოთხი კლასი აქვს დამთავრებული, მაგრამ - ბრძენი გახლავთ. ეთერო ეუწნებოდა, შენგან კარგი ფიზიკოსი დადგებოდაო, კესანე კი პასუხობდა: „რა არის ფიზიკოს, დედო“. კესანეს ახლა სტეფო ალარ ჰყავს, ალვანში მარტო ცხოვრობს, დღემდე უსათვალოდ კითხულობს ეთეროს ლექსებს და ნერვიულობს ბავშვებზე, რომლებიც ტელესერიალებზე იზრდებიან: „ამათგან რაი უნდა დადგეს, დედო“ - წესს ხოლმე.

● სალამოსკენ, მზე რომ გადაიხრებოდა, ყველანი გარეთ გამოეფინებოდნენ. სკამებზე აკინძულად ისხდნენ მოხუცები, ეთეროც მათ ფეხებთან იჯდა ჩაცუცქული და საყვარელ ისტორიებს, ხშირად საშიშებს, გაფართოებული თვალებით ისმენდა. განსაკუთრებით უყვარდა ბებოს, კესანეს დედის მონაყოლი ამბები. ბავშვურ მეხსიერებას ძვირფას მოგონებად შემორჩა მაღალი ქალის სილუეტი, თუშურ ჩიხტიკობსა და შავ, ფეხებამდე დაშვებულ მანდილში.

რას ალარ იამბობდნენ თუშურ ლამეში ჩამალული ბრძენი მოხუცები. იყო ერთი თეო ბებო, რომელიც გამუდმებით

პათენტექს ოვალი®

ცფცქუჩი
აჩვეობონი
ჩასახვის
საზონიალოები
საშუალება

საიმართ
ელსვის
ოქმაბი
ეკანიზმი

ანტიოდიარეტიკი
მოკეთება

აჩვეობი
ცარცვა

მოხმავების
მაქსიმუმ
ნახი

დამზადებულია გარმაზიაში

მოიკითხათ აფთიაწები

უზრუნველყოფა



სარგებლობის სასახლე



ლელა თათარაძე



ფოთო: აშორან არაშვილი

თამბაქოს ფოთოლს ღეჭავდა და დაბალ ხმაზე იდუმალებით მოცულ ამბებს ჰყვებოდა.

ეთეროს კარგად ახსოვს ერთი ასეთი ისტორიაც: ნატოს ლამაზი ბიჭი ჰყავდა, აკვანში ეწვაო, მაგრამ ეშმამ გამოუცვალა - გაყვითლდა და დაილია ბავშვიო, მომაკვდავი გახდაო. ბოლოს, ველარაფრით რომ ვერ უშველეს, მოხუცებმა ურჩიეს, ცხენის თავის ქალაში წყალი ჩაასხი და აბანავეო. დედა ასეც მოიქცა. კესანებშ საკუთარი თვალით ნახა, როგორ ამოატარა ერთ დილას ცხენზე საბლით აკიდებული თავის ქალა ნატომ ტირილ-ტირილით. 2-3 საათში ბავშვმა სული დალია. სურათი კი ასეთი იყო: მაღალი მთების კენწეროდან სოფელში ჩამოჭყეტილ მზის შუქზე, ეზოში წყლიანი თავის ქალა გორაობდა...



პარსაპირი, ქოთორიათ კარი ფოთო: აშორან არაშვილი

„ეს არის ნააღვილი თუშეთი. მაღალიად ჩამის არსები ყველაფერი იძაური: ზინაშ - ნააღვის ნისაბი და მისი სერილი, სავსეანი და ცესტიანი ნაკვერპარი, ვახის ჩასაფლობი სავსი, სოროზი სიარული, ათასფერი, სერილობანი ზვავილი და ჩვენი მზადებელი და ჩვენი მზადებელი შენიშვნის სამი სერილი სწორი და სიმუშავე გარეშე, ისე - ვერც ისინი. ამით ბედნიერი ვარ, რადგან თუ ასე ყველამ გაძლო, მაშინ ეს ქვეყანაც ეშმაკებს დარჩებათ, ხალხური თქმაა ეგეთი: სოფელი უკაცოდ ეშმაკებს დარჩათ, ხომ გაგიგიათ?“. მოკლედ, არ გემშვიდობებით. გაგრძელებაც იქნება.“

■ მიჯნურობა. ეს თემა დახურული თუ არა, შენიღბული ნამდვილად იყო. „კოჭიანი ტუფლები“ გოგოებმა პირველად სკოლის დამთავრებისას, ბანკეტზე ჩაიცვეს. ოცდაორმავე გოგომ ვარდისფერი ნაჭრისგან ერთნაირად შეიცვერა კაბები - ჟაბოებიანი. ბატის ჭუკებს ვგავდითო, - ჰყვება ეთერო. ბანკეტზე მასნავლებლებიც დაპატიუეს. იმლერეთო, სთხოვეს გოგოებს, ესენიც დაეწყვნენ და ამლერდნენ. მაგრამ ტექსტში იყო ერთი უხერხეული ადგილი, „შენი ქოჩორიო“ - ბიჭზე უნდა ემლერათ. მიუახლოვდნენ ამ ადგილს, სირცხვილისგან განითლდნენ და სიმღერა ველარ გააგრძელეს. მასნავლებლები სიცილით დაიხოცნენ.

■ გასრულდა ესე ამბავი-მეთქი, შემეძლო თავისუფლად მეტვა, მაგრამ ზღაპარი არ გასრულებულა, კვლავაც გრძელდება. დები სამციხის ლამიდან თბილისში ცხოვრობენ. ლელა ალვანსა და თბილისს შორის მიღი-მოდის, დედასთან ჩადის ხოლმე ხშირად. ეთერო თბილისშია, თან იმაზე ნერვიულობს, რომ თუშეთში ასევლას ველარ ახერხებს და თან იმაზე, რომ უფროსი შვილი, მინდია ერაყში ჰყავს. ზღაპარი კი იმიტომ გრძელდება, რომ მას შვილები აგრძელებენ - მინდია, ანანო და მარიამი: „ამერიკაში ნამყოფ ბალებ ძნელებია“, - იამბობს ეთერო მინდიაზე, რომელიც შტატებში სამი ნელი სწავლობდა, - „მაგრამ ზუსტად ვიცი, როგორც მე და ლელა ვერ გავძლებთ ვერსად აქაურობის გარეშე, ისე - ვერც ისინი. ამით ბედნიერი ვარ, რადგან თუ ასე ყველამ გაძლო, მაშინ ეს ქვეყანაც ეშმაკებს დარჩებათ, ხალხური თქმაა ეგეთი: სოფელი უკაცოდ ეშმაკებს დარჩათ, ხომ გაგიგიათ?“. მოკლედ, არ გემშვიდობებით. გაგრძელებაც იქნება.“

ავტორი და მუსიკოსი:
ლეი მარია

SU&GY



სუ

სუ მატარებლის ფანჯრის იქით გაშლილ ბნელ, დათოვლილ მიშიგანის შტატს უყურებდა და ხვალინდელი დღის გეგმას აწყობდა. მისი ბას-გიტარა შესაკეთებელია, საღამოს კი პირველი კონცერტი აქვთ ლოს ანჯელესში. ესე იგი, დილიდან მოუნეცვს სახელოსნოში წასვლა... არა, ჯერ უნდა მოძებნოს ისეთი სახელოსნო, სადაც მთელი ჰონორარის დატოვება არ მოუწევს. სუს გაახსენდა, როგორ დაეხეთქა მისი გიტარა ბაქანზე, როდესაც ის კრეტინი, ფოტოკამერებით დახუნდლული, გაოფლილი კაცი დაეჯახა ზურგიდან. მისმა „საყვარელმა“ დამ კი, იმის მაგივრად, რომ ეთქვა: – ე! შე პროჭო, თვალებში თუ ვერ იყურები, ამდენი კამერა რისთვის დაგიყიდია კისერზეო, – კაცი ბოდიშებით გაისტუმრა და სუს მიაძახა: – ეს იმის ბრალია, რომ თხა ხარ და ყეყერი, გიტარას ფუტლიარში არ დებ და თოხივით მხარზე გაქვს გადებულიო! – აი, ასე დაინტყო სუსთვის 1966 წლის 26 ნოემბერის სუსხიანი დილა, დეტროიტის ცენტრალური სადგურის ბაქანზე. ახლა კი, სუ მუყაოს ჭიქიდან ყავას სვამდა, მატარებლის ფანჯრიდან ტბის თოვლიანი წაპირის ზოლს მიმტერებოდა და იმწუთას მხოლოდ ის ახარებდა რომ, ხვალ ამ დროს თხელი კაბა ეცმევა და მზიან სანსეტ ბულვარზე ისეირნებს.

სუ ჯერ 16 წლის იყო და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი წლის განმავლობაში თავისი დის ორ ჯგუფში უკრავდა ბასზე, მაინც ვერ ეჩვეოდა ტურნეებს... არ მოსწონდა ტურნეებში სიარული. დეტროიტში დარჩენილი დედა და მამა ენატრებოდა. სულ რაღაც ორი თვის წინ დაბრუნდნენ „აკვნის“ გასტროლებიდან და უკვე „სიამოვნების მაძიებელთა“ ტურნე დაიწყო.

ჯუნი

წლინახევრის ბრენდონისათვის ბევრი რამ მამამისის შესახებ გაუგებარი იყო: ის, თუ რატომ ჩნდებოდა მამა ტელევიზორში ნილბით და უცნაური სამხედრო ფორმით; რატომ იყო ცუდი და ებრძოდა კარგებს; და რატომ იყო შავ-თეთრი. არავინ იცოდა, რომ ბრენდონი ამის გამო არ ლაპარაკობდა. სწორედ იმ მომენტში, როდესაც პირველად დააპირა სიტყვა „მამა“ ეთქვა, ტელევიზორში „მწვანე ონავრის“ პრემიერა დაიწყო. მამამისმა პირველივე ხუთ წუთში სამი პოლიციელი სიცოცხლეს გამოასალმა (თანაც „ჰუმანურად“, პისტოლეტით კი არა, ცემით მოკლა). ყველაზე გაუგებარი ბრენდონისათვის ის იყო, რომ მამა ამ დროს მის გვერდით იჯდა და თავის ასეთ არაადამიანურ საქციელს მომლიმარი შესცეკროდა. სათვალეც კი გაიკეთა, რომელსაც ასე ვერ იტანდა, – უკეთ რომ დაენახა ეს საშინელება. ალბათ ჰერნია, ნილაბმი ვერ ვიცნობ, – გაიფიქრა ბრენდონმა და თითო ჯერ ტელევიზორისაკენ გაიშვირა, შემდევ კი ჯუნისაკენ. მამამისმა კი, იმის მაგივრად, რომ ეთქვა: – არა, ეს მე არა ვარ, გეშლებაო, – გახარებულმა შეხედა თავის მეუღლეს, ლინდას, რომლის მუხლებზეც ბრენდონი მოკალათებულიყო და სახეგაბადრულმა უთხრა: – ნახე, მიცნო. ბრენდონმა გადაწყვიტა, სანამ არ გავარკვევ რა ამბავია ჩემს თავს, ხმას არ ამოვილებო. უკვე სამი თვე სრულდებოდა, რაც ჯუნი თავის ოჯახით სიეტლიდან ლოს ანჯელესში გადმობარგდა. აქედან ჰონგ კონგი უფრო ახლოს ეჩვენებოდა და თავსაც უფრო მშვიდად გრძნობდა, ვიდრე ცივ სიეტლში. სერიალი ორი თვის წინ, პირველად გავიდა ეთერში და უკვე პოპულარობის ყველა რეკორდი მოხსნა. პროდიუსერების თხოვნით, ჯუნი არცერთ ბეჭდურ მედიაში არ აჩენდა სახეს და ეს კატოს, ჯუნის პერსონაჟს, უფრო მეტ პოპულარობას უქმნიდა.

1966 წლის 27 ნოემბრის მზიანი დღე იდგა. წინა ღამით, ჯუნს ლურჯი „შევროლე ნოვას“ ბოლო მოდელი დაესიზმრა და დილას ერთი გადაწყვეტილებით გაიღვიდა, – დღეს მანქანა უნდა ვიყიდო, – გაიფიქრა ჯუნმა და მძინარე ლინდას დახედა, რომელსაც მზის რბილი ლაქა უნათებდა სახეს.



ფოტოგრაფი

...მესამე დილა თენდებოდა რაც ტანისამოსი არ გამოუცვლია. 29 ნოემბრამდე ყველაფერი უნდა მოესწორო. შეკაგოს და დეტროიტის შუთინგმა ექსცესების გარეშე ჩაიარა, ახლა კატო დარჩა გადასაღები ნიღბის გარეშე და ამის შემდეგ, ნიუ იორკში დაბრუნდება. რა თქმა უნდა, ლოს ანჯელესის საქმე უფრო რთულია, ვიდრე წინა ორი. ის ჩინელი მართლა ისე მოხერხებულად თუ იქნევს ფეხებს, როგორც ტელევიზორში, შესაძლოა, ეს გადაღება გატეხილი ლავინის ძვლით და ცხვირზე თაბაშირით დამთავრდეს... მარლონ ბრანდო გაახსენდა და შეაურულა, სიგარეტი სავარძლის სახელურზე ჩაექრო, მატარებლის ფანჯრიდან ოკეანის თეთრად აქაფებულ ნაპირის ზოლს მიაშტერდა და ჩუმად ამოიხრა, შემდეგ თავი გააქნია, ცუდი აზრები რომ გამოებერტყა და გაიფიქრა: – დროზე მოვრჩები, დროზე ჩავალ სახლში... ისე, ცხვირზე თაბაშირი რომ გავიკეთო და ისე მივიდე რედაქციაში??? – ბოლო აზრმა გაახალისა და ფანჯარაში თავის მკრთალ ანარეკლს გაულიმა.

– ვესტვუდი ჰოლივუდი არ არის, მაგრამ მაინც კარგი უბანია... – გაბზარულ მაჯის საათს დახედა და ისევ მარლონ ბრანდო გაახსენდა, ისევ გააქნია თავი, ხის ჩრდილში გაჩერდა და უილშაია&გეილის ბინებისაკენ გაიხედა. – ათის ნახევარია... ალბათ ასე, ნახევარ საათში გამოვა... აქვე ვერ გადავიდებ, დამინახავს... უნდა გავყვე... ღმერთო, რატომ უნდა შემეფეთოს მაინცდამაინც მე ყველა მოუხეშავი თინეიჯერი??? (საქმე ისაა, რომ სადგურზე, ვიღაც არასრულწლოვან გიტარისტ გოგოსთან შეჯახებამ მისი ერთადერთი ტელეობიექტივი შეინირა და შორიდან, შეუმჩნევლად რამდენიმე მსხვილი ხედის გადაღების შანსი მატარებლის ნაგვის ყუთში დარჩა) – ისევ დახედა საათს, და ცოტა ხანს ისეთი სახით უყურა, თითქოს აინტერესებდა, რამდენს გავუძლებო... უცებ უხეშად შეიხსნა ხელიდან, მაჯაც კი გაიფხაჭნა და ჭუჭყისაგან ალაპლაპებული შარვლის ჯიბეში ჩაიდო. თავი სტკიოდა. ბრანდოსთან ინციდენტის შემდეგ დასჩემდა ეს თავის ტკივილები, მაგრამ ექიმთან არ მიდიოდა. ექიმების ეშინოდა. ბინებს გახედა – კატო... რა სულელური სახელია უარყოფითი გმირისათვის... ქალის სახელს უფრო ჰგავს... თითქოს კეტრინის შემოკლებული ვარიანტია... რა იდიოტიზმია...

კეტრინ-კეიტ-კეტრინ-კატო... ელიზაბეტ-ლიზი...

დრაკულას რო ერქვას ლიზი... ლიზი დრაკულა
ან მიმი ფანტომასი... სისულელეა.– თავის
ფიქრებზე გაეღიმა. უილშაია&გეილის ბინებიდან
დაბალი, სათვალიანი ჩინელი გამოვიდა
და მიზანდასახულად გაემართა ტაქსის
გაჩერებისაკენ.

– ასეთი დაბალი თუ იყო, ვერ
წარმოვიდგენდი... ამ გნომმა ქასთინგი
როგორ გაიარა????? ან ნაცნობები ჰყავს
ყოვლისშემძლე (ეს ბოსის პრობლემა იქნება,
როდესაც ფოტოებს გამოაქვეყნებს), ან მართლა
ისე ჩხუბობს, როგორც სერიალში (ეს კი ჩემი
პრობლემაა... თანაც დიდი და მტკიცნეული). ის
აუჩქარებლად გაემართა ტაქსის გაჩერებისაკენ,
მაგრამ შინაგანად მთლიანად დაიძაბა... ახლა თუ ეს
მოკლე ჩინელი ხელიდან გაუსხლტებოდა, ხვალამდე
ვეღარ იპოვიდა.

რობერტ

რობერტა ჩაის დალევას აპირებდა, როდესაც
სამზარეულოს მილზე კაკუნი გაისმა

* * _ _ _ _ *** * _ _ _ _ ** _ _ _ _ * _ _ _ _ * _ _ _ _ ** _ _ _ _ * _ _ _ _ * _ _ _ _

_ ** _ _ (1)

(1) რობა! ამო ტელეფონზე!



- აი, ეს უტვერდიტელნი ზნაკები არ აკაკუნებდეს ამდენი ეს ქალი, რა... – ჩაიბურტყუნა უკმაყოფილოდ, ჩაის ჭიქას ხელი დაავლო და ბნელი კორიდორით გასასვლელისკენ გაემართა.

მორზეს ანბანის სწავლა მეზობელი ირას იდეა

იყო და თვლიდა, რომ ძალიან მოსახერხებელი რამეა. უკვე მეორე წელიწადი იწურებოდა, რაც რობერტ კოჩაროვის და ირა თამაზაშვილის ეს კოდირებული რომანი დაიწყო... უკვე მეორე

წელიწადი იწურებოდა, რაც ირა ცდილობდა გაერკვია, რას საქმიანობდა მისი საყვარელი და არაფერი გამოდიოდა. უკვე მეორე წელიწადი იწურებოდა, რაც მორიგი საჩუქრის

მიღებისას დასმულ კითხვაზე – საიდან? – ლაკონურ პასუხს იღებდა: „ფორტოჩიდან“... ან „ტუმბოჩიდან“... ან „ატ ვერბლიუდა“...

– ვინ არი? – შესვლისთანავე ჰკითხა რობერტამ ირას და ჩაი მოსვა.

– ვერბლუდი... – უპასუხა ირამ ისე, რომ თვალი არ მოუცილებია ტელევიზორის ეკრანისათვის, რომელშიც ისევ ნიკარაგუას და სანდინისტებს აჩვენებდნენ.

– ალო!... პრივეტ, რამე არი?... მერე... ჰო... ეტა პოლსკი გავნო მნე ნი ნუჟნა! არ მიდის, რა... ეგ მაგათი კეგებეს ნაჩათლახარი, მითომ ვისოკაე ისკუსტვა შეიტენონ

ტრაკში... სიჩას ვასმიდისიატიე, რა.. აქ არ მიდის ეგ!... სიროზნა? აი, ეგ მინდა! კანეშნა!... პროგრამა არი სტარ-ბირის? როდის?... ჰო... სულიკო როგორ არი?... კაი, ვეჩერამ ზაიდუ! – რობერტამ ყურმილი დაკიდა. – ირაჩკა, ისევ გაბუტილი ხარ? – ირას მიუახლოვდა და მხარზე უჩქმიტა, რაზეც ირამ არ დააყოვნა და ნეკნებში მუშტი უთავაზა... ამის შემდეგ კი, პანტომიმა დაიწყო, რომელსაც ვერ ავნერ.



სუს თხელი ყვავილებიანი კაბა ეცვა და საწოლზე იჯდა, ზურგით კედლისაკენ. კედლის მიღმა მისი დის და ჯგუფის მენეჯერის, ჯეკის ვნებიანი ოხვრა ისმოდა. მოტელში სიფრიფანა კედლები იყო. სუ ფიქრობდა, გავიხედავ და ჩრდილების პორნო-თეატრის სპექტაკლს ვნახავო. პიესის დასახელებაც კი მოიფიქრა, "Doggystyle in LA". როდესაც ხმაური შეწყდა, სუმ ხმამაღლა დაიძახა, სახელოსნოში წავედიო. გიტარა მხარზე გაიდო და ოთახიდან გავიდა.

სუ ავტობუსის მგზავრებს ათვალიერებდა და ფიქრობდა, ახლა ბრიტ რეიდი რო იჯდეს აი, იმ სკამზეო. თავის ფიქრებზე გაეღიმა. ბრიტ რეიდი მისი საყვარელი სერიალის მთავარი გმირი იყო. ლამაზი, გარუჯული ფუტურისტული ვიკინგი, რომელიც საშინელ არამზადას, სახეშენილბულ გენერალ კატოს ეპრძოდა. სუ ვერაფრით ხვდებოდა, რატომ მოსწონდა მის უფროს დას ეს კატო უფრო მეტად, ვიდრე მისი ოცნების ქერა რაინდი, რომელზეც ამბობ, გასაბერ ჩაქუჩის გავსო. დეტროიტიდან მოყოლებული, სუ პატარა იმედის ნაპერნკალს გაღვივების საშუალებას არ აძლევდა, რომ ლოს ანჯელესის ქუჩებში შემთხვევით შეიძლება ბრიტ რეიდს შეეფეთოს. ამაზე ფიქრის დროს, სადღაც მუცლის ქვევით (რა სირცხვილია!), უცნაურ, სასიამოვნო სიმძიმეს გრძნობდა, დაახლოებით ისეთს, ლუნა პარკში, ამერიკულ მთებზე რომ ემართებოდა



ხოლმე. აი, ახლაც, სუ განითლდა და სასწრაფოდ ფანჯარაში გაიხედა. მისი მზერა პირდაპირ მუსიკალური ინსტრუმენტების სახელოსნოს აბრას შეეფეთა. ავტობუსი გაჩერდა და ლია კარიდან დახუთულ ავტობუსში კიდევ უფრო დახუთული, ცხელი ჰაერი შემოვარდა.

– ნამდვილად ეს არის? – ფიქრობდა სუ და ქუჩას სახელოსნოს მიმართულებით კვეთდა. აი, მანქანების მაღაზიაც გვერდით, როგორც ტელეფონში აუხსნეს. ბრიტზე ფიქრში ცოტაც რომ გართულიყო, უთუოდ გამოტოვებდა გაჩერებას.

სახელოსნო იყო პატარა, ცისფრად შეღებილი კედლებით და ჭერში დიდი, ჭრიალა ვენტილატორით. სუს ხანშიშესული სათვალიანი მექსიკელი შეეგება.

– გაგიმარჯოთ, ახალგაზრდა ქალბატონო! – უთხრა მან ლიმილით. – რით შემიძლია გემსახუროთ? სუმ სწრაფად მოუყვა კრეტინის ამბავი, რომელიც დეტროიტის სადგურზე დაეჯახა და ხელიდან გიტარა გააგდებინა. ხელოსანი უკმაყოფილო სახით უქნევდა თავს, თითქოს ეთანხმებოდა, მართლაც ვიღაც იდიოტი და მამაძაღლი შეგვედრიათო. შემდეგ სუს გიტარა ჩამოართვა, შეათვალიერა, დაფიქრდა და ზეგ მობრძანდითო, უთხრა. ახლა სუმ კონცერტზე უამბო, რომელიც დღეს საღამოს არის დაგეგმილი.

ისიც თქვა, უფროსი და მყავს უგულო და მჩხავანაო და ბოლოს, ერთი-ორი ცრემლიც გადმოაგდო (როგორც დაგეგმილი ჰქონდა). ცრემლებმა გაჭრა და მექსიკელმა „გვარნერიმ“ სუ, სამ-ოთხ საათში დაიბარა.

როდესაც სუ სახელოსნოდან გადიოდა, გაღიმებულმა ხელოსანმა პირობა ჩამოართვა, რომ ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი მას კონცერტზე დაპატიჟებდა. სუმ თანხმობის ნიშნად, კიდევ ერთხელ გაუღიმა და სახელოსნოდან გავიდა.

სუ ლოს ანჯელესის ქუჩებში სამი-ოთხი საათის გატარებას და ვიტრინების თვალიერებას აპირებდა. ის-ის იყო ფეხი სამანქანო გზაზე დადგა და ქუჩის გადაკვეთა დააპირა, რომ მანქანების მაღაზიიდან ლურჯი



„შევი-ნოვა“ გამოვარდა და სუს
ისე ახლოს ჩაუქროლა, რომ
საწყალი გოგო იქვე ტროტუარზე
ჩაიკეცა და შეშინებულს,
ისტერიული ტირილი აუვარდა.
მანქანა მკვეთრად გაჩერდა...

ფოტოგრაფი

– დაარტყა??? – ფოტოაპარატი

მოიმარჯვა და რამდენიმე ფოტო გადაიღო.

– არა, მგონი, უპრალოდ, შეეშინდა გოგოს, –
მოუპრუნდა ტაქსისტი.

– ჰო, მართალი ხარ... – კამერა მოიმარჯვა.

– აბა, აბა, გადმოდი მანქანიდან! აი, ასე... არა,
ძალიან შორია.

– რა იყო, ცოლს ღალატობს? – ჰეკითხა ტაქსისტმა
ირონიით.

– არ ვიცი, შეიძლება, მაგრამ მე ბიზნეს კონკურენტმა
დამიქირავა. – ტაქსისტს კერძო დეტექტივად გაეცნო,

სავიზიტო ბარათიც კი მისცა, ასეთი შემთხვევებისთვის

რომ ჰქონდა დაბეჭდილი. – თუ ღალატობს, ეგეც არ მაწყენს. –

ჩაილაპარაკა თავისთვის და ისევ კამერით გახედა. – დაიცა, დაიცა, ეს ხომ
ის არასრულწლოვანი გიტარისტია????? ლმერთო, რა არ ხდება ამ ქვეყანაზე...

მანქანისკენ მიჰყავს. შეიძლება მართალიც აღმოჩნდე! – ტაქსისტს გაელიმა

– მივყვებით?

– რა თქმა უნდა!

შევროლე დაიძრა და ტაქსიც კონსპირაციული დისტანციის დაცვით აედევნა.

ჯუნი

– ნამდვილად არაფერი არ გტკივა? – ჯუნი შეწუხებული და, ცოტა არ იყოს, შეშინებულიც იყო. – მგონი, ჰოსპიტალში უნდა მივიდეთ. – გოგო უკვე აღარ ტიროდა, მაგრამ დაბნეული იყო, თითქოს ვერ ხვდებოდა, რა ხდება. ჯუნმა გადაწყვიტა გაემხიარულებინა, სანამ ჰოსპიტალში მივიდოდნენ და გოგოს გაულიმა:

– ჩინელები სიზმრებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. გუშინ სიზმარში ვნახე, თითქოს ლურჯი „შევი-ნოვა“ ვიყიდე... დღეს დილასვე საყიდლად წამოვედი... ახლა კი ვიფიქრე, იქნებ სწორედ იმიტომ ვნახე ეს სიზმარი, რომ შენ შეგხვედროდი – გოგომ ჯუნს ისე შეხედა, თითქოს უნდოდა, მარილის ბოძად ექცია.

ჯუნი მიხვდა, სისულელე წამოვროშეო და უხერხულობისაგან კიდევ უფრო იდიოტური ფრაზა წამოსცდა:

– მე ცოლი მყავს და წლინახევრის შვილი, ბრენდონი... – თქვა და აფეთქების მოლოდინში, სასწრაფოდ მოაცილა თვალი... მაგრამ აფეთქება არ მომხდარა, მან დიდი სიფრთხილით გააპარა თვალი გოგოს მიმართულებით და როდესაც მისი გალიმებული სახე დაინახა, მოღუნდა და შვებით ამოისუნთქა.

– შენ ან იდიოტი ხარ, ან თავს ისულელებ! – სიცილნარევი ხმით უთხრა გოგომ, გზას გახედა და თითქოს ამდენი ხნის მანძილზე, პირველად შენიშნა, რომ სადღაც მიდიან – სად მიგყავარ?

– ჰოსპიტალში!

– არა! ჯობია, ყავაზე დამპატიურ და ჩათვალე, რომ ყველა ცოდვა გაპატიე!

ჯუნმა შეხედა, გაულიმა და უცებ, რაღაც უცნაური ტალღა დაეჯახა მუცელში.

ასეთი რამ ერთადერთხელ დაემართა, თოთხმეტი წლის რომ იყო. მაშინ ჰონგ კონგის ერთ პატარა საცეკვაო სკოლაში სამეჯლისო ცეკვის გაკვეთილებს იღებდა და თავის პარტნიორ გოგოზე, სუ-ლიზე უგონოდ შეყვარებული იყო, მაგრამ სუ-ლი მას ზედაც არ უყურებდა (უფრო სწორად, უყურებდა, მაგრამ ცივად და ყოველგვარი ინტერესის გარეშე). ჯუნი სულმოუთქმელად ელოდა ცეკვის გაკვეთილებს. კვირაში სამჯერ, თითო საათით, ჯუნი ყველაზე ბედნიერი ადამიანი ხდებოდა. მისი მარცხენა მტევანი ფრთხილად ეხებოდა სუ-ლის თბილ, მოქნილ წელს და კანქვეშ წვრილი ხერხემილის ყოველ გამოძრავებას მისი სხეული

ურუანტელით პასუხობდა. სუ-ლის თხელ, გამჭვირვალე თითებს კი, ისე სათუთად იჭერდა მარჯვენა ხელში, თითქოს პატარა პეპელა ეჭირა და ეშინოდა, ფრთები არ დავუზიანოო. ასე გრძელდებოდა ორი თვე და აი, იანვრის ერთ დღეს, როდესაც მუსიკა შეწყდა და ცეკვა დაასრულეს, სუ-ლი არ მოსცილდა და არ უთხრა, ზეგამდეო – როგორც ყოველთვის აკეთებდა. დარბაზი ნელ-ნელა დაიცალა, ისინი კი ისევ საცეკვაო პოზაში იყვნენ გაშეშებული და ერთმანეთს უყურებდნენ.

– მე და ჩემი დედ-მამა ხვალ ჩინეთიდან მივდივართ. – თქვა უცებ სუ-ლიმ – სამუდამოდ! – მერე მთელი ტანით მიეკრო ჯუნს და ოდნავ სველი, თბილი ტუჩებით შეხებო მის ტუჩებს. ჯუნს უცნაური ტალღა დაეჯახა მუცელში და მთელ ტანში სითბოდ ჩაეღვარა. სუ-ლიმ ერთხელაც შეხედა, ქუთუთოებზე ცრემლი უციმციმებდა: – მე ყოველთვის შენ მეყვარები, საი, – უთხრა, მიბრუნდა და დარბაზიდან გავიდა. ჯუნი კი იდგა ხელგაშლილი, თითქოს ვიღაც უხილავთან აპირებს ცეკვასო. როდესაც გონის მოეგო და გარეთ გავარდა, რომ სუ-ლის დაწეოდა, ის უკვე წასულიყო. მას შემდეგ ჯუნი და სუ-ლი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

აი, ეს ყველაფერი გაახსენდა ჯუნს, როდესაც ამ უცნობ ამერიკელ გოგოს შეხედა და რატომდაც ისეთივე სითბო იგრძნო, ტანში როგორიც 12 წლის წინ ჰონგ კონგში.

- რა გქვია? – ჰკითხა ჯუნმა გოგოს.
- სუზი, მაგრამ შეგიძლია, სუ დამიძახო!

სუ

– ფრთხილად!!!! – დაიკივლა სუმ და ხელები წინ გაიშვირა, თითქოს მათ წინ, მოსახვევიდან გამოვარდნილი სატვირთო მანქანის შეჩერებას შეძლებდა... არანორმალურმა ჩინელმა დროზე მოასწრო დამუხხუჭება. სუს ისევ გაეღიმა.

– მგონი, ჩემი მოკვლა გაქვს გადაწყვეტილი და ამიტომაც შემხვდი. ჩინელმა სათვალე მოიხსნა და შეხედა. სუმ სადღაც მუცლის ქვევით (რა სირცხვილია!) უცნაური, სასიამოვნო სიმძიმე იგძნო, დაახლოებით ისეთი, ლუნა პარკში ამერიკულ მთებზე რომ ემართებოდა ხოლმე, განითლდა და სასწრაფოდ ფანჯარაში გაიხედა, მისი მზერა პირდაპირ კაფე „ამერიკანა“-ს აბრას წააწყდა

– აქ ხომ არ დავლიოთ ყავა? – ჰკითხა ისე, რომ თავი არ მოუბრუნებია. – თორემ მეშინია, უფრო შორს რომ წამიყვანო, კატასტროფაში მომაყოლებ.

– დავლიოთ. – გაისმა პასუხი და მანქანა დაიძრა.

მანქანების სადგომი კაფეს უკან, მიყრუებულ, ბუჩქებით შემოფარგლულ ჩიხში იყო. ჩინელის ლურჯი „შევროლეს“ გარდა, აქ მხოლოდ ერთი მანქანა იდგა. სუ თავის თანამგზავრს უყურებდა, რომელიც მანქანას კეტავდა და ფიქრობდა, „რა უცნაური გარეგნობა აქვს, ვერაფრით ვერ იტყვი, რამდენი წლისაა“... როდესაც ჩინელმა გამოხედა, გაიფიქრა – „თვალები აქვს სევდიანი“...

– მე რომ არ გკითხე შენ რა გქვია? – უთხრა სუმ, როდესაც კაფეში შევიდნენ.

– ჯუნ ფან. მაგრამ შენ საი დამიძახე... – რაღაცაზე ჩაფიქრდა და მერე დააყოლა, – ბავშვობაში მეძახდნენ საის...

მაგიდას მიუსხდნენ და ჯუნმა მენიუ მოიმარჯვა.

– რატომ გინდა, რომ საი დაგიძახო? – სუმ მაგიდას იდაყვები დააყრდნო, სახე ხელებში ჩარგო და თვალები ჩინელივით გაეწელა. – მე ხომ ბავშვობაში არ გიცნობდი?

– რომელი უფრო კარგად უდერს ჯუნი და სუ თუ საი და სუ.

– საი & სუ.

– ეგრე იაპონელს გავხარ. – უთხრა ჯუნმა და ისევ მენიუს ჩახედა. სუმ კი კაფეს მოავლო თვალი. თითქმის ცარიელი კაფეს სხვადასხვა კუთხეში, სულ სამი ადამიანი იყო. ხანშიმესული კაცი ფანჯარასთან იჯდა და ომლეტს მიირთმევდა, ბართან შუახნის ქალი ყავას სვამდა და თან უურნალს კითხულობდა. ღრმად, კაფეს შედარებით ჩაბნელებულ ნაწილში, მათკენ ზურგით კიდევ ვიღაც იჯდა.

ფოტოგრაფი

როდესაც ლურჯმა „შევროლემ“ სადგომისაკენ გაუხვია, მან ტაქსი გაუშვა და კაფეში შევიდა. ღრმად, ერთი ადგილი სწორედ რომ მისთვის იყო გამზადებული. კედელი მთლიანად სარკით იყო მოპირკეთებული და მთელი კაფე, როგორც ხელის გულზე, ისე მოჩანდა. მშრალი მარტინი შეუკვეთა და სათვალთვალოდ მოემზადა.

თავი ისევ ასტკივდა და საფეხქლებს იზელდა, როდესაც კაფეში ჩინელი და გოგო შემოვიდნენ. ისე შესცექეროდნენ ერთმანეთს, გაიფიქრა – „ტაქსისტის ვარაუდი ნამდვილად ახდებაო“. ცოტა ხანში, წყვილს ორი ორმაგი ესპრესო მიუტანეს. კაფეში სიწყნარე იყო და მოშორებით მჯდომი წყვილის საუბარი კარგად ისმოდა.

– ... მსახიობი? – ოდნავი სიცილით ჰკითხა გოგომ. კატომ თავი დაუქნია და ყავა მოსვა. – და რა ფილმებში თამაშობ?

– არ გეცოდინება, ძველი ჰონგ კონგური საბავშვო ფილმებია.

– მაინც მითხარი. – არ ეშვებოდა გოგო. კატოს გაეღიმა.

– „ბიჭის დასაწყისი“.

გოგოს გაეცინა: – ეგ ჰორნო ხო არ იყო? – ჰკითხა ხითხითით.

– 6 წლის ვიყავი, მაგ ფილმში რომ ვთამაშობდი.

– საინტერესოა, როგორი იყავი 6 წლის.

კატომ ქუჩაში გაიხედა: – პატარა, ჩვეულებრივი, სათვალეებიანი ჩინელი ბავშვი. –

ისევ გოგოს გამოხედა.

– სხვებიც მითხარი! იქნებ ოდესმე სადმე წავაწყდე და ვნახო, როგორი იყო საი პატარაობაში.

„აჟა! სახელი მოუტყუუბია... საი... საი კი არა, ჯუნ ფენ ლი ჰქვია...“

– სხვები? – კატო დაფიქრდა – „ადამიანის დაბადება“, „ჩემი შვილი, აჟ ჩუნი“, კიდევ „ობოლი“, მაგრამ მანდ უკვე დიდი ვიყავი, 18 წლის.

– და ამერიკულ ფილმში არ გითამაშია?

– ერთში. ამერიკული ფილმით სამსახიობო კარიერა დავიწყე. – კატოს გაეცინა – არა მგონია, ნანახი გქონდეს... გოგოს ვთამაშობდი.

– რაააა? – გოგომ ისეთი ხარხარი ატეხა, ფანჯარასთან მჯდომ კაცს ომლეტი გადასცდა და ხველება აუვარდა.



– ჰო, ჰო! რა გაცინებს? „გოგო გოლდენ გეითიდან“ ნანახი გაქვს?

– მატყუებ? ეგ ხო ძველი ფილმია, მგონი, ოცდაათიანებშია გადაღებული. ის გოგო შენ თუ ხარ, ახლა ბევრად უფრო მოხუცად უნდა გამოიყურებოდე. თან არ გავხარ!

ახლახანს ვუყურე, მამაჩემთან ერთად.

– 1941-შია გადაღებული, სამი თვის ვიყავი. გახსოვს ჩინელების ოჯახი? პატარა გოგო რომ წევს აკვანში? აი, ეგ ვარ მე და აკვანს რომ არწევს კაცი, მამაჩემია. მალე ორი წელი შესრულდება, რაც გარდაიცვალა. – გოგო თვალებში შესცექეროდა და ხმას არ იღებდა.

– უცნაურია, 1 თებერვალს ჩემი შვილი გაჩნდა და ერთ კვირაში მამაჩემი გაქრა. – გოგო უცებ წინ გადაიწია და კატოს აკოცა.



„რას არ მოისმენ და რას არ ნახავ... ეს თინეიჯერი კი სწრაფად მოქმედებს...“ გოგომ კატოს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა და კიდევ ერთხელ აკოცა. კატომ მაგიდაზე ფული დადო, შემდეგ ორივენი ადგნენ. გოგო საპირფარეშობისაკენ წავიდა, კატო კი კაფედან გავიდა და გარეთ, კართან გაჩერდა. „მიდიან. სადგომთან ბუჩქებია, იქ თუ ჩავუსაფრდი, შეიძლება მოვახერხო მსხვილ პლანში სახის გადალება“. სწრაფად წამოდგა და კაფედან გავიდა.

რობერტა

- გრძელ ფოტოზე ოცდახუთი შიშველი ქალბატონისაგან ბატალური სცენა იყო დადგმული.
- ხო გითხარი, ეს პოლსკი დეშოვკა არ მინდა! – რობერტა უკმაყოფილოდ სწავლობდა ფოტოს ყველა დეტალს. მისი პარტნიორი, ბონდო კარაქიან პურს მიირთმევდა. რობერტამ ფოტო გადადო და შემდეგს დასწვდა. – ეს რა არი?
 - ცოტა გაფუჭებულია, რა... – ღეჭვა-ღეჭვით უთხრა ბონდომ. – ზატო, ნახე რა ქალია?
 - გაფუჭებული შენა ხარ, ბიჭი! ეტა სოლარიზაცია. ეს ბიჭო მან რეია! ტი შტო? დუმაეშ, მან რეის მაგას ვაკადრებ, რომ დეზერტირებზე პორნო კარტებთან ერთად გაყიდონ?
 - ვინ არი?... ეეეე! რა მნიშვნელობა აქვს, ტო? იქაც ტიტველა ქალია, აქაც ტიტველა ქალია!
 - ტაგდა დავაი, ბოტიჩელინუ ვენერუ ტოჟე ბუდემ პრადავატ... ტი შტო, რაზნიცუ ნე ვიდიშ? ეტა კრასატა! ა ეტო... – ისევ პოლონური ფოტო აიღო ხელში და ბონდოს ცხვირწინ აუფრიალა: – გავნო!!! – მან რეის ფოტო უბის ჯიბეში ჩაიდო: – ამას მე წავიღებ... – ბონდომ უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი. რობერტამ მაგიდაზე დაყრილ ფოტოებს დახედა. – შენა და... ის სად არი, ტელეფონზე რო მითხარი? – ბონდომ ხელები შარვალზე გაიწმინდა და იდუმალი ღიმილით შეხედა, შემდეგ მაგიდის უჯრა გააღო, შიგნიდან საშუალო ზომის ფოტო ამოიღო და რობერტას გაუწოდა. რობერტამ ფოტოს დახედა და გაიბადრა.
 - მართლა ეგენი არიან, ტო? – ჯიბიდან ლუპა ამოიღო და კედელზე მიმაგრებულ ნათურას მიუახლოვდა
 - ნასტაამშია, ტო! თანაც, ვ მამინე... ვიღაცამ ნაღდად ჩუმად გადაულო, რა... – აღფრთოვანებას ვერ ფარავდა რობერტა. ოთახში ბონდოს მეუღლე, სულიკო შემოვიდა.
 - ერთი, სულიკოს ანახე, რა! – სთხოვა გაბადრულმა ბონდომ. რობერტამ ფოტო ქალს გაუწოდა. სულიკომ გამოართვა, ცოტა ხანს უყურა ფოტოს, შემდეგ ხმის ამოუღებლად დადო მაგიდაზე, ოთახიდან სწრაფად გავიდა და კარი ხმაურით მოაჯახუნა.
 - ე! რა მოუვიდა? – იკითხა გაოგნებულმა რობერტამ. – ანა ი პო ხუჟე ფატაგრაფიი ვიდალა, ტო...
 - ეგ იცი რა არი? ჩვენ მაგის ეროვნული სიამაყე შევლახეთ ახლა! – თქვა ბონდომ და ორივემ საშინელი ხარხარი ატეხა.

სუ

არსად არ წავიდნენ. სუმ გადაწყვიტა, იქვე, მანქანების სადგომზე, ლურჯ „შევი-ნოვაში“ გამოთხოვებოდა ქალწულობას. უკანა სკამზე, ბევრი წვალების შემდეგ, სუმ ოპტიმალური პოზა იპოვა – ოთხზე დადგა, პატარა ლეკვივით. ცხვირით თითქმის ფანჯარას ებჯინებოდა. საი მის უკან მოექცა და სუმ იგრძნო როგორ ჩასძვრა საცვალი, ფანჯარაში გაიხედა, უცებ თავში გაუელვა “Doggy Style In L.A.” და...





ფოტოგრაფი

„არ უნდა გავინძრე, თორემ შემამჩნევენ... ყოჩალ, კარგი გოგო ხარ!... ახლა აქეთ გამოიხედე, გამიღიმე და ჩიტი გამოფრინდება!“ გოგომ მართლაც პირდაპირ ობიექტივში შეიხედა და... გაიღიმა. „შესანიშნავია! ლოს ანჯელესის შუთინგიც დამთავრდა... ხვალ სახლში რომ ჩავალ, აბაზანაში ჩავწვები და აღარასოდეს ამოვალ!“

ჯუნი

სუმ უთხრა, რომ აღარასოდეს ნახავს, მაგრამ ყოველთვის ემახსოვრება. კიდევ უთხრა, რომ თუ მოენატრა, იცის, რომელ ფილმებში ეძებოს... მერე გაუღიმა, აკოცა და წავიდა.

საღამოს ჯუნი, ლინდასთან და ბრენდონთან ერთად, „მწვანე ონავრის“ მორიგი სერიის საყურებლად დაჯდა, მაგრამ რატომდაც არ სიამოვნებდა საკუთარი თავის ყურება და კატოს ყოველი გამოჩენისას, მოღუშული აცილებდა თვალს ეკრანს.

ბრენდონი ცოტა ხანს მამამისს აკვირდებოდა, შემდეგ დედის კალთიდან ჯუნის კალთაში გადაძვრა,

ჩაეხუტა და თავის პატარა ცხოვრებაში პირველი სიტყვები წარმოთქვა:

– მამა, შენ ნუ ნერვიულობ. რაც არ უნდა ცუდად მოიქცე, მე მაინც ყველაზე მეტად მიყვარხარ. თანაც, ეს ხომ უბრალოდ კინოა, შენ კი, უბრალოდ, შენს როლს თამაშობ ამ კინოში. ყველაფერი სცენარისტის ბრალია.

ფოტოგრაფი

1966 წლის 28 ნოემბერს თავის აბაზანაში იწვა და გონებაში

დანახარჯების სიას ადგენდა. უცებ თავში თითქოს რაღაც გაუსკდა, სითბო იგრძნო, ბოლოჯერ გაახსენდა მარლონ ბრანდო და სამუდამოდ სიბნელეში გადაეშვა.

გვამი მეორე დღეს იპოვეს. გაბრაზებული სახე ჰქონდა. საწესდებო პროცედურის თანახმად, მთელი მისი ნეგატივები, ფოტოები და გაუმჯდავნებელი ფირები პოლიციამ ამოიღო ბინიდან, მაგრამ შემდეგ პოლიციიდან რატომდაც FBI-ში გადაინაცვლა და რამდენიმე ფოტო ბოლოს CIA-შიც მოხვდა, „საბჭოთა იატაკებები პროპაგანდის“ განყოფილებაში.

ჯუნი

1973 წლის 20 ივლისს ჯუნი ჰონგ კონგში, ტვინის შეშუპებისგან

გარდაიცვალა.

29 ივლისს ჯუნი სიეტლში გადაასვენეს. ის სასაფლაო Lake View-ზე დაკრძალეს.

ჭირისუფლებს შორის იყვნენ სტივ მაკეუინი, ჯეიმს კობურნი, დენი ინსანტო და როკის ამომავალი ვარსკვლავი გოგონა, რომელსაც აქ მყოფებიდან არავინ იცნობდა...

სუ-ლი

მაღე თბილისში ცხოვრების თხუთმეტი წელი სრულდებოდა. მისი რეზიდენტურა 1969 წელს დაიწყო, ლენგლის დაზერვის სკოლის დამთავრებისთანავე. ის პირველი ჩინელი სტუდენტი იყო საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. თავისი მომავალი მეუღლეც სტუდენტობისას გაიცნო და საქმეში ჩართო ისე, რომ ქმარს ეჭვიც არ გასჩენია, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოზე რომ მუშაობდა.

სუ-ლი ფანჯარასთან იჯდა. ღამის თბილისის გარეუბანს წვიმა ასველებდა, სუ-ლის თვალებს კი – დიდი მარილიანი ცრემლები. ხელში ფოტო ეჭირა, ფოტოზე კი საი იყო, ვიღაც ამერიკელ ქერა თინეიჯერთან ერთად.

– სულიკო! მოვედიიი... – დაიძახა ბონდომ შემოსასვლელიდან. სუ-ლიმ ფოტო უბეში დამალა, თვალები შეიმშრალა და იქვე დაკიდებული კედლის რადიო ჩართო... რადიოდან ნაცნობი სიმღერა გაისმა. სუ-ლიმ შუბლი მიადო ცივ შუშას და სიბნელეში მოციმციმე სახლებს გახედა.

აქ წარმოიდგინეთ, რომ კადრი ჩაბნელდა და ეკრანზე თეთრი ტიტრები ამოცოცდა. მუსიკა კი გრძელდება



林士  丹陰
標商雨晴



და თქვენც შეგიძლიათ მოიმარჯვოთ გიტარა (თუ დაკვრა იცით) და აჟყვეთ...

D2 G Em

Our love is alive and so we begin

D2 G Em

Foolishly layin' our hearts on the table, stumblin' in

D2 G Em

Our love is a flame burnin' within

D2 G

Now and then fire light will catch us, stumblin' in

CHRIS:

Am D Em

Wherever you go, whatever you do

Am D Em

You know these reckless thoughts of mine are followin' you

SUZI:

I've fallen for you, whatever you do

'Cause baby you've shown me so many things that I never knew

Am D G

Whatever it takes, baby, I'll do it for you

(Chorus) Riff1

CHRIS: You were so young, ah, but I was so free

SUZI: I may have been young but baby, that's not what I wanted to be

CHRIS: Well you were the one

SUZI: Oh why was it me?

CHRIS: 'Cause baby you've shown me so many things that I'd never seen

Whatever you need, baby, you got it from me

(Chorus)

CHRIS: Ah, stumblin' in, mmm, stumblin' in

D2

Now and then fire light will catch us,

G Em

stumblin' in

SUZI: Oh, stumblin' in, I'm stumblin' in

D2 G

Foolishly layin' our hearts on the table, stumblin' in

ფინალის მეორე ვარიანტი... არასოდეს იცი, ხალხს რა მოეწონება, ამიტომ...

სუ

კონცერტის დაწყებამდე სულ რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, ის დაბალი კაცი რომ შემოვარდა backstage-ზე.

— ეს უნდა იმღეროთ. — უთხრა სუს და გაღიმებულმა ფურცელი გაუწოდა, რომელზეც ნოტები და ლათინური ასოებით ნაწერი გაუგებარი ტექსტი იყო. — ამით უნდა დაიწყოთ... შემდეგ კი თქვენი რეპერტუარით განაგრძოთ.

სუს, ცოტა არ იყოს, ეშინოდა ამ კაცის და საერთოდ ამ ქვეყნის (რაც არ უნდა იყოს, მტრის ბანაკში იყო, „ონ გასტროლზ“ — ასე ერქვა აქ ტურნეს. სანამ სუ ამას მიხვდა, ბევრჯერ შეეშინდა ამ უცნაური სიტყვის)... მოკლედ, ბევრი არ ახვენნინა, ფურცელი გამოართვა და სცენისაკენ გაემართა.

დიდი სპორტული დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი. სუ აუდიტორიას მიესალმა, რასაც გამაყრუებელი ყიუინა მოჰყვა, მაგრამ როგორც კი სუმ ფურცელი მოიმარჯვა, ხალხი წამსვე გაისუსა და სუს ოდნავ ჩახლეჩილმა ხმამ დარბაზი გაავსო...

აქ წარმოიდგინეთ, რომ კადრი ჩაბნელდა და ეკრანზე თეთრი ტიტრები ამოცოცდა.
მუსიკა კი გრძელდება და თქვენც შეგიძლიათ აჰყვეთ... გიტარა ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი...

sakvarlis saphlavs vedzebedi
ver vnakhe dakarguliko
gulamoskvniliiiii vtirodi
shen xom ara xar sulikoooo...



P.S.

თუ არ ვცდები 1984 წელი იყო. მეექვსე კლასში ვიყავი. პორნო ჟურნალი გვქონდა დათრეული და ფიზიულტურის დარბაზის გასახდელში შემაღლები „ვათვალიერებდით“. ამ დროს ჩემი კლასელი, გიორგი შავგულიძე შემოვიდა. ცოტა ხანს გულგრილად უყურა ჟურნალს და მერე გვითხრა: – ეგ რა არი... გუშინ დეზერტირებზე ვიყავი, თამაზასთან ერთად და იცი რა სურათი ვნახეო? – ჩვენ წამით „თვალი“ მოვწყვიტეთ „ჟურნალს“ და გიორგის ავხედეთ. პატარა პაუზა გააკეთა, დარწმუნდა, რომ ყველა ვუსმენთ და თქვა: – ლურჯ „ფორდში“ სუზი კვატროს ბრუს ლი ტყნავდაო!

აი, ასე გააერთიანა ჩვენი ბავშვობის სამი სიმბოლო: „ფირმა“ მანქანა, სუზი კვატრო და ბრუს ლი, რომლის ნამდვილი სახელი ჯუნ ფან ლი იყო, დედა კი მოფერებით საი ფუნგს ეძახდა. (სპორტის სასახლეში გამართულ კონცერტზე სუზი კვატროს „სულიკო“ არ უმღერია, მოვიტყუე. ბრუს ლი კი ყველა იმ ფილმში თამაშობს, რომელიც ზემოთ არის ჩამოთვლილი, მაგრამ „მწვანე ონავარში“ კატო დადებითი გმირი იყო და არა ბოროტი გენერალი, ბრიტ რაიდი კი, მწვანე სამოსსა და ნიღაბში გამოწყობილ იდიოტს უფრო წააგავდა, ვიდრე გასაბერ ჩაქუჩის... იმედია, ტყუილებს მაპატიებთ).

ეს ისტორია ჩემს კლასელს, გიორგი შავგულიძეს ეძღვნება, რომელიც უკვე ოცი წელია, აღარ მინახავს.



The logo features the words "the END" in a bold, sans-serif font. The letters are primarily orange, with black outlines and black fills for the interior of the letters. The word "the" is positioned above "END". The entire text is centered within a circular emblem. This emblem consists of a white outer ring, a red middle ring, and a smaller white inner circle. The background of the entire image is a large, stylized red and white target pattern.

**the
END**

କୁଟୀର୍ଥ 2005




କୁଟୀର୍ଥ ପାଞ୍ଜାବୀ



1 ଅକ୍ଟୋବର

DJ JULIEN DJ JULIEN



www.zeppelin-club.ru

DJ
IVAN
ROUDYK


24 ଅକ୍ଟୋବର

Coca-Cola

9 TH TBILISI INTERNATIONAL JAZZ FESTIVAL

WWW.EASTTOEASTFESTIVAL.COM





TBILISI 2005

JAZZ
festival

კრისტოფელის ჯაზფესტივალი

აღმოჩენი: კახა თოლორდავა
ფოტო: ლივან ხერხეულიძე

ექსპლუზიური ინდივიდუალი

▼
▼
▼

ქრისტოფელის მაჟარაილი

დევილ სენზორი

ჯონ სერფილდი

ქრის ფოთარი

ჯორჯ ბენსონი

>>>





ჯაზის დაკვრა, თუ ცნობიერად ან არაცნობიერად წინამორბედების მიმართ მადლიერების გამოხატვა არ შეგიძლია. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მარტო ამით არ შემოიფარგლო და შეეცადო შენი საკუთარი ხმა შემატო ჯაზის ისედაც მდიდარ ისტორიას. ეს კი იმაზე უფრო ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით გეჩვენება. ჩემზე ბევრ დიდ მუსიკოსს მოუხდენია გავლენა, ბევრ ბასისტს თუ არა-ბასისტს, მაგრამ ძალიან ძნელია იპოვო შენი სტილი ამ ინსტრუმენტზე ისე, რომ გვერდი აუარო ჯეიქ პასთორიუსს, რეი ბრაუნს, რონ ქართერს, ოსქარ პეտიფორდს, ჯიმი ბლენთონს და უამრავ სხვას. შენ ცდილობ შექმნა ბასზე დაკვრის შენი სტილი და ამ დროს იცი, რომ ვერაფერს ახალს ვერ შექმნი მანამ, სანამ არ გეცოდინება, რა და როგორაა დაკრული. ეს ნიშნავს უკან და, ამავე დროს,



პრისჩენ მაჟარაილი

>>>

ორი სპეციფიური კომპლიმენტით მინდა დავიწყო. თქვენ ორივე ეს კომპლიმენტი კოლეგებისაგან, გერი ბერთონისაგან და ჯო ზავინულისაგან მიიღეთ. ორივე თქვენი ბენდის მისამართითა ნათქვამი. “ბიჭებო, როცა უკრავთ, თქვენ ერთდროულად უკან იყურებით და, ამავე დროს, წინ ახერხებთ გახედვას.” ეს ჯო ზავინულია. “ქრის, იცი ყველაზე კარგი შენს ბენდში რა არის? მე არ შემიძლია ვთქვა, თუ ვისი ბენდია ეს!” ეს კი უკვე გერი ბერთონია. რას ნიშნავს იყურებოდე ერთდროულად უკან და წინ და რატომაა კარგი, როდესაც ვერ ხვდებიან, თუ ვინაა ბენდის ლიდერი?

ჯაზს რომ უკრავ, უნდა გახსოვდეს, რომ ამ მუსიკას მდიდარი ტრადიციები და მემკვიდრეობა აქვს. შეუძლებელია

წინ ყურებას. რაც შეეხება გერი ბერთონის სიტყვებს, მოდით, მაგალითისათვის ორი ჯენტლმენი ავიღოთ, – დიუქ ელინგთონი და მაილზ დევისი. გავიხსენოთ მაილზის გენიალური ბენდები და მივხვდებით, – მათი სიდიადე სწორედ იმაშია, რომ მაილზი ყოველთვის არ იღებდა თავის თავზე ლიდერის ფუნქციას. ხშირად მისი ბენდები მაილზის მუსიკას არ ასრულებდა და მაილზი ყოველთვის ყველაზე გრძელ სოლოებსაც არ უკრავდა. ეს ზოგჯერ ჯონ ქოლტრეინი იყო, ზოგჯერ ქენონბოლ ედერლი, ბილ ევანსი, უეინ შორთერი ან ჰერბი ჰენქოქი. მაილზი კი, ძირითადად, ნავიგატორი იყო. ის, უბრალოდ, საჭირო მიმართულებით მიმართავდა ბენდს. დიუქ ელინგთონიც ასე იქცეოდა. მისი მუსიკა მარტო დიუქი კი არ იყო, არამედ ჯონი ჰოჯესი, ქეთ ანდერსონი, ბილი სთრეინინი და ასე შემდეგ. ჩემი ბენდი რომ შევქმნი, თავიდან ძალიან დათრგუნული ვიყავი იმიტომ, რომ, ისტორიულად, ბასისტები წინა პლანზე არასდროს იყვნენ. სულ მეჩვენებოდა, რომ ყველა მელოდია მე უნდა დამეკრა, ყველა სოლო მე უნდა შემესრულებინა, ყველაფერს ჩემს გარშემო უნდა ეტრიალა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ჩემი ბენდი მარტო მე კი არა, ბენდის დანარჩენი წევრებიც არიან. დღეს მე უკვე ჯგუფური კონცეფციით აღვიქვამ იმ მუსიკას, რასაც

ჩვენ ვაკეთებთ, – ჩვენ ყოველთვის ჩემს მიერ დაწერილ კომპოზიციებს არ ვასრულებთ და ჩემი სოლოები ყველაზე ხანგრძლივი არაა. სწორედ ამიტომ გამეხარდა ასე გერი ბერთონის სიტყვები...

ვის მიჰყავს იმპროვიზებული მუსიკა წინ? შეგიძლიათ გვარები არ დაასახელოთ, მაგრამ იქნება ამიხსნათ, თუ რა ელემენტებისაგან შედგება წინსვლის ცნება?

პირველ რიგში, ფანტაზია და მერე გაბედულება. მართლაც რომ გაბედული ადამიანი და მუსიკოსი უნდა იყო, რომ თქვა: “არ მაინტერესებს წინამორბედებისადმი მუხლ-მოდრეება და მათი დაუსრულებელი იმიტაცია; შეიძლება მათმა მუსიკამ ჩემზე ზეგავლენა იქონია, მაგრამ უნდა მოვახერხო და გავცილდე ამ ჩარჩოებს.” ეს სიტყვები მხოლოდ გაბედულ მუსიკოსს შეიძლება წამოცდეს იმ დროს, როცა მუსიკალური ინდუსტრია ძირითად აქცენტს წინა თაობის მუსიკოსების მიერ დატოვებული ტრადიციების რეანიმაციაზე აკეთებს. “ჩვენ უნდა ვაცოცხლოთ ჯაზი,” “ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ტრადიციები,” “ჩვენ პატივი უნდა ვცეთ წინაპრების დანატოვარს,” და ასე შემდეგ... ამ ბოლო დროს, ინდუსტრიის წარმომადგენელთა მხრიდან ისე ხშირად ისმოდა ეს სიტყვები, რომ ეჭვი მეპარე-


საგან გავთავისუფლებულიყვით და ჩვენი ხმა მოგვეძებნა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მუსიკოსებს, ვისაც იმპროვიზებული მუსიკა წინ მიჰყავს, უმდიდრესი ფანტაზია და სიმამაცე აქვთ. ამავე დროს, ისინი ბევრს, ძალიან ბევრს მეცადინეობენ ამ მუსიკის ისტორიის და თავიანთი ინსტრუმენტების დაუფლებისთვის.

გაბედულების გარდა, რა ესაჭიროება მუსიკოსს იმისთვის, რომ კარიერა ერთხელ მიღწეულის წამდაუნუმ გამეორებაზე არ ააგოს?

არ ვიცი, ეს ყველა ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული უნდა იყოს. მაგალითისთვის, დევიდ სენბორნი ავიღოთ. მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ჯაზის ნებისმიერ სტილში დაუკრას, – მას შეიძლია დაუკრას სოულ ჯაზი, ფიუჟენი, ტრადიციული ჯაზი; მოკლედ, ყველაფერი, რაც მას მოესურვება. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მან მიიღო გადაწყვეტილება და ძირითადი აქცენტი ე.წ. “smooth” ჯაზზე გადაიტანა; იგივე შეიძლება ითქვას ჯორჯ დიუქზე, ჯორჯ ბენსონზეც და ბევრ სხვა მუსიკოსზე, ვინც კარიერის გარკვეულ მონაკვეთში, ამა თუ იმ სტილში დაკვრის გაგრძელება გადაწყვიტა. ამ ნაბიჯის გადადგმა არცთუ ისე ადვილია! მე იგივეს ვიტყოდი მათზე, ვინც ტრადიციული ჯაზის დაკვრას



ბა, დღეს ვინმეს საერთოდ კიდევ აინტერესებს თუ არა ინდივიდუალის ფენომენი... ეს მდგომარეობა ბევრი ახალგაზრდა მუსიკოსისათვის უცხოა იმიტომ, რომ კარიერის დასაწყისშივე “ჯაზის მამები” ეუბნებიან მათ: “ჩვენ უნდა შევეცადოთ და ისეთი ალბომი ჩავწეროთ, სადაც აშკარად იქნება გამოკვეთილი წინა თაობების დიდი მუსიკოსებისადმი პატივისცემა.” ჯაზის ისტორიაში მსგავსი ვითარება პირველადაა. ვინ გაუბედავდა უეინ შორთერს იმის თქმას, რომ მას ლესთერ იანგივით ან ქოულმენ ჰოქინზივით უნდა დაეკრა?! ჩემი თაობა პირველია, ვისაც ამ იდიოტობაში თავის გაყოფამ მოუწია. “ქრისჩენ, – მესმოდა ხშირად, – შენ რეი ბრაუნივით უნდა დაუკრა;” ან, – “უსმინე რონ ქართერს და შეეცადე მასავით დაუკრა!” ჩვენ ბრძოლა მოგვინია იმისათვის, რომ ყოველივე ამი-



აგრძელებს. ბევრისათვის ტრადიციული ჯაზის დაკვრა სერიოზული არტისტის იმიჯის შექმნის წინაპირობაა. ასე რომ, რა მხრიდანაც არ უნდა შეხედო, სითამამე აუცილებელია.

ინდუსტრიასთან დაკავშირებით, ამას წინათ თქვით: „ისინი მუსიკის ვერბალიზებას (ანუ იმას, რომ მუსიკის ნებისმიერ სტილს, გაყიდვის მიზნით, სახელი დარქვან) ცდილობენ და ეს დიდი შეცდომაა. საჭიროა მუსიკოსის მარკეტინგი და არა მის მიერ შექმნილი პროდუქციის.“ ამასთან დაკავშირებით, ფიქრობთ თუ არა, რომ მხოლოდ მუსიკოსები უნდა იყვნენ ჯაზის იმიჯზე პასუხისმგებლები?

ეს აუცილებელი არაა. უბრალოდ, მუსიკოსებს უფრო მეტი საშუალება უნდა მიეცეთ თავიანთი კარიერის განვითარებისთვის. სხვებსაც შეუძლიათ ამაში წვლილის შეტანა. თქვენ მუსიკოსი ხართ?

არა?

ესე იგი, თქვენ უურნალისტი ბრძანდებით და ჩვენ თქვენ ძალიან გვჭირდებით. ჩვენ გვჭირდება უურნალისტები ჩვენივე მესიჯის გასავრცელებლად. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უურნალისტებს, ფრომოუთერებს და სხვა ადამიანებს ამ ბიზნესში იმის ზუსტად გადმოცემა შეეძლოთ, რაც მუსიკოსებს ანუხებს. მუსიკალურ ინდუსტრიაში ბევრნი არიან, ვინც ახალი მაილზ დევისის შექმნას ლამობენ. ისინი ცდილობენ იპოვონ ვინმე, ვინც მაილზივით დაუკრავს, თუმცა იმ ადამიანს შეიძლება სრულიადაც არ უნდოდეს ეს. ან კიდევ ინდუსტრიას შეიძლება გაუჩნდეს ჯაზის კლასიკური პერიოდის გაცოცხლების იდეა და ამისათვის ისინი ქირაობენ ახალგაზრდა მუსიკოსებს და აკეთებინებენ ისეთ მუსიკას, რომელიც სამოციანებში უდერდა. ასე რომ, არა, არ ვფიქრობ, რომ ჯაზის იმიჯის მაკონტროლებლები ექსკლუზიურად ჯაზმენები უნდა იყვნენ. უნდა არსებობდეს ბალანსი მუსიკოსებს შორის, რომლებსაც სურთ თვითონ აკონტროლონ კარიერა, და არამუსიკოსებს შორის, რომლებიც უფლებას მიცემენ მუსიკოსებს გახდენ ის, ვინც და რაც მათ უნდათ, რომ იყვნენ.

ამის შესახებ იმიტომ გეკითხებით, რომ მუსიკოსები და ბიზნესმენები განსხვავებულად საუბრობენ მუსიკაზე. სწორედ

ესაა გადამწყვეტი. თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის ვიყავი, როდესაც სრულიად შემთხვევით წავიკითხე იგორ სტრავინსკის და რობერტ კარაფტის „დიალოგების“ ერთი-ორი გვერდი. ეს წიგნი გადაშლილი იდო მაგიდაზე და სანამ ის ადამიანი მოვიდოდა, ვისაც ველოდებოდი, უსაქმურობისაგან თვალი გადავავლე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩემთვის სრულიად გაუგებარ ინტერვალებზე საუბრობდნენ, ისე მომწუსახა სტრავინსკის მუსიკაზე საუბრის უნარმა, რომ იმავე დღეს გავიქეცი და ნათესავს სტრავინსკის დისკები გამოვართვი. ასე რომ, მგონია, საკუთარი მუსიკალური იდეების არტიკულაციის უნარი მუსიკოსის მხრიდან ხშირად სასარგებლო უნდა იყოს. ჯაზის ისტორიაში იყვნენ მუსიკოსები, რომლებიც ამას კარგად ახერხებდნენ. თქვენი აზრით, ვინ არიან დღესდღეობით ჯაზის იდეების მნიშვნელოვანი გამავრცელებლები?

მართალია, ჯაზის ისტორიაში ბევრნი იყვნენ და არიან ისეთები, ვინც ძალიან მეტი ახერხებდნენ და ახერხებენ იმის ჩამოყალიბებას, თუ როგორ ესმით მათ ეს მუსიკა. დღეს ასეთები უინთონ მარსალისი და გრეგ ოსპი არიან. არიან დანარჩენებიც, ვისაც ძალიან კარგად შეუძლიათ იმის არტიკულირება, თუ რა ადგილი უჭირავს მათ მუსიკას ჯაზში. მე მაინც მგონია, რომ ყველაზე საზრიანი ის მუსიკოსები არიან, რომლებიც თავიანთ მუსიკაზე საუბრისას თითქოს გინვევენ ამ მუსიკის მოსასმენად. უეინ შორთერს შეუძლია ეს; დიუქ ელინგთონი კი ალბათ ამის დიდოსტატი იყო იმიტომ, რომ მას უნარი ჰქონდა, ზედმინერენით ზუსტად აღენერა თავისი შეგრძნებები სიტყვებით და ამას ისე ახერხებდა, რომ მსმენელს ილუზია უჩნდებოდა, თითქოს მისი მუსიკის ნაწილი იყო. ეს განსხვავებით მათგან, ვინც მუსიკაზე ერთგვარი ნიშნის მოგებით გესაუბრებიან. მოკლედ, ყველაზე კარგები მაინც ისინი არიან, ვინც ახერხებს მუსიკის სასარგებლოდ მსმენელის „შეთრევას“ საკუთარ სამყაროში.

ვიცი, რომ იმპროვიზებული მუსიკის მარგინალიზაციის მცდელობა, ძირითადად, მუსიკალურ ინდუსტრიას ედება ბრალად, მაგრამ ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამაში გარკვეული ბრალი მსმენელსაც მიუძღვის, რომელიც სულ უფრო ხშირად ითხოვს ადვილად გასაგებს და მისაწვდომს? დარწმუნებული ხართ, რომ თუ მსმენელისათვის უფრო მისაწვდომი იქნება სესილ თეილორის, ენთონი ბრექსთონის ან ჰენრი სრეთგილის მუსიკა, ის უფრო ხშირად მოისურვებს მათი მუსიკის მოსმენას?





მგონია, რომ ამ მუსიკოსებს მაინც უნდა მიეცეთ ეს შანსი. მათი მუსიკა უფრო მისაწვდომი უნდა გახდეს ადამიანებისათვის და მსმენელმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მოსწონს თუ არა მას ეს მუსიკა. თუ ასი ადამიანიდან, ვინც სესილ თეილორის მუსიკას მოისმენს, თუნდაც ორს მოეწონება მისი მუსიკა, ეს იმას ნიშნავს, რომ წინანდელთან შედარებით, თეილორს ორი ადამიანით მეტი მსმენელი ჰყავს. იცით, ყველაზე უფრო რა მაშინებს? ის, რომ ხმის ჩამწერი კომპანიების უმრავლესობას თავიანთი “სამიზნე პუბლიკა” ჰყავს. ადრე ეს ასე არ იყო! ბრითნი სფირზის კომპანიას კი, მისი მუსიკისათვის საგანგებოდ შექმნილი “სამიზნე პუბლიკა” ჰყავს. ისინი ასე მსჯელობენ: “ძალიან კარგი, ჩვენი სამიზნე პუბლიკა როგორაც თვრამეტ წლამდე პატარა გოგონები არიან და მუსიკის მარკეტინგიც სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. ”რაც შეეხება ჯაზს, აქაც არიან ისეთები, ვინც ფიქრობს, რომ “სამიზნე პუბლიკა” ფულიანი მსმენელი უნდა იყოს იმისათვის, რომ ჩვენ შიმშილით არ დავიხოცოთ. მათი აზრით, არც კი ღირს თავის შეწუხება იმისთვის, რომ ჯაზმა ახალგაზრდებამდე მიაღწიოს, ვინაიდან ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ახალგაზრდებს ისედაც არ მოეწონებათ ეს მუსიკა. ეს ძირფესვიანად არასწორი მიდგომაა. ისინი არც კი ცდილობენ იმ მუსიკის პოპულარიზაციას, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ამას. მაგალითად ჩემს უკანასკნელ ალბომს *Vertical Vision*-ს მოვიტან. ის ფიუჯენის სტილშია დაწერილი და მათ მითხრეს, რომ ამასთან დაკავშირებით მათ პრობლემა შეექმნათ იმიტომ, რომ მათი აზრით, ჩემი ძირითადი “სამიზნე პუბლიკა” ე.წ. კლასიკური ჯაზის მოყვარულები არიან. ”ეს შენი საუნდი არაა, – მითხრეს, – და ჩვენ არ ვაპირებთ ამ ალბომის მარკეტინგს მსმენელის ამ კატეგორიაზე. გამოდის, რომ ჩვენ ფიუჯენის მოყვარულებზე უნდა ავილოთ ორიენტაცია, მაგრამ აქაც პრობლემა შეგვექმნება იმიტომ, რომ ისინი შენ არ გიცნობენ, როგორც ფიუჯენის შემსრულებელ მუსიკოსს.” გამიგეთ? მე მათ ვუთხარი, რომ არ ვარ ფიუჯენ-არტისტი, მე, უბრალოდ, მუსიკოსი ვარ. წერტილი! მიეცით უფლება ყველას, მოისმინოს ეს ალბომი და თვითონ გადაწყვიტონ, მოეწონებათ თუ არა. ვფიქრობ, რომ პროდუქციასთან მსგავსი მიდგომა ყველაფერს კლავს, რამაც ბევრად უფრო დააზიანა მუსიკალური ინდუსტრია, ვიდრე დაეხმარა მას.

ესე იგი, შეიძლება ითქვას რომ ბევრისათვის ჯაზი უფრო კონცეფციაა, ვიდრე მუსიკა, რაც, როგორც ვხვდები, ძალიან უნდა ზლუდავდეს არა მარტო მუსიკოსებს, არამედ მუსიკასაც....

აბსოლუტურად! ეს, უბრალოდ, საშინელებაა!

რატომ და როგორ მოხდა ასე?

ჩემი აზრით, მოხდა შემდეგი: გასული საუკუნის 80-იან წლებში აკუსტიკურ ტრადიციულ ჯაზს რენესანსის ხანა დაუდგა და უინთონ მარსალისი, მასზე ოდნავ უმცროსი თაობის მუსიკოსებთან ერთად, ყოველივე ამის ცენტრში მოექცა; ესენი იყვნენ თერენს ბლენჩარდი, მალგრიუ მილოერი, დონალდ ჰარისონი და ახალგაზრდა მუსიკოსების მთელი ჯგუფი. ისინი, ბი-ბოფის მუსიკოსების მსგავსად, ისევ კოსტიუმებში გამოეწყვენენ და კვლავ აკუსტიკურ ინსტრუმენტებზე დაინტერაქცირებენ დაკვრა. ყოველივე ამას არაფერი საერთო არ ჰქონდა უშუალოდ მუსიკასთან. ეს იყო ის, რაც უეცრად მოდად იქცა. ისინი თითქოს ამბობდნენ: “აი, ჩვენ ისევ დავიბრუნეთ ის, რის გამოც მსმენელი ჯაზს კვლავ მიუბრუნდება!” სხვათა შორის, მათ მოახერხეს და უმნიშვნელოდ გაზარდეს ჯაზის მოყვარულთა რიცხვი, მაგრამ, ამავე დროს, მსმენელი დაკარგვინეს ისეთ დიდ ექსპერიმენტატორებს, როგორებიც არიან დევიდ მარი, სესილ თეილორი, ჰენრი სრეთგილი და სხვები. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მუსიკის ინდუსტრიამ ისევ მოდად აქცია უკვე ნახევრად ჩამკვდარი მუსიკა. ეს ის დრო იყო, როცა უინთონ მარსალისი სახალხოდ აცხადებდა, თუ როგორ ეჯავრებოდა ელექტრონული მუსიკა. მას არ მოსწონდა არაფერი, რაც არ “სვინგაობდა”. უინთონი ძალიან მომხიბვლელი კაცია და თუ ჯაზის შესახებ ბევრი არაფერი გაგეგება, თავისი მომხიბვლელი ბითონებით უინთონს ადვილად შეუძლია შენი გადაბირება. თუმცა აქვე დავამატებ, რომ მან ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის ჯაზით დაინტერესება მოახერხა. სამწუხაროდ, მან ის ჯაზი გადააქცია მოდად, რომელიც თვითონ მოსწონდა და როცა ახალგაზრდები სხვა სტილის მუსიკას უსმენდნენ, დღესაც ბევრს ახსოეს, თუ როგორ ეუბნებოდა მათ უინთონი: “ამას ნუ უსმენთ, ეს ცუდი მუსიკაა.” ამის შედეგად კი გაჩნდა “ჯაზი ლინქოლნ ცენტრში” (მუსიკალუ-

რი ორგანიზაცია ნიუ იორკში, რომლის არტისტული დირექტორი უინთონ მარსალისია). ეს წმინდა კორპორაციული ტიპის ორგანიზაციაა და არავითარი კავშირი არ აქვს არც კრეატიულ მუსიკასთან და არც კრეატიული მუსიკის შესაქმნელად აუცილებელ გარემოსთან თუ პირობებთან.

“ნუ მიყვები ბრძნენთა ნაკვალევს, არამედ ეძიე ის, რასაც ისინი ეძებდნენ” — ეს იაპონელი პოეტის ბასოს სიტყვებია. თუ ვიგულისხმებთ, რომ ჯაზის კონტექსტში თქვენ ბევრ “ბრძნენ” მუსიკოსთან გითანამშრომლით, როგორ გგონიათ, მიაგწიოთ იმას, რასაც ისინი ეძებდნენ?

თქვენს შეკითხვას ორნაირად შემიძლია გავცე პასუხი: პირველი ისაა, რომ მე ჯერ კიდევ ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ იმაში, თუ რას ვეძებ; მიმაჩნია, რომ რაც უფრო დიდხანს დავუკრავ და დიდხანს მექნება მუსიკის შექმნის საშუალება, მით უფრო გამოიკვეთება ჩემი ძიების საგანი. ჩემთვის კარიერის ახალი ეტაპი 1993-94 წლებში დაიწყო, როცა მე ელექტრიქ-ბასზე გადავედი. ბევრმა არც კი იცის, რომ მე სწორედ ელექტრიქ-ბასზე დავიწყე დაკვრა. მასსოვს, თუ როგორი შეშფოთებული ვიყავი მაშინ და საკუთარ თავს სწორედ იმ დროს შევეკითხე: “რატომ, რატომ ვარ ასეთი შეშინებული? ეს ხომ, ბოლოს და ბოლოს, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი?” რაღაც მომენტში კი მივხდი, რომ ქვეცნო-

ბიერად ისევ ვცდილობდი, წინაპრების ნაკვალევს გავყოლოდი და სწორედ ამ დროს, მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ამას არ გავაკეთებდი. მე თვითონ უნდა დავტოვო ნაკვალევი! მე უნდა გავაგრძელო იქედან, სადაც წინაპრების ნაკვალევი წყდება! მე თვითონ უნდა გავიკვლიო გზა იმის ნაცვლად, რომ უკან გავბრუნდე და წინაპრების ნაკვალევს მოვარგო ჩემივე ნაბიჯები! ასე რომ, რაც უფრო დიდხანს გავაგრძელებ მუსიკის კვლევას, დაკვრას და კეთებას და რაც უფრო დიდხანს მომეცემა ზრდის საშუალება, მით უფრო ნათელი გახდება ჩემთვის ჩემივე მიზნები. დღეს მე ეს არ ვიცი. უბრალოდ, კარგ დროს ვატარებ.

>>>






საქართველო-ლაიგუ სკონი



ძველი თბილისი



ჯონ სკოფილდი



ინტერვიუსთვის მზადების დროს, ინტერნეტში ოქვენს “704 სიცყვიან ავტობიოგრაფიას” გადავაწყდი, რომლის ბოლოსაც ამბობთ: “დაკვრისას თავს არასოდეს ისე თავისუფლად არ ვგრძნობდი, როგორც დღეს და როგორც იქნა, დადგა დრო, როდესაც მე შემიძლია დავიწყო გიტარაზე დაკვრის შესწავლა.” სიმართლე რომ გითხრათ, მსოფლიოში მილიონობით ადამიანი, ჩემი ჩათვლით, ფიქრობს, რომ გიტარაზე დაკვრა არცთუ ისე ცუდად გამოგდით და ამიტომაც მაინტერესებს, რას ნიშნავს როცა ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელოვანი გიტარისტი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ის მხოლოდ ახლა იწყებს გიტარაზე დაკვრის სწავლას?

არც კი ვიცი, როგორ გიპასუხოთ ამ შეკითხვაზე. უბრალოდ, ადრე უფრო მეტს ვნერვიულობდი დაკვრის დროს და ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი ჩემს შესაძლებლობებში. ახლა კი, შემიძლია ვთქვა, რომ ამ ყველაფრის გადალახვა მოვახერხე. მართალია, არ ვიცი, დღეს უფრო კარგად ვუკრავ თუ ცუდად, მაგრამ ფაქტია, რომ დაკვრისას თავს ბევრად უფრო კარგად ვგრძნობ ხოლმე. რაც შეეხება გიტარაზე დაკვრის სწავლას, ისევე, როგორც



ხელოვნების ყველა სფეროში, მუსიკის შესწავლის პროცესიც უწყვეტი და ამოუწურავია. სადღაც ყოველთვისაა მიმალული რაღაც ახალი და უეცრად მივხვდი, რომ ყველაზე ბედნიერი მუშაობის პროცესში ვარ. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ამ დროს მე ვსწავლობ კიდეც. ჩემთვის ეს იდეალური მდგომარეობაა.

კიდევ ერთი თქვენი ფრაზა: “ ძნელია ახლის ჯერ აღმოჩენა და მერე კი დაკვრა; ზოგჯერ თითქოს გრძნობ, რომ ის სულ ახლოსაა მიმალული და შენც იმედი გეძლევა, რომ მოახერხებ ამის მოხელთებას და განვითარებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ეს ურთულესი პროცესია და უზარმაზარ ძალისხმევას და დიდ დროს მოითხოვს.” შეიძლება თუ არა ვივარაულოთ, რომ ყველა თქვენი ბენდი სწორედ ამ ახლის ძიებას ემსახურებოდა?

ჩვენ ყველა რაღაც ახალ ორბიტაზე გასვლას ვცდილობთ და ეს პროცესი ხშირად თავაუღებელ მუშაობას გულისხმობს. დიახ, ვთქვი, რომ დაკვრა მსიამოვნებს და ამ დროს კარგადაც ვერთობი ხოლმე, მაგრამ ძალიან ძნელია ახლის და საინტერესოს შექმნა; დამერწმუნეთ, ხშირად ეს საკმაოდ შორს დგას გართობისაგან. ინსტრუმენტზე იმპროვიზების დროს, ყველაფერი ძალიან ადვილად მეჩვენება იმიტომ, რომ გიტარაზე დაკვრა ვიცი, მაგრამ ახალი მუსიკის შექმნა ძალიან მძიმე სამუშაოა. ასე რომ, დიახ, ყველა ჩემი ბენდი სწორედ ამ მიზნის მიღწევას ცდილობდა.

ბუდისტები ამბობენ, რომ თუ საქმე, რომელსაც ხელი მოკიდეთ, ორი წუთის შემდეგ, მოსაწყენი გეჩვენებათ, სცადეთ ოთხი, რვა, ოცი, ორმოცი წუთის განმავლობაში და ადრე თუ გვიან დადგება მომენტი, როცა მიხვდებით, რომ ეს საქმე მოსაწყენი კი არა, ძალიანაც საინტერესოა. თქვენ ის ადამიანი ბრძანდებით, რომელიც დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიჰყვება, რამდენად მოსაწყენიც არ უნდა იყოს ის?

ერთი მხრივ, ეს ალბათ ასეა, ვინაიდან მთელი ცხოვრება ჯაზს ვუკრავ და ვეღარ ვჩერდები. შეიძლება ითქვას, რომ მუსიკით შეპყრობილი ადამიანი ვარ, მაგრამ, ამავე დროს, ვცდილობ, რომ ჩემს მუსიკას და დაკრულს ობი არ მოედოს; კონცერტზე იმპროვიზების დროს, შეიძლება ძალიან მოსაწყენ ჩიხში შეუხვიო და ამ დროს იძულებუ-



ლი ხდები, რომ რაიმე შეცვალო თუნდაც იმიტომ, რომ თვითონვე არ მოგწყინდეს. უნდა მოახერხო და ისეთ დინებაში შეაბიჯო, სადაც რაიმე ახალი ხდება; თუნდაც ჩემს ბენდში, სადაც ყველა კონცერტის დროს, ქრის ფოთერი, დენის ირვინი და ბილ სთოუართი ჩემში ახლის ინსპირირებას ახერხებენ. ჩვენი მუსიკა რომ სულ ერთი და იგივე იყოს, ის უკვე მკვდარი იქნება.





როგორც წესი, მსმენელი თავისი კრიტერიუმით აფასებს იმას, რაც კონცერტის დროს ხდება, ხოლო თქვენ, მუსიკოსებს შეფასების თქვენეული კრიტერიუმები გაქვთ. როგორ შეაფასებდით გუშინდელ თქვენს კონცერტს თბილისში?

ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი სალამო იყო და დიდებული მსმენელიც გვყავდა, რაც დაკვრისას ძალიან გეხმარება. პირადად მე, ვისურვებდი, რომ ერთი-ორ კომპოზიციაში იმაზე უკეთესად დამეკრა, ვიდრე დავუკარი. მაგრამ ეს ხდება ხოლმე და მე, ძირითადად, კმაყოფილი ვარ თუნდაც იმიტომ, რომ საოცრად სასიმოვნოა იმ მუსიკოსებთან ერთად სცენაზე დგომა, ვისთანაც ვუკრავ. ისინი მართლაც რომ შეუდარებელი არიან და სულ ველოდები, კიდევ რა ახალს „გადმოავდებს“ რომელიმე მათგანი. ეს ყოველ სალამოს ასეა.

ჯო ზავინულთან საუბრისას, მან მითხრა, რომ ყოველი ალბომის ჩაწერის წინ, მიმართულებას მხოლოდ და მხოლოდ ახალი, მისთვის ჯერ უცნობი საუნდი აძლევს. თქვენს შემთხვევაშიც ასეა?

მესმის, რასაც გულისხმობს, რადგან ახალ საუნდს მართლაც რომ შეუძლია სხვანაირად მოგმართოს. მაგრამ არიან ისეთებიც, მათ შორის ალბათ მეც, რომლებიც უფრო შეცდომებს ელიან, ვიდრე ახალ ბეჭრას, ვინაიდნ სწორედ შეცდომამ შეიძლება სხვა მიმართულებით გადაგადგმევინოს ნაბიჯი. მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მეც დანარჩენებივით ველი რაიმე ნიშანს ან საუნდს, რიტმს თუ ნოტების კომბინაციას, რომელსაც ახლის აღმოჩენისაკენ შეუძლია მიბიძგოს.

სცენაზე ზედმიწევნით კონცენტრირებული და ფოკუსირებული ხართ და იმ მონადირეს მაგონებთ, რომელიც ცხოველს ნაკვალევზე მიჰყვება... რა არის თქვენთვის იმის ინდიკატორი, რომ თქვენივე დაკრული მოცემული მომენტის „დათრევაა“ და არა ერთხელ უკე დაკრულის მექანიკური გამეორება?

ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ შენ და შენი ბენდის წევრები, როგორ გრძნობთ თავს მოცემულ მო-



მენტში. ზოგჯერ ყველაფერი ძალიან კარგადაა, ზოგჯერ კარგის მომასწავებელი, ზოგჯერ აშკარად ცუდს... როცა ყველაფერი კარგადაა, მეც დიდებულად ვგრძნობ თავს და მუსიკაც ძალდაუტანებლად მოედინება ჩემში; როცა ცუდად ვარ, რას ვიზამ, მდგომარეობის გამოსწორებას ველოდები, ვინაიდან ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ეს ასეც მოხდება. ვიცი, რომ თუ მომთმენი ვიქები, ყველაფერი კარგად იქნება. როგორაც არ უნდა გრძნობდე თავს, სცენაზე დაკვრა უნდა გააგრძელო. დღეს თუ ცუდი დღე გაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ხვალ ყველაფერი კარგად იქნება.

უურნალ Down Beat-ის უურნალისტთან საუბრისას აღნიშნეთ, რომ ბოლო დროს სხვა მუსიკოსის არც ერთი ახალი ალბომი არ შეგიძნიათ და რომ უკანასკნელად დისკები 80-იანებში იყიდეთ, მაგრამ ყველა მათგანი 50-იანებში იყო ჩაწერილი. რა კავშირშია ის, რომ თქვენ 50-იანებში ჩაწერილ მუსიკას უსმენთ, მაგრამ ამავე დროს აბსოლუტურად თანამედროვე მუსიკას ქმნით და უკრავთ?

არ ვიცი. საერთოდ, ჯაზის ოქროს ხანის დაბრუნების იდეას არ ვიზიარებ და მიმაჩნია, რომ საინტერესო მუსიკა ყველა დროში კეთდებოდა და გაკეთდება. მე ბევრნაირი მუსიკა მომწონს, როკის და რითმი ენდ ბლუზის ჩათვლით. თუმცა, ბოლო დროს, ბევრ მუსიკას ნამდვილად არ ვუსმენ; შეიძლება იმიტომ, რომ საკმარისად ვუსიმინ. დღეს მსიამოვნებს მუსიკის მოსმენა, მაგრამ ნამდვილად არ მაქვს იმის მოთხოვნილება, რომ განურჩევლად ყველაფერს ვუსმინ. ერთხელ ფოლ ბლეიი მასთან მისულ ახალგაზრდა მუსიკოსს უთხრა, რომ თუ ამ უკანასკნელს მუსიკოსობა სურდა, სასწავოდ თავიდან მოეცილებინა დისკების კოლექცია. მე აბსოლუტურად ვეთანხმები მას. ამასთანავე, გამოგიტყვდებით, რომ მე ასე არასოდეს მოვიქცევი. ჩემს კოლექციას ვერასოდეს შეველევი.

ხშირად ვამბობთ, რომ საუკეთესო მუსიკა იმ დროს ასახავს, რომელშიც ის იქმნება, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ვუსმენთ ადრეულ პერიოდებში შექმნილ მუსიკას და ვამბობთ, რომ ის „მარადიულია.“ როგორ ეთანხმება ეს ორი რამ ერთმანეთს და რა არის თქვენთვის „მარადიული“ მუსიკის ინგრედიენტი?

როცა ახერხებ, რომ რომელიმე უკვე არსებულ სტილს და დაკვრის მანერს გასცილდე... მუსიკა კარგი იმის გამო კი არაა, რომ ის რომელიმე სტილს განეკუთვნება, არამედ სწორედ სტილის მიუხედავად. შეიძლება დღეს ბი-ბოფი საინტერესო აღარაა, მაგრამ როცა ქლიფორდ ბრაუნს უსმენ, ძალაუნებურად ამბობ, რომ ეს კაცი, უბრალოდ, ძალიან მაგარი იყო. მოდიო, *Weather Report*-ი გავიხსენოთ. არა აქვს მნიშვნელობა, დროის რომელ მონაკვეთში შეიქმნა ის, რაც ამ ბენდმა გააკეთა; დიახ, ჩვენ ვუსმენთ ამ მუსიკას და ვიცით, რომ ის მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებშია დაწერილი და დაკრული, მაგრამ რატომდაც მაინც ახალივით ისმინება. ჩემთვის *Weather Report*-ი მარადიულია! არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ მე თვითონ მიცხოვრია სამოცდაათიანებში... საბოლოო ჯამში კი, მთავარი ერთი რამაა: უნდა გქონდეს ნიჭი, გიყვარდეს მუსიკა და მუშაობა. ყოველივე ამის მიღმა კი, ჯაზის და ჯაზმენების შესახებ ყოველგვარი რომანტიკული იდეები და შეხედულებები, უბრალოდ, სისულელეა. მე ბევრს ვმუშაობ ახალგაზრდა მუსიკოსებთან და ხშირად მინევს ამის გამეორება, – იყავი ის, ვინც ხარ და აკეთე ის მუსიკა, რომელიც გიყვარს. დაფიქრდი, თუ რა მაღალ დონეზე შეიძლება მუსიკის აყვანა, თავაუდებელი მუშაობის შედეგად. ასეთი იყო მაილზი, ასეთია ჯო ზავინული და დანარჩენი დიდი მუსიკოსები იმიტომ, რომ ისინი მიგანიშნებენ, თუ რა დონეზეა შესაძლებელი მუსიკის აყვანა; რამდენად საოცარი შეიძლება იყოს ადამიანი, მუსიკალური ინსტრუმენტით ხელში მარტო, ან ადამიანების კვეთათან ერთად. ეს მართლაც საოცარი რამაა და თუ ერთხელ მაინც გაუსინჯე გემო, ხედები, რომ შენი შესაძლებლობები ამ მუსიკაში იმაზე უფრო მეტია, ვიდრე შეიძლება გეგონოს.

მაილზი ახსენეთ და...

ნუთუ ისევ მაილზის სახელი წამომცდა?! დავიღუპე! ხომ შეიძლება, ერთი ინტერვიუ ამ კაცის ხსენების გარეშე დასრულდეს?!

...ამას წინათ დოკუმენტური ფილმი ვნახე მაილზე და იმ ფილმში არის ერთი ეპიზოდი, როცა თქვენ სოლოს უკრავთ, მაილზი კი გიახლოვდებათ, ცხვირზე გკიდებთ ხელს და სანამ თქვენ უკრავთ, ხელს არ გიშვებთ. რატომ?

ეს კონკრეტული შემთხვევა არ მახსოვს, მაგრამ ჩათვალეთ, რომ კონცერტების მსვლელობისას, აი, ასეთი სახით მაყენებდა ხოლმე მაილზი შეურაცხოფას. რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ მამაძალლობის ხასიათზე იყო... ეს რაა, უარესებიც გაუკეთებია! იცით, როცა 80-იან წლების შუა ხანებში მაილზთან დაკვრა დავიწყე, მაილზი უკვე კინოვარსკვლავით პოპულარული გახლდათ. ის ჯაზის მარლონ ბრანდო იყო და ხშირად გათავსედებული კინოვარსკვლავით იქცეოდა. ზოგჯერ ეს მართობდა, ზოგჯერ კი ყელში ამომდიოდა და ვპრაზდებოდი....თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რომ პირველ რიგში, ის მუსიკოსი იყო; დიდებული მუსიკოსი! რა თქმა უნდა, მაილზისგან ბევრი ვისწავლე. მაგრამ ამავე დროს, ბევრი ვისწავლე ყველა იმ მუსიკოსისგან, ვინც მასთან უკრავდა ისევე, როგორც მე ვსწავლობ მათგან, ვისთან ერთადაც ახლა ვუკრავ, ან ჩემი კარიერის განმავლობაში დამიკრავს. სწორედ ესაა ყველაზე კარგი ჯაზში და არა მარტო ჯაზში, არამედ, საერთოდ, მუსიკაში.

...და სწავლების პროცესი ხანგრძლივი ტურნების დროსაც გრძელდება თუ ამ დროს უფრო „ავტოპილოტის“ რეჟიმში მუშაობთ?

არა, ის გრძელდება სწორედ იმიტომ, რომ მუსიკოსები, ვისთანაც ვუკრავ, საოცარი პიროვნებები არიან. ვერ გამიგია, როგორ შეიძლება მათთან ერთად უკრავდე და არ

ისწავლო, ან მათ არ შთაგაგონონ! მე ძალიან, ძალიან გამიმართლა ცხოვრებაში...

“ნუ მიყვები ბრძენთა ნაკვალევს, არამედ ეძიებს, რასაც ისინი ეძებდნენ” — ეს იაპონელი პოეტის, ბასოს სიტყვებია. თუ ვიგულისხმებთ, რომ ჯაზის კონტექსტში თქვენ ბევრ “ბრძენ” მუსიკოსთან გითანამშრომლიათ, როგორ გგონიათ, მიაგენით იმას, რასაც ისინი ეძებდნენ?

დიდებულ სიტყვებია! მე ეს არ ვიცოდი. გმადლობთ. მართალია, ნუ მიჰყვები ნურავის ნაფეხურებს! ეს ზედმეტ ფიქრს ნიშნავს. არადა, ბევრი კი არ უნდა იფიქრო, არამედ ნანახზე და განცდილზე რეაგირება მოახდინო. რა თქმა უნდა, შენ უნდა ისწავლო კიდეც მათგან, მაგრამ სწავლების პერიოდს რომ დაასრულებ, წადი და შენი ცხოვრებით იცხოვრე...

>>>



A dynamic photograph of a swimmer performing the butterfly stroke in a clear blue swimming pool. The swimmer's body is angled downwards, arms extended forward, creating a large splash. The water around them is disturbed, with white foam and ripples. The background shows the edge of the pool and some dark, leafy branches or shadows on the right side.

CEZANNE
PRINTING HOUSE

სტამბა სეზანი

ჩვენ, ძირითადად, მუსიკაზე ვისაუბრებთ და ამიტომაც ჩემი პირველი შეკითხვა ნუ გაგაკვირვებთ. ამ ციტატას, რომელიც ერთ ინდოელ გურუს ეკუთვნის, არც კი მახსოვს სად გადავაწყდი.: „მუსიკას არაფერი საერთო არა აქვს ბიოლოგიასთან ისევე, როგორც ადამიანის ფსიქიკასთან და ფიზიკასთან. მუსიკას გონიანაც არაფერი ესაქმება. მუსიკა გონისა და მედიტაციას შორის მოქცეული სივრცეა.“ რამდენადა თქვენთვის, როგორც მუსიკოსისათვის, მუსიკის ასეთი პოეტურ/მეტაფიზიკური დეფინიცია მისაღები?

მუსიკა ჩემთვის ჯერ-ჯერობით სრულიად გაუგებარი და აუხსნელი რამაა. ეჭვი მაქვს, რომ ვერც ვერასოდეს გავიგებ, თუ რა არის ის. მაგრამ ამ აზრს უკვე შემუებული ვარ. მუსიკა საიდუმლოა, თუმცა ვიცით, რომ მუსიკა ყურის მემბრანის ვიბრაცია და, პირადად ჩემთვის, ის პურის ფულის შო-

ვნის წყაროა. მე თქვენი ყურის მემბრანის ვიბრაციას ვიწვევ, თუმცა ეს სრულიად არ ხსნის იმას, თუ რა არის მუსიკა. ის აგრეთვე ადამიანებს შორის ურთიერთობას აადვილებს და მას ტომის წევრების ერთად შეყრა ძალუდს; ეს მუსიკის პირველადი დანიშნულება იყო... მაგრამ როცა სცენაზე ვდგავარ, ასეთ მაღალ მატერიებზე არასდროს ვფიქრობ. და საერთოდ, როდესაც ვუკრავ, ვცდილობ, არაფერზე ვიფიქრო.

თქვენ გითქვამთ, რომ მუსიკის წერის პროცესი ძალიან რთულია და თქვენი მთავარი დანიშნულება ამ დროს ისაა, რომ რაღაც „ნალდი“ მოიხელოთ; მესმის, რომ ყოველი შემთხვევა განსხვავებულია და ამიტომაც მაინტერესებს, გიცდიათ თუ არა გარკვეულიყუავით იმაში, თუ რა არის თქვენთვის ეს „ნალდი მომენტი?“



ეს ისეთი რამაა, რასაც თქვენ იმავე წამს ხვდებით, როგორც კი მას შეიგრძნობთ. მუსიკის წერისას ხშირადაა, რომ პროცესს ერთი რომელიმე იდეით ან თემით ვიწყებ და თუ ეს იდეა ჩემთვის დასაწყისშივე მომხიბვლელი არაა, ვაგრძელებ მასზე მუშაობას მანამ, სანამ რაიმე ხელშესახებ შედეგს არ მივაღწევ. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მუსიკის წერას ერთი იდეით იწყებ, ხოლო ბოლოში რომ გადიხარ და შედეგს თავდაპირველ იდეას შეადარებ, აბსოლუტურად განსხვავებული რამ გრჩება ხელში. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მთავარი პრინციპი ისაა, რომ შენ რაღაცით იწყებ, მუშაობის პროცესში ბევრ რამეს ცვლი და, ძირითადად, ცდილობ შედეგი, პირველ რიგში, შენთვის იყოს მოსაწონი. ესაა შენი გზის მაჩვენებელი და იმედს წყარო, ვინაიდან თუ ის მოგწონს, იმედია, რომ დანარჩენებსაც მოეწონებათ.

ნიშნავს თუ არა ამ “ნაღდის” მოხელთება იმას, რომ კომპოზიცია რომელზეც მუშაობთ, დასრულებულია?

დიახ, მაგრამ მუსიკის შექმნის პროცესის დასრულებას ახალი საფეხური მოჰყვება, – შენ ამ მუსიკის შესასრულებლად ბენდი უნდა შეერიბო. ეს პროცესი კიდევ უფრო მეტი საიდუმლოებითა მოცული, ვიდრე მუსიკის წერის პროცესი, ვინაიდან არასოდეს იცი, თუ როგორ მოახერხებს სხვა მუსიკის შენი მუსიკის ინტერპრეტაციას. ხშირად ისე ხდება, რომ მე ჩემი იდეა მაქს, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს და როგორ განვითარდეს ესა თუ ის კომპოზიცია, როგორი ფორმა და რიტმული მონახაზი უნდა ჰქონდეს მას. მაგრამ როგორც კი ბენდი პირველად შეასრულებს მას, უკრად თითქოს რაღაც ჩამანათებს ხოლმე და წამოვიდახება: აი, როგორ უნდა განვითარდეს ის! ეს წანილი უნდა შენელდეს, იქ ერთი-ორი ფრაზა რამდენჯერმე უნდა განმეორდეს და ასე შემდეგ. ასე რომ, სანამ კომპოზიცია არ შესრულდება, აზრზეც კი არ ხარ, თუ რა კარგი და რა – ცუდი. მოკლედ, საკმაოდ რთულად ასახსნელი პროცესია... ზოგჯერ შეიძლება მუსიკის წერისას, მცდარ გზას დაადგე და მოგვიანებით მიხვდე, რომ შეცდომა დაუშვი, მაგრამ შეიძლება ეს შეცდომაც გამოგადგეს. თუ რაიმე არ გამოვიდა, მაშასადამე, სხვანაირად ან სხვა რამ უნდა სცადო. ზოგჯერ კი, საერთოდ, ისეთი შეგრძნება მაქს ხოლმე, რომ მუსიკას თავისი გზა აქს და თუ მას გზიდან გავეცლები, უკეთესი იქნება.

აი, ასეთი რამებიც ხდება, – შეცდომებს უშვებ და მაინც აგრძელებ გზას. ალბათ, სწორედ ესაა ხელოვნებაში ბოლო-მდე აუხსნელი რამ. რა თქმა უნდა, მუშაობისას შთავონება აუცილებელია, მაგრამ ამავე დროს, შენ კარგი გემოვნებაც უნდა გქონდეს და თუ ეს ყველაფერი გაქვს, ამას შემდგომი განვითარება ესაჭიროება.

ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი თქვენი ციტატა: „ყოველდღიური შემოქმედება დიდ სტრესთანაა დაკავშირებული. დაუსრულებლად უნდა თხარო და თხარო მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდია ყველაფრის მიგდების და საბილიარდოში წასვლის სურვილი.“ შემოქმედების პროცესი ხშირად, უდავოდ მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. რამდენად არაჯანმრთელი შეიძლება იყოს ის თქვენთვის?

ნუთუ ეს მე ვთქვი? კარგი... ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ბალანსის მიღწევა შესაძლებელია. თუ ვგრძნობ, რომ მუშაობამ დამღალა, სხვა რამეს მოვკიდებ ხელს. ამავე დროს, მართლაც რომ ძალიან მსიამოვნებს მუშაობის პროცესი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ძალიან გამთანგველია. არაფერი შეედრება გრძნობას, როდესაც შენ რაღაცის შექმნას ცდილობ. ზოგჯერ მუშაობისას საშინელ ხასიათზე ვარ და ამ დროს მუშაობის გაგრძელება მიძნელდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩემი ეს მდგომარეობა გამოწვევაა, რომელიც მუშაობის გაგრძელებისაკენ მიბიძგებს. ეს პროცესი ემოციურად და სულიერადაც რთულია და სრულ კონცენტრაციას მოითხოვს. ეს არაა ის, რის კეთებასაც მთელი დღის განმავლობაში უწყვეტად მოახერხებ. რაღაც მომენტში მაინც უნდა შეჩერდე. მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ იწყებ და ვეღარ ჩერდები.

ქით ჯარეთს წათქვამი აქვს, რომ ჯაზის მთავარი პრინციპი ის კი არ არის, თუ როგორ უკრავ, არამედ თუ რა იდეების გენერირებას ახერხებ დაკვრისას... სხვათა შორის, თქვენც დაახლოებით იგივე თქვით ერთხელ, დრამერ ფოლ მოუშნი.

ეს ალბათ ასეა. იცით, დაკვრისას ფოლი ინტუიციას მიჰყვება. ეს ის უნარია, რაც ყველა დიდ იმპროვიზატორს აქვს. ისინი უბრალოდ, დაუფიქრებლად მისდევენ რაღაცას და ამის გამო არც ბოლიშს იხდიან და არც ცდილობენ ჩაულრმავდნენ



ამ საკითხს. ეს „რაღაც“ თავისუფლად მოედინება მათგან. მართლაც რომ საინტერესო ფრაზაა. ამაზე მეტი უნდა ვიფიქრო... ჰო, ალბათ, ვეთანხმები ჯარეთს...

მართალია თუ არა, რომ სინამდვილეში, მუსიკის ისეთი დიდი ნაწილია იმპროვიზაციული, რომ საზღვარი იმპროვიზაციასა და კომპოზიციას შორის თითქმის გამქრალია და ხშირად იმპროვიზაცია ისე ულერს, თითქოს ის დაწერილია? სად გადის ეს ზღვარი თქვენთვის?

ვფიქრობ, რომ ეს თითქმის შეუმჩნეველი ზღვარია. კომპოზიციას ისე შეგიძლიათ შესედოთ, როგორც ძალიან შენებულ იმპროვიზაციას და პირიქით, იმპროვიზაცია აჩქარებული კომპოზიციაა. არ მიმაჩნია, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთისაგან განსხვავდება... მუსიკალური იდეების გენერაციის დროს, შეგიძლიათ შეანელოთ ეს პროცესი, დაგეგმოთ, ჩაიწეროთ და სანოტო ფურცელზე დაიტანოთ ან თუ სცენაზე დგასართ, ამ იდეების უსწრაფესი გენერირება მოახერხოთ. ეს სპონტანური კომპოზიციის იდეაა და მე ამაზე ბევრს ვფიქრობ. იმპროვიზაციის დროს, მუსიკალური იდეის განვრცობას იწყებ და მერე ან ცდილობ პირველად იდეას დაუბრუნდე, ან სულ სხვა მიმართულებით ნახვიდე. მე, ძირითადად, ვცდილობ, რომ დაკვრის დროს გაჩენილ ახალ იდეას გავყვე ხოლმე. პრინციპში, კომპოზიციის დრო-საც ასეა და ეს ზღვარი საკმაოდ ხელოვნურია.

ერთხელ, არნოლდ შონბერგმა თავის სტუდენტთან მუშაობის დროს, მას ფანქრის ბოლოს მიმაგრებულ საშლელზე მიუთითა და უთხრა, ფანქრის ეს ნაწილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეორეო. რა სიხშიროთ იყენებთ ხოლმე საშლელს?

ეს ის ფუფუნებაა, რაც კონცერტის დროს არ გამაჩნია. მე ვერაფერს წავიღებ უკან ჩემი დაკრულიდან. მუსიკის წერის დროს კი, რა თქმა უნდა, ჩემი საშლელი იშვიათადაა უქმად. ზოგჯერ ჩემი სანოტო ფურცლებიდან ნაწარმოების ნახევარზე მეტი ქრება ხოლმე.

დღეს ბევრი მუსიკოსი და კრიტიკოსი აცხადებს, რომ აუცილებელია ჯაზს ახალგაზრდები დაუბრუნდნენ, მაგრამ ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ ბოლო დროს, ვიზუალურმა ტექნოლოგიე-

ბმა იმდენად საფუძვლიანად “აცდუნეს” ახალგაზრდები, რომ ძნელი იქნება ბევრის მეშვეობით მათი უკან შემობრუნება?

იცით, ამ მხრივ, სხვებზე უფრო ოპტიმისტი ვარ. ყველგან, სადაც მე უურავ, მსმენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდები არიან. დღევანდელი სამომხმარებლო კულტურის ძირითადი მიმართულება და მიზანია, თუნდაც მცირე ხნით მიზიდოს მომხმარებლის ყურადღება ამა თუ იმ პროდუქტისაკენ. აღარავის უნდა, რომ რთული რამეებით დაკავდეს. ამას ტელევიზორის ყურებას თუ რეალითი შოუებს ამჯობინებენ. მუსიკოსად დადგომის იდეა კი, საპირისპიროს გულისხმობს; წლებია საჭირო, ინსტრუმენტზე კარგად დაკვრა რომ ისწავლო და ნასწავლი დახვეწო. ეს უცხოა სამომხმარებლო კულტურისათვის, მაგრამ მაინც არსებობს თუნდაც უმცირესობა ადამიანებისა, ვისაც კარგად ესმის ეს. შესაბამისად, არსებობენ ადამიანები, ასევე უმცირესობაში მყოფი, ვინც იმაზე უფრო აზრიან მუსიკას ეძებს, ვიდრე პიტ-პარადის უკანასკნელი პოპულარული სიმღერაა. ეს კი შეიძლება იყოს ან ჯაზი, ან სხვა ტიპის მუსიკა, ან, სულაც, კინო და წიგნი. ასეთები ბევრნი არ არიან, მაგრამ მაინც საკმარისია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ხარისხს და სიღრმეს ეძებს ხელოვნებაში. ყველაფერი ადამიანზე და მის გემოვნებაზეა დამოკიდებული.

როგორ შეიცვალა ჯაზური სცენა ნიუ იორკში მას შემდეგ, რაც საცხოვრებლად იქ გადახვედით?

ნიუ იორქში ჩასვლისთანავე, მუშაობა მესაყვირე რედ როდნისთან დაკინებული ის, თავის დროზე, ჩარლი ფარქერთან უკრავდა და მისი დახმარებით, ბევრი ის მუსიკოსი გავიცანი, ვინც ადრეულ წლებში მოღვაწეობდნენ. უფრო მეტიც, მათთან ერთად დაკვრის საშუალებაც კი მომეცა, მათ შორის რეი ბრაუნთან და სხვებთან, ვინც ახლა უკვე ცოცხლები აღარ არიან. ნიუ იორქში რომ ჩავედი, ართ ბლეიქი ჯერ კიდევ უკრავდა...

ის აქ იყო ჩამოსული თავის ბენდთან ერთად 1989 წელს...

მართლა? სწორედ იმ დროს გადავსახლდი ნიუ იორქში. აი, ეს ყველაფერი დღეს უკვე მიუწვდომელია ახალგაზრდა



მუსიკოსებისათვის. ისინი ველარ გაივლიან შეგირდობის პერიოდს თუნდაც ართ ბლეიქთან, ან იმ დროის რომელი-მე სხვა დიდ მუსიკოსთან. კიდევ ერთი ცვლილება მოხდა. იმ დროს ნიუ იორკში მოღვაწე ახალგაზრდა ჯაზმენებისათვის ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ ისინი რომელიმე დიდ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმებას მოახერხებდნენ; დღეს ამის საშუალება აღარაა იმიტომ, რომ დიდი კომპანიების ნაწილს უკვე აღარ აინტერესებს ჯაზის ინ-ვესტირება.

მაგრამ არსებობს უამრავი დამოუკიდებელი კომპანია, არა?

დიას და ეს ძალიან კარგია, მაგრამ დღეს საკმაოდ ძნელია ჯაზის მარკეტინგი. ახალგაზრდებს უჭირთ მსმენელზე “გასვლა”. ეს კი ძალიან ცუდია, ვინაიდან შეიძლება გაჩნდეს ძალიან ნიჭიერი და მაგარი ახალგაზრდა მუსიკოსი, მაგრამ არავინ იცოდეს მისი არსებობის შესახებ. იგივე შეიძლებოდა ეთქვათ ჩემზე, ვინაიდან მე სულ უფრო და უფრო ბევრს ვმუშაობ ჩემს საკუთარ ბენდთან და, რა თქმა უნდა, ამ მუსიკასაც ესაჭიროება მსმენელი. ჩემს შემთხვევაში კარგი ისაა, რომ, ასე თუ ისე, უკვე მიცნობენ და ურიგო რეპუტაციაც არ მაქვს. რაც შეეხება მომდევნო თაობას, ძალიან მაინტერესებს, თუ როგორ წარიმართება მათი შემდგომი ბედი. ვნახოთ.

“ნუ მიჰყვები ბრძენთა ნაკვალევს, არამედ ეძიე ის, რასაც ისინი ეძებდნენ” — ეს იაპონელი პოეტის, ბასოს სიტყვებია. თუ ვიგულისხმებთ, რომ ჯაზის კონტექსტში თქვენ ბევრ “ბრძენ” მუსიკოსთან გითანამშრომლიათ, როგორ გგონიათ, მიაგენით იმას, რასაც ისინი ეძებდნენ?

აქ პარადოქსისა ნაწილი ისაა, რომ შენ გინდა ეძებდე იმას, რასაც ისინი ეძებდნენ, მაგრამ ამავე დროს, შენ ამას მხოლოდ მაშინ გაიგებ, როდესაც შენში დაიწყებ ძებნას. რა თქმა უნდა, შენ ყველაფერს მიბაძვით იწყებ, რაც სწავლის პროცესის ბუნებრივი ნაწილია. ჯაზის სწავლა თუ გინდა, ჯერ ჯაზის ენა უნდა ისწავლო. მერე კი, თუ საქსოფონზე უკრავ და სულ ჩარლი ფარქერს უსმენ, შენი დაკრული, ძალაუნებურად, ფარქერივით გაიუღერებს.

ადრე თუ გვიან კი, განვითარების იმ წერტილამდე მიხვალ, როცა ეს ყველაფერი უკან უნდა მოიტოვო და საკუთარ თავს უთხრა: ჰო, მესმის ეს ყველაფერი; მესმის, რატომ უკრავდა ასე ფარქერი, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი უნდა დავივიწყო და საკუთარი ბერი მოვძებნო. დარწმუნებული ვარ, რომ შენ კი არ უნდა დააჩქარო ეს პროცესი, არამედ მაქსიმალურად შეეცადო, ეს ყველაფერი ბუნებრივად შემოვიდეს შენში. თუ კარიერის დასაწყისშივე რაღაც ახალის შექმნას ცდილობ, შესაძლებელია, რომ მას სიღრმე აკლდეს. ბუნებრივ ზრდას კი სხვა შედეგი მოაქვს. ის უფრო რთული და მრავალფეროვანია. მერე კი, ყველაფერი უნდა დაივიწყო და გახსოვდეს მხოლოდ ის, რომ ზოგჯერ შეიძლება ისეთი რამების კეთებაც კი მოგინიოს, რაც მსმენელს არ მოეწონება; შეიძლება ის, რასაც გააკეთებ, არც არავის მოეწონოს, მაგრამ შენ თუ მოგწონს, შეიძლება ბოლომდე გაჰყვე ამ გზას

>>>





მესმის, რომ ძნელია აღწერო ის, რასაც საუნდი ინსტრუ-
მენტულ მუსიკაში განიცდის და გასაგებია, თუ რატომ
საუპრობენ უხალისოდ ამ თემაზე მუსიკოსები. მაგრამ
უკანასკნელ ხანს ისე გახშირდა მუსიკალური ბიზნესის
მხრიდან მარკეტინგის მიზნით ინსტრუმენტული მუსიკის
ვერბალიზაციის მცდელობები, რომ მაინტერესებს, რა-
მდენად საჭირო გახდა თქვენთვის თქვენივე მუსიკის ვერ-
ბალიზაციის აუცილებლობა?

ზოგჯერ ეს საჭიროა და მეც რაღაცებს ვიგონებ და
მივედ-მოვედები ხოლმე. ძნელია კრეატიული პროცესის
აღწერა, ვინაიდან ეს არაფრიდან რაღაცის გაჩენის პრო-
ცესია. ამ პროცესს შეიძლება ფილისოფურად შესხდო
და თქვა, რომ მუსიკა სიჩუმის დარღვევის პროცესია,
ან თუ ფერწერიდან მოვიშველიებთ ანალოგიას, ესაა
სივრცით მანიპულირება, სადაც ვიზუალური ჩარჩოს
მაგივრად, შენ დროითი ჩარჩო გეძლევა დასაწყისით,
დასასრულით და მათ შორის ცარიელი სივრცით, რო-
მელიც იმედია, დრამით შეივსება. უფრო მეტიც, ამის
შემდეგ, იმედი გაქცეს, რომ საუნდის მემვეობით შექმნილი
ეს დრამა მსმენელს მიიზიდავს, სამოგზაუროდ წაიყვანს
და მსოფლმხედველობის ახალ რაკურსს წარმოშობს.
ჩემი აზრით, სწორედ ესაა ხელოვნების დანიშნულება და
ყველა ის დიდ მუსიკოსი, ვისზეც მსმენია და ვისთანაც
მიმუშავია, თავის სამყაროში გითრევს. როდესაც მაილზ
დევისს ვუსმენ, მის სამყაროში ვაბიჯებ. ამ დროს ვიღაც
მესაყვირეს კი არა უსმენ, არამედ ადამიანის შინაგან
სამყაროში შედიხარ, რომელიც ბევრად უფრო მეტია,





ვიდრე აულერბული ნოტების მოსმენა. ამ დროს იმას ისმენ, რასაც თვითონ მაილზი უსმენს. ასე რომ, ეს ის მიზანია, საითკენაც მიიღტვი, როცა ხელოვანი ხარ. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუ როგორ აკეთებ ამას; მნიშვნელოვანია ინსტრუმენტის ფლობა, დაკვრის ტექნიკა, დისციპლინა და, რა თქმა უნდა, იმის ხედვის უნარი, თუ როგორ განახორციელებ იდეებს, მოახერხებ თუ არა იმ ადამიანების პოვნას, ვინც შენს იდეებს იზიარებს და რას ეტყვი მათ, რომ შენმა ხედვამ ხორცი შეისხას.

ერთხელ თქვით, რომ არ გინდათ აკეთოთ ისეთი მუსიკა, რომელსაც ლიფტებში დაუკრავენ, მაგრამ ამავე დროს, ადამიანებისთვის საკმაოდ გასაგებ და მისაწვდომ მუსიკას ქმნით. **ალბათ, უნდა არსებობდეს ზღვარი მისაწვდომ მუსიკას და იმ მუსიკას შორის, რომლებსაც ოტელების ლიფტებში უკრავენ ხოლმე, არა?**

ჩათვალეთ, რომ მიზანს ვერ მივაღწიე, ვინაიდან ჩემს მუსიკას მაინც უკრავენ ლიფტებში... ისე კი, სწორედ აქ შემოდის ენასთან დაკავშირებული სირთულეები. რას ნიშნავს მისალები? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შენ ამ დროს შენივე ღირებულებებზე ამბობ უარს იმის გამო, რომ უფრო მეტი მსმენელი მოიზიდო? ჩემთვის მნიშვნელოვანია ვაკეთო მუსიკა, რომელიც გულახდილია, რომლისაც გჯრა და ძალიან კარგი, თუ ასეთი მუსიკა ადამიანებამდე მიაღწევს. მეეჭვება, რომ ოდესმე შეგნებულად ვაკეთებდი ისეთ მუსიკას, რომელიც მსმენელის გულის მოსაგებად იყო დაწერილი. მე ასე კი არ ვმუშაობ, არამედ ვეპასუხები იმისა, რაც ჩემს გარშემო ხდება და დიდი ნაწილი იმისა, რაც ჩემს გარშემო ხდება, პოპულარული კულტურის ნაწილიცაა. ასე რომ, ვისრუტავ ყველაფერს, რაც ჩემს გარშემო ხდება და ვიმედოვნებ, რომ ადამიანები მოახერხებენ ყოველივე ამის შედეგთან ემოციურად დაკავშირებას. არ ვცდილობ ვაკეთო ის, რაც მსმენელს დააფრთხობს და ჩემგან გააუცხოებს; მაგრამ ამავე დროს, არც მათი გულების ადვილად მონადირებას ვესწრაფვი. მე არაფრით განვსხვავდები სხვებისაგან და თუ ჩემი მუსიკა მისაწვდომია დანარჩენებისთვის, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება, რაც მე მომწონს, სხვასაც მოეწონოს. ეს ყველაფერი მაოცებს. ხშირად ჩემთვის ეს სრულიად აუხსნელი რამაა.



როგორ იქცევით ხოლმე, როცა მუსიკის წერის დროს ისეთ რამეს გადააწყდებით, რაც ნამდვილად იცით, რომ მსმენელი-სათვის ძნელი აღსაქმელი იქნება?

მაინც ვაგრძელებ ამის კეთებას იმიტომ, რომ მჯერა იმის, რასაც ვაკეთებ. ამ ბიზნესში წარმატებას რომ მიაღწიო, საკ-მაოდ სქელებიანი უნდა იყო... ჩამიწერია ალბომი, რომელიც წინა ალბომებზე უფრო მომთხოვნი მსმენელისთვის იყო გა-თვალისწინებული და მე ეს ძალიან მომეწონა. მაგალითად,



Another Hand, ჩარლი ჰეიდენთან და ბილ ფრისელთან ერთად. ამ ალბომს ბევრი ის თვისება აქვს, რაც ჩემს და-ნარჩენ ალბომებს. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ მე იმ მუსიკოსებთან ვუკრავდი, ვინც სულ სხვა ტიპის მუსიკას ასრულებენ. ჩემი ბგერა კი იგივე დარჩა. მე, უბრალოდ, კონტექსტი შევცვალე. ადრე რითმ-ენდ-ბლუზს და როკს ზუსტად იმდენს ვუმენდი, რამდენსაც ჯაზს და ამიტო-მაც ადრეული ალბომები ჩემს ამ ინტერესს ასახავდა; ისინი ელექტრონული მუსიკის საფუძველზე აღმოცენ-და და ალბომის ჩანერის ტექნიკაც განსხვავებული იყო. იგივე ეხება კომპოზიციებს, – მათი სტრუქტურა პოპ სიმღერის სტრუქტურასთან უფრო ახლოს იდგა და ამი-ტომაც ის უფრო საცეკვაო მუსიკა იყო, ვიდრე ჯაზი. *Another Hand* უფრო მედიტაციური ალბომი იყო, მაგრამ აქ განსხვავებულად კი არ ვუკრავდი, არამედ ვუკრავდი ისე, როგორც ვუკრავ ხოლმე. *Another Hand*-ში ზუსტად ისევე აისახა ჩემი პიროვნება, როგორც დანარჩენ ალ-ბომებში.

მოკლედ, ასე თუ ისე, ინსტინქტს მიჰყვებით ხოლმე, არა?

უდავოდ. ჩემი უკანასკნელი ალბომი, რომელიც ქრის-ჩენ მაქბრაიდთან, გილ გოლდსტეინთან, რასელ მე-ლოუნთან და სთივ გედთან ერთად ჩავწერე, ძირითა-დად, აკუსტიკური ბასის ბგერაზე აგებული. ხოლო როცა ყველაფერს აკუსტიკური ბასის საუნდზე აგებ, ამ დროს ყველა მუსიკის ბენდში განსხვავებულად იწყებს დაკვრას. დინამიკა სულ სხვაა და ნიუანსებიც სხვანაი-რად იკითხება. ყველაფერი ეს კი, რა თქმა უნდა, ჩემს დაკვრაზეც აისახება.

“სპონტანურობის უნარი დავკარგი” – თქვით ერთხელ, როცა გადაწყვიტეთ, რომ დაკვრისგან შეგესვენათ. რა მოხდა ამ დროს თქვენს ცხოვრებაში?

იმ დროს ზედიზედ, რამდენიმე ალბომი ჩავწერე მარ-ქუს მილერთან ერთად. ჩანერისას, ვცდილობდით გამო-გვეყენებინა ხმის ჩამნერი უკანასკნელი ტექნოლოგიები და თითქმის ყველა კომპოზიცია წაფენით (“ოვერდაბე-ბით”) იწერებოდა. ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ ამა თუ იმ კომპოზიციას სტუდიაში ცოცხლად ვასრულებდით, შე-მდეგ ყველა ინსტრუმენტს ვაცალეკევებდით და თავიდნ ვიწყებდით კომპოზიციის აწყობას. ერთი-ორი ალბომის შემდეგ, ეს ყველაფერი მექანიკურ პროცესად იქცა. ხშირად ერთი და იგივე სოლოს რამდენჯერმე დაკვრა მიწევდა და სწორედ ამ დროს ვგრძნობდი, რომ სპონ-ტანურობას ვკარგავდი. ყველაფერი ეს უფრო კალკუ-ლაცია იყო, ვიდრე იმპროვიზაცია. ამ მიდგომამ ცოტა ხნით იმუშავა თუნდაც იმიტომ, რომ უფლება მომეცა, ამ პროცესისითვის კომპოზიციურად შემხედა, მეფიქრა ტექსტურებზე და წყობაზე. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, დავკარგე შეხება იმსთან, რაც მიყვარს, როცა სხვების დაკრულს ვეპასუხები, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩავარდნის შანსიც ახლოსაა. მუსიკოსმა აუცილებლად უნდა დაიტოვოს ჩავარდნის შესაძლებლობა იმისთვის, რომ გაიზარდოს. ამის გარეშე, ყველაფერი მექანიკური ხდება.



რაა ის იმპულსები, რომელიც გატყობინებთ, რომ ახალი ალბომის შექმნის დრო მომწიფდა? ეს უეცარი პროცესია თუ ალბომი ნელა ყალიბდება?

ზოგჯერ ეს, უბრალოდ, კონტრაქტიდან გამომდინარე ვალდებულებებია. ხანდახან ვალდებული ხარ, ყოველ 12-18 თვეში ერთხელ ჩანერო ალბომი. კარიერის დასაწყისში, ამას აზრი ჰქონდა იმიტომ, რომ იმ დროს ჩემს ბენდთან ერთად, მუსიკალურ ბიზნესში ფეხის მოკიდებას ვცდილობდი. მაგრამ მოგვიანებით პაუზები გაიზარდა და ყველაფერი გართულდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ზურგს უკან უკვე საკმაოდ სოლიდური ისტორია მქონდა და არ მინდოდა განვმეორებულიყავი; მინდოდა, მაშინ ჩემენერა ალბომი, როდესაც ამისთვის მზად ვიქებოდი და მეცოდინებოდა, რომ რაღაც მაქვს სათქმელი. პაუზები კი იზრდებოდა იმიტომ, რომ ვგრძნობდი, ეს სათქმელი ჩემში მომწიფებული არ იყო. არ მინდოდა მუსიკის კეთება ინერციით და მხოლოდ ფულის კეთების მიზნით. სამი წლის განმავლობაში, არც ერთი ალბომი არ ჩამინერია. ამას ისიც დაემთხვა, რომ დედაჩემი ავად იყო, ოჯახში პირადი პრობლემები მქონდა და ასე შემდეგ.

თქვენ არა მარტო ბევრ დიდ ჯაზმენთან დაგიკრავთ, არამედ უამრავ როკ მუსიკოსთანაც. ნათელია, თუ რისი სწავლა შეგეძლოთ ჯაზმენებისგან, მაგრამ საინტერესოა, ისწავლეთ თუ არა რაიმე როკ-მუსიკოსებისაგან?

რა თქმა უნდა, თუმცა რამდენიმე სიტყვით ამის ახსნა ძნელია. ადამიანი სულ სწავლობს. როკ მუსიკოსების უმრავლესობა, ვისთანაც მიმუშავია, „სონგრაითერები“ იყვნენ, რომლებიც თავიანთ სიმღერებს თვითონ ასრულებდნენ და მათთან მუშაობისას, საშუალება მეძლეოდა, სიმღერის შექმნის პროცესში უფრო ღრმად ჩამეხედა. მაგალითად, სთივი უანდერი, ჯეიმზ თეილორი, რიქი ლი ჯოუნზი, – ყველა ეს მუსიკოსი საოცარი კომპოზიტორიცაა და მათთან ერთად სტუდიაში და სცენაზე გატარებული გამოცდილება უკვალოდ არ ჩაივლის. როცა ჯაზმენებთან უკავა, საშუალება გეძლევა თვალი ადევნო, თუ როგორ იცვლება ერთი და იგივე კომპოზიცია კონცერტიდან კონცერტამდე. ეს იმიტომ ხდება, რომ ჯაზმენები ყველაფერს იმპროვიზაციაზე აგებენ და ეს ყველაფერი განსაკუთრებულ ცოდნად შეიძლება იქცეს. როკ-მუსიკოსების შემთხვევაშიც ხშირად ასეა.

>>>



კორჯ ბენსონი >>>

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ბრძანეთ, რომ არავითარი სურვილი არ გაქვთ იმ მუსიკოსების სიმღერები შეასრულოთ, ვინც ერთხელ უკვე გააბედნიერა მსოფლიო კარგი სიმღერით; ამ განცხადების მიუხედავად, მაინც ასრულებთ სხვების მიერ დაწერილ სიმღერებს და არათუ ახერხებთ ადამიანების კიდევ ერთხელ გაბედნიერებას, არამედ ბევრს ეს სიმღერები თქვენი დაწერილი ჰგონია. როგორც ვხვდები, აქ მთავარი მასალა კი არაა, არამედ ის, თუ რას მატებს მუსიკოსი უკვე ნაცნობ თემას...

მართალი ბრძანდებით, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ, სანამ ვინმე არ შემახსენებს ხოლმე, რომ ჩემს მიერ შესრულებული სიმღერები მე არ მეუტვნის. უბრალოდ, ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია... მე ის ადამიანი ვარ, ვინც მუდამ ცდილობს, ყველაფერში ნათელი მხარე დაინახოს იმ დროსაც კი, როცა საქმე არცთუ ისე კარგადაა. სულ

ვცდილობ, ოდნავ მეტი სინათლე შევმატო დაძაბულ გარემოს თუ სიტუაციას. ჩემი ეს ხასიათი მუსიკასაც “გადაედება” ხოლმე. მუსიკა ღმერთის მიერ ჩემთვის ნაბოძები უძვირფასესი საჩუქარია. როცა ჩემს გარშემო ყველაფერი ცუდადაა, მუსიკას მივმართავ და ვცდილობ მოვძებნო და ვიმღერო ის, რაც ჩემს ცხოვრებას ახალ ელფერს შესძენს. ჩემი დამოკიდებულება მუსიკისადმი მუდამ ასეთი იყო. ჩვენ, მუსიკოსები ხშირად ვამბობთ, რომ მუსიკას ადამიანებისთვის ბევრის მიცემა შეუძლია; მუსიკას შეუძლია აგაცეკვოს, აგატიროს, გაგაცინოს... მე სიცილს და კარგ დროსტარებას ვამჯობინებ...

“მთელი ცხოვრება მუსიკას ვაკეთებ და ამიტომაც ყოველ დილას, გამოღვიძებისას, ვიმედოვნებ, რომ მუსიკა ჩემი დლის განუყოფელი ნაწილი იქნება.” ესეც თქვენი სიტყვებია. მუსიკალურ ბიზნესში ამდენი წლის მოღვაწეობის შემდეგ, რამდენად აისახება ყოველდღიურობაში მომხდარი მოვლენები თქვენს მუსიკაში და ისევ ისე ბუნებრივად მოდის ის თქვენთან, როგორც ადრე, თუ არა?

რა თქმა უნდა, აისახება. გამიმართლა, რომ დიდებული მშობლები მყავდა. დედა ძალიან მხიარული ქალია; ის მთელ დღეებს სიმღერასა და ლილინში ატარებს ხოლმე. ბავშვობისას, სულ რაღაცას მიმღეროდა და ამის გამო, უკვე 4-5 წლის ასაკში, თითქმის ყველა პოპულარული სტანდარტული თემა ზეპირად ვიცოდი. თუ ვინმე მთხოვდა, რომ მემღერა, ვმღეროდი იმას, რაც დედისგან ვისწავლე. მუსიკისადმი ჩემი დამოკიდებულება დღესაც ასეთი ბუნებრივი და სავსეა. თითქმის ყველდღე ვმეცა-დინებ გიტარაზე დაკვრაში; ერთი გიტარა მუდამ ჩემს გვერდზეა ხოლმე. მივხვდი, რომ საკუთარ გრძნობებს



გიტარის მეშვეობით უფრო ადვილად გამოვხატავ. შეიძლება მთელი დღე სიმღერის თავი არ მქონდეს, მაგრამ თუ დაკვრა დავიწყე, ველარ ვჩერდები. ეს კველაფერი ჩემი ცხოვრების წესად იქცა და ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს, ვინმე მისმენს თუ არა. მსმენელი, ისევე როგორც მუსიკა, ღმერთის საჩუქარია. მსმენელი მაძლევს შანსს, რომ გრძნობები გამოვხატო. როცა მათ წინაშე გამოვდივარ, ვეუბნები: “გაინტერესებთ იმის მოსმენა, რასაც დღეს გადავაწყდი?” როგორც წესი, მათ აინტერესებთ და ისინი გულგრილნი არ ჩჩებიან მოსმენილის მიმართ. მსმენელს სულ ესაჭიროება რაღაც ახალი და მეც ვცდილობ, მოლოდინი გავამართლო.

ალბომის ჩაწერისას და კონცერტების დროს, საკუთარ თავზე ალებული ვალდებულებები უფრო მძიმეა თუ გარე სამყაროს მხრიდან მოლოდნი?

მე უფრო კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, რაც მეტ დროს ხარჯავ რაიმე საქმისთვის, მით უფრო უკეთ უნდა გამოგდიოდეს ეს საქმე. შემოქმედისთვის ძნელია მოვლენების პროგნოზირება. შენში და შენს გარშემო ყველაფერი იცვლება და ის, რაც გუშინ სწორი მევონა, დღეს ახალ ხედვას ითხოვს. ის მაიძულებს, ახალი კუთხით შევხედო ჩემს მუსიკას და შევეცადო გავერკვე, თუ რატომ გამომდის რაღაც ასე და არა ისე? მეორე დღეს კი, უკვე სხვა სახის პრობლემის გადაჭრა მიწევს. მუსიკაში ეს უწყვეტი პროცესია. ამ მხრივ, ჩემი გამოცდილება ჯაზში ძალიან მნიშვნელოვანია. ჯაზმენს აღარ უნდა იმის კეთება დღეს, რაც მან გუშინ აკეთა. მას არ უნდა ერთხელ მონაყოლის გამორჩება. ამდენი წლის განმავლობაში, ჯაზის მეშვეობით შექნილი გამოცდილების წყალობით, ვიცი, თუ როგორ შევცვალო რაღაც-რაღაცები დაკვრისას. ზოგჯერ რაღაცას მოვაცილებ, ზოგჯერ პირიქით, დავუმატებ და სიმღერაც სხვანაირად აუდერდება. მას სხვა ელფერი და “გემო” ეძლევა. ამის კეთება კი აუცილებელია, რომ არ მოგწყინდეს. ამის შემდეგ ვიმედოვნებ, რომ რადგან ეს საინტერესოა ჩემთვის, ესე იგი, ის საინტერესო შეიძლება იყოს მსმენელისთვისაც.

“ჩემი ახალი ალბომით ვიღაც-ვიღაცების გამოლვიძება მინდოდა” - თქვით Irreplaceable-ზე მუშაობისას. ვისი გამოლვიძება გსურდათ და რატომ?

ხშირად ხდება ისე, რომ ადამიანები ახალ იდეებს საქმაოდ გვიან და გაჭირვებით ითავისებენ ხოლმე. ახალი იდეის გათავისებას დრო სჭირდება. ვიღაც იგონებს თვითმფრინავს და დარწმუნებულია, რომ ეს მნიშვნელოვანი გამოგონებაა, მაგრამ უმრავლესობას დრო ესაჭიროება ამის მისახვედრად და გასაცნობიერებლად... ადამიანებს ხშირად არ ესმით, თუ რა არის ამა თუ იმ მოვლენის საფუძველი და წარმოქმნის მიზეზი. მე მრავალმხრივ მუსიკოსად მთვლიან, მაგრამ რითმენდ ბლუზის ელემენტები ჩემს მუსიკაში შეგნებულად არ შემიტანია; ის ჩემი გამოცდილების განუყოფელი ნაწილია... და არა მარტო რითმ ენდ ბლუზი. მსოფლიო უამრავ სხვა-დასხვა სახის მუსიკას უსმენს. ერთი რადიოსადგური როგორც ატრიალებს, მეორე ქანთრის, მესამე კი კლასიკურ მუსიკას. ყველა ეს საუნდი ჩვენს განკარგულებაშია და როდესაც ინსტრუმენტს ხელში ვიღებ, ეს ყველაფერი უკვე ჩემშია. როცა ანდრეს სეგოვიას ვუსმენ, მაინტერესებს, შემიძლია თუ არა დავუკრა მასავით. არ არის გამორიცხული, რომ ეს ვერ მოვახერხო, მაგრამ დიდი შანსია, რომ ძიების პროცესში, რაიმე კარგს გადაეცნყდე. ასე რომ, ახალი ელემენტების გამოყენებით, მუსიკას სიახლეს და უნივერსალურობას ვძენ. ამის შედეგი კი ისაა, რომ ადამიანები დედამიწის ნებისმიერ კუ-



თხეში მიცნობენ და იციან ჩემი მუსიკა. ერთხელ, საფრანგეთში ყოფნისას, ახალგაზრდა ბიჭი მომიახლოვდა და მითხრა: მისტერ ბენსონ, მე მიყვარს თქვენი მუსიკა! შევამწინე, რომ აქცენტით ლაპარაკობდა და ვკითხე საიდან ხარ-მეთქი. ირანიდან, მიპასუხა ამაყად. ნუთუ ჩემი მუსიკა ირაშიც მოსმენილი აქვთ? - ვკითხე გაკვირვებულმა. ახლა მან შემომხედა გაკვირვებით და მიპასუხა: რას ამბობთ, მისტერ ბენსონ, აიათოლა გიუდება თქვენზე! მოგვიანებით, გაერთიანებულ ემირატებში ყოფნისას, რადიო პროგრამის სტუმარი ვიყავი და აღმოვაჩინე, რომ იქაც კარგად იციან ჩემი მუსიკა. რელიგიური შეხედულებების გამო, ამა თუ იმ დასავლელი მუსიკოსის ან მათი სიმღერების მიმართ, ისინი ხშირად საკმაოდ კრიტიკულები არიან და ამიტომაც ბევრი სიმღერა ეთერში არ გადის. ის ალბომები, რომლის ეთერში გაშვების უფლებაც მათ არ ჰქონდათ, ნითელი ფლომასტერით იყო გადახაზული. მათ ყველა ჩემი ალბომი ჰქონდათ და უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უზარმაზარი კოლექციიდან მხოლოდ რამდენიმე სიმღერა იყო ხაზგადასმული! ალბათ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ხშირად ის, რაზეც ჩვენ ვმღერით, ადამიანებს ამასოვრდება, ზოგს კი ესა თუ ის სიმღერა მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყება და ამიტომაც ვცდილობ, ადამიანებში ახლის მოსმენის სურვილი გავაღვივო, ახლის ალსაქმელად გამოვაღვიძო მსმენელი; იმ ახლის, რასაც მივაგენი და რაც მსოფლიოში ხდება. ვსამ შეკითხვებს: რატომ მოხდა ეს ასე? რა იყო ამის მიზეზი? რა გავლენა იქონია ამა თუ იმ მუსიკოსმა ჩემს შემოქმედებაზე? და ვინაიდან მსოფლიოში ბევრს მოსწონს ჩემი მუსიკა, მათი ეს ინტერესი გავლენას ახდენს მთელს მუსიკალურ ინდუსტრიაზე. ინდუსტრია უწყვეტი ცვლილების პროცესშია და თუ მის მწვერვალზე ადგილის შენარჩუნება ვერ მოახერხე, მტვრი დაგედებათ შენც და შენს მუსიკასაც. მაგრამ ამავე დროს, პირველ რიგში, მუსიკა ღმერთის საჩუქარი და უზარმაზარი სიხარულის წყაროა ჩემთვის. მეგობრებთან საუბრებისას, ხშირად ვეხები იმ თემას, თუ რა ადვილია ადამიანის ნეგატიურ მოვლენებში ჩათრევა; მაგალითისთვის, თუნდაც ორი მსოფლიო ომი ავილოთ. ძალიან მაინტერესებს, თუ როგორ ახერხებს ომიდან ცოცხლად დაპრუნებული ადამიანი ნორმალური ცხოვრების გაგრძელებას. ეს ძალიან ძნელი უნდა იყოს. ძნელია გახდე მკვლელი და მერე ცხოვრების ნორმალურ პირობებს დაუბრუნდე. ბევრი ამას ვერ ახერ-

ხებს და ისინი მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში იტანჯებიან. მართალია, მათ გაუმართლათ და ცოცხლები დარჩენენ, მაგრამ რამდენი ახლობელი ადამიანის სიკვდილის მომსწრე გახდნენ ისინი? ეს ის ტრავმაა, რომელიც ცხოვრებას უნამღავს მათ! ამიტომაც ვფიქრობ, რომ ხელოვნება მსგავსი კოშმარებისგან გათავისუფლების ღმერთის მიერ შემოთავაზებული გზაა. ხელოვნება საშუალებას გვაძლევს, სხვა კუთხით შევხედოთ ცხოვრებას. უსმენ ლამაზ სიმღერას და ხვდები, თუ რა კარგია სიცოცხლე. ის ცხოვრების პოზიტიური მხარისეკენ გიბიძგებს. შენივე ცხოვრების გასაგრძელებლად, მუსიკა ახალ სცენარს გთავაზობს ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგები. სამი ძირითადი რამ, რაც ჩვენს ცხოვრებაზე გავლენას ახდენს – რელიგია, პოლიტიკა და კომერცია. ამა თუ იმ სახით, სამივე გავლენას ახდენს ყველა ადამიანზე, დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, მაგრამ თუ ყველაფერ ამას ზედმეტ ყურადღებას დაგუთმობთ, ადვილად დავივიწყებთ სხვა დანარჩენ კარგს, რასაც ცხოვრება გვთავაზობს. ცხოვრება მშვენიერია, ქორწინება მშვენიერია, ბავშვები მშვენიერია, ოჯახი და ადამიანთა მრავალფეროვნება მშვენიერია. ეს ყველაფერი ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას. სხვა რჯულის ადამიანს მტრად არ ალვიქამ იმიტომ, რომ მას ჩემგან განსხვავებული შეხედულებები აქვს. მასში ნევატიურის ალმოჩენას არ ვცდილობ; პირქით, ვხვდები, რომ ის სხვა გარემოშია აღზრდილი, სხვა გამოცდილება აქვს და ყველაფერი ეს მის ნაფიქრალს განსხვავებულ ფორმას აძლევს.

რამდენად ხშირად ხდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ სიმღერით კმაყოფილი არ ხართ და ამიტომაც ცდილობთ, კიდევ ერთხელ დაუბრუნდეთ მას, ამჯერად უკვე ცოცხლად შესრულების დროს, და შეცვალოთ ის, რაც არ გაკმაყოფილებდა?

ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე. ეს ისაა, რაც დიუქ ელინგთონისა და მაილზ დევისისგან ვისწავლე. მაგრამ მოდით, სახვა მხრიდანაც შევხედოთ ამ საკითხს. ის, რაც გაფუჭებული არაა, შეკეთებას არ საჭიროებს. კი ბატონო, ნებისმიერს, ვისაც მოესურვება, შეუძლია გამუდმებით ცვალოს რაღაცები თავის მუსიკაში. ეს მეც შემიძლია. შემიძლია შეცვალო ტემპი, ტონალობა, დავუკრა ერთი და იგივე კომპოზიცია სამ მეოთხედებში, ხუთ მეოთხედებში, შვიდ, ცხრა და თერთმეტ მეოთხედებში, მაგრამ აქ ჩინდება კითხვა, – მოეწონება თუ არა



ეს მსმენელს? მზად ხარ იმისთვის, რომ ექსპერიმენტების გამო, მსმენელი დააფრთხო? ეს რისკია და კარგად უნდა იცოდე, სადამდე გაქვს “შეტოპვის” უფლება. პირადად მე, ჯაზმა ამის კეთების საშუალება მომცა და კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ეს შემიძლია. მაგრამ დღეს მუსიკალურ ინდუსტრიასთან უკვე სხვა მიმართება მაქვს. მე მათვის ლეგენდის სტატუსის მქონე მუსიკოსი ვარ. ინდუსტრიას არ უნდა ერთხელ უკვე დაკრულის წამდაუწუმ გამეორება და ამიტომაც, ჩემს მუსიკაში გარკვეული რამების შეცვლა მინევს ხოლმე, მაგრამ არა იმ დონემდე, რომ მსმენელი შემინდეს და გამეცალოს. ბალანსი მნიშვნელოვანია და მუსიკოსებს ჩემს ბენდში ამ ბალანსის დაცვა შეუძლიათ იმიტომ, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ. ეს ის უპირატესობაა, რაც დიდხანს ერთად მუშაობის შემდეგ მოდის. ჩვენ უკვე უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. მენდეთ, მუსიკაში ბალანსირების უნარი მთელი ხელოვნებაა. ჯაზი ჩემი მუსიკალური ანბანის განუყოფელი ნაწილია და ძალიან კარგი, თუ მსმენელი გაგიგებს, როცა მე მას ამ ენაზე ვესაუბრები. ამავე დროს, ნუ დაივინწყებთ, რომ მე მარტო გიტარისტი კი არა, მომღერალიც ვარ. შესაბამისად, მესმის თხრობის პრინციპები და ამიტომაც იმდენ შეცდომას არ ვუშვებ, რამდენსაც დანარჩენი მუსიკოსები. ისინი უკრავენ ნოტებს, მაგრამ ეს ნოტები ჩემთვის სიტყვებია და არა უბრალოდ ნოტები. მე შემიძლია ერთ წუთში 10.000 ნოტი ჩავატიო, მაგრამ თუ ამ ნოტებს თხრობა არ შეუძლიათ, თუ ამ ნოტებით გამართულ წინადადებას ვერ აწყობ, ჩათვალე, რომ შენს მონაცყოლს არავითარი ეფექტი არ ექნება. იცით, ჩარლი ფარქერი ზოგჯერ რას აკეთებდა? კონცერტების დროს, ის პერიოდულად ერთ-ორ ნაცნობ და პოპულარულ თემას “ჩააგდებდა” ხოლმე თავის გიუჟურ იმპროვიზაციაში და ამას ისე აკეთებდა, რომ მსმენელს ეცნო ეს თემა. ეს რეალობაში აბრუნებდა მას და იმგვარი სერიოზულობისგან იცავდა, რომელიც მსმენელის დაკარგვას განაპირობებს...

წარმატებული ალბომის ჩასაწერად ერთი ადამიანი საკმარისი არაა. მნიშვნელოვანია დანარჩენების როლიც. ამ დროს, პროდიუსერი შეუცვლელი პერსონაჟია და ალ-

ბომზე მუშაობის პროცესში, ბევრს ალბათ კარგად არც კი ეს-მის მისი როლი. როგორი ურთიერთობა გქონდათ უკანასკნელი ალბომის Irreplaceable-ის ჩანერის დროს თქვენ და ჯოშუა თომაზსონს?

პროდიუსერი მუსიკოსის საბოლოო პროდუქტთან პირდაპირაა დაკავშირებული, ვინაიდან სწორედ ის უყრის თავს ერთად ყველა კრეატიულ თუ ტექნიკურ ელემენტს. მუშაობის დაწყების წინ, თომთვაონს ერთი იდეა ჰქონდა, – მას ჩემი ჰიფ-ჰოფის სამყაროსთან დაკავშირება დუეტების მეშვეობით უნდოდა. შემჩენეული ჰქონდა, რომ ჩემს კონცერტებს, როგორც წესი, უამრავი ახალგაზრდა მსმენელი ესწრება, თუმცა ისინი არ მიცნობენ, როგორც ჰიფ-ჰოფის უანრში მომუშავე მუსიკოსს. თომთვაონს უნდოდა, ჰიფ-ჰოფის სხვადასხვა წარმომადგენელთან ჩამენერა დუეტები, რათა ჩემი ახალგაზრდა მსმენელის რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილიყო. სამწუხაროდ, ხმის ჩამჩერი კომპანია ამ პროექტისთვის მზად არ აღმოჩნდა და ეს გეგმა ჩაიშალა. ალბომის ჩანერა მარტო მომინია და ძალიან მიხარია, რომ ეს გავაკეთე. Irreplaceable ამტკიცებს იმას, რომ ჯორჯ ბენსონი თანამედროვე მუსიკოსია. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. კარგია, როცა შენი ალბომი ძველ და გამოცდილ იდეებს არ ეყრდნობა. მე დღევანდელ დღეს ვცხოვრობ და არა 1945 წელს. აქევე დავუმატებდი იმას, რომ ამ ალბომზე მუშაობისას, ძალიან მაკლდა ის ადამია-





ნი, ვისაც ჩვენთან A&R (Artist and Repertoire)-ს უწოდებენ. ეს პიროვნება შემსრულებლისთვის იმ სიმღერას პოულობს, რომელიც, მისი აზრით, თავის მსმენელთან კიდევ უფრო და-აახლოვებს. წარსულში ჩვენ ბევრი ასეთი დიდებული A&R გვყავდა. ჯონ ჰენმანი, თავის დროზე, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ისევე როგორც ქლაივ დევისია დღეს, რო-მელმაც ეს საქმე ჰენმანისგან ისნავლა. კარგი A&R-ი ყო-ველთვის დარწმუნებულია, რომ სიმღერით, რომელიც მან არტისტისთვის აღმოჩინა, ის ახალ მსმენელზე გასვლას მოახერხებს ან იმაზე უფრო პოპულარული გახდება, ვიდრე იყო. ჰენმანი საოცარ შედეგებს აღწევდა ისე, რომ კრეა-ტიულ პროცესში არ ერეოდა და არაფერში არ ზღუდავდა მუსიკოსს. ის პოულობდა სიმღერებს მუსიკოსებისთვის და ქმნიდა ისეთ სამუშაო პირობებს, სადაც ისინი კომფორტუ-ლად გრძნობდნენ თავს და ისე დახვენილად ახერხებდნენ საკუთარი თავის გამოხატვას, რომ მათ შინაგან სამყაროს მსმენელი ბოლომდე გრძნობდა. აი, ეს იყო A&R-ის მთავარი დანიშნულება. მისი საქმიანობის შედეგად, მუსიკოსი კიდევ უფრო პოპულარული ხდებოდა, მის მიერ შექმნილი პროდუ-ქტი კი – უკეთესი. პროდიუსერთან მუშაობისას, ზოგჯერ ხდება, რომ მას რაღაც არ მოეწონება და ამიტომაც ცდი-ლობს, პროექტში რაღაც სასწრაფოდ შეცვალოს, რაც საწყის

იდეას და კონცეფციას სრულიად ცვლის... კიდევ ერთი დიდი A&R-ი გამახსენდა, – ქრეიგ თეილორი, ადამიანი, რომლის იდეაც იყო ფრედი მერქურის და მონტსერატ კაბალიეს ცნობილი *Barcelona* და რომელმაც უდიდესი ორგანისტი ჯიმი სმითი ბიგ ბენდთან ერთად პირველ-მა ჩაწერა. ის როგორლაც ახერხებდა მუსიკოსების მიერ გენერირებული გიუჟური იდეების “მოთვინიერებას” და, როგორც ვამბობ ხოლმე, “იდეების ფრაკში გამოწყობას”. მე იმპულსური ადამიანი ვარ, იდეებიც იმპულსურად მომდის თავში და მათი გამოხატვის არ მეშინია. ხშირად ისეც მომხდარა, რომ ჩემი საწყისი იდეა საეჭვო ხარისხის ყოფილა, მაგრამ ქრეიგი იმ იდეას ისეთ “ლა-მაზ ფრაკს მოარგებდა”, რომ ის თითქმის სრულყოფილი ხდებოდა. თეილორისნაირი პროდიუსერები და A&R-ები დღეს, სამწუხაროდ, ცოტა გვყავს. არადა, კარიერის გაუმჯობესებაში სწორედ მათი ძალისხმევა მეშმარებო-და და სწორედ მათი მეშვეობით შეიქმნა ის, რასაც დღეს Smooth Jazz-ს ვუწოდებთ.

ჰიფ-ჰოფი ახსენეთ და საინტერესოა, თქვენს მუსიკა-ლურ ინტერესს დღესდღეობით რა და ვინ ახალისებს?

სულ მაინტერესებდა მივმხვდარიყავი, თუ რატომ ხდება, რომ ვილაცას რაღაც კარგი მოსალის თავში, მე კი – არა... მერე მივხვდი, რომ ჩვენი შემეცნების უნარს ბოლო არ აქვს. იცით, 60 წლის წინ, საპატენტო ოფისის დახურვას სერიოზულად ფიქრობდნენ, ვინაიდან ეგონათ, რომ ყველაფერი, რაც გამოსაგონებელია, უკვე გამოგო-ნებული იყო. ეგონათ, რომ ადამიანი ვერაფერ ახალს ვეღარ შექმნიდა და სწორედ აქ შეცდნენ, ვინაიდან ადა-მიანებმა კიდევ მილიონობით ახალი რამ გამოიგონეს. მუსიკაც ასეა და ამიტომაც პერიოდულად კლუბებში და-ვდიგარ და ახალ შემსრულებლებს ვუსმენ. მარტი სთენ-ლი ჯორდანი რად ლირს?! და ასეთები ბევრნ არიან მსოფლიოში. იყო ასეთი საქსოფონისტი ედი ჰარისი, რომელიც საქსოფონზე საყვირის სატუჩით უკრავდა და პირიქით, საქსოფონის სატუჩით საყვირზე. რეზულტატი საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ მუსიკის ჩახშობა შეუძლებელია და



ყოველთვის ახლის აღმოჩენის საშუალება იქნება. ადრე თუ გვიან, გაჩინდება მუსიკოსი, რომელიც ახლით დაჩრდილავს წინამორბედს. რა თქმა უნდა, არიან და იქნებიან ისეთები, ვინც საერთო მასას ყოველთვის გამოეყოფა იმიტომ, რომ ისინი ლიდერები არიან. ჩარლი ფარქერის არსებობამ ჯონ ქოლთორეინს საქსოფონზე ახალი სიმაღლეების დაპყრობაში ხელი ვერ შეუშალა. მიუხედავად იმისა, რომ ქლიფორდ ბრაუნი საყვირზე მაილზ დევისზე კარგად უკრავდა, მას არც კი დასიზმრებია ის სიმაღლეები, რასაც მაილზმა მიაღწია. ასე რომ, ვერავინ იწინასწარმეტყველებს, თუ რა შეიძლება მოხდეს მუსიკის სამყაროში...

მსოფლიოს ამ კუთხეში თქვენ პირველად ხართ. როგორია თქვენი მოლოდინი? რა მოხდება დღეს საღამოს?

დიდი პრივილეგიაა იყო იქ, სადაც არასოდეს ყოფილხარ. ჰაერში გრძნობ სიახლეს და გრძნობ, რომ აქ რაღაც განსაკუთრებულს ელიან შენგან, თუმცა იცი, რომ შესაძლებელია, შენი დაკრულიდან ყველაფერი არ მოეწონოთ, ვინაიდან ბევრს შენი ცოცხალი შესრულება არ მოუსმენია. მართალია,

მათ აქვთ მოსმენილი ჩემი ალბომები და ახლა საშუალება ეძლევათ, მოსმენილი ვიზუალურად აღიქვან, მაგრამ მუსიკოსის ცოცხლად ნახვა ბევრად განსხვავდება ალბომების მოსმენისგან. ისინი ბევრს ელიან შენგან და არ მინდა, მათ იმედები გავუცრუო. მე კარგ მუსიკოსებთან ერთად ჩამოვედი აქ და ერთად შევეცდებით მოხდეს ის და იმაზე მეტიც, რასაც ჩვენგან ელიან. ეს საღამო დასამახსოვრებელი უნდა გახდეს მათთვის.

„ისთორნ პრომოუზენი“ და ურნალი „ცხელი შოკოლადი“ გაცესკუთრებულ გალორგას უხდის „კოკა-კოლას“, „ნისკაფეს“, „ბანკრესპუბლიკას“ და „საქართველოს რეინიგზას“ ჯაზ-ფესტივალის ორგანიზატორის მხარდაჭერისათვის.





ვენერას სიზმარი

რომანი

აკა მორჩილაძე,

“ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”

2005 წ.

წიგნით პლაუზე, წიგნით ვერანდაზე, წიგნით ჰამაკში — შვებულება ბევრნაირი კომბინაციის საშუალებას იძლევა, კომბინაციები მერიუს და ე.წ. “მისაყილებლის” სფეროშიც იცვლება. მთავარია, წიგნი იყოს — ახალი და საინტერესო. სანამ ქალაქს დატოვებდეთ, ჩვენს უურნალთან ერთად, წიგნის მაღაზიაში რამე კარგიც მოიძიეთ. ცხადია, არჩევანი უფრო მრავალფეროვანი რუსულენოვანი გამოცემების განყოფილებაში იქნება, მაგრამ რამდენიმე კარგ ალტერნატივას გაცილებით უფრო ნელი ტემპით განახლებადი ქართული წიგნის თაროც შემოგთავაზებთ.

თუნდაც აკა მორჩილაძე და მისი სულ ახალი რომანი. ვინ არის ვენერა და რა ესიზმრება, ვერაფრით ვერ გეტყვით. მაღაზიებში სულ ახლახანს გამოჩენდა და ამიტომ. თუმცა, და-ეჭვებად არ ლირს, „საბას“ ორგზის ლაურეატი აკა მორჩილაძე თავის ახალ ტექსტს ორიგინა-ლურ სტრუქტურას უძებნის და უამრავ საინ-ტერესო თავგადასავალს და ამბავს ჰყვება. ეს ფათერაკებით სახეს ამბავი კი, საღამოს პირზე გამოვიძებულ ბუს შემთხვევით დაუნახავს ტყვები და შემდეგ მწერლისთვის მოუყოლია, მწერალს — ჩვენთვის. კიდევ ერთი ორიგინა-ლური დეტალი: განმარტებები და შენიშვნები ტექსტის ძირითად ნანილშივება ჩართული და ეს თხრობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ასე რომ, „ვენერას სიზმარი“ ზედგამოქვლი საკითხავია საზაფხულო დამეტებისთვის — ჩა-ძინებამდე და პერსონალური სიზმრების და-სიზმრებამდე.



თანამედროვე ევროპული კიევის

ანთოლოგია

გამომცემლობა “არეტე”


2005 წ.

ეს კრებული, ერთი შეხედვით, ოდნავ არა-საზაფხულო შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ გირჩევთ, თამაბად მიენდოთ გარევანის მწვანე ფერს და ამ ფონზე გაფანტულ ავტორებს: ტომ სტოპარდს, პაროლდ პინტერს, ტანკერედ დორსტს და სხვებს. გამომცემლობა “არეტე” ცნობილი დრამატურგების საუკეთესო ნიმუშებს უყრის თავს. ბოლოთქმაში ავტორთა შესახებ კი, თოთოველი მათგანის შესახებ შეძლებთ ინფორმაციის მოპოვებას.

შეიტყობოთ, რომ ინგლისელი ტომ სტოპარდი ასევე სცენარისტი და რეჟისორიცა, თანაც, “ოსკარით” დაჯილდოებული: გამაურებული “შეყვარებული შექსპირი” სწორედ მისი დანერილია. ნარდეგნა არც პაროლდ პინტერს სჭირდება. პიესა “მტვერი მტვრადვე მიიქცევი” კი მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნანარმობია.

ანთოლოგია ასევე გვთავაზობს პოლონელი სლავომირ მროვეკის, გერმანელი ტანკერედ დორსტის, ასევე გერმანელი პანს მაგნუს ენცენსბერგერის და რუსი ოლეგ შიშკინის პეისებს. მე, პირადად, შიშკინის „ანა კარენინა II“-ს ვითხულობ და ახლა იმ ეპიზოდზე ვარ, მატარებლის რელსებიდან ცოცხლად გადარჩენილი ანა, როგორ წევს შინ, დოლბანდში გახვეული და როგორ იღებს სტუმრად მისულ ლევინსა და ვრონსკის.

მთარგმნელთა დამსახურებაც საგულისხმოა: ანდრო ბუაჩიძე, ასმათ ლეკიაშვილი, ზაზა ჭილაძე და დაანარჩენები ცნობილი ავტორების შესანიშნავ თარგმანს გვთავაზობენ.



სამის ტოლმა

რომანი

ბესო ხვედელიძე, მაკა მიქელაძე

“ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”

2005 წ.



ეს წიგნი თავისუფლად შეგვიძლია მივაკუთვნოთ მეითხველის ერთ სპეციფიკურ სეგმენტს — რომანი კონკრეტულად მათთვისაა დაწერილი, ვისაც თანაბრად იტაცებს უახლესი ქართული პროზა და გურამ წიბახშვილის ფოტოგრაფია. თხრობას ხომ თან ცნობილი ფოტოგრაფის ფოტოგრანართები ერთვის და რომანს კიდევ უფრო უზვეულო აღსაქმელს ხდის.

მაშ ასე — მაკა მიქელაძე და ბესო ხვედელიძე გაერთიანდნენ და ადამიანების ფსიქიკური ჩალრმავება დაინტენს; თანაც, პირდაპირი გაგბით. მაკა მიქელაძე პროფესიონალი, რომანში კი ბესო ხვედელიძესთან ერთად, ფსიქიატრისა და მისი ერთი უცნაური პაციენტის წერილების ერთობლიობას გვთავაზობს.

მეითხველი კი ორივე ავტორს ამ ლიტერატურულ-ფოტოგრაფიულ ექსპერიმენტაციებიც კარგად იცნობდა. ხვედელიძის მოთხოვებების კრებული “ჯადო” 2003 წელს “საბას” პრემიით აღინიშნა, წელს კი „საბაზე“ ის უკვე რომანით „გაფრინდინელა“ იყო ნარდგენილი. რაც შეება მაკა მიქელაძეს, წიგნის მაღაზიებში დღესაც შეგიძლიათ, მოიკითხოთ მოთხოვებების კრებული ტემპებს; ან მის ლექსებს გადახედოთ.

თუმცა არც ამდენი გარჯაა საჭირო, პირდაპირ ნახეთ, როგორ მზადდება „იხვის ტოლმა“ შემდეგი ინგრედიენტებით: ლიტერატურა, ფსიქიატრია და ფოტოგრაფია. მერწმუნეთ, შესანიშნავ საზაფხულო გასართობისა.

ავტორი: სალომე კიკალაშვილი



დაბალება

სად: კინოთეატრი “რუსთაველი”.

როდის: აგვისტო.

რეჟისორი: ჯონათან გლეიზერი.

ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რა კარგად მოქცა თავის დროზე ნიკოლ კიდმანი, საყვარელ თომ კრუზს რომ გაშორდა? არა?! ცოტა კი პირიქით იყო, ეს ნაბიჯი ჯერ “უკანასკნელმა პილივუდელმა” გადადგა, მაგრამ მაინც.

რატომაა კარგი? ვერ ატყობთ, რომ მას შემდეგ, ცხვირაბზევალი, ცისისხლიანი ყინულის საშუალო დონის “დედოფალი”, ყველაზე პოპულარულ მსახიობად იქცა, და ერთომეორეს მიყოლებით უფრო და უფრო საინტერესო პროექტებში მიიღო მონაწილეობა? რომელი ერთი ჩამოვთვალი... ამად ერთი “დოგვილის” სხენებაც კმარა.

ახლა კი, რაც შეეხება მთავარს: როდესაც “დაბადება” ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე ნარადგინეს, დიდი დავა და უკამაყოფილება ატყდა; ერთი, არა, ორი კადრის გამო.

სიუჟეტი ასეთია: ახალგაზრდა მანქეტენელი ქვირი ანა (ნიკოლ კიდმანი) გათხოვებას გადაწყვეტს. ყველაფერი თითქოს წესრიგშია, რომ ერთ დღესაც, მას 10 წლის შონი გამოეცადება. “მასაც შონი ჰქვია, ისევე როგორც ჩემს გარდაცვლილ ქმარს” – გაიფიქრებს ანა და... მაგრამ მოიცადეთ, ვერ სად ხართ! პატარა შონი რეინჯარნირებული დიდი შონი აღმოჩნდება და... ახლა ხომ ხვდებით, რა ამბები დატრიალდება!

რაც შეეხება “დანწუნებულ” სცენებს: ნიკოლი შხაპს იღებს რეინჯარნირებულ შონთან ერთად; და მეორე: ნაზად ეამბორება ტუჩებზე.

არა, “უზრდელობა” და რამე არ გევონოთ. უბრალოდ, ასეა და...

ლაბა ლელამინაზე

სად: კინოდარბაზი „ამარკორდი“.

როდის: სექტემბერი.

რეჟისორი: ჯიმ ჯარმუში.

ეს ჯარმუშის საყვარელი თემაა: პარალელურად მომხდარ მოვლენათა მოყოლა; სწორედ რომ მოყოლა.

“მე ხომ ყველასთვის არ ვქმნი ფილმებს. და საერთოდ, ვაკეთებ ისეთს... რომელიც სხვადასხვა ისტორიას გვიაბობს.”

სად მომხდარს? მნიშვნელობა არ აქვს, სად. თუნდაც ლოს ანჯელესში, ნიუ იორკში, პარიზში, რომსა და ჰელსინკიში.

როდის მომხდარს? ლამით, რა თქმა უნდა.

მაშ ასე:

1991 წელი და ერთი ღამე დედამიწაზე.

ეგზისტენციალური ტრაგიკომედია ტაქსისტებზე, ტაქსისტებისათვის, და არა მარტო მათვების.

ერთ ღამეს ხუთ სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი, ხუთი სხვადასხვა ამბავი. ხუთი ტაქსისტი თავისი ისტორიებით და მგზავრებით: რობერტ ბენინი, უაინონა რაიდერი, ჯანკარლო ესპოზიტო და სხვა.

რა ხდება გალაქტიკიდან დანახულ ერთ ღამეს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში?

რა საერთო აქვთ ხუთი სხვადასხვა ქვეყნის და ეროვნების ტაქსისტის მათ მგზავრებთან?

P.S. ისე, არასდროს არ გიკითხავთ საკუთრი თავისითვის – საინტერესოა, ნეტავი იქ (ამ შემთხვევაში “იქ”, უკვე თქვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული) ამ მომენტში რა ხდება?

ალბათ, თავის დროზე, პატარაობისას, ჯიმისაც უფიქრია ასე, რადგან მისი ფილმები ხომ პარალელური მოგზაურობაა; მოგზაურობა, ერთი შეხედვით, ძალზედ ყოფით, არაფრით გამორჩეულ სიტუაციებში, სადაც თითქოს სცენარიც კი არ არსებობს; ყველაფერს სპონტანურად, “სამიზნეზე” მიშვერილი კამერა თავისით აფიქსირებს და...

16 პოლი

სად: კინოდარბაზი „ამარკორდი“.

როდის: სექტემბერი.

რეჟისორი: უზდი ალენი.

„ერთი წარუმატებელი, უშნო ამერიკელი ინტელექტუალია; უამრავი კომპლექსით, პრობლემით, სექსზე „დაციველით“ და გადამწყვეტ მომენტში ქრონიკული უუნარობით“ – ეს პირველი შთაბეჭდილებაა.

„ერთი და იმავე ინგრედიენტებით, ყოველთვის განსხვავებულ კოქტეილს გთავაზობს“ – ეს კი, ფაქტი.

რა არის ახალი მის ცხოვრებაში? – ახალ ფილმზე მუშაობს, „თარგმანში დაკარგულ“ სკარლეტ იოპანსონსა და „მისტერ მუტანტ“ პიუ ჯემანთან ერთად.

მანაძღვ კი:

1977 წელს ეკრანებზე მისი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ნამუშევარი გამოიიდა – „ენ ბოლი“, ანუ სასცენარო სახელით - Anhedonia - სიამოვნების მიღების შეუძლებლობა.

ფილმის სცენარი ზუსტად ოთხ დღეში დაწერა, ცოტა ხანშივე გადაიღო, და სამი „ოსკარიც“ მიიღოვა:

საუკეთესო რეჟისორი,

საუკეთესო ფილმი,

ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი.

მაგრამ „ოსკარიც“ დაჯილდობაზე უზდი არავის უნახავს – არ ეცალა. ისევე, როგორც ყოველ ორშებათს, იმ დღესაც კლუბ „Michael's“-ში იჯდა და მსმენელს კლარჩეტზე დაკვრით ართობდა. რა მისი ბრალია, იმ წელს, „ოსკარები“ მაინცდამანც ირშებათს რომ გაიმართა!?

– „როგორც ჩემმა ფსიქიანალიტიკოსმა მითხრა, ჩვენ ერთმანეთს ფიზიკურად არ ვუხდებით“ – უთხრა მაშინ ცოლს და მოატყუა. იმ პერიოდში მას ახალი მუზა და სიყვარული ეწვია, სახელად დაიან კიტონი, რომელიც ვუდიმ თავის საუკეთესო ფილმებში გადაიღო: „ენ პოლი“, „ინტერიერები“, „მანპეტენი“.

რა არის „ენ პოლი“? საკუთარი ცხოვრების პაროდია? ალბათ.

P.S. www.woodyallen.com – ამერიკელი ინტელექტუალ-კომედიოგრაფის ფანებისათვის.



რალიტ უცნობის კაბები

ალბათ, თქვენთვისაც უკითხავთ ჭიჭიკოსა და ბიჭიკოს ვინაობა და, ალბათ, თქვენც მოგისმენიათ სხვადასხვა ვერსიები იმის შესახებ, თუ ვინ არიან ისინი სინამდვილეში და (ჩემსავით) ალბათ, მოგისმენიათ მხოლოდ არასწორი ვერსიები. მათი ვინაობა ზუსტად ვიცი და ისიც ვიცი, თუ რატომ ჰეროინი ჭიჭიკო და ბიჭიკო აუცილებლად პოპულარული ადამიანები. ამ საიდუმლოს გასაღები შარვლის უკანა ჯიბეში უდევს უცნობს – გია გაჩერილაძეს, რომელმაც ბავშვობიდან იცოდა ის, რასაც მე ვერ ვხვდებოდი და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მისი რომელიმე იდეა ასე გაამართლებდა. მას კი იმთავითვე ბევრი იდეა ჰქონდა, რომელთა მოსმენისას, ზოგჯერ ადგილზევე მეცინებოდა, ზოგჯერ კი – მოგვიანებით, მაგრამ არ ვიცოდი, რომ მართალი იყო. იმდენჯერ შევცდი და რაც საშინელი გომობა მეგონა, იმდენჯერ ისეთი ხალისითა და მონდომებით აიტაცა ქართველმა ხალხმა, რომ რაც არ უნდა მითხრას უცნობმა, ახლა მის ნებისმიერ იდეას ოპტიმისტურად ვუყურებ, რადგან დავრწმუნდი, რომ მან იცის ის, რაც მე არ ვიცი და რაც ჩვენს ხალხს ასეთი აიტაცებით მოსწონს.

ჭიჭიკოსა და ბიჭიკოს შესახებაც, უცნობმა და ბასა ჯანიკაშვილმა (სანამ რადიოს გახსნიდნენ), დაწვრილებით მიამბეს, მაგრამ ბოლომდე არც მომისმენია მათთვის, რადგან ისედაც მჯეროდა, რომ მსმენელი ნებისმიერ რადიოს შეიძლება ჰყავდეს, მაგრამ ასეთ აუიოტაუსა და ინტერესს ნამდვილად არ ველოდი კიდევ ერთი რადიოს მიმართ და ჭიჭიკომ და ბიჭიკომ საქართველოში, ალბათ, სმენადობის ყველა რეკორდი უკვე მოხსნეს...

ერთხელ რადიო „უცნობში“ სტუმრობისას, თავშესაქცევად და მხოლოდ ათი წუთით, ჭიჭიკო შევცვალე და როგორც ბიჭიკოს გამომეტყველებითაც იქვე მივხვდი, სრულიად წარუმატებლად. თუმცა ცუდი გამომეტყველება, ცუდი მუსიკა და ცუდი ხასიათი ამ რადიოში დიდი იშვიათობაა და, ალბათ, ძნელია მოძებნოთ სამსახური, სადაც ამდენი თანამოაზრე ასე დაუზარებლად ხუმრობს დილიდან დილამდე.

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მათ არამარტო საერთო ხასიათი და იუმორი, ლექსიკა და თმის ვარცხნილობა, საერთო გემოვნებაც კი ჩამოუყალიბდათ.

თუმცა, ეს უკვე სხვა ისტორიაა...

დათო ტარაშვილი

GITANES




ქიტანე



LE CHARME IRRÉSISTIBLE
ქაცდური შარმი



ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილება:
მოწვანე ეკონომიკური თქვენი ჯანმრთელობისათვის.
მოწვანე იცვევს გულის დაავალებას.

The background features a light blue square grid. Overlaid on the grid are several dark blue, semi-transparent circles of varying sizes. These circles overlap and intersect, creating a complex pattern of shadows and highlights. The overall effect is a minimalist, abstract graphic.

www.geocell.ge